L 29
1924.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

1924 წ. № 1 ნაწილი პირველი

19 1/I — 30/VI 24

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

ტფილისი
1925

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა. ლენინის ქ., № 3

მთავლიტი № 742. ტირაჟი 1000.

181
1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტის

დეკრეტები, დადგენილებანი და დებულებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შესახებ.

კ ა რ ი I.

მიზანი და დანიშნულება საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროებისა.

1. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია მოეწყობა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, ხოლო საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები,—საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან.

2. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები მოქმედებენ პროლეტარული მზრუნველობის—წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილებში, წითელი შეფობის შესახებ გამოცემული დებულებისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული წითელი შეფობის საქმის საბჭოს განკარგულებათა და განმარტებათა საფუძველზე და თავის მიზნად აქვთ მოწესრიგება და ნაყოფიერი განვითარება მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ნაწილთა ცენტრალურ და ადგილობრივ, პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და წითელი შეფობის დაწესებულებებზე მიწერის სისტემისა.

3. ამ მიზნით რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისია ანხორციელებს წითელი შეფობის საქმის იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას საქალაქო (სამაზრო) ბიუროების მეშვეობით, ხოლო სადაც ასეთი არ არის—თითონ უშუალოდ.

4. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები:

ა) თვალყურს ადევნებენ, რათა პროლეტარული მზრუნველობის—წითელი შეფობის—დებულებით დადგენილი ორგანიზაციული პრინციპები წითელი შეფობისა სისტემატიურად იქნეს განხორციელებული წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილების მიმართ;

ბ) გამოსცემენ ზემოხსენებული დებულების დასამატებლად და განსავითარებლად ყველა საჭირო ცირკულიარსა და ინსტრუქციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) თვალყურს ადევნებენ შეფების მიერ მათი მოვალეობის აღსრულებას და საჭირო შემთხვევაში მიმართავენ იძულებულყოფისა, საზოგადოებრივ წახალისებისა და გაკიცხვის ღონისძიებას;

დ) დაამყარებენ საერთო, რაც შეიძლება მიზანშეწონილ ფორმებს შეფების ერთდროული და სისტემატიური დახმარებისას;

ე) განახორციელებენ გეგმაშეწონილ და შეძლების დაგვარად თანასწორ შეფობის დახმარებას მის ძირითად ფორმებში (ფულადი საშუალებანი, ყაზარმების რემონტი, გათბობა, განათება, ტანსაცმელი და სხვ.);

ვ) შეათანხმებენ უფრო ღონიერი შეფების მოქმედებას დახმარების საერთო ღონისძიებათა ორგანიზაციით (მაგ., დახმარება გაზეთს და სხვ.);

ზ) თვალყურს ადევნებენ, რათა თვითეული სამხედრო ნაწილი შეფზე იქნეს მიწერილი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ის გარემოება, რომ მთელ რიგ ს მხედრო ნაწილებს არა ჰყავთ შეფები, და აგრეთვე ის, რომ მრავალ პარტიულ, საკავშირო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციას და დაწესებულებას არა ჰყავს საშეფო ნაწილი;

თ) მოსპობენ შეუსაბამობას შეფობისა და სამეურვეო ნაწილს შორის; როდესაც ღონიერი შეფი აირჩევს თავის საშეფოდ უმნიშვნელო სამხედრო ნაწილს და წინააღმდეგ;

ი) მოახდენენ სათანადო დაწესებულებათა აპარატის მეშვეობით იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა აღნუსხვას, რომელნიც არიან, ან შეუძლიანთ იყვნენ შეფებად, გამოარკვევენ მათ ეკონომიურ შეძლებას შეფობის მიზნით, მოახდენენ გადაჯგუფებას, დააწესებენ კატეგორიებს და სხვ.;

კ) გაარჩევენ კონფლიქტებს შეფებსა და შეფობაში მყოფ ნაწილთა შორის;

ლ) განიხილავენ და დაამტკიცებენ შუამდგომლობას შეფობის ხელახლად განაწილების შესახებ;

მ) განსაზღვრავენ და განახორციელებენ სხვა ღონისძიებას, რაც მიმართულია საშეფო საქმის განვითარებისა და გაუმჯობესებისაკენ და არ ეწინააღმდეგება პროლეტარული მბრძანებლობის—წითელი შეფობის დებულებას, წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილების მიმართ.

კ ა რ ი II.

უფლებანი რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომიხიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროებისა.

5. რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიისა და შეფთა ბიუროების დადგენილებანი და განკარგულებანი სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა, საწარმოსა და დაწესებულებისათვის, რომელიც მოქმედობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შენიშვნა 1. საჩივარი და პროტესტი საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიის დადგენილებისა და განკარგულების შესახებ წარედგინება საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩაითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. საჩივარი საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების დადგენილებისა და განკარგულების შესახებ წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის კომისიას, რომლის გადაწყვეტილებაც შეფთა ბიუროებისათვის საბოლოოდ ჩაითვლება.

6. საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას და თვითეულ შეფთა ბიუროს უფლება ეძლევა გამოაქვეყნოს თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი მთავრობის ორგანოებში.

კ ა რ ი III.

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შედგენილობა.

7. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიის შედგენილობა განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ხოლო შედგენილობა საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროებისა—სათანადო საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

8. საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას და თვითეულ შეფთა ბიუროს უფლება ეძლევა კოოპტაციის წესით მოიწვიოს საჭირო პირები, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბიუროს რიცხვობრივ შედგენილობას.

9. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და თვითეული შეფთა ბიურო თავის სრულუფლებიან წევრთა შორის აირჩევს პასუხისმგებელ მდივანს, : რომელსაც დაეკისრება კომისიისა და ბიუროს დადგენილებათა აღსრულება და წარმოება საშეფო საქმის კომისიისა და შეფთა ბიუროს ადმინისტრატიული მუშაობისა.

კ ა რ ი IV.

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების მოქმედების წესი.

10. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია გამართავს სხდომებს საჭიროების მიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც, საქალაქო (სამაზრო) ბიურო კი თვეში ორჯერ მაინც.

11. საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროს თავისი აპარატი არა აქვს და გამოიყენებს სათანადო დეწესებულების აპარატს.

12. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიურო ყოველთვიურად წარუდგენენ თავიანთი მოქმედების ანგარიშს პირველი—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; ამასთანავე იგი გაუგზავნის ცნობისათვის თავისი ანგარიშის ასლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს; ხოლო მეორე—სათანადო საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-15 № ში 1924 წ. იანვრის 18.

2.

დადგენილება № 73

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ბავშთა ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის დაარსების შესახებ.

1. დაარსდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ბავშთა ცხოვრების გაუმჯობესების სრულუფლებიანი საუწყებათაშორისო კომისია, ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში წევრად შედის შემდეგ უწყებათა თითო წარმომადგენელი: განათლების სახალხო კომისარიატის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის, საქართველოს საგანგებო კომისიის, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის, კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის, შრომის სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ქალთა განყოფილების. ამ დაწესებულებათა წარმომადგენელთ ამტკიცებს პერსონალურად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. ბავშთა ცხოვრების გაუმჯობესების სრულუფლებიან საუწყებათაშორისო კომისიას ევალება:

ა) დახმარება გაუწიოს სურსათის, ბინის, სათბობ მასალის, წამლების და სხვ. მხრით იმ დაწესებულებათ, რომელთაც მინდობილი აქვთ ბავშთათვის ზრუნვა; პირველ ყოვლისა კი უნდა დაეხმარონ იმ დაწესებულებათ, რომელნიც განაგებენ უპატრონო და დეფექტიურ ბავშთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თვალყურის დევნება იმ დადგენილებათა აღსრულებისათვის, რომლებიც გამოიცემა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა მიერ ბავშთა დაცვისა და მათი ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით, და საკანონმდებლო ინიციატივა ამ საკითხში;

გ) გამოცემა ცენტრალური ხელისუფლების მომქმედ კანონთა და დადგენილებათა საფუძველზე სხვადასხვა განკარგულებისა—ბავშთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

3. ყველა თავის ღონისძიებას კომისია განახორციელებს ცენტრალურ უწყებათა სათანადო ორგანოების, ხოლო ადგილობრივ—სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების მეშვეობით, რომელნიც დანიშნავენ თითეული მაზრისათვის თითო რწმუნებულს; ეს რწმუნებულნი მუშაობენ უშუალოდ ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით და პასუხისმგებელნი არიან კომისიის წინაშე.

4. კომისიას დაევალება ბავშთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩაბას მუშათა და გლეხთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო პირნი და აგრეთვე გამოსძებნოს კომისიის ნივთიერი ფონდის შესაქმნელად ყოველგვარი საშუალება.

5. კომისიის აღრიცხვა წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს და დამტკიცებულ უნდა იქნეს დადგენილ წესისამებრ.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ.
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ.
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. იანვრის 19.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-26 №-ში 1924 წ. თებერვლის 1.

3.
დადგენილება № 74

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ქალაქის სამილიციო რაიონებთან სამხედრო მაგიდების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროთ სცნობს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ქალაქის სამილიციო რაიონებთან სათანადო სამხედრო საქმის წარმოების მოწყობას, ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაარსდეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ქალაქის მილიციის რაიონებთან სამხედრო მაგიდები.

2. სამხედრო მაგიდის საერთო გამგებლობა დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო ქალაქად—სამილიციო რაიონის უფროსს. აღნიშნული მაგიდის საქმის წარმოება-კი მიენდოს სამხედრო სტაჟით და მომზადებით აღჭურვილ სპეციალურ საქმისმწარმოებელს, რომელსაც, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, დანიშნავს სამხედრო უწყება.

3. სამხედრო მაგიდის საქმის მწარმოებლის შესანახ ხარჯს გასწევს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ქალაქად მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.

4. ზედამხედველობა საქმისმწარმოებლის მოქმედებისათვის დაკისრებულ ფუნქციათა აღსრულების მხრით დაეკისროს სამაზრო სამხედრო კომისარს.

5. მიენდოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს და გამოსცეს სათანადო „დებულება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ქალაქის სამილიციო რაიონებთან არსებული სამხედრო მაგიდების შესახებ“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. საბაშვილი.**

1924 წ. თებერვლის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-34 №-ში 1924 წ. თებერვლის 10.

4.

დადგენილება 75

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სამოქალაქო კოდექსის 435 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

სამოქალაქო კოდექსის 435 მუხლის შენიშვნა აღინიშნოს შემდეგნაირად:

„სამკვიდრო ქონებას, რომელიც მსხვილი მრეწველობის საწარმოსაგან შესდგება და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წლის თებერვლის 25-დან) 1923 წლის აპრილის 20-მდე, უნდა შეეფარდოს 416 და 418 მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მოსამართლეთა ყველა გადაწყვეტილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ ისეთ ქონებაზე, რომელიც მსხვილი მრეწველობის საწარმოსაგან შესდგება და ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წლის თებერვლის 25-დან) 1923 წლის აპრილის 20-დე, ჩაითვლება გაბათილებულად, და ყველა, ვისაც ასეთი სამკვიდრო მიუღია, მოვალეა 1924 წლის მარტის 10-დე აცნობოს ეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, თანაც სისწორით აღნიშნოს: როდის გაიხსნა მემკვიდრეობა, რისაგან შესდგება სამკვიდრო და რა ღირებულებისაა".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებული კომიტეტის მ დ ი ვ ა ნ ი **ვ. საბაშვილი.**

1924 წლის თებერვლის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-34 №-ში 1924 წ. თებერვლის 10.

5.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ლენინის სახელობის „გლეხის სახლის" შესახებ.

1. მ ი ზ ა ნ ი.

1. ლენინის სახელობის „გლეხის სახლი" მიზნათ ისახავს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მიწათმოქმედების გაუმჯობესებას.

გლეხის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მუშასთან მჭიდრო კავშირით.

ამიტომ „გლეხის სახლმა" უნდა დაუახლოვოს ქალაქში მოსული გლეხობა ქალაქის მუშა ხალხს, გამოიყენოს მისი ქალაქში ყოფნა სასოფლო მეურნეობის პროპაგანდისათვის, განუმარტოს მას საბჭოთა ხელისუფლების საადგილ-მამულო პოლიტიკა და თვალნათლივ დაანახოს, რამდენად მიზანშეუწონელია და უნაყოფოა ცალ-კერძო მეურნეობის წარმოება.

2. „გლეხის სახლი" დაეხმარება გლეხს მის ქალაქში ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტაში და მისცემს ადვილად გასაგებ, ცხად და სრულ პასუხს ყველა იმაზე, რაც გლეხობისათვის საგულისხმოა და რაც მას აღელვებს.

3. „გლეხის სახლი" დაეხმარება ქალაქად მოსულ გლეხს ხელსაყრელად გაასაღოს სასოფლო-სამეურნეო შრომის პროდუქტები და შეიძინოს ოჯახისა და მეურნეობისათვის საჭირო საგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოქმედება.

1. „გლეხის სახლმა“ უნდა მოაგვაროს კავშირი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოსთან და მოაწყოს საკონსულტატო განყოფილება, რომელიც ქალაქში მოსულ გლეხს პასუხს მისცემს ყველა საკითხზე, ხოლო მის უფრო ძნელ და არსებით შუამდგომლობის ასრულებას თვითონ განყოფილება იკისრებს.

2. გლეხის თავისუფალი დრო გამოყენებულ იქნება მისი პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის. ამ აზრით გლეხის სახლთან უნდა მოეწყოს: სასოფლო-სამეურნეო კლუბი, თეატრი, კინო, ექსკურსიები, მუზეუმი, წიგნთ-საცავი, სამკითხველო და სხვა:

ა) სასოფლო-სამეურნეო კლუბში იწარმოებს პროპაგანდა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც სახლთან მოეწყობა აგრონომიული ბიურო, სადაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გაჰგზავნის საუკეთესო აგრონომებს ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხად, საუბრების გასამართავად და საცდელ-საჩვენებელ სასოფლო-სამეურნეო სადგურებში ექსკურსიების სახელმძღვანელოდ.

ბ) თეატრი და კინო გააცნობენ გლეხს მუშის ყოფა-მდგომარეობას, საქარხნო-საფაბრიკო შრომის პირობებს. პოპულიარული სასცენო სურათები და პიესები გააფართოვებენ გლეხის გონებას და გააცნობენ მას საჭირბოროტო საზოგადო-პოლიტიკურ საკითხებს.

გ) მუზეუმი შეძლებას მისცემს გლეხს გაერკვიოს მეურნეობის წარმოების სხვა და სხვა ფორმაში; შეასწავლის ნიადაგის შემუშავების და გაპატივების ახალ საშუალებათ, რაც აღნიშნული იქნება თვალსაჩინო დიაგრამებით, პლაკატებით და კარტოგრამებით.

მუზეუმში თავი უნდა მოეყაროს იმ ექსპონატებს, რაც საჭიროა მიწათმოქმედების სფეროში ჩვენი ქვეყნის შესწავლისათვის.

დ) ექსკურსიები ქალაქში არსებულ ფაბრიკებსა და ქარხნებში გააცნობენ გლეხს ახლანდელი დროის ყველა ღონისძიებას, რაც მიღებულია წარმოებაში.

ე) პოპულიარული წიგნთსაცავი და სამკითხველო შეძლებას მისცემენ გლეხს გააღრმაოს და ჩამოაყალიბოს ის ცოდნა, რასაც იგი შეიძენს ლექციებსა, მოხსენებებსა და საუბრებზე თეატრში და სხვაგან.

3. მართვა-გამგეობა.

1. „გლეხის სახლის“ მუშაობას ხელმძღვანელობს 7 კაცისაგან შემდგარი გამგეობა.

2. „გლეხის სახლის“ გამგეობაში შედიან მისი მოწყობით დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, წითელ ჯვრისა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში, განათლების სახალხო კომისარიატისა, კოოპერაციისა და საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების ცენტრალური კომიტეტისა. ეს წარმომადგენელნი ერთი წლის ვადით ინიშნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „გლეხის სახლში“ მუდმივი მუშაობისათვის გამგეობა თავის—წრიდან გამოჰყოფს გამგეს, რომელიც არის იდეური ხელმძღვანელი და გამგეობის ყველა დადგენილების აღმსრულებელი.

შენიშვნა. სახლის გამგეთ შეიძლება არჩეულ იქნეს აგრეთვე ისეთი პირიც, რომელიც გამგეობის წევრი არ არის.

4. გამგე დაწესებულ შტატის ფარგალში დანიშნავს, ხოლო გამგეობა დაამტკიცებს „გლეხის სახლში“ სამსახურისათვის საჭირო ტეხნიკურ პერსონალს.

5. დაწვრილებით ინსტრუქციას „გლეხის სახლისათვის“ შეიმუშავებს გამგეობა.

4. საფინანსო ანგარიშგება.

1. „გლეხის სახლს“ სახსარი ეძლევა საზოგადო საბიუჯეტო წესით მდგომარეობის მიერ შემუშავებული აღრიცხვით.

2. თავის მოქმედებაში „გლეხის სახლი“ ანგარიშს აძლევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო ფინანსიურ საკითხებში, ამას გარდა,—საზოგადოდ დადგენილი წესით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. თებერვალი.
ტფილისი—სასახლე.

6.
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 76

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

„მუშა-ქალის დღის“—მარტის 8-სათვის ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების განხორციელების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის 1924 წ. თებერვლის 22 დადგენილებისა მუშა-ქალის დღის მარტის 8-სათვის გამოცემული ამნისტიის შესახებ და ამიერკავკასიის ც. ა. კ-ის 1924 წ. მარტის 3-ის დადგენილების აღსასრულებლად—დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის იუსტიციის სახალხო კომისარებს შეიმუშაონ დაწვრილებითი ინსტრუქცია აღნიშნულ დადგენილებათა განსახორციელებლად და თვალყური ადევნონ მათი სისწორით და მტკიცედ აღსრულებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მარტის 7.

ტფილისი—სასახლე.

7.
დადგენილება № 77

(მე-4 სესიის)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის გეგმაშეწონილობისათვის და უწყებათა მიერ ამ კოდექსებში შესატან შესწორებათა სისტემატიზაციისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უწყების მიერ განზრახული ყოველგვარი დამატება, ცვლილება და შესწორება კოდექსებისა, ვიდრე ეს დამატება, ცვლილება და შესწორება შეტანილი იქნება განსახილველად საკანონმდებლო ორგანოში, უნდა გაეგზავნოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომელიც მას შეიმუშავებს, სისტემაში მოიყვანს და, დადგენილი წესისამებრ, შეიტანს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სესიაში; ამასთანავე იუსტიციის სახალხო კომისარიატმა თავისი დასკვნა განზრახულ შესწორებათა შესახებ თავის დროზე უნდა აცნობოს დაინტერესებულ უწყებას.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე ის დამატება, ცვლილება და შესწორება, რის დაუყოვნებელი განხორციელებაც აუცილებელია, იუსტიციის სახალხო კომისარიატს, სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, შეაქვს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება ეძლევა დაამტკიცოს იგი, ხოლო საბოლოოდ ეს დამატებანი, ცვლილებანი და შესწორებანი დამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესიის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მარტის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-67 №-ში 1924 წ. მარტის 23.

8.

დადგენილება № 78

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-V თავის მე-2 კარის სათაურის და 153—158 მუხლის ქართული ტექსტი შეიცვალოს შემდეგნაირად:

კარი 2.

სხეულის დაზიანება და ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ.

153. სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიკოცხლისათვის საშიშარი შერყევა ჯანმრთელობისა, სულის ავადმყოფობა, დაბრმავება, დაყრუება, ან რომელიმე ორგანოს დაკარგვა, ან წარუხოცელი დამახინჯება სახისა, **დაისჯება**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა.

უკეთუ ასეთ დაზიანებას მოჰყვა სიკვდილი, ან უკეთუ იგი ჩადენილ იქნა ისეთი საშუალებით, რომელსაც წვალებისა ან გვემის ხასიათი აქვს, ან უკეთუ იგი შედეგი იყო თუმცა მსუბუქი, მაგრამ სისტემატიური დაზიანებისა, **დაისჯება**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

154. სხეულის განზრახი ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც ~~ბუმცა~~ სიცოცხლისათვის საშიში არ არის, მაგრამ რომელსაც მოჰყვა ჯანმრთელობის სამუდამოდ შერყევა ან ხანგრძლივად რომელიმე ორგანოს ფუნქციის დარღვევა, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

155. სხეულის განზრახი მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მიყენებული ისეთი ძლიერი სულიერი აღელვების ზეგავლენით, რომელიც გამოწვეულ იქნა დაზარალებულის მიერ კანონის საწინააღმდეგო ძალადობით პიროვნების მიმართ ან მძიმე შეურაცხყოფით, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

156. გადამეტება აუცილებელი თავდაცვის საზღვრისა, რომელმაც გამოიწვია თავდამსხმელის სხეულის მძიმე დაზიანება, აგრეთვე მძიმე დაზიანება დანაშაულზე მისწრებული დამნაშავისა მის დასაჭერად აუცილებელი ღონისძიებათა გადამეტებით, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე.

157. სხეულის განზრახი მსუბუქი დაზიანება **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე.

158. დაზიანება სხეულისა გაუფრთხილებლობით **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე.

უკეთუ გაუფრთხილებლობით დაზიანება სხეულისა შედეგი იყო ამა თუ იმ საქმისათვის შემოღებული განსაკუთრებული წესის შეუსრულებლობისა, სასამართლოს შეუძლიან, ამას გარდა, მსჯავრდადებულს განსაზღვრულ დროს განმავლობაში აუკრძალოს ის საქმე, რომლის აღსრულების დროსაც მიყენებულ იქნა სხეულის დაზიანება.

II.

ამავე კოდექსის 75 მუხლის 1 პუნქტის, 88 მუხლის 1 ნაწილის, 168 მუხლის და 191 მუხლის 1 ნაწილის ქართული ტექსტი შეიცვალოს შემდეგნაირად:

75. მონაწილეობა წესიერების ყოველგვარ მასიურ დარღვევაში, როგორიც არის: დარბევა, გზებისა და ურთიერთობის დასაჭერ საშუალებათა განადგურება, დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ცეცხლის წაკიდება და სხვ., თუ ამასთანავე წესიერების დარღვევის მონაწილენი შეიარაღებულნი იყვნენ, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**:

1) მონაწილეობა მომწყობისა, ხელმძღვანელისა და წამქეზებელისა, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც გამხილებულ იქნება მკვლელობასა, ცეცხლის წაკიდებასა, სხეულის დაზიანებასა, სქესობრივ ძალადობასა და ხელისუფლებისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობაში,—

სასჯელის უმაღლესი ზომით და მთელი ქონების კოფისკაციით; ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო სასჯელი შეიძლება დაწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88. ცალკე მოქალაქის მიერ წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ამ უკანასკნელის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს ან მისი იძულება აშკარად უკანონო მოქმედების ჩადენისათვის, უკეთუ ამას თან დაერთო ხელისუფლების წარმომადგენლის მოკვლა, ან დაშავება, ან მისი პიროვნების წინააღმდეგ ძალადობის ხმარება, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

სასჯელის უმაღლესი ზომით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო სასჯელი შეიძლება დაწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით.

168. შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისა ან პირისათვის სხვა ვისიმე სიცოცხლის საშიშ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ ან აღმოუჩენლობა მისთვის იმ შემწეობისა, რომლის აღმოჩენაც შესაძლებელ იყო, უკეთუ ამას შედეგად მოჰყვა სიკვდილი ან მძიმე დაზიანება სხეულისა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე.

191. ყაჩაღობა, ესე იგი ქონების გატაცების მიზნით სააშკარაოდ თავდაცემა ცალკე პირისა ვისმეზე, რასაც თანა სდევდა ფიზიკური ან ფსიქიური ძალადობა, რომელიც დაზარალებულს სიკვდილს ან დაშავებას უქადდა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, ხოლო რეციდივი — სასჯელის უმაღლესი ზომით.

III.

Г 8 4 4 7

იმავე კოდექსის 187 მუხლის პუნქტი «ბ», 200 და 201 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

187 მუხ. პუნქ. «ბ». კვალიფიციური ქურდობა, ესე იგი ისეთი ქურდობა, როცა ქურდმა იხმარა იარაღი, ან ინსტრუმენტი, ან და სხვა ტექნიკური ხელსაწყო და ხერხი, ან როცა იგი ჩაიდინა ისეთმა პირმა, რომელსაც ქურდობა ხელობად აქვს გადაქცეული, ან მას შემდეგ, რაც ჩამდენმა ერთხელ უკვე მოიხადა სასამართლოს წესით გადაწყვეტილი სასჯელი ქურდობისა, გაძარცვისა, ყაჩაღობისა, გამოძალვისა ან თაღლითობისათვის, ან და როცა მონაპარი დამნაშავის წინასწარი შეცნობით შეადგენდა აუცილებელ სახსარს დაზარალებულის არსებობისათვის, ან როცა ქურდობა ჩადენილ იქნა სხვა პირებთან წინასწარი შეთანხმებით, იგი დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე სასტიკი იზოლაციით.

200. გამოძალვა (вымогательство), ესე იგი ვისგანმე, მისი პიროვნების წინააღმდეგ ძალადობის მოხმარების ან ქონების განადგურების დამუქრებით მოთხოვნა რაიმე ქონებრივი გამორჩენისა, ან ქონებაზედ უფლების გადაცემისა, ან და რაიმე მოქმედების შესრულებისა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

201. გამოძალვა დამუქრებით, რომ დაზარალებულის სახელის გამაწბილებელი ცნობები იქნება გახმაურებული, ან ხელისუფლების წარმომადგენელთ ეცნობება კანონის საწინააღმდეგო ქმედობა დაზარალებულისა (შანტაჟი) დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მარტის 10.
ტფილისი—სასახლე.

9.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 79

საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევისა და ამ დაწესებულებათა მოსამსახურეების აღნუსხვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარის სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოხდეს საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ერთდროული საანკეტო გამოკვლევა და მათი მოსამსახურეების აღნუსხვა.

2. გამოკვლევის საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაევალება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. გამოკვლევა უნდა მოხდეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული პროგრამით და თვით გამოსაკვლევ დაწესებულებათა განკარგულებით და ძალებით.

4. ყველა საჭირო ცნობა უნდა შეფარდებულ იქნეს იმ ვადისთვის, რასაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო დაადგენს, და შევსებული ბლანკები ორი კვირის ვადაზე უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

5. მოსამსახურის პირად ბარათს შეავსებს თვით მოსამსახურე თავისი პასუხისმგებლობით, ხოლო დაწესებულების ბარათსა—დაწესებულების ადმინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცია. საერთო პასუხისმგებლობა ბარათების სისრულისათვის, თავის დროზე შევსებისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარდგენისათვის დაეკისრება დაწესებულების ადმინისტრაციას.

6. უკეთუ საჭირო იქნება, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, მიღებული ცნობების შესამოწმებლად, მოაწყობს კანტროლს განსაკუთრებული კომისიის მეშვეობით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და გამოსაკვლევი დაწესებულების წარმომადგენელნი. კონტროლი განხორციელდება თვით მოსამსახურეებისა, ადგილობრივი კომიტეტებისა და ადმინისტრაციის გამოკითხვით.

7. ყველა გამოსაკვლევ დაწესებულებას დაევალება გამოკვლევის დროს იხელმძღვანელოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განმარტება, თანაც მიაწოდოს სამმართველოს გამოკვლევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ცნობა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მარტის 17.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-66 №-ში 1924 წ. მარტის 22.

10.

დ ე კ რ ე ტ ი

01-03-03

რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის და მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნული უმცირესობის ენის ხმარების შესახებ.

(მიღებულია სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეორე მოწვევის მეორე სესიის მიერ 1924 წ. თებერვლის 27).

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის მიერ ენის შესახებ მიღებული დეკლარაციის 3 პუნქტის აღსასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, ამა დეკრეტით გათვალისწინებულ საფუძველზე, შეიძლება ხმარება არა ქართველი ეროვნების მცხოვრებთა უმრავლესობის ენისა (მუხ. 7.) და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ენისა (მუხ. 8), როგორც არის რუსული, სომხური და თურქული ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყველა საკანონმდებლო აქტი და აგრეთვე ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს ის ადმინისტრატიული აქტი, რაც აღსასრულებლად სავალდებულოა მცხოვრებთათვის მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უნდა გამოქვეყნდეს, სახელმწიფო ენის გარდა, წინა მუხლში აღნიშნულ ეროვნულ უმცირესობათა ენაზე.

შენიშვნა. უკეთუ აღნიშნულ აქტების განმარტება ეჭვს გამოიწვევს, დედნად ჩაითვლება ქართული ტექსტი.

4. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ გამოცემული, მცხოვრებთათვის აღსასრულებლად სავალდებულო დადგენილება, განკარგულება და განცხადება უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ენაზე, მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობის ენაზე (მუხ. 7) და ეროვნულ უმცირესობის სახმარებელ ენაზე იმ ენათა შორის, რაც აღნიშნულია ამა დეკრეტის მეორე მუხლში (მუხ. 8).

5. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებაში საქმის წარმოება უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე ქვემოდ აღნიშნული გამონაკლისით.

6. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებაში წერილობითი და სიტყვიერი განცხადება, საჩივარი თუ ცნობა, სახელმწიფო ენის გარდა, ეროვნულ უმცირესობის ერთ-ერთ იმ სახმარებელ ენაზე, რაც მეორე მუხლშია აღნიშნული, აგრეთვე შეუძლიან მოითხოვოს, რომ დოკუმენტი თუ ცნობა მიეცეს და უწყება თუ განცხადება გაეგზავნოს ერთ-ერთ ამ ენაზე თარგმანითურთ.

7. იმ მაზრის დაწესებულებებში, სადაც, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით, მცხოვრებთა უმრავლესობა (შედარებით) არა-ქართველი ეროვნებისაა, საქმისწარმოება უნდა იქნეს მცხოვრებთა უმრავლესობის ენაზე. აღნიშნულ წესს დაამყარებს, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

8. ეროვნულ უმცირესობის სახმარებელ ენად მაზრის დაწესებულებებში ჩაითვლება ამა დეკრეტის მე-2 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი ენა, უკეთუ ამ ენაზე მოლაპარაკე ეროვნება მაზრაში, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით, მოსახლეობის 15%-ს აღემატება. სახმარებელ ენას მაზრის დაწესებულებებში, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, დააწესებს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

9. მოქალაქეს, რომელიც მიმართავს მაზრის დაწესებულებას და მაზრის თანამდებობის პირს, შეუძლიან იხმაროს ყველგან რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა; იმ მაზრაში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არა-ქართველი ეროვნებისაა,—ამ უმრავლესობის ენა და აგრეთვე ის ენა, რომელიც მე-8 მუხლის ძალით, ცნობილ იქნება ამ მაზრაში სახმარებელ ენად ამა დეკრეტის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ აღნიშნული უფლების ფარგალში.

10. ურთიერთი მიმართვა მაზრის იმ დაწესებულებებისა, სადაც საქმისწარმოება ამა დეკრეტის მე-7 მუხლის ძალით, მცხოვრებთა უმრავლესობის ენაზეა შემოღებული, ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან და აგრეთვე ამ უკანასკნელებისა პირველებთან, სწარმოებს მაზრის დაწესებულებებში საქმისწარმოებისათვის მიღებულ ენაზე. სამაზრო დაწესებულებებს, სადაც საქმისწარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ენა სხვადასხვაა, ურთიერთ მიმართვა აქვთ სახელმწიფო ენაზე ან მე-2 მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ ენაზე.

11. ადმინისტრატიულ ორგანოს, რომელიც სამაზრო ორგანოზე დაბლა სდგას, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, შეუძლიან საქმე აწარმოოს სახელმწიფო ან ამა დეკრეტის მე-2 მუხლში მოხსენებულ ერთ-ერთ სახმარებელ ენაზე, ხოლო მისი მიწერ-მოწერა ცენტრალურ და მაზრის დაწესებულებასთან უნდა მოხდეს მაზრაში საქმისწარმოებისათვის შემოღებულ ენაზე, მცხოვრებლებთან კი—ამა დეკრეტის მე-9 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ.

12. იმ პირს, ვინც არ ეკუთვნის იმ ეროვნებას, რომლის ენაც სახმარებლად ცნობილია მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან რომელსამე მაზრაში, ნება ეძლევა ყველა დაწესებულებაში, ამა დეკრეტის მე-6 მუხლში გათვალისწინებული წესით, იხმაროს რუსული ენა.

13. სამართლის წარმოების ენა რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებებში განისაზღვრება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით. იმ მხარეს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა ან ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ეძლევა: ა) საჩივარი, განცხადება და, საზოგადოდ, სამართლის წარმოების ყოველგვარი ქაღალდი შეიტანოს ამ მაზრაში ეროვნულ უმცირესობის სახმარებელ ენაზე; ბ) იმავე ენაზე მისცეს სიტყვიერი ახსნა-განმარტება; გ) მოითხოვოს, რომ სასამართლომ ამავე ენაზე სიტყვიერად თარგმნით, უშუალოდ ან თარჯიმანის მეშვეობით, გააგებინოს სამართლის წარმოების ყოველგვარი მოქმედება, მოწინააღმდეგე მხარის განცხადება და შუამდგომლობა, საპროკურორო ზედამხედველობის დასკვნა, სასამართლო ორგანოს განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება, მოწმის ჩვენება და მცოდნე პირის დასკვნა; დ) მოითხოვოს მიეცეს ამ ენაზე გადათარგმნილი სასამართლო ორგანოს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილებისა, ოქმისა და სამართლის წარმოების სხვა აქტის ასლი, აგრეთვე მოწმობა და ცნობა და ე) მოითხოვოს ამ ენაზე გაეგზავნოს დაბარების უწყება და განცხადება.

14. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1924 წ. მაისის 1-დან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 4.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-78 №-ში 1924 წ. აპრილის 6-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11.

დადგენილება № 80

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დებულებისა და სასოფლო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებული და ამასთანავე დართული დებულებანი: 1) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და 2) სასოფლო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-96 №-ში 1924 წ. აპრილის 27.

დებულება

სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

1. სასოფლო საბჭოების ორგანიზაცია და ფუნქციები.

1. სასოფლო საბჭო აირჩევა ყოველ ისეთ დასახლებულ ადგილში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 1000-ზე ნაკლები არ არის.

შენიშვნა 1. ის დასახლებული ადგილი, სადაც 1000-ზე ნაკლები მცხოვრებია, უნდა შეუერთდეს საერთო საბჭოს ასარჩევად მეზობელს პუნქტს.

შენიშვნა 2. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს საბჭო იმ პუნქტებშიაც, სადაც 1000-ზე ნაკლები მცხოვრებია, უკეთუ ამას ბუნებრივი პირობები და საჭიროება მოითხოვს და უკეთუ მცხოვრებთა რიცხვი 300-ზე ნაკლები არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სასოფლო საბჭოს არჩევნები მოხდება წელიწადში ერთხელ.

3. სასოფლო საბჭო აირჩევა იმ ანგარიშით, რომ ყოველს 100 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, ხოლო საერთო რიცხვი სასოფლო საბჭოს წევრებისა არ უნდა აღემატებოდეს 50-ს.

4. სასოფლო საბჭო აირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

5. სასოფლო საბჭოს სხდომა გაიმართება თვეში ორჯერ მაინც.

6. სასოფლო საბჭოს ძირითადი მიზანია:

ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

ბ) მშრომელი მასების ჩაბმა ადგილობრივი სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის საქმეში.

გ) ადგილობრივ საჭიროებათა გამორკვევა და სათანადო მასალისა და პროექტების წარდგენა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში.

დ) სარაიონო ყრილობაზე დელეგატების გაგზავნა.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოსთან სწარმოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის შემდეგი აქტების რეგისტრაცია: დაბადებისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისა.

7. სასოფლო საბჭოს მუშაობის (მუხ. 6) პრაქტიკული განხორციელება დაეკისრება საბჭოს თავმჯდომარეს.

შენიშვნა. ახალციხისა, დუშეთისა, სვანეთისა და ბორჩალოს მაზრებში სასოფლო საბჭოებთან არსებობს ტეხნიკური მდივნის თანამდებობა.

8. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ჯამაგირი ეძლევა მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საღსრიდან.

9. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს არა აქვს უფლება დასტოვოს თავისი თანამდებობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებადაურთველად.

შენიშვნა. დაუმორჩილებლობისათვის, უმოქმედობისათვის და საჭოთა ორგანოების დადგენილებათა განუხორციელებლობისათვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება მოხსნილ იქნეს თანამდებობიდან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

2. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

10. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს აირჩევს სასოფლო საბჭოთა სარაიონო ყრილობა.

11. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი არის ხელისუფლების ადგილობრივი უმაღლესი ორგანო რაიონის ტერიტორიაზე სასოფლო საბჭოთა ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე.

12. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი არჩეულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრის შედგენილობით.

13. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევა ერთის წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის სარაიონო ყრილობისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ზემდგომ ხელისუფლების ორგანოების წინაშე.

15. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს უფლება არა აქვს უარის სთქვას თანამდებობაზე ახალ არჩევნებამდე—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ნებადაურთველად.

16. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს სამი წევრის შედგენილობით, რომელთაც დაევალებათ რაიონის მართვა-გამგეობა: ერთს—სამეურნეო და წესიერ-მოწყობის სფეროში, მეორეს—კულტურულსა და მესამეს—ადმინისტრატიულ სფეროში.

17. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში არ უნდა მოეწყოს განყოფილებანი; სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ჰყავს საერთო კანცელარია და ორი ტეხნიკური მომუშავე.

შენიშვნა. რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა სამხედრო მაგიდა თანახმად განსაკუთრებული დადგენილებისა, რაც საამისოდ გამოცემულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წლის თებერვლის 6-ს თარიღითა და 74 №-ით.

18. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ყველა დადგენილების განხორციელება,

ბ) რაიონის ტერიტორიის წესიერად მოწყობა კულტურულ და სამეურნეო სფეროში,

გ) გადაწყვეტა ყველა საკითხისა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს,

დ) მთლად საბჭოთა მოქმედების ხელმძღვანელობა რაიონის საზღვრებში.

შენიშვნა. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან სწარმოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის ყველა აქტის რეგისტრაცია რაიონის ფარგლებში, იმ ქალაქსა და დაბის მცხოვრებთათვის, სადაც სასოფლო საბჭო არ არის; აგრეთვე განქორწინებისა და გვარისა და მეტი სახელის შეცვლის რეგისტრაციას იმ დასახლებულ ადგილების მცხოვრებთათვის, სადაც დაარსებულია სასოფლო საბჭო.

19. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მოიწვევს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, შეათანხმებს აღმასკომიტეტის წევრთა მუშაობას და თვალყურს ადევნებს საბჭოთა უმაღლესი ორგანოების განკარგულებათა ასრულებას.

შენიშვნა. სარაიონო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე არის იმავე დროს იმ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეც, რომელიც რაიონის ცენტრშია.

20. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

1) მოისმენს აღამსრ. კომიტეტის თავმჯდომარისა, აღმასრულებელი კომიტეტის წევრების და სასოფლო საბჭოთა თავმჯდომარეების მოხსენებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მოიწვევს პერიოდულად სასოფლო საბჭოებს უფრო საყურადღებო საკითხების განსახილველად.

3) წარუდგენს დასამტკიცებლად სამაზრო აღმას. კომიტეტს ადგილობრივ სავალდებულო დადგენილებათა პროექტებს.

4) დაამტკიცებს თანამდებობაზე სოფლის საბჭოთა თავმჯდომარეებს და თანამშრომლებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

1. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაცია და ფუნქციები.

1. სამაზრო ადმასრულებელი კომიტეტი არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო მაზრის ფარგლებში—სამაზრო ყრილობიდან ყრილობამდე; იგი პასუხისმგებელია საბჭოთა სამაზრო ყრილობის წინაშე და ექვემდებარება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს.

2. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს აირჩევს საბჭოთა სამაზრო ყრილობა ერთის წლით.

3. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 15-ს და არ უნდა იყოს 12-ზე ნაკლები.

4. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბება ორ კვირაში ერთხელ.

5. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება.

ბ) ყოველგვარ ღონისძიებათა მიღება მაზრის კულტურული და ეკონომიური წარმატებისათვის.

გ) ადგილობრივ ხასიათის საკითხების გადაწყვეტა.

დ) ქვემდებარე ორგანოთა მოქმედების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა.

6. სამაზრო აღმსრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისრის განკარგულება, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება რესპუბლიკის კანონებს, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი მთელის თავისი შედგენილობით პასუხისმგებელია სასამართლოს წესით განკარგულების უკანონოდ შეჩერებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

7. მიმდინარე მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს, რომლის შედგენილობაც არ უნდა აღემატებოდეს 5-ს და არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები.

შენიშვნა. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—არის იმავე დროს სამაზრო ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმიც.

8. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი:

ა) მოაწყობს აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ორგანოებს და გაუწევს მათ ინსტრუქტორობას,

ბ) ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა მუშაობას,

გ) დაამზადებს მასალებს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისათვის,

დ) თვალყურს ადევნებს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა აღსრულებას,

ე) გამოსცემს მომქმედი კანონმდებლობის ფარგალში ადგილობრივი ხასიათის სავალდებულო დადგენილებათ და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის დაადებს ადმინისტრატიულის წესით კანონში გათვალისწინებულ სასჯელს,

ვ) შეაგროვებს და განიხილავს მასალებს ქვემდებარე ორგანოების მუშაობის შესახებ და დაამზადებს საორგანიზაციო ხასიათის პროექტებს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისათვის,

ზ) ხელმძღვანელობს არჩევნებს მაზრის ტერიტორიაზე და მეთვალყურეობას გაუწევს მათს კანონიერებას.

9. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს სამდივნო, რომლის მეშვეობითაც პრეზიდიუმი შეასრულებს მისთვის უშუალოდ დაკისრებულს მოვალეობას.

3. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

10. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის დაკისრებულ მუშაობის შესასრულებლად მასთან დაარსდება შემდეგი განყოფილებანი:

1) საერთო,

2) ადგილობრივი მეურნეობისა—ა) კომუნალური და ბ) საადგილ-მამულო ქვეგანყოფილება,

3) საფინანსო-საგადასახადო და

4) სამილიციო სამმართველოსი.

შენიშვნა. სამილიციო სამმართველოს დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის საქმეში.

11. საერთო განყოფილებას დაეკისრება გაძღოლა სოციალური უზრუნველყოფისა, განათლებისა და ჯანმრთელობის საქმისა, ხოლო ქვემოდ დასახელებულ ადგილებში—შრომის საქმისაც, სათანადო ინსპექტორების მეშვეობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა მოქმედება განისაზღვრება ცალკე დებულებით და ინსტრუქციებით, ამა დებულების მე-13 მუხლის თანახმად.

შენიშვნა. შრომის ინსპექტორი არის მხოლოდ ფოთისა, ქუთაისისა და ჭიათურის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის საერთო განყოფილებასთან და აგრეთვე ბორჯომის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან.

12. ახალი განყოფილების ან ქვეგანყოფილების დაარსება ან არსებულის გაუქმება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით და სათანადო ცენტრალურ უწყებასთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან წინასწარი შეთანხმებით.

13. მე-10 მუხლში აღნიშნულ განყოფილებათა მოქმედების ფარგალი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცალკე ინსტრუქციით და დადგენილებით; ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინასწარ უნდა შეუთანხმდეს: ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების შესახებ—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საერთო განყოფილების შესახებ—განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოც. უზრუნველყოფისა და შრომის სახ. კომისარიატებს, ხოლო საფინანსო-საგადასახადო განყოფილების შესახებ—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში.

14. ყოველ განყოფილებას ჰყავს თავისი კანცელარია.

15. თვითეული განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც აირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა 1. განყოფილების გამგედ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის არა წევრთაგანიც.

შენიშვნა 2. დაინტერესებულ სახალხო კომისარიატს შეუძლიან მოითხოვოს სათანადო გამგის თანამდებობიდან გადაყენება. უკეთუ აღმასრულებელი კომიტეტი თანახმა არ იქნება, ამ საკითხს საბოლოოდ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გადასწყვეტს.

16. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს არ შეიძლება დაეკავოს განყოფილების გამგეობა.

17. აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი განყოფილება ექვემდებარება აღმასრულებელ კომიტეტს და მოვალეა შეასრულოს ყველა მისი განკარგულება.

18. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია განყოფილებათა მუშაობისათვის.

19. ცენტრალურ დაწესებულებასთან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილება ურთიერთ მიმართვას იქონიებს მარტოოდენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით.

20. უფრო მნიშვნელოვან და პრინციპიალურ საკითხს გადასწყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელი კომიტეტივე განიხილავს და დაამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას.

21. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ყოველ თავის დადგენილების და ოქმის ასლს დაუყოვნებლივ წარუდგენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატს და ვალდებულია მისივე მეშვეობით ყოველ სამ თვეში ერთხელ წარუდგინოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მოქმედების ანგარიშები.

4. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

22. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრი არ შეიძლება დატუსაღებულ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის გარეშე.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით აღმასრულებელი კომიტეტის წევრი შეიძლება დატუსაღებულ იქნეს სამაზრო აღმასკომის ნებართვის გარეშეც, ხოლო ეს განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

23. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს უფლება აქვს სათათბირო ხმით მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის ყოველი ქვემდებარე და მაზრის ტერიტორიაზე მყოფ დაწესებულების სხდომაზე.

24. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს აქვს თავისუფალი შესვლის უფლება მაზრის ტერიტორიაზე მომქმედ საბჭოთა ყოველ დაწესებულებაში და შეუძლიან მიიღოს საჭირო სათანადო ცნობა, გარდა სამხედრო და საგამომძიებლო ხასიათის საიდუმლო ცნობისა.

25. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახელით შეუძლიან იმოქმედოს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სათანადო უფლება-მოსილი იქნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

26. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს არა აქვს უფლება უარი სთქვას იმ სამუშაოზე, რაც შეიძლება დააკისროს მას სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა.

27. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრები მოვალენი არიან დაესწრონენ აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სხდომას და იმ კომისიების სხდომებს, რომლებშიც ისინი მუშაობენ.

შენიშვნა. უკეთუ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვერ შესძლებს დაესწროს სხდომას, იგი მოვალეა ეს წინასწარ აცნობოს თავმჯდომარეს ან მდივანს. ის წევრი, რომელიც მოსცდება სხდომას შეუწყნარებელი მიზეზის გამო, შეიძლება გამორიცხულ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობიდან.

28. წარვლინებიდან დაბრუნებისას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი მოვალეა დაუყოვნებლივ წარუდგინოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება წარვლინებაში ყოფნის დროს გაწეული მუშაობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.

დადგენილება № 81

ნოტარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე მოწვევის მეორე სესიის მიერ მიღებული სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების 1 კარის VIII თავი) ცხოვრებაში გასატარებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიატს ევალება ეხლავე შეუდგეს ნოტარიატის შტატების დაწესებას და მისი ორგანოების რეორგანიზაციას.

2. იუსტიციის სახალხო კომისარს ევალება შეიმუშაოს შესაფერი ინსტრუქცია საოლქო სასამართლოებისათვის.

3. ახალი სახელმწიფო ნოტარიატის სამოქმედოდ შემოღების ვადის დაწესება, ნოტარიატის რეორგანიზაციისათვის საჭირო მუშაობის დამთავრების შემდეგ, მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წლის აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-91 №-ში 1924 წ. აპრილის 22.

13.

დადგენილება № 82

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

(მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე მოწვევის მეორე სესიაზე 1924 წ. თებერვლის 28).

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი შემოღებულ იქნეს 1924 წლის მაისის 1-დან მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. უფლება მიეცეთ აღნიშნული რესპუბლიკების და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ის ცვლილებანი და დამატებანი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისა, რაც საჭიროა ამა კოდექსის შესაფარდებლად სათანადო რესპუბლიკის და ოლქის ყოფა-ცხოვრების თავისებურებისათვის.

2. მთლად გაუქმებულ იქნეს სახალხო სასამართლოს 1921 წლის ივლისის 30-ს დებულება.

3. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს 1924 წ. მაისის 1-სათვის წარუდგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად იმ კანონდებულებათა სია, რაც ამა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო ძალას ჰკარგავს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. იუსტიციის სახ. კომისარი **ი. ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

14.

დადგენილება № 83

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი ფუნქციისაგან განთავისუფლების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოეხსნას საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შემდეგი ფუნქციები:

1. დოკუმენტალური კონტროლი და ერთიანი შემდგომი დოკუმენტალური რევიზია კომისარიატების საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტებისა.

შენიშვნა. მუშათა და გლეხთა ინსპექციას შერჩება მოვალეობა განიხილოს და დასკვნა მისცეს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შესრულების ანგარიშის გამო.

2. საავალდებულო წინასწარი განხილვა უწყებათა ყველა სიალრიცხვო განზრახულებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. დასკვნის მიცემა ცალკე სახელმწიფო, ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების მიერ საშუალებათა გაცემაზე, როგორც აღრიცხვის ზედმეტი კრედიტების წესით, ისე სესხისა და დახმარების მიცემის წესით და აგრეთვე საკითხების განხილვა კრედიტების გადატან-გადმოტანის აღრიცხვის ერთი ნაწილიდან მეორეში.

4. ყოველგვარი მთლიანი მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოების ცალკე ფულადი ოპერაციებისათვის; მასალებისა და ფასეულობის მიღება-გადაცემაში მონაწილეობის მიღება; სააღმშენებლო ხარჯთაღრიცხვების განხილვა; რევიზიების სავალდებულო წარმოება და სახელმწიფო ორგანოების მოქმედების სავალდებულო გამოკვლევა კერძო განცხადებების მიხედვით, ცალკე კომისარიატებისა, სასამართლოს, პროკურატურის და საგამომძიებლო ხელისუფლების მოთხოვნით; ხელშეკრულების სავალდებულო განხილვა და მეთვალყურეობა მათი სწორი შესრულებისათვის.

5. სავალდებულო მონაწილეობა საუწყებათაშორისო და საუწყებო თათბირებში და სხდომებში წვრილი საკითხების გარჩევის დროს და აგრეთვე შემსყიდველ და სავაჭრო კომისიებში მონაწილეობის მიღება.

6. კონტროლი ყველა: ფინანსიური ხასიათის საკითხისათვის (იხ. მუხ. 1, 2, 3 და 4), აგრეთვე მეთვალყურეობა კასათა ერთიანობის შესახებ გამოცემულ დეკრეტების აღსრულებისათვის, და მეთვალყურეობა იმ საავანსო ასიგნობათა შესრულებისათვის, რაც აღემატება დაწესებულ ნორმას, და სხვ. ამგვარი რამ დაევალება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში, რომელი სამმართველოც ვალდებულია შეადგინოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად, განსაკუთრებული დებულება ამ საგნის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 22.
ტფილისი — სასახლე.

15.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია არის საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანო, რომელიც მოწოდებულია სრულჰყოს სახელმწიფო აპარატი, ხელთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპყრას იგი და ხელი შეუწყოს სოციალისტური აღმშენებლობის მიზნებს. ამისდამიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიზანი.

1) პრაქტიკული და თეორეტიული შესწავლა მართვა-გამგეობის საქმისა; ცხადყოფა მართვა-გამგეობის მომქმედ ორგანოთა ნაკლისა და ღირსების; თავიდან აცილება პირველისა და განმტკიცება მეორისა; სხვა და სხვა ცდის საშუალებით და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებით მართვა-გამგეობის ტეხნიკისა, საქმისწარმოებისა და ანგარიშგების რაციონალურად დაყენება; უფრო სრულყოფილი ფორმის შემუშავება, ანგარიშ-წარმოებისა, კალკულიაციისა და ბალანსების შედგენისათვის; სახელმწიფო ორგანოების აგებულებათა შეცვლის გეგმის შედგენა როგორც მათი მუშაობის გაუმჯობესებისა, ისე ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, რაც სახელმწიფოს გაუადვილებს ამ ორგანოებისათვის მეთვალყურეობის გაწევას.

2) ყოველმხრივ შეგულიანება სახელმწიფო, სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოებისა, მათი აპარატის გაუმჯობესებისათვის, ამ მხრივ მათთვის ხელის შეწყობა, აღნუსხვა მათი გამოცდილებისა, შეთანხმება და გაერთიანება მათ მიერ ხმარებულ ღონისძიებათა.

3) საერთო ხელმძღვანელობა და გაერთიანება ყველა იმ დაწესებულების მოქმედებისა, რომლის საქმეც არის შესწავლა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა, წარმოებისა და მართვა-გამგეობის ტეხნიკისა; ამ ხელმძღვანელობას და გაერთიანებას მუშათა და გლეხთა ინსპექცია ანხორციელებს ზემოხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით, რომელიც მასთანვე არსებობს და რომელიც მოქმედებს ცალკე დებულების თანახმად; მოწყობა კერძო შემთხვევაში სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საცდელი სადგურებისა, საჩვენებელი დაწესებულებებისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დამხმარე უჯრედებისა.

შენიშვნა. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დამხმარე უჯრედები არსებობენ იმ დებულების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

4) დაწვრილებითი შესწავლა ბიუჯეტისა (სახელმწიფო და ადგილობრივი), კვარტალისა და საორიენტაციო წლიურისა და აღნუსხვა იმ ბიუჯეტის შესრულების ნაცადობისა, მისი ფინანსიური რეალობისა და სამეურნეო მიზანშეწონილების თვალსაზრისით. დასკვნის მიცემა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შედგენილ სახელმწიფო შემოსავლის და გასავლის ნუსხის აღსრულების ანგარიშების შესახებ. გამოკვლევა და შესწავლა წარმოებითი გეგმებისა და მათი შესრულებისა როგორც სამეურნეო მუშაობის, ისე ყველა სხვა ადმინისტრატიულ და კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების საგეგმო დავალებათა სფეროში.

ყველა სახელმწიფო ორგანოთა მოქმედების განხილვა, მათ მიერ ნამდვილად მიღწეულ შედეგების თვალსაზრისით და მათთვის სისტემატიურად ინსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორობის გაწევა გამოკვლევის მასალისა და მეცნიერული ცნობების საფუძველზე.

5) არსებითი შეფასება და შემოწმება ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა მუშაობისა; მათთვის ხელის შეწყობა პირადი შედგენილობის შერჩევაში; საჭირო ღონისძიებათა მიღება, რათა მუშები და გლეხები პრაქტიკულად მომზადებულ იქნენ პასუხსაგები ხელმძღვანელი თანამდებობისათვის და დახმარების აღმოჩენა საქმისადმი განსაკუთრებულად ერთგულ მომუშავეთათვის.

6) გმოკვლევა და შესწავლა ბოროტ-მოქმედებათა მიზეზებისა; სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა უყაირათობის; ბრძოლა მოსყიდვის სისტემასთან და მექრთამეობასთან სათანადო ადმინისტრატიულ და სასამართლოს ორგანოებთან ერთად საერთო დირექტივების შემუშავების საშუალებით.

7) სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული სრულყოფა მოსახლეობასთან უშუალო კავშირის დამყარების სფეროში. საბჭოთა, პროფესიონალური და პარტიული ბეჭდვითი სიტყვის სისტემატიური და გეგმაშეწონილი გამოყენება, რათა სასტიკი ბრძოლა გაეწიოს სახელმწიფო ორგანოების იმ თანამშრომელთ, რომელნიც გამოიჩენენ უყურადღებობას და გულგრილობას მუშებისა და გლეხების, ხოლო განსაკუთრებით წერა-კითხვის არა მცოდნე და ნაკლებად მცოდნე მუშა-გლეხის საჭიროებისა და ინტერესისადმი და აგრეთვე სხვა ეროვნების მშრომელთა საჭიროებისადმი. ბრძოლა ყოველგვარი თანამდებობრივი და მეურნეობის სფეროში ჩადენილი დანშაულის წინააღმდეგ და აგრეთვე დაუდევრობისა, ბიუროკრატიზმისა და სხვ. წინააღმდეგ.

8) ანგარიშწარმოებისა და ანგარიშების საქმის დაყენების შესწავლა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში და ამ დარგში მომუშავეთათვის ხელმძღვანელობის გაწევა; ბუხჰალტერიის მუშაობისა, ბალანსისა და კალკულიაციის შედგენისა და შემოწმების მეთოდების დამყარება და თანაბარის სათვლელი ერთეულის განხორციელება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან სპეციალურ სახელმწიფო ბუხჰალტერ-ექსპერტთა კადრის შექმნა.

9) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების სპეციალურ დავალებათა შესრულება და აგრეთვე კონტროლი და მეთვალყურეობა ამ ორგანოების იმ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა წესიერი განხორციელებისათვის, რომლებიც უპირველეს ყოვლისა მიმართულ იქნება სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის.

ბ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებანი.

ამ მიზნების განსახორციელებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციას ენიჭება შემდეგი უფლებანი:

10) მოახდინოს სრული და ნაწილობრივი სარევიზიო-საინსპექციო გამოკვლევა ყველა ცენტრალური, საოლქო და ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა, საწარმოსი და მათი შენაერთისა; მათ შორის კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანოებისა და აგრეთვე სააქციო კომპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიებისა, შერეულ საზოგადოებებისა, საკონცესიო საწარმოებისა და ყოველგვარი სხვა საზოგადო ორგანიზაციისა, რომელთაც სახელმწიფოსაგან სუბსიდია ეძლევათ ან რომელნიც მოქმედებენ სახელმწიფო კაპიტალისა ან და საზოგადოებრივი გამოსაღებისა და შემოსავლის მონაწილეობით.

შენიშვნა. იმ სახელმწიფო საწარმოს, რომელიც კერძო პირს ან ორგანიზაციას იჯარით აქვს აღებული, აგრეთვე იმ საწარმოს, რომელიც კერძო პირის მფლობელობაშია ან კონცესიის წესით არის გაცემული, გამოიკვლევს მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ საწარმოთა და სახელმწიფოს შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგალში.

11) მოითხოვოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან როგორც გამოკვლევის პროცესში, ისე სპეციალურ საანკეტო ცნობების წესით მასალები, საბუთები, აქტები, ახსნა-განმარტებანი, ანგარიშები და სხვ. ცნობა, რაც დაახასიათებს დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოს მოქმედებას; აგრეთვე გამოიწვიოს გამოსაკვლევი ორგანოს ხელმძღვანელები და თანამშრომელნი როგორც პირადი ახსნა-განმარტებისათვის, ისე შეერთებულ თათბირზე, სხდომაზე და ქვეკომისიაში გამოკვლევის პროცესში აღძრული საკითხების განსახილველად.

12) წინადადება მისცეს ყველა რევიზიაქმნილ სახელმწიფო დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას:

ა) მოიცილოს შემჩნეული ნაკლი;

ბ) განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი მათი აპარატის რაციონალიზაციისათვის;

გ) გადააყენოს და დაითხოვოს თანამდებობის პირი სერიოზული დაუდევრობისა და უყაირათობისათვის;

დ) დაადოს დისციპლინარული სასჯელი იმ წესით და ფარგალში, რაც კანონშია აღნიშნული;

შენიშვნა. უკეთუ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინააღმდეგ მე-13 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელნი არ დაეთანხმებიან, ისინი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ თავიანთი მოსაზრებანი მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

13) წარუდგინოს განსახილველად ხელის უფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს რევიზიის გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული კონკრეტული წინადადებები სახელმწიფო მართვა-გამგეობის აპარატის გამარტივებისა, პარალელიზმისა და უყაირათობის თავიდან აცილების შესახებ; აგრეთვე ცალკე კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შეთანხმების ფორმებისა და ამა თუ იმ დაწესებულების ან მისი ცალკე ნაწილების საქმისწარმოების მთელი სისტემის შეცვლის შესახებ.

14) მოაწყოს ორგანოები საუწყებო აპარატის რაციონალიზაციისათვის (საგეგმო და საორგანიზაციო ბიურო, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დამხმარე უჯრედები) და დაამტკიცოს დებულებანი ამ ორგანოთა შესახებ; დაამტკიცოს ფორმები ამ ორგანოთა მუდმივი საჯარო ანგარიშგებისა და დაწესებულებების მუშაობისა და მდგომარეობისა, აგრეთვე ამ ორგანოების ხელმძღვანელ შედგენილობის გადაყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15) დაჰხუროს და სრული ლიკვიდაცია უყოს, როგორც სახელმწიფო ბანკ-ბანკ-ბანკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

21) უფლება აქვს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ან კოლეგიამ გამოაქვეყნოს პრესაში იმ თანამდებობის პირთა სია, რომელნიც რევიზიის შედეგად სამსახურიდან მოხსნილ ან გადაყენებულ იქნებიან დანაშაულისა, მცირე დანაშაულისა, უყაირათობისა, უთაურობისა და მშრომელთა ინტერესებისადმი გულგრილობისათვის, უკეთუ ბრალად დასადებ გარემოებას არ უარჰყოფენ უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელნი; თანაც საქმე ამ პირთა შესახებ სათანადო შემთხვევაში გადაეცემა პროკურატურის ორგანოთ.

გ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

22) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, რომლის სათავეში სდგას სახალხო კომისარი და ორი კოლეგიის წევრი, შესდგება სამი განყოფილებისაგან:

ა) ოპერატიული,

ბ) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების,

გ) საერთო.

23. განყოფილებანი შესდგებიან ქვემოჩამოთვლილ ინსპექციებისა და სექციებისაგან:

ა) ოპერატიული განყოფილება შესდგება ოთხი ინსპექციისაგან:

ა. ადმინისტრატიული,

ბ. საფინანსო-სამრეწველო,

გ. სასოფლო-სამეურნეო და

დ. კულტურულ-განმანათლებელი.

ბ) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილება შესდგება ორი სექციისაგან:

ა. შრომისა, წარმოებისა და მართვა-გამგეობის ტეხნიკისა და

ბ. ბუხჰალტერიისა და ანგარიშგებისა.

გ) საერთო განყოფილება შესდგება ოთხი ნაწილისაგან:

ა. საერთო კანცელარია,

ბ. საინფორმაციო-საინსტრუქციო ნაწილი,

გ. საფინანსო-სამეურნეო ნაწილი,

დ. საჩივართა ბიურო.

დ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური ორგანოების გამგებლობის საგანი.

24) ოპერატიულ განყოფილებას დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს მის შედგენილობაში შემავალი ინსპექციების მთლად საინსპექციო-სარევიზიო მუშაობას. ინსპექციები აწარმოებენ სარევიზიო-საინსპექციო მუშაობას თავიანთი ფუნქციონალური დაყოფის მიხედვით და თავისი მოქმედების საგნად უმთავრესად აქვთ სათანადო სახალხო კომისარიატების მუშაობა. ცალკე ინსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების კომპენტეციას უმეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია.

25) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილებას დაეკისრება:

ა) შრომისა, წარმოებისა და მართვა-გამგეობის ტეხნიკის სექციის დარგში შრომის პროცესის რაციონალური მეთოდების შემუშავება; შემუშავება ისეთი საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ტეხნიკის რაციონალიზაციასა და შრომის ნაყოფიერების გადიდების სტანდარტიზაციასთან; ნამუშევარის ნორმის დაწესება და შრომის დაცვის საკითხების შემუშავება; გამოკვლევა, შესწავლა და დაწესება სტრუქტურის და შტატებისა სახელმწიფო აპარატისა, საზოგადოებრივი დაწესებულებისა და საწარმოსათვის, აგრეთვე შემუშავება მათი ადმინისტრატიულად მოწყობის რაციონალური მეთოდებისა.

ბ) ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების სექციის დარგში: სრულყოფილი ფორმების შემუშავება და შემოღება საბჭოთა დაწესებულებებში ანგარიშწარმოებისა, ანგარიშგებისა, კალკულაციისა, ბალანსების შედგენისათვის და სხვ.

26) საერთო განყოფილებას დაეკისრება: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საქმისწარმოების გაძღოლა, მასალების დამზადება ისეთი საქმისათვის, რასაც კომისარიატი წარადგენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში; აღსრულება სპეციალურ დავალებისა და საქმისა, რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ აოის; მიწერ-მოწერა, საერთო რეგისტრატურა, ექსპედიცია და აგრეთვე სახალხო კომისარიატის საერთო არქივის გამგებლობა.

27) ხოლო თვითეულ მის ნაწილს დაეკისრება:

ა) საფინანსო-სამეურნეო სფეროში: აღრიცხვის შედგენა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ყველა დაწესებულების ფინანსიურად ხელისშეწყობა, კონტროლის გაწევა მათ მიერ ფულად და ნივთიერ საშუალებათა სისწორით დახარჯვისათვის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სამეურნეო და ტეხნიკური საქმის აღსრულება.

ბ) საინფორმაციო-საინსტრუქტორო სფეროში: ინფორმაციის მოწოდება პერიოდული ბეჭდვითი ორგანოებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მოქმედების შესახებ; შეკრეფა და შემუშავება მასალის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის ფორმისა და მეთოდების შესახებ; შედგენა მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებათა საერთო ანგარიშების და სტატისტიკური ცნობისა.

გ) საჩივართა და განცხადებათა ბიუროს დაეკისრება: მიღება საჩივრისა და განცხადებისა, რომელშიაც აღნიშნული იქნება სახელმწიფო აპარატის ნაკლი მშრომელთა ინტერესებისადმი გულგრილად მოპყრობა, ბიუროკრატიზმი, საქმისწარმოების გაჭიანურება („ვოლოკიტა") და სხვ.,—გამოძიება ამ საკითხების შესახებ და მათი გადაწყვეტა თანახმად საჩივართა ცენტრალური ბიუროს შესახებ კანონმდებლობითი წესით დამტკიცებული ცალკე დებულებისა.

28) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოები აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოქმედებენ ამა დებულების საფუძვლებზე—თანაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებად ამა რესპუბლიკებში და ოლქში ჩაითვლებიან რწმუნებულნი,

ბ) კანდიდატები რწმუნებულის თანამდებობაზე დასახელებულ იქნება ადგილობრივ, ხოლო დამტკიცებული საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ,

გ) რწმუნებულნი თავიანთ მოქმედებაში სავსებით იხელმძღვანელებენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის განკარგულებათ და დირექტივებს,

დ) რწმუნებულნი თავიანთი მუშაობის ანგარიშს წარუდგენენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა. ამა მუხ. განსავითარებლად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული წესები და ინსტრუქციები ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში მყოფ თავის რწმუნებულთათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 22.
ტფილისი—სასახლე.

16.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 84

არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქედ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის წესების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამასთანავე დართული წესები არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის შესახებ.

2. ამა წესების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს ყველა სხვა ნორმა, რომლითაც დაწესებულია საფუძველი და ფარგალი დასჯისა არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის, გარდა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ნორმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წესები ესე შეეფარდება არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედ დადგენილებათა ყველა იმ დარღვევას, რაც ამა წესების სამოქმედოდ შემოღებამდე არ ყოფილა განხილული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 22.
ტფილისი—სასახლე.

წ ე ს ე ბ ი

დასჯისა არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის.

1. არაპირდაპირ გადასახადთა ორგანოს ნებადაურთველად ისეთი ფაბრიკისა, ქარხნისა და სახელოსნოს მოწყობისათვის, სადაც მზადდება რაიმე აქციზდასადები საგანი,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორმოცდაათ ჩერვონეცის მანეთამდე.

2. არაპირდაპირ გადასახადთა ორგანოს ნებადაურთველად ისეთი მანქანისა და აპარატის შეძენისა ან შენახვისათვის, რომლითაც მზადდება აქციზდასადები საგნები,—გარდა იმ პირისა, რომელიც ამზადებს ან ჰყიდის ასეთ საგნებს,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ოცდა ხუთ ჩერვონეცის მანეთამდე.

3. არაპირდაპირ გადასახადთა ზედამხედველობის ორგანოს ნებადაურთველად ფაბრიკასა, ქარხანასა და სახელოსნოში ისეთი აპარატისა, მანქანისა და ჭურჭლის შეცვლისა ან და გადაკეთებისათვის, რაც აქციზდასადებ საგნების დამზადებისათვის და აღრიცხვისათვის იხმარება,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე და უკანონოდ შეცვლილი ან გადაკეთებული აპარატი, მანქანა და ჭურჭელი ჩამოერთმევა.

4. ფარულად არსებულ ფაბრიკასა, ქარხანასა და სახელოსნოში აქციზდადებული საგნების დამზადებისათვის

დამნაშავეს, გარდა ფარულად დამზადებულ აქციზდადებული საგნებისა და ამ საგნების დამამზადებელ მასალისა და ყოველგვარ მოწყობილობის (მანქანა, აპარტი და სხვ.) ჩამორთმევისა, დაედება ჯარიმა ოცდა ხუთ ჩერვონეცის მანეთიდან ხუთას მანეთამდე, და იძულებითი მუშაობა ექვს თვემდე, თანაც სამუდამოდ ჩამოერთმევა აქციზდადებული საგნების წარმოების უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ლეგალურად არსებულ ფაბრიკასა, ქარხანასა და სახელოსნოში აქციზ-დადებული საგნების უნებართვოდ დამზადებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებართვა საჭიროა ან ისეთი დამზადებისათვის, რაც მიღებულ ნებართვას არ ეთანხმება,

დამნაშავეს, გარდა ფარულად დამზადებული აქციზდადებული საგნების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა სამას ჩერვონეცის მანეთამდე.

6. იმ ბეჭდისა და პლომბების მოხსნისა ან და აგლეჯისათვის, რაც დადებულ იქნება სააქციზო ზედამხედველობის მიერ ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა და სხვა ყოველგვარ ადგილას, სადაც ინახება ან იყიდება აქციზდადებული საგნები, უკეთუ ეს ჩადენილ იქნა აქციზის გადახდის თავიდან ასაცილებლად,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა არა ნაკლებ ათი ჩერვონეცის მანეთისა.

7. სააქციზო ზედამხედველობის მიერ დადებული ბეჭდისა ან პლომბის მოხსნა-აგლეჯისათვის საკონტროლო აპარატიდან, გამოსახდელ აპარატიდან, მათ შემაერთებელ მილიდან, ავტომატიურ სასწორ «ხრონოს»-იდან და ალაოს საღერღიდან იმ შემთხვევაში, უკეთუ ამით შესაძლებელი გახდება სპირტის გამოყენება აღნუსხვამდე, ან სასწორის სათვლელის გაჩერება ან და ალაოს დაღერღვა აღურიცხველად,

დამნაშავეს დაედება ჯარიმა არ ნაკლებ ორმოცდაათი ჩერვონეცის მანეთისა.

ხოლო განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევაში ამას გარდა იძულებითი მუშაობა ექვს თვემდე.

8. ქარხანაში საკონტროლო აპარატის და ავტომატიური სასწორის უსუფთაოდ და დაუდევრად შენახვისათვის ან სპირტის ისე სწრაფად გამოხდისათვის, რომ საკონტროლო მანქანამ ვერ მოასწროს მისი აღნუსხვა და სპირტი გადაისხას მანქანის შიდა ნაწილებში და დაიკარგოს, აგრეთვე სპირტის გამოხდის დროს მომხდარი შეფერხების შესახებ სათანადო აქტის შეუდგენლობისა და მისი სააქციზო ზედამხედველობისადმი წარუდგენლობისათვის დაწესებულ ვადაზე

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

9. ნორმეულ ქარხანაში არყის ისეთი მასალიდან მცირე ნორმით გამოხდისათვის, რა მასალისათვისაც დაწესებულია მაღალი ნორმა, და აგრეთვე ასეთი მასალის შენახვისათვის ქარხანაში მცირე ნორმით არყის გამოხდის დროს

დამნაშავეს, გარდა ქარხანაში აღმოჩენილი მასალისა და სასმელის ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე, და შეეწერება აქციზი უმაღლესი ნორმით მთელი იმ ხნის განმავლობისათვის, რა ვადითაც გაცემულ იყო არყის მცირე ნორმით გამოხდის ნებართვა.

10. აქციზდასადები საგნების წარმოებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის სათანადო პატენტის აუღებლად, ან ნაკლები ღირებულობისა ან და სხვისი პატენტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეს გარდა სათანადო პატენტის აღებისა, თუ ამის უფლება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი—პატენტის ღირებულობის გადახდისა, დაედება ჯარიმად სათანადო წლიური პატენტის ძირითადი ღირებულება, პატენტის აღებამდე კი საწარმო დაიხურება.

11. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა, საწყობსა და სავაჭროში აქციზდასადები საგნების შენახვისა, გამოშვებისა, გადაზიდ-გადმოზიდვისა და სათანადო ანგარიშების წესის დარღვევისათვის (მაგ., დაწესებული დავთრების უწარმოებლობა; აქციზდასადები საგნების მიღებისა და გაცემის არა თავის დროზე ჩაწერა; აქციზდასადები საგნების მიღება ან გაცემა გადაზიდვის სათანადო საქციზო დოკუმენტების უქონლად—იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საჭიროა კანონის მოთხოვნისამებრ; შეუნახველობა ამ დოკუმენტისა; არა თავის დროზე სპირტისა ქარხნიდან ქარხნის სარდაფში და თამბაქოს ნაკეთებისა—ფაბრიკიდან ფაბრიკის მაღაზიაში, დავთრებს არა წესიერად ან დაუდევრად წარმოება, შეცდომებით, წაშლა-წამოშლით ან შესწორებით სათანადო შენიშვნების აღუნიშვნელად; არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში დავთრების ამონაწერების დროზე წარუდგენლობა და სხვ.)

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

12. აქციზდადებული საგნების წარმოებისა და შენახვის ადგილებში (ფაბრიკას, ქარხანასა, სახელოსნოსა, საწყობში და სხვ.) ამა საგნებისათვის ბანდეროლის გადაკრის წესის დარღვევისათვის,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე, თანაც არაწესიერად ბანდეროლ-გადაკრული საგნებს ხელ-ახლად უნდა გადაეკრას ბანდეროლი მწარმოებლის ხარჯზე.

13. აქციზდასადები საგნების უბანდეროლოდ გამოშვებისათვის დამზადების ადგილიდან და ასეთი საგნების შენახვისა და ვაჭრობისათვის უბანდეროლოდ ან უკვე ნახმარი ბანდეროლით, აგრეთვე ისეთ საცავში და ბანდეროლის იმგვარად გადაკვრით, რომ შესაძლებელი იყო ამ საგნების საცავიდან ამოღება ბანდეროლის უვნებლად,

დამნაშავეს, გარდა აღმოჩენილ საგნების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორმოცდაათ ჩერვონეცის მანეთიდან ორას მანეთამდე.

14. აქციზდასადები საგნების აქციზის გადაუხდელად შენახვისა, გასაღებისა და გადაზიდვისა თუ გადატანისათვის

დამნაშავეს, გარდა აღმოჩენილ უაქციზო საგნების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

15. ქარხნის სარდაფსა, საბითუმო საწყობსა და ყოველგვარ სავაჭროში კანონით დაწესებულ სიმაგრეზე ნაკლების სიმაგრის არყისა, სპირტისა და კონიაკის შენახვისა ან გაყიდვისათვის

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმად წლიური პატენტის ძირითადი ღირებულობა, და დაბალი ხარისხის სასმელების სიმაგრე გადიდებულ უნდა იქნეს კანონიერ სიმაგრემდე დამნაშავის ხარჯზე.

16. კანონით დაწესებულ სიმაგრეზე მეტი სიმაგრის თაფლის სასმელისა კვასისა, ლუდისა და ხილეულობის წყალის დამზადებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეს, გარდა დაწესებულ სიმაგრეზე მეტი სიმაგრის სასმელების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

17. შიდა-გასასვლელის მოწყობისათვის აქციზდასადები საგნების დამზადებელ ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სახელოსნოებსა და სავაჭრო ადგილებ შორის, აგრეთვე ამ საწარმოთა ცალკე ნაწილებ შორის ან და ამ საწარმოებთან არსებულ ბინებ შორის, როდესაც ეს კანონით აღკრძალულია,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეთის მანეთამდე, ხოლო საწარმოს მოქმედება შეჩერებულ იქნება, ვიდრე იგი სათანადოდ მოეწყობოდეს.

ასეთივე სასჯელი დაედება იმ პირსაც, რომელიც გამართავს საფუარის ქარხანას გამოსახდელ აპარატებით მომუშავე სპირტის გამწმენდ და გამოსახდელ ქარხნისა და არყის სახდელ ქარხნის ეზოში.

18. მაგარი სასმელების შენახვისა და ვაჭრობისათვის ერთსა და იმავე სავაჭრო რამდენსამე ოთახში, ან და სავაჭროს პატრონის ბინაზე, რომელსაც აქვს შესასვლელი სავაჭროში, აგრეთვე ამ ბინაზე გარეშე პირთათვის მაგარი სასმელების დალევინებისა და სავაჭროსა და ბინის შემაერთებელი კარების ღიად დატოვებისათვის

დამნაშავეს გადაჰხდება ას ჩერვონეცის მანეთამდე.

19. მაგარი სასმელების დალევინებისათვის ისეთ სავაჭროში, რომელსაც არა აქვს საამისო პატენტი,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

20. უკეთუ აქციზ-დასადები ყოველგვარი საგნების დამზადების ადგილსა, საწყობსა და სავაჭროს გარედან სათანადო წარწერა არ ექნება ან და პატენტი და სხვა სააქციზო დოკუმენტი თვალსაჩინო ადგილას არ იქნება გამოკიდული,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ოცდა ხუთ ჩერვონეცის მანეთამდე.

21. წეკოს ფაბრიკასა ან საერთო თამბაქოს ფაბრიკასა, საწეკო განყოფილებაში, წეკოსი და ყვითელ ფოთოლ-თამბაქოს (არა წეკო) ერთმანეთში შერევისათვის, ან და წეკოს ფაბრიკაში ფოთოლ-თამბაქოს შენახვისათვის

დამნაშავეს, გარდა აღმოჩენილ დამზადებულ და დაუმზადებელ ყვითელ თამბაქოს და პაპიროსის ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

ასეთივე სასჯელი დაედება დამნაშავეს საზოგადოთ ყოველგვარ აქციზდასადები საგნების შერევისათვის, უკეთუ აქციზი სხვა და სხვა განაკვეთისა იქნება, და აგრეთვე ნატურალურ პროდუქტებთან მათი სუროგატების შერევისათვის.

22. მავთულის ბადის მოხსნისა ან გაფუჭებისათვის იმ საწარმოში, სადაც ბადე კანონით სავალდებულოა,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე, და მავთულის ბადის მოწყობამდე, საწარმოს მოქმედება შეჩერდება.

23. იმ პირს, რომელიც გაჰყიდის ან დაუთმობს სხვა პირს ხაზინიდან შეძენილ ბანდეროლებს, ან და შეიძენს ასეთებს არა ხაზინიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა უკანონოდ გაყიდულ ან შეძენილ ბანდეროლების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა სამას ჩერვონეცის მანეთამდე.

24. აქციზდადებულ საგნებიდან ბანდეროლის შემოხსნისა, და აგრეთვე ნახმარი ბანდეროლების შენახვისათვის,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე და აღმოჩენილი ნახმარი ბანდეროლები მოისპობა.

25. აქციზდასადები საგნების ფაბრიკასა, ქარხანასა და სხვა დასამზადებელ ადგილში შემოსაკრავი ბანდეროლების ნიშნის დასმის წესის დაღვევისათვის და აგრეთვე ისეთ აქციზდადებულ საგნების უეტიკეტოდ და უშტემპელოდ გამოშვებისათვის, რისთვისაც ეტიკეტი სავალდებულოა, ან და ისეთი ეტიკეტით, სადაც არ იქნება მოთავსებული ყველა საჭირო ცნობა,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

26. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა და ყოველგვარ იმ ადგილში, სადაც ინახება ან ისყიდება აქციზდასადები საგნები, ნიშან დასმული სასწორისა, გირებისა, სითხის საწყაოს და აქციზდასადები საგნების აღსანუსხავათ საჭირო ხელსაწყოს უქონლობისათვის

• დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

27. უკეთუ ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა და სხვა ყოველგვარ ადგილას, სადაც მზადდება ან ინახება აქციზდასადები საგნები, არაპირდაპირ გადასახადთა კონტროლიორს არ მიეცა ბინა, როდესაც ამ ბინის მიცემა კანონით არის დაწესებული,

დამნაშავეს, საწარმოს პატრონს, გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე, ამასთანავე საწარმოს მოქმედება შეჩერდება ბინის აღმოჩენამდე.

28. უკეთუ იმ თამბაქოს დამუშავებისა და განაწილების ადგილას, აგრეთვე ჩაისა და ყავის დამზადებისა და ჩაწყვის ადგილას არ იქნება მოწყობილი ნედლეულობის მოსათავსებელი, ბანდეროლის შემოსაკრავი და ნაწარმოების გასანაწილებელი და შესანახი განყოფილებანი,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე, და საწარმოს მოქმედება შეჩერდება ზემოთჩამოთვლილ განყოფილებათა მოწყობამდე.

29. აქციზდადებული საგნების წარმოების ადგილისა, საწყობისა ან ვაჭრობის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანისათვის ან სხვაზე გადაცემისათვის, არაპირდაპირ გადასახადთა ორგანოების ნებადაურთველად,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

30. აქციზდასადები საგნების შენახვის წესის დარღვევისათვის, ესე იგი საგნების ისეთი შენახვისათვის, რომ შეუძლებელი ან გაძნელებული იქნება მათი დათვლა და აღნუსხვა,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე, თანაც საგნების სათანადო მოწესრიგებამდე საწარმოს მოქმედება შეჩერდება.

31. ფოთლ-თამბაქოს გაყიდვისათვის: 1) თამბაქოს პლანტატორის მიერ ისეთ ადგილას, სადაც ეს აღკრძალულია, 2) თამბაქოს ფაბრიკასა და საწყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონის მიერ — თამბაქოს შესაგროვებელ პუნქტში და 3) აგრეთვე ნებისმიერის მიერ, რომელსაც არ მოჰყავს თამბაქო, ან არა აქვს თამბაქოს ფაბრიკა ან საწყობი,

დამნაშავეს გარდა უკანონოდ გაყიდული ფოთოლ-თამბაქოს ჩამორთმევისა, ან მისი ღირებულობის გადახდევინებისა (თუ თამბაქო არ აღმოჩნდება), და ფოთოლ-თამბაქოს საწყობის წლიური პატენტის ძირითადი ღირებულობის ერთი-ორად გადახდისა, დაედება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

32. საწყობიდან ფოთოლ-თამბაქოს გამოშვებისათვის არა საწყობსა, არა ფაბრიკაში ან არა საზღვარგარეთ, აგრეთვე თამბაქოს გამოშვებისათვის ფაბრიკიდან არა ფაბრიკაში და არა საზღვარგარეთ

დამნაშავეს, გარდა უკანონოდ გაგზავნილი ფოთოლ-თამბაქოს ჩამორთმევისა ან მისი ღირებულობის გადახდევინებისა (თუ თამბაქო არ აღმოჩნდება), გადაეხდება ჯარიმა სამას ჩერვონეცის მანეთამდე.

33. ფოთოლ თამბაქოს გადაზიდვისათვის სათანადო გადაზიდვის მოწმობით, მაგრამ ფოთოლ-თამბაქოს გადაზიდვის სხვა წესების დარღვევით,

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

34. ფოთოლ-თამბაქოს შესაგროვებელ პუნქტის გახსნისათვის არაპირდაპირ გადასახადთა ზედამხედველობის ნებადაურთველად, ან მიღებული ნებართვასთან შეუთანხმებლად, ან და ამა ნებართვით განსაზღვრულ ვადის გასვლის შემდეგ

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

35. ფოთოლ-წეკოს შენახვისა და გაყიდვისათვის ფოთოლ-თამბაქოს (არა წეკოს) საწყობში

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

36. აქციზის ზედამხედველობის ორგანოს დაუსწრებლად თამბაქოს ფაბრიკასა და საწყობში ფოთოლ-თამბაქოს მიღებისათვის და ფაბრიკიდან გამოშვებისათვის

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა ას ორმოცდაათ ჩერვონეცის მანეთამდე.

37. თამბაქოს ფაბრიკასა და პაპიროსის სახელოსნოში ისეთი ნაკეთობის დამზადებისათვის, რაც არ ეესაბამება აქციზის ზედამხედველობისათვის წარდგენილ ნიმუშებს,

დამნაშავეს ნაკეთობის თითოეულ ასეულზე, რაც არ შეესაბამება ნიმუშებს, გადაეხდება ჯარიმა სამი ჩერვონეცის მანეთიდან ხუთ მანეთამდე.

38. თამბაქოს ფაბრიკაში სააქციზო ზედამხედველობის ნებადაურთველად გარეშე პირის შეშვებისათვის

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა ოცდა ხუთ ჩერვონეცის მანეთამდე.

39. თამბაქოს ფაბრიკის შენობაში ან და მის ეზოში ისეთი პირის საცხოვრებლად მიშვებისათვის, რომელსაც ამის უფლება არა აქვს,

დამნაშავეს გადაეხდება ჯარიმა არა ნაკლებ ორმოცდა ათი ჩერვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცის მანეთისა და ფაბრიკის მუშაობა შეჩერდება ზემოხსენებული გარეშე პირის გამოსახლებამდე.

40. თამბაქოს ნაკეთობის გაყიდვისათვის ფაბრიკიდან და არა ფაბრიკის მაღაზიიდან

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

41. თამბაქოს ფაბრიკაში ცალკე ოთახის უქონლობისათვის არაპირდაპირ გადასახადთა საფაბრიკო კონტროლიორის სამუშაოდ

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

42. სათანადო პატენტის უქონლად თამბაქოს მოწევისათვის სატრაქტირო მრეწველობის სავაჭრო ადგილას, ე. ი. ისეთ სავაჭრო ადგილას, სადაც იყიდება საჭმელი და სხვა და სხვა გვარი სასმელი ადგილობრივ ჭამითა და დალევით, და აგრეთვე ყოველგვარ სავაჭრო ადგილას, სადაც მაგარი სასმელები იყიდება ცალობით და გარეთ გატანით,

დამნაშავეს ჯარიმათ გადაჰხდება თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობის წლიურ პატენტის ძირითადი ღირებულობა—ერთი-ორად.

43. არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების ზედამხედველობისა ან და მილიციის აგენტის მიუშვებლობისათვის სამსახურის მოვალეობის აღსასრულებლად—აქციზდადებული საგნების წარმოებისა, შენახვისა და ვაჭრობის მეთვალ-ყურეობის სფეროში,

დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ექვსი თვისა, უკეთუ ამასთანავე ზემოხსენებულ აგენტს გაეწია წინააღმდეგობა, რასაც თან დაედო ამ აგენტის მოკვლა, ან დაშავება ან მისი პიროვნების წინააღმდეგ ძალადობის ხმარება,

დამნაშავეს დაედება სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელი.

44. არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედი დადგენილებების ისეთი დარღვევისათვის,რაც ამა წესებში გათვალისწინებული არ არის,

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა არა უმეტეს ასი ჩერვონეცის მანეთისა.

45. კონფისკაცია ქმნილ უაქციზო საგანთან ერთად დამნაშავეს ჩამოერთმევა ის ჭურჭელიც, რომელშიაც ეს საგანი იყო მოთავსებული.

წესები არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედ დადგენილებების დარღვევის საქმეთა წარმოებისათვის.

46. ამა წესებით განსაზღვრული გადასახდელი: ჯარიმა, საგნების ჩამოერთმევა, აქციზის და პატენტის ღირებულობის გადახდევინება, დამნაშავეს დაედება ყოველ დარღვევისათვის ცალკე, თუნდაც მას ჩაედინოს რამდენიმე ასეთი დარღვევა, აგრეთვე აქციზ დასადები საგნების ფაბრიკა, ქარხანა, სახელოსნო და სვავაჭრო დაიხურება ყოველ დარღვევისათვის ცალკე.

47. არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მომქმედ დადგენილებების დარღვევისათვის პასუხისმგებელ პირად სათანადო შემთხვევაში ჩაითვლება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) პატრონი და მოიჯარადრე ფაბრიკისა, ქარხნისა, სახელოსნოსი და სავაჭრო-ადგილისა, გამგე, პასუხისმგებელი გამომხდელი სპირტისა და ლუდისა და სხვა ოსტატი, აგრეთვე მოსამსახურე და მუშა, 2) პატრონი და ნოქარი ფოთოლ-თამბაქოს საწყობისა და შესაგროვებელი პუნქტისა, თამბაქოს ნაკეთობის სავაჭრო ადგილისა და მაგარი სასმელების ნაწილ-ნაწილად (არა ბითუმი) ვაჭრობისა.

48. ამა წესების 47 მუხ. ჩამოთვლილ პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა შემდეგ პირობებში:

1) იმ ფაბრიკისა, ქარხნისა, სახელოსნოსი და ყოველგვარი სავაჭრო-ადგილის პატრონს, სადაც მზადდება, ინახება და იყიდება აქციზდადებული საგნები, ყველა შემთხვევაში, როდესაც დარღვევა ჩადენილია პირადად მის მიერ ან და სხვა ვისგანმე, ხოლო მისი თანხმობით;

2) გამგეს და ნოქარს ფაბრიკისა, ქარხნისა, სახელოსნოსი, საწყობისა, სავაჭრო-ადგილისა და თამბაქოს შესაგროვებელ პუნქტის გამგეს და ნოქარს იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა ჩადენილია პირადათ მათ მიერ ან სხვისაგან მათი თანხმობით, ისე-კი, რომ პატრონმა ან მოიჯარადრემ ეს არ იცოდა;

3) სპირტისა და ლუდის პასუხისმგებელ გამომხდელს ან სხვა ოსტატს, როდესაც დარღვევა ჩადენილია პირადათ მის მიერ ან და სხვისაგან მისი თანხმომით, ისე-კი, რომ პატრონმა ან მოიჯარადრემ ეს არ იცოდა;

4) ქარხნისა, ფაბრიკისა, სახელოსნოსი და სავაჭრო-ადგილის მოსამსახურეს და მუშას — იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა ჩადენილია პირადათ მათ მიერ ან გარეშე პირისაგან მათი მონაწილეობით, ისე-კი, რომ ეს არ იცოდა პატრონმა, მოიჯარადრემ, ნოქარმა, სპირტისა და ლუდის პასუხისმგებელმა გამომხდელმა და სხვა ოსტატმა.

49. იმ ფაბრიკისა, ქარხნისა, სახელოსნოსი, საწყობისა და სავაჭრო-ადგილის პატრონი, სადაც მზადდება, ინახება ან იყიდება აქციზდადებული საგნები, პასუხისმგებელია მისი თანხმობის გარეშე მოიჯარადრისა და ნოქრის მიერ ჩადენილი დარღვევისათვის, უკეთუ იჯარით გაცემა თავის დროზე არ აცნობა საქციზო ზედამხედველობას, და უკეთუ ნოქარს არა ჰქონდა სათანადო სარეწავო მოწმობა. ასეთ შემთხვევაში პატრონს დაედება მხოლოდ ფულადი გადასახდელი, რაც დაწესებულია მისდა უცნობლად ჩადენილი დარღვევისათვის: თავისუფლების აღკვეთით-კი დაისჯება ის პირი, ვინც პირადათ ჩაიდინა დარღვევა.

50. ფულადი გადასახდელი, რაც დაედება საწარმოს, საწყობის და სავაჭრო-ადგილის პატრონსა და მოიჯარადრეს, უკეთუ ისინი არ გაისტუმრებენ ამ გადასახდელს, მიქცეულ იქნება მათ ქონებაზე.

51. უკეთუ აღმოჩენილ იქნება აქციზგადაუხდელი საგნების გადაზიდვა, გადატანა ან და პატრონის ვინაობა კი გამოაშკარავებული არ იქნება შვიდი დღის განმავლობაში, ყველა აღმოჩენილი საგანი ჩამორთმეულ უნდა იქნეს და გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით საერთო წესისამებრ; თანაც უნდა დაცულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 69 და 70 მუხლის დანართის მე-11 მუხლის მოთხოვნა.

52. ისეთი აქციზდასადები საგნების საჯარო ვაჭრობის გაყიდვის დროს, რომელსაც უნდა შემოეკრას ბანდეროლი, ამ ბანდეროლის შემოკვრა მოხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყიდველის ხარჯზე. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ვაჭრობა ... ...ბა და აგრეთვე ჩამორთმეული საქონელი გაფუჭებულია ან სრულიად უვარგისი, ეს საქონელი არაპირდაპირ გადასახადთა გამგის ნებართვით მოისპობა, რაზედაც სააქციზო ზედამხედველობამ, მილიციის თანადასწრებით, უნდა შეადგინოს სათანადო აქტი.

53. დამნაშავისათვის გადახდევინებული აქციზი (ძირითადი, დამატებითი, ერთდროული) და საპატენტო გამოსაღები მთლიანად შედის ხაზინის შემოსავალში; დამნაშავისათვის გადახდევინებული ჯარიმისა და ჩამორთმეული საგნების საჯარო ვაჭრობით აღებული ფულის 50% შედის ხაზინის შემოსავალში, 30% ეძლევა დარღვევის აღმომჩენელს და 20% განაწილდება არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების ადმინისტრაციისა, ცენტრალური და სააქციზო ინსპექციის კანცელარიის თანამშრომელთა შორის ჯამაგირის პროპორციონალურად.

54. არაპირდაპირ გადასახადთა წესების ყოველ აღმოჩენილ დარღვევაზე შესდგება სათანადო ოქმი, რაც წარედგინება არაპირდაპირ გადასახადთა გამგეს არა უგვიანეს 3 დღისა ოქმის შედგენიდან, უკეთუ საჭირო არ იქნება განსაკუთრებული მოკვლევა, ცნობის შეკრეფა, მოწმეთა დაკითხვა და სხვ., ხოლო ყოველ შემთხვევაში—არა უგვიანეს ერთი თვისა ოქმის შედგენის დღიდან.

55. იმ შემთხვევაში, როდესაც აქციზის ზედამხედველობას ეჭვი აღეძვრის, რომ კერძო პირის ბინაზე არღვევენ არაპირდაპირ გადასახადთა წესებს, ან და ინახება ფარულად დამზადებული და აქციზ გადაუხდელი საგნები, ზედამხედველობა შეატყობინებს ამას პროკურორის სარაიონო თანამშემწეს ან გამომძიებელს გაჩხრეკისა და გამორკვევის მოსახდენად, ხოლო უკეთუ პროკურორის თანაშემწე და გამომძიებელი ადგილობრივ არ იქნებიან,—შეატყობინებს ადგილობრივ მილიციას.

56. არაპირდაპირ გადასახადთა გამგე მოვალეა ორი კვირის განმავლობაში შეადგინოს დადგენილება გადასახდელის შესახებ, უკეთუ აღმოჩენილ დარღვევას მოსდევს მხოლოდ ჯარიმა საგნების ჩამორთმევით ან უამისოთ ან და საწარმოს მოქმედების შეჩერება. ხოლო ოქმი ისეთ დარღვევაზე, რომელსაც მოსდევს თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი მუშაობა ან აქციზდასადები საგნების წარმოების უფლების ჩამორთმევა ან და ფაბრიკისა, ქარხნისა, სახელოსნოსი და სავაჭრო-ადგილების დახურვა, გადაეცემა სახალხო სასამართლოს.

57. ჩამოსართმევი საგნები, შესაძლებელია გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე არაპირდაპირ გადასახადთა გამგის განკარგულებით, უკეთუ ეს საგნები ისეთია, რომ მალე ფუჭდება ან ლპება და ირჩილება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საქონლის გაყიდვისათვის, სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე, საჭიროა პატრონის თანხმობა.

58. არაპირდაპირ გადასახადთა გამგის დადგენილება გამოეცხადება დამნაშავეს ხელწერილის ჩამორთმევით და მიეცემა ორი კვირის ვადა, რათა განაცხადოს თანახმაა თუ არა დაემორჩილოს დადგენილებას. უკეთუ დამნაშავე უარს განაცხადებს ხელის მოწერაზე, ეს უნდა დადასტურდეს ორი მოწმის ხელისმოწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

59. უკეთუ დამნაშავე ორი კვირის ვადაზე არ განაცხადებს, რომ თანახმაა დაემორჩილოს არაპირდაპირ გადასახადთა გამგის დადგენილებას, საქმე გადაეცემა სახალხო სასამართლოს, სასამართლოს წესით განსახილველად.

60. უკეთუ დამნაშავე განაცხადებს, რომ თანახმაა დაემორჩილოს დადგენილებას, გადახდევინება მოხდება ადმინისტრატიული წესისამებრ მილიციის მეშვეობით.

61. როდესაც სახალხო სასამართლოს გადაეცემა საქმე მაგარი სასმელების ვაჭრობის კანონის დარღვევის შესახებ, არაპირდაპირ გადასახადთა გამგეს უფლება აქვს მოითხოვოს ხაზინაში შეტანა იმ თანხისა, რაც უზრუნველყოფს გადასახდელს, რომელიც შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სასამართლოს განაჩენით. უკეთუ ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნა, დამნაშავეს პატენტი ჩამოერთმევა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 22.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-94—99 №№-ში 1924 წ. აპრილის 25—30 და მაისის 1.

17.

დადგენილება № 85

სასამართლოს წყობილების დებულებისა, სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილების და დამატების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სასამართლოს წყობილების დებულებისა, სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილება და დამატება, რაც მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 მოწვევის მე-2 სესიაზე, შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბეში"-ში გამოქვეყნების დღიდან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 23.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე 102 №-ში 1924 წ. მაისის 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18.

დადგენილება № 86

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალ. აღმასრულ.
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 26

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-110 №-ში 1924 წ. მაისის 16.

19.

დადგენილება № 87

ადმინისტრატიული წესით გადასახლების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ადმინისტრატიული წესით შეიძლება გადასახლებულ იქნეს ის პირი, რომლის დანაშაულებრივი ყოფა-ქცევა, თუმცა არ უდგება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ამა თუ იმ დანაშაულს, მაგრამ რომლის ყოფნაც განსაზღვრულ ადგილას ან და მთლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში საფრთხეს წარმოადგენს რევოლიუციონური წესიერებისათვის ხსენებული პირის ყოფა-ქცევისა, წარსულისა და დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო.

2. ადმინისტრატიული წესით შეიძლება გადასახლებულ იქნეს აგრეთვე ის პირი, ვინც უკვე ორჯერ გასამართლებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 7[illegible], 86, 96, 141, 142, 144, 171[1], 174, 176, 183, 187, 189, 190, 191, 195, 196, 196[1], 196[2], 199, 200 და 201 მუხლში გათვალისწინებული დანაშაულთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის და ვინც თავისი დანაშაულებრივი ყოფა-ქცევით და დანაშაულებრივი წრესთან კავშირის გამო შეიძლება ცნობილ იქნეს სოციალურად-საშიშარ პირად.

3. ამა თუ იმ პირის გადასახლების საკითხს განიხილავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული კომისია, რომელიც მოქმედობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით და შესდგება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან, რომელთაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღამასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. ადმინისტრატიული წესით გადასახლება შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა; გადასახლება სამკვარია:

ა) გადასახლება ამა თუ იმ ადგილიდან, როდესაც, ამასთანავე, გადასახლებულს ეკრძალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა;

ბ) გადასახლება ამა თუ იმ ადგილიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაზღვრულ ადგილას;

გ) გადასახლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან.

5. დადგენილებას თვითეული ცალკე პირის გადასახლების შესახებ უნდა დაერთოს გადასახლების მიზეზის დაწვრილებითი განმარტება.

6. დადგენილებაში გადასახლების შესახებ უნდა აღნიშნულ იქნას ის რაიონი, სადაც გადასახლებული იგზავნება, და გადასახლების დრო.

7. გადასახლების რაიონების სიას, კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

8. ადმინისტრატიული წესით გადასახლებული დაჰკარგავს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას იმ დრომდე, ვიდრე გადასახლებული იქნება.

9. განსაზღვრულ რაიონში გადასახლებულ პირს ზედამხედველობას გაუწევს საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანო, რომელიც გადასახლებულს მიუჩენს საცხოვრებელ ადგილს გადასახლების რაიონში.

10. გაქცევა გადასახლების ადგილიდან ან გზიდან, დაისჯება სასამართლოს წესით, სისხლის სამართლის კოდექსის 98 მუხლისამებრ.

11. ამა დადგენილების საფუძველზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს დაწვრილებითი ინსტრუქციას ადგილობრივ ორგანოთათვის.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 29.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. კომუნისტის მე-101 №-ში 1924 წ. მაისის 6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20.

დადგენილება № 88

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ.

(მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წ. თებერვლის 28).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

სასამართლოს წყობილების დებულებაში შეტანილ იქნეს: 1 კარში—თავი VI „დამცველთა კოლეგია“, თავი VII „სასამართლოს აღმასრულებელნი“ და თავი VIII „სახელმწიფო ნოტარიატი“; 2 კარში—თავი მე-XI „ოლქის სასამართლოს სამაზრო რწმუნებულნი“ და კარი მე-3—თავი მე-XII „სახელმწიფო პროკურატურა“. ამასთანავე სათანადოდ შეიცვალოს დებულების აწინდელი ტექსტის მუხლთა, თავთა და კართა ნუმერაცია: 39—54 მუხლი 63—78 მუხლად, 55—90 მუხლი 100—135 მუხლად, მე-VI და VII თავი მე-IX და X თავად; მე-VIII—XII თავი მე-XIII—XVII თავად და მე-3 და 4 კარი მე-4 და 5 კარად.

1. თავი VI. „დამცველთა კოლეგია“.

39. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან არსებობს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების დამცველთა კოლეგიები. დამცველთა კოლეგიის მოქმედება მოწესრიგდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დამცველთა კოლეგიისათვის დამტკიცებული დებულებით.

40. დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიუღია, და აგრეთვე ის, ვისაც აქვს სტაჟი არა ნაკლებ 1 წლის პასუხსაგები პრაქტიკული მუშაობისა საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში (ვინც ყოფილა მოსამართლედ, გამომძიებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიატის განყოფილების გამგედ, კონსულტანტად, იურისკონსულტად, პროკურორად და მის თანაშემწედ).

შენიშვნა. იმ ადგილას, სადაც არ აღმოჩნდება მე-2 მუხლში ჩამოთვლილ პირთა საკმაო რიცხვი, დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი პირიც, რომელიც თუმცა ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას არ შეესაბამება, მაგრამ გამოცდას ჩააბარებს განსაკუთრებულ კომისიაში; ეს კომისია შესდგება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და ოლქის სასამართლოს ერთი მუდმივი წევრისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის ერთი წევრის მონაწილეობით; გამოცდა მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული პროგრამით.

41. დამცველთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება იყოს: ა) არასრულწლოვანი; ბ) საარჩევნო უფლებას მოკლებული; გ) გამოძიებასა ან სამართალში მიცემული ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან სხვა უფრო მძიმე სასჯელი; დ) სასამართლოს განაჩენით უფლება შეზღუდული; ე) მეურვეობაში მყოფი; ვ) დამცველთა კოლეგიის წევრობიდან გამორიცხული; ზ) სასამართლოს განაჩენით მსჯავრდადებული ანგარებისა ან გამაწბილებელი დანაშაულისათვის, აგრეთვე ის, ვინც ამ დანაშაულებრივი ქმედობისათვის მსჯავრის დადებამდე ან ამის შემდეგ ამნისტიის ძალით, განთავისუფლებულ იქნა გამოძიებისა, გასამართლებისა და სასჯელისაგან.

შენიშვნა. დამცველთა კოლეგიის წევრობიდან უვადოდ გამორიცხულს შეუძლიან კოლეგიაში ხელახლად ჩარიცხვა ითხოვოს მხოლოდ სამი წლის შემდეგ.

42. არ შეიძლება დამცველთა კოლეგიის წევრს რაიმე თანამდებობა ჰქონდეს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში. გამონაკლისი შესაძლებელია: 1) იმისთვის, ვისაც სახელმწიფო თანამდებობა საარჩევნო წესით უჭირავს; 2) იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორისა და მასწავლებლისათვის და 3) სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს იურისკონსულტისათვის, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წარდგენით და თვითეულ შემთხვევაში ოლქის სასამართლოს სპეციალური ნებართვისამებრ; საამისო შუამდგომლობას აღძრავს სათანადო სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გამონაკლისი არ გავრცელდება იუსტიციის იმ მომუშავეზე, რომელსაც თანამდებობა საარჩევნო წესით უჭირავს.

43. სასამართლო ოლქის დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება აირჩევს თავის წრიდან კოლეგიის პრეზიდიუმს.

44. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს დაევალება: ა) განხილვა განცხადებისა დამცველთა კოლეგიის წევრად შესვლის ან წევრობიდან გასვლის შესახებ; ბ) მეთვალყურეობა და კონტროლი იმისა, თუ როგორ ასრულებენ დამცველთა კოლეგიის წევრნი თავიანთ მოვალეობას, და მათთვის სადისციპლინო წესით სასჯელის დადება; გ) შემოღება წესისა უსასყიდლოდ დაცვისათვის და ნიხრით დაცვისათვის; დ) მოწყობა კონსულტაციებისა, ოლქის სასამართლოს დავალებით, მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად; ე) მოწვევა კოლეგიის წევრთა საერთო კრებისა და ამ კრებისათვის ანგარიშის წარდგენა; ვ) მეთვალყურეობა დამცველთა სამაზრო ბიუროებისა და კოლეგიის პრეზიდიუმის სამაზრო რწმუნებულთა მოქმედებისათვის; ზ) განკარგულება კოლეგიის ქონებისა და ფულისა; თ) ღონისძიება დამცველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კოლეგიის გარდაცვლილი, მძიმე ავადმყოფი და გადაყენებული წევრის საქმეთა დასაცველად.

45. შრომის სასყიდელი დამცველს მიეცემა შემდეგი საფუძვლით:

ა) ის, ვინც სახალხო ან ოლქის სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლედ იქნება ცნობილი, განთავისუფლდება დამცველისათვის სისხლის ან სამოქალაქო საქმის რაიმე საწარმოებელი გასამრჯელოს მიცემისაგან, ხოლო უკეთუ სასამართლო გადასწყვეტს საქმის საწარმოებელ გასამრჯელოს, იგი მიეცემა დამცველს;

ბ) სახელმწიფო და კერძო საწარმოს მუშას და საბჭოთა დაწესებულების და საწარმოს მოსამსახურეს უფლება აქვს დამცველის გასამრჯელო გადაიხადოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ნიხრით;

გ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში დამცველის გასამრჯელო განისაზღვრება დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებით; უკეთუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, დამცველს გასამრჯელო ეძლევა ზემოაღნიშნული ნიხრით, ხოლო ერთი ორად.

46. დამცველს თავისი გასამრჯელოს პროცენტული ანარიცხი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული, შეაქვს დამცველთა კოლეგიის ფონდში კოლეგიის პრეზიდიუმის შესანახი და იურიდიული კონსულტაციის მოსაწყობი ხარჯისათვის.

47. დამცველთა კოლეგიის წევრს გარდა, დაცვა შეუძლიან მხარეთა (ბრალდებულის ან დაზარალებულის) ნათესავს, სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის და სხვა პროფესიონალური ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ამას გარდა, ბრალდებულის და დაინტერესებული მხარის თხოვნით და სასამართლოს ნებართვით, დაცვის ნება შეიძლება მიეცეს სხვა მოქალაქესაც, რომელიც ამა დებულების 41 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას შეესაბამება.

2. თავი VII. „სასამართლოს აღმასრულებელნი".

48. სასამართლოს აღმასრულებელნი იმყოფებიან ოლქის სასამართლოსთან და შეასრულებენ რაც მათ დაეკისრებათ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებისათვის, აგრეთვე რაც დაეკისრებათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121[1] და 455 მუხლით. სასამართლოს აღმასრულებელთა რიცხვი განსაზღვრულია შტატით.

შენიშვნა. სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საადგილ-მამულო კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება დაეკისროს რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს და მილიციის ორგანოს.

49. სასამართლოს აღმასრულებელს თანამდებობაზე დაჰნიშნავს და დაითხოვს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე.

50. სასამართლოს აღმასრულებლად არ შეიძლება იყოს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) ის, ვინც სასამართლოს განაჩენით სახელშეპღალულია ან სახელის შემბღალავი საქციელისა და ყოფაქცევისათვის გამორიცხულია საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან;

ბ) ის, ვისაც არ უმსახურნია ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა იუსტიციის ორგანოში რაიმე თანამდებობაზე ან არ ჩაუბარებია სათანადო გამოცდა ოლქის სასამართლოსთან;

გ) ის, ვისაც არ აქვს ადგილობრივ საბჭოებში არჩევის უფლება;

დ) ის, ვინც სამოქალაქო ომის დროს არალოიალურად ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლებას, ან ვისაც დამოკიდებულება აქვს საბჭოთა საწინააღმდეგო პარტიასთან.

51. სასამართლოს აღმასრულებელნი გამწესდებიან სახალხო სასამართლოთა რაიონების მიხედვით და მოქმედობენ თავ-თავისი რაიონის ფარგლებში.

შენიშვნა. ოლქის სასამართლოსა და იმ სახალხო სასამართლოს განკარგულებით, როელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, სასამართლოს აღმასრულებელს შეიძლება, ცალკე შემთხვევაში, დაეკისროს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება მისი რაიონის გარეშეც.

52. სასამართლოს აღმასრულებელს დაკისრებული მოვალეობის აღსრულების დროს შეუძლიან, თუ კი საჭირო იქნება, მიმართოს მილიციის ორგანოს დახმარებისათვის; სასამართლოს აღმასრულებლის მოთხოვნა მილიციის ორგანოსათვის სავალდებულია.

53. სასამართლოს აღმასრულებელი დაკისრებული მოვალეობის აღსრულების დაყოვნებისა და სხვა არაკანონიერი მოქმედებისათვის, იმისდაგვარად, თუ როგორია დაუდევრობა ან სიბოროტე, პასუხს აგებს სადისციპლინო ან სისხლის სამართლ ს წესით.

54. საჩივარი სასამართლოს აღმასრულებლის დაყოვნებასა და არაკანონიერ მოქმედებაზე უნდა შეტანილ იქნეს იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც გადაწყვეტილება თუ განაჩენი შესრულებულ იქნება, პროკურატურის პროტესტი კი წარედგინება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს.

55. ჯამაგირის გარდა სასამართლოს აღმასრულებელს საალმასრულებლო მოქმედებისათვის ეძლევა გასამრჯელო იმ ნიხრით, რასაც იუსტიციის სახალხო კომისარიატი დააწესებს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულთან (საქართველოში) შეთანხმებით.

3. თავი VIII. „სახელმწიფო ნოტარიატი".

56. იმ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, რაც გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო ნოტარიატისათვის დამტკიცებულ დებულებაში, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქში მოეწყობა სახელმწიფო სანოტარო კონტორები. კონტორების რიცხვს განსაზღვრავს ოლქის სასამართლო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დაამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. სანოტარო კონტორა იმავე წესით და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასტურით შეიძლება მოეწყოს აგრეთვე დიდ სოფელშიაც, კვანძ-სადგურზე, ნავთსადგურზე, დროებით—ბაზრობის დროს და სხვა.

შენიშვნა 2. იქ, სადაც სანოტარო კონტორა არ არსებობს, მისი ფუნქციების ასრულება, გარდა აქტების ქმნისა და ხელშეკრულებათა დამოწმებისა, დაეკისრება სახალხო მოსამართლეს.

57. სანოტარო კონტორის სათავეში დგას ნოტარიუსი, რომელსაც დაჰნიშნავს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დაამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარი. ნოტარიუსად დაინიშნება ის პირი, ვისაც უფლება აქვს აირჩიოს და თვით არჩეულ იქნეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში, და ვინც შესაფერ გამოცდას ჩააბარებს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დანიშნულ კომისიას იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემუშავებული პროგრამით.

შენიშვნა. ნოტარიუსს არ შეუძლიან პირადი დაქირავებით იმსახუროს საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაში და საწარმოში; არ შეუძლიან აგრეთვე იყოს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების მონაწილედ და უნდა შეეფერებოდეს ამა დებულების 50 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას.

58. სანოტარო კონტორის მოქმედების მეთვალყურეობა და კონტროლი დაეკისრება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს. სანოტარო კონტორას უახლოეს ხელმძღვანელობას გაუწევს და მის მოქმედებას წარმართავს ოლქის სასამართლოსთან არსებული სანოტარო თანაგანყოფილება, რომელიც უშუალოდ ემორჩილება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს—სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგეს.

59. სანოტარო თანაგანყოფილება დროგამოშვებით მიმოიკვლევს სანოტარო კონტორების მუშაობას, აგრეთვე მიიღებს მათგან და შეამოწმებს დაწესებულ ანგარიშებსა და ჯუმლს. სანოტარო კონტორების საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა რესპუბლიკაში დაეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

60. სანოტარო თანაგანყოფილებასთან არსებობს სანოტარო არქივი.

61. საჩივარს ნოტარიუსის რაიმე მოქმედებაზე ან იმის გამო, რომ ნოტარიუსმა უარი სთქვა მოქმედებაზე, განიხილავს ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის თანაგანყოფილება.

62. სანოტარო კონტორისა და თანაგანყოფილების შესანახი ხარჯი დაიფარება სანოტარო მოქმედებისათვის დაწესებული გამოსაღებიდან იმ ხარჯთაღრიცხვის ფარგალში, რასაც დაამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი ოლქის სასამართლოს წარდგენით.

4. თავი XI. „ოლქის სასამართლოს სამაზრო რწმუნებულნი“.

79. ოლქის სასამართლოსა და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს შორის მუდმივი კავშირის განსამტკიცებლად და საადმინისტრაციო-საფინანსო მართველობის დარგში საჭირო საგანკარგულებლო მოქმედების განსახორციელებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მაზრაში, ოლქის სასამართლოს წევრის უფლებით, იმყოფება ოლქის სასამართლოს რწმუნებული, რომელსაც დანიშნავს ოლქის სასამართლოს პლენუმი მაზრის (რაიონის) სახალხო მოსამართლეთაგან.

80. ოლქის სასამართლოს რწმუნებულს იმ მიმდინარე სამუშაოსთან ერთად, რაც შესასრულებელია მის უბანში, დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს მაზრის ტერიტორიაზე მომქმედი ნოტარიატისა, დამცველთა კოლეგიის ბიუროს და სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობას;

ბ) გაანაწილოს მაზრისათვის გაცემული კრედიტი;

გ) წარავლინოს სახალხო მოსამართლე არა სრულწლოვანების საქმეთა კომისიაში;

დ) მონაწილეობა მიიღოს იმ კომისიაში, რომელიც შეადგენს და გაანაწილებს სახალხო მსაჯულთა სიებს;

ვ) მოიწვიოს მაზრაში იუსტიციის მომუშავეთა თათბირი მომქმედი კანონების შეფარდებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, უზენაესი და ოლქის სასამართლოების ცირკულიარების გასაცნობად, აგრეთვე ითავმჯდომაროს ამ თათბირზე.

81. ოლქის სასამართლოს რწმუნებული თავისი მოვალეობის განსახორციელებლად გამოიყენებს იმ უბნის, სახალხო სასამართლოს ტეხნიკურ აპარატს, სადაც იგი სახალხო მოსამართლედ არის; ამისათვის, თუ საჭირო იქნება, იუსტიციის სახალხო კომისარიატი სათანადოდ გაადიდებს ამ სახალხო სასამართლოს შტატს.

5. თავი XII. „სახელმწიფო პროკურატურა".

82. პროკურატურას დაეკისრება:

ა) სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობა ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციის და კერძო პირის მოქმედების კანონიერებისათვის; ეს ზედამხედველობა განხორციელდება დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრით და პროტესტის შეტანით იმ დადგენილების გამო, რომელიც დაარღვევს კანონს;

ბ) უშუალო მეთვალყურეობა ყველა საგამომძიებლო და მომკვლევი ორგანოს მოქმედებისათვის დანაშაულის გამოაშკარავების სფეროში და აგრეთვე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედებისათვის; ამასთანავე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედების მეთვალყურეობას განახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი თითონ უშუალოდ ან საპროკურორო ზედამხედველობის ისეთი პირი, რომელიც მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი იქნება;

გ) ბრალმდებლობა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში;

დ) მეთვალყურეობა იმისათვის, თუ რამდენად კანონიერია დაპატიმრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. პროკურატურის სათავეში დგას რესპუბლიკის პროკურორი—იუსტიციის სახალხო კომისარი. რესპუბლიკის პროკურორის უშუალო გამგებლობაშია იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილება.

84. რესპუბლიკის პროკურორს ჰყავს თანაშემწენი, რომელთაგან ერთი ასრულებს პროკურორის მოვალეობას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. თანაშემწეთა რიცხვი განისაზღვრება შტატით. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით დაამტკიცებს და უკან გაიწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

85. რესპუბლიკის პროკურორი, თავისი თანამდებობისამებრ, შედის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით, უკეთუ მას არჩევით არა აქვს გადამწყვეტი ხმა მინიჭებული.

86. რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებიან: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, დასავლეთ საქართველოს პროკურორი და სამხედრო ტრიბუნალის პროკურორი.

87. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამ რესპუბლიკისა და ოლქის პროკურორებს დაჰნიშნავენ და უკან გაიწვევენ ამ რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, და თავის რესპუბლიკისა თუ ოლქის ფარგლებში მათ მინიჭებული აქვთ ყველა შასაფერისი უფლება, ხოლო იმ საკითხებში, რაც შეეხება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის პროკურატურა ემორჩილება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის პროკურორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

88. პროკურორებს ჰყავთ თანაშემწენი, რომელთაც დაჰნიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და უკან გაიწვევს, სათანადო პროკურორის წარდგენით, რესპუბლიკის პროკურორი; პროკურორის თანაშემწეთა რიცხვი განისაზღვრება შტატით.

89. იმ მოვალეობის ასრულებას, რომელიც პროკურატურას აქვს დაკისრებული, ამა დებულების 86 მუხლში აღნიშნული ყველა პროკურორი, თვითეული თავის კომპეტენციის ფარგალში, გაანაწილებს თავის თანაშემწეთა შორის.

90. რესპუბლიკის პროკურორს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ყველა სახალხო კომისარიატისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედების კანონიერებას და წინადადება მისცეს ხოლმე გააუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ გამოცემული განკარგულება და დადგენილება, რაც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ზემოაღნიშნული განკარგულებისა და დადგენილების გასაუქმებლად; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა, პროტესტქმნილი დადგენილებისა თუ გადაწყვეტილების განხორციელებას ვერ შეაჩერებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს და თვალყური ადევნოს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეო, აგრეთვე ადგილობრივ მყოფ პროკურორთა და მათ თანაშემწეთა მოქმედებას და განუმარტოს და აუხსნას ყველა ის საკითხი, რაც მათი მუშაობის დროს აღიძვრის;

დ) პირადად თითონ განახორციელოს პროკურორასა და მისი თანაშემწის ფუნქციები იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ სცნობს.

91. რესპუბლიკის პროკურორი ყოველწლიურად წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს როგორც თავისი, ისე ხელქვეით პროკურორების მოქმედების ანგარიშს.

92. ადგილობრივი პროკურორის მოვალეობას შეადგენს:

ა) თვალყური ადევნოს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების კანონიერებას და განმარტება მისცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და სხვა, თანასწორი უფლებით აღჭურვილ ადმინისტრატიულ ორგანოთ, გააუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ და აგრეთვე მათი ხელქვეითი ორგანოების მიერ გამოცემული განკარგულება და დადგენილება, რაც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს, რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, ზემოაღნიშნული განკარგულებისა და დადგენილების გამო სახალხო კომისართა საბჭოში ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა პროტესტქმნილი დადგენილების განხორციელებას ვერ შეაჩერებს.

93. პროკურორს ან მის თანაშემწეს შეუძლიან სათათბირო ხმით დაესწროს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სხდომას.

94. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში პროკურატურას დაეკისრება:

ა) აღძვრა სამართლით დევნისა თანამდებობის და კერძო პირის წინააღმდეგ როგორც თავისი თაოსნობით, ისე შესული საჩივრისა და განცხადების გამო;

ბ) ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისათვის, განმარტების და წინადადების მიცემა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთათვის ისეთი საკითხების გამო, რომელიც შეეხება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმართვასა და შევსებას, აღმკვეთ ღონისძიებას და აგრეთვე სხვა საკითხს, რასაც კავშირი აქვს წინასწარ გამოძიებასთან;

გ) სამართალში მიცემისა, საქმის მოსპობისა ან წინასწარ გამოსაძიებლად გადაცემის საკითხის გადაწყვეტა იმ საქმის გამო, რაც მოკვლევის ორგანოსაგან იქნება მიღებული. პროკურატურის წინადადება ამ კატეგორიის საქმის გამო დამნაშავის სამართალში მიცემის შესახებ პირდაპირ სასამართლოს გადაეცემა;

დ) დამტკიცება საბრალმდებლო დასკვნისა ყველა წინასწარ გამოძიებულ საქმის გამო, შედგენა საბრალმდებლო დასკვნისა სამართალში მიცემის შესახებ ან დადგენილებისა საქმის მოსპობის შესახებ მომკვლევი ორგანოსაგან შემოსული საქმის გამო, და გადაცემა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომისათვის საბოლოო დასამტკიცებლად გამომძიებლის ისეთი დასკვნითი დადგენილებისა, რომელსაც იგი არ დეთანხმება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მონაწილეობა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაში სამართალში მიცემის ან საქმის მოსპობის საკითხის განხილვის დროს, უკეთუ პროკურატურა თავის მონაწილეობას საჭიროდ მიიჩნევს;

ვ) ბრალმდებლობა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში;

ზ) საკასაციო წესით პროტესტის შეტანა სასამართლოს განაჩენსა და დადგენილებაზე, პროტესტის შეტანა ზედამხედველობის წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და საკასაციო დადგენილებაზე სისხლის სამართლის საქმის გამო, აგრეთვე პროტესტის შეტანა იმ სამოქალაქო საქმის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებასა და საკასაციო დადგენილებაზე, რომელსაც საქვეყნო ინტერესი ექნება;

თ) შემოწმება ყველა, გამოუკლებლივ, საპატიმრო ადგილას იმისა, თუ რამდენად კანონიერია დაპატიმრება, და განთავისუფლება იმ პირისა, რომელიც უკანონოდ იქნება დაპატიმრებული.

95. სამოქალაქო სამართლის პროცესის სფეროში პროკურატურას, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნული წესისამებრ, დაეკისრება:

ა) მონაწილეობა საქმის განხილვაში სამსჯავრო სხდომაზე;

ბ) ამ საქმის გამოთხოვა ზედამხედველობის წესით;

გ) პროტესტის შეტანა ამ საქმის შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე და საკასაციო დადგენილებაზე.

96. თავის უფლებას პროკურორი განახორციელებს როგორც პირადად თვითონ, ისე თანაშემწეთა მეშვეობით.

97. პროკურორს უფლება აქვს თავისი ტერიტორიალური კომპეტენციის ფარგლებში მომქმედ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და თანამდებობის პირს მოსთხოვოს საჭირო ცნობები და მასალა; ამ მოთხოვნის ასრულება დასახელებულ დაწესებულებათა და პირთათვის სავალდებულოა.

შენიშვნა. საგანგებო კომისიის ორგანოს იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი სცნობს, რომ ესა თუ ის საქმე განსაკუთრებით საიდუმლოა, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ამ საქმის გაცნობა იკისროს თვით რესპუბლიკის პროკურორმა პირადად ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა.

98. პროკურორი სამ თვეში ერთხელ წარუდგენს რესპუბლიკის პროკურორს თავისი და თავის თანაშემწეთა მოქმედების ანგარიშს.

99. სამხედრო ტრიბუნალთან არსებული სამხედრო პროკურატურა ანხორციელებს ოლქის პროკურორის ყველა უფლებას ზედამხედველობისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ქართული მსროლელი დივიზიისა და საქართველოს სამხედრო კომისარიატის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ.

II.

სასამართლოს წყობილების დებულების 28, 76, 77 მუხლი, 104 მუხლის 2, 3 და 4 პუნქტი, 108 და 133 მუხლი (ძველი რედაქციით—28, 52, 53 მუხლი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

59 მუხლის 2, 3 და 4 პუნქტი და 63 და 88 მუხლი) შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 28. უკეთუ სახალხო მსაჯული ავადმყოფობისა ან სხვა კანონიერი მიზეზის გამო თავის დროზე არ გამოცხადდება სასამართლოში, მისი ჯერი მექანიკურად სიის ბოლოში გადაიტანება, რასაც სახალხო მოსამართლე აუწყებს სახალხო მსაჯულს, ხოლო არაპატივსადები მიზეზით გამოუცხადებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 107² მუხლისამებრ.

მუხ. 76. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება შესდგება ოლქის სასამართლოს 7 მუდმივი წევრისაგან, მათ შორის არის განყოფილების გამგეც—ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე; სისხლის სამართლის განყოფილებაში ორი თანაგანყოფილებაა: სისხლის სამართლის საკასაციო თანაგანყოფილება და სისხლის სამართლის თანაგანყოფილება. სისხლის სამართლის საკასაციო თანაგანყოფილების სამსჯავრო სხდომა უნდა მოხდეს ოლქის სასამართლოს სამი მუდმივი წევრის მონაწილეობით, მათ შორის განყოფილების გამგისა (ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა), ხოლო სისხლის სამართლის თანაგანყოფილების სამსჯავრო სხდომა ოლქის სასამართლოს ერთი მუდმივი წევრისა და ორი საოლქო სახალხო მსაჯულის მონაწილეობით, რომელნიც სხდომაზე დაბარებულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის თანაგანყოფილების გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით, თანახმად ოლქის სასამართლოში ქონებული სიისა. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების წევრებს განყოფილების სისხლის სამართლის საკასაციო და სისხლის სამართლის თანაგანყოფილებათა სხდომებში მონაწილეობისათვის დანიშნავს და გაამწესებს, აგრეთვე სისხლის სამართლის თანაგანყოფილების ადგილობრივ წასასვლელი სესიის თავმჯდომარეს დანიშნავს განყოფილების გამგე (თავმჯდომარის მოადგილე) ოლქის სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეზეა დამოკიდებული იკისროს თავმჯდომარეობა ყოველი საქმისა, რაც განიხილება სისხლის სამართლის განყოფილების სისხლის სამართლის საკასაციო თანაგანყოფილებისა, თუ სისხლის სამართლის თანაგანყოფილებაში. ასეთივე უფლება აქვს სისხლის სამართლის განყოფილების გამგეს (ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს).

მუხ. 77. ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება შესდგება 7 წევრისაგან, მათ შორის არის განყოფილების გამგეც—თავმჯდომარის მოადგილე; სამოქალაქო განყოფილებაში არის ორი თანაგანყოფილება: სამოქალაქო-საკასაციო თანაგანყოფილება და სამოქალაქო თანაგანყოფილება. პირველში შედის ოლქის სასამართლოს სამი მუდმივი წევრი; მათ შორის განყოფილების გამგე (ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე), ხოლო მეორეში—ერთი მუდმივი წევრი, რომელიც თავმჯდომარეობს, და ორი სახალხო მსაჯული, უმთავრესად სასამართლო ოლქის იმ სახალხო მოსამართლეთაგან, რომელნიც სახალხო მსაჯულთა სიაში არიან შეტანილნი (დებულების 69 მუხლი). ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების წევრებს განყოფილების საკასაციო და სამოქალაქო სხდომებში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ადგილობრივ წასასვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სესიის თავმჯდომარეს დანიშნავს და გაამწესებს განყოფილების გამგე თავისი დადგენილებით, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებისამებრ. სახალხო მსაჯულებს დაიბარებს სამოქალაქო თანაგანყოფილების გამწესრიგებელი სხდომა, რომელიც მარტოოდენ ოლქის სასამართლოს მუდმივი წევრებისაგან უნდა შესდგებოდეს. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეზეა დამოკიდებული იკისროს თავმჯდომარეობა ყოველი საქმისა, რაც განიხილება ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების სამოქალაქო თანაგანყოფილებასა თუ სამოქალაქო-საკასაციო თანაგანყოფილებაში. ასეთივე უფლება აქვს სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგეს (ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს).

მუხ. 104 პუნქტი 2. განხილვა და დამტკიცება უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებისა, უზენაესი სასამართლოს სასამართლო და საკასაციო კოლეგიების და რესპუბლიკის სხვა რომელიმე სასამართლოს იმ განაჩენის და გადაწყვეტილების გაუქმებისა ან შეცვლის შესახებ, რაც უზენაეს სასამართლოს გადაეცემა ხოლმე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პროკურორის მიერ, ან და რაზედაც პროტესტია შეტანილი კოლეგიის თავმჯდომარისა ან პროკურორის მიერ.

პუნქტი 3. დამტკიცება უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის ცირკულიარებისა და განხილვა ყველა სხვა საკითხისა, რასაც უზენაესი სასამართლოს პლენუმში შეიტანს ამ სასამართლოს პრეზიდიუმი;

პუნქტი 4. არჩევა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიისა.

მუხ. 108. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია შესდგება თავმჯდომარისა და ამა კოლეგიის ორი მუდმივი წევრისაგან. სამსჯავრო სხდომაში მონაწილეობს კოლეგიის თავმჯდომარე ან ის წევრი, რომელიც თავმჯდომარეობს სხდომაზე და ორი სახალხო მსაჯული იმ ოცდათხ მსაჯულთაგან, რომელთაც, განსაკუთრებული სიით, ამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 133. სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესია უნდა მოეწყოს ყველა ოლქის სასამართლოსთან. სესიაში შედის ერთი მუდმივი სახალხო მოსამართლე და ორი მუდმივი წევრი: ერთი იქნება წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირებისა, ხოლო მეორე—შრომის ადგილობრივი განყოფილებისა; პირველს დანიშნავს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, ხოლო მეორეს—შრომის სახალხო კომისარი.

არა-სამრეწველო მაზრაში, სადაც შრომის საქმეთათვის ცალკე სესიები არ არის, ამ საქმეებს განიხილავს სახალხო სასამართლო, რომელშიაც, სახალხო მსაჯულთა ნაცვლად, მონაწილეობას მიიღებენ: პროფესიონალური ბიუროს წარმომადგენელი და შრომის ადგილობრივი განყოფილების რწმუნებული, ხოლო იქ, სადაც ესენი არ იქნებიან, სახალხო სასამართლო ამ საქმეებს განიხილავს საზოგადო წესით; უკანასკნელ შემთხვევაში შრომის ინსპექტორს უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს გასწიოს ბრალმდებლობა და პროტესტი შეიტანოს გადაწყვეტილებასა და განაჩენზე.

III.

სასამართლოს წყობილების დებულებას დაემატოს შემდეგი:

114 მუხლს დაერთოს შენიშვნა:

სადისციპლინო საქმე, რომელიც შეეხება უზენაეს სასამართლოსთან მყოფს სასამართლოს და პროკურატურის ყველა მომუშავეს, ექვემდებარება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიას.

115 მუხლს დაერთოს შენიშვნა:

სადისციპლინო საქმე, რომელიც შეეხება სასამართლო ოლქში მყოფს სასამართლოს და პროკურატურის ყველა მომუშავეს, ექვემდებარება ოლქის სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიას იმ სადისციპლინო საქმეთა გარდა, რაც შეეხება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და ოლქის პროკურორს; ეს საქმეები ექვემდებარება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიას.

მუხ. 136. შრომის სახალხო კომისარს უფლება აქვს, ისე, როგორც პროკურატურის ორგანოს, გამოითხოვოს შრომის საქმეთა სესიაში გადაწყვეტილი ყოველი საქმე, რომლის შესახებაც დადგენილი განაჩენი თუ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, და ზედამხედველობის წესით პროტესტი შეიტანოს ამ განაჩენსა თუ გადაწყვეტილებაზე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საკასაციო კოლეგიაში. შრომის საქმეთათვის საპროკურორო ზედამხედველობის მოვალეობის აღსასრულებლად უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიებთან ცენტრალური პროკურატურა, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დანიშნავს სპეციალურ პროკურორს.

IV.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე"-ში.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სრულიად საქ. საბჭ. ცეტრ. აღმასრ. კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 19.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ც. ა. კ. და ს. კ. ს. ჟურნალ „მოამბე"-ში 1924 წ. № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.

დადგენილება № 89

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ.

(მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წ. თებერვლის 28).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25, 26, 27, 59, 115, 226, 348, 366, 370, 372, 419, 421, 425, 426, 427, 428, 437 და 440 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 25. ერთპიროვნად მომქმედ სახალხო მოსამართლეს, სასამართლოს ბრძანების წესისამებრ, ექვემდებარება მარტოოდენ ის საქმე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 81, 107[1] და 221—233 მუხლში.

ყველა სხვა საქმეს, რაც სახალხო სასამართლოს ექვემდებარება, განიხილავს სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულისაგან შემდგარი სასამართლო.

მუხ. 26. ოლქის სასამართლოს ექვემდებარება მარტოოდენ საქმე:

ა) სახელმწიფოებრივი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58—73 და 122 მუხლში;

ბ) მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 74—78, 80 მუხლში, 82[4] მუხლის მე-2 ნაწილში, 83—86, 88, 91, 94, 95, 98 მუხლში, 100 მუხლის მე-2 ნაწილში და 101 მუხლის მე-2 ნაწილში;

გ) თანამდებობის პირთა დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108—115 მუხლში, 116 მუხლის მე-2 ნაწილში, 117 მუხლის მე-2 ნაწილში და აგრეთვე 117[1] მუხლში, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში; 118 და აგრეთვე 119 და 120 მუხლში, უკეთუ ამ ორ უკანასკნელი მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ან უკეთუ ეს მოქმედება თანამდებობის პირმა ჩაიდინა ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით;

დ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 131—134, 144[1], 146—151, 164, 165, 166, 170—176 მუხლში, 187 მუხლის „ვ“ და „ზ“ პუნქტში, 187[1], 190, 191 და 203 მუხლში.

შენიშვნა 1. სისხლის სამართლის კოდექსის 129, 129[1], 136, 137 138 და 160 მუხლში გათვალისწინებულ საქმეს განიხილავს სახალხო სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლოს განსაკუთრებული კამერა შრომის კანონთა დარღვევის საქმეთათვის.

მუხ. 27. სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება ყველა საქმე:

ა) სამხედრო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 206—220 მუხლში, და იმ დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 58, 73, 76 მუხლში, 100 მუხლის მე-2 ნაწილში, 108—121 და 187[1] მუხლში, როდესაც ამ დანაშაულს სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს;

ბ) ყველა დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი იმ რაიონში, სადაც სამხედრო ტრიბუნალის გარდა სხვა სასამართლო არ არსებობს.

მუხ. 59. ყოველი მოწმედ დაბარებული პირი მოვალეა გამოცხადდეს, სთქვას ყველაფერი, რაც საქმეზე იცის, და მისცეს პასუხი გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს, სასამართლოს და მხარეთა კითხვებზე. უკეთუ მოწმე ჩვენებაზე უარს ეტყვის გამომძიებელს ან მომკვლევს, უკანასკნელნი შეადგენენ ამაზე ოქმს და საქმეს ასეთი მოწმის შესახებ გადასცემენ უახლოეს სახალხო სასამართლოს განსახილველად ამა კოდექსის 336 მუხლის წესით. უკეთუ მოწმე ჩვენებაზე უარს იტყვის სასამართლოში, შესაფერ სასჯელს (სისხლის სამართლის ქოდექსის 107[1] მუხლი) უშუალოდ გადაუწყვეტს იმ საქმის განმხილველი სასამართლო, რა საქმის გამოც ჩვენებაზე უარისმთქმელი მოწმედ არის დაბარებული.

მუხ. 115. წინასწარი გამოძიებით შეკრეფილი მასალიდან მხოლოდ იმის გამოქვეყნება შეიძლება, რის გამოქვეყნებასაც შესაძლებლად სცნობს გამომძიებელი; წინასწარი გამოძიებით შეკრეფილი მასალის გამოქვეყნება გამომძიებლის ნებადაურთველად დეგნილ იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 107[3] მუხლისამებრ.

მუხ. 226. როდესაც პროკურორი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203 მუხლის წესისამებრ, მიიღებს გამომძიებლისაგან საქმეს, რათა გადასცეს იგი სასამართლოს მოსასპოპად, უკეთუ სცნობს, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეულია, ხოლო მოსასპობი კი არ არის, შეიტანს სასამართლოში თავის მისაგებელს და, თუ საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლიან კიდეც პირადად დაიცვას იგი სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე; უკეთუ გამოძიება სრული არ იქნება, წარმართავს საქმეს 227 მუხლის წესისამებრ.

მუხ. 348. ის მოწმე, ექსპერტი და თარჯიმანი, რომელსაც გამოუცხადებლობისათვის სასჯელი გადაეწყვიტა ამა კოდექსის 61 მუხლისამებრ, თხოვნას ამ სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ და გამოუცხადებლობის მიზეზის განმარტებას წარუდგენს იმავე სახალხო სასამართლოს; ამ თხოვნას სასამართლო განიხილავს გამწესრიგებელ სხდომაზე. სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და მისი განსაჩივრება არ შეიძლება.

მუხ. 366. სისხლის სამართლის კოდექსის 81, 107[1] და 221—233 მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულის საქმეთა გამო სახალხო მოსამართლე, უკეთუ კანონის დარღვევა აშკარად უდავოა, განაჩენს დაადგენს სასამართლოს ბრძანებად ქვემოდ აღნიშნული მუხლებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 370. სასამართლოს ბრძანებით მსჯავრდადებულს, გარდა იმისა, ვისაც მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხლით (348 მუხლი), უფლება აქვს, ბრძანების ასლის მიღებიდან სამი დღე და ღამის განმავლობაში, ითხოვოს, რომ საქმე სასამართლომ განიხილოს; ამასთან სასალხო მოსამართლეზეა დამოკიდებული, შეაჩეროს თუ არა სასამართლოს ბრძანების სისრულეში მოყვანა.

მუხ. 372. უკეთუ სამართალში მიცემული და მისი დამცველი სამსჯავრო სხდომაზე არ გამოცხადდებიან და ამ გამოუცხადებლობას პატივსადები მიზეზი არ ექნება, სახალხო სასამართლო დაადგენს, ძალაში დარჩეს სასამართლოს ბრძანება, და მას მიეცემა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მნიშვნელობა.

მუხ. 419. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ოლქის სასამართლომ, როდესაც იგი გააუქმებს სახალხო სასამართლოს მთელ განაჩენს ან მის ნაწილს, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადასცეს სხვა სახალხო სასამართლოს ან იმავე სასამართლოს, ხოლო მოსამართლეთა სხვა შედგენილობაში.

ოლქის სასამართლოს უფლება აქვს, საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად, შეამციროს ან შეამსუბუქოს სასჯელი ამნისტიის ძალით, უკეთუ ეს ამნისტია შეფარდებული არ იყო ან სწორედ არ იყო შეფარდებული.

მუხ. 421. უკეთუ განაჩენი გაუქმებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 414 მუხლის I პუნქტში აღნიშნული დარღვევის გამო, აგრეთვე, უკეთუ განაჩენი გაუქმებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317 და 417 მუხლში აღნიშნული საფუძვლით, როდესაც ეს საფუძველი ეხება ყველა მსჯავრდადებულს, ოლქის სასამართლო გააუქმებს განაჩენს მთლად ყველა მსჯავრდადებულისათვის, მათ შორის იმისთვისაც, ვის შესახებაც განაჩენი არ იყო განსაჩივრებული თუ პროტესტქმნილი.

მუხ. 425. ოლქის სასამართლოს საკასაციო დადგენილება საბოლოოა და მასზე პროტესტის შეტანა შეიძლება, ოლქის სასამართლოს პლენუმის მეშვეობით, უზენაეს სასამართლოში ზედამხედველობის წესისამებრ.

აღნიშნული უფლება პროტესტის შეტანისა აქვს მხოლოდ: ა) ოლქის სასასამართლოს თავმჯდომარეს, ბ) ოლქის სასამართლოს საკასაციო თანაგანყოფილების წევრს, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას, გ) ოლქის სასამართლოსთან არსებულ პროკურატურას როგორც პირადი თაოსნობით, ისე მხარის საჩივრის გამო, უკეთუ ამ საჩივარს პატივსადებად სცნობს.

მუხ. 426. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და ოლქის პროკურორს უფლება აქვს გამოითხოვოს ზედამხედველობის წესით თავის სასამართლო ოლქის სასამართლოებიდან ყოველი საქმე, პროცესის რა სტადიაშიაც უნდა იყოს იგი; უბნის (მაზრის და რაიონის) პროკურორს ეს უფლება აქვს მხოლოდ თავისი უბნის სახალხო სასამართლოთა საქმეების გამო.

როდესაც სასამართლო მიიღებს მოთხოვნას საქმის გაგზავნის შესახებ, მან უნდა შეაჩეროს საქმე და გაუგზავნოს იგი იმ პირს, ვინც საქმე მოითხოვა.

უკეთუ გამოთხოვილი საქმის გამო უკვე სწარმოებს სამსჯავრო სხდომა, საქმის გაგზავნა შეიძლება მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ზედამხედველობის წესით იმ საქმის გამოთხოვნის უფლება, რაც სამხედრო ტრიბუნალის წარმოებაშია, აქვს ტრიბუნალის თავმჯდომარეს და სამხედრო პროკურორს, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სამხედრო ტრიბუნალი მუდმივად არ იმყოფება,—აგრეთვე ოლქის პროკურორს.

შენიშვნა 2. იმ საქმის გამოთხოვნის უფლება, რომელიც გამოძიების სტადიაშია, აქვს მარტოოდენ საპროკურორო ზედამხედველობას.

მუხ. 427. ის, ვინც საქმეს გამოითხოვს (განაჩენის გამოტანამდე), უკეთუ საქმის წარმოებაში არსებით დარღვევას არ აღმოაჩენს, დაუყოვნებლივ დაუბრუნებს საქმეს სასამართლოს და საქმის ზედამხედველობის წესით წარმოება მოისპობა.

ვინიცობაა საქმის წარმოებაში არსებითი დარღვევა აღმოჩნდა, საქმე უნდა გადაეცეს ოლქის სასამართლოს საკასაციო თანაგანყოფილებას, უკეთუ იგი საქმე სახალხო სასამართლოსია, და—უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიას, უკეთუ საქმე ოლქის სასამართლოს ან ტრიბუნალისაა.

ოლქის სასამართლოს საკასაციო თანაგანყოფილება ან უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგია მოისმენს პროკურორის დასკვნას და გამოიტანს დადგენილებას - როგორ წარიმართოს საქმე შემდგომ, და მათზე იქნება დამოკიდებული, მისცენ თუ არა სასამართლოს სათანადო განმარტება.

მუხ. 428. უკეთუ საქმე გამოთხოვნილ იქნა განაჩენის გამოტანის შემდეგ და ეს განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში, ან უკეთუ საქმეზე გამოტანილია განაჩენის დამამტკიცებელი საკასაციო დადგენილება ოლქის სასამართლოსი და ამ საქმის წარმოებაში აღმოჩენილი იქნება არსებითი დარღვევა, ოლქის პროკურორი, საქმის უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში გადაცემამდე, აცნობებს ამას ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც იმის მიხედვით, თუ რამდენად რთულია საქმე, შეუძლიან შეიტანოს იგი ოლქი სსასამართლოს პლენუმში განსახილველად, რის შემდეგაც საქმე პლენუმის რეზოლიუციითურთ გადაეცემა უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიას საბოლოო გადაწყვეტისათვის.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ საქმეებს სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე უშუალოდ გადასცემს უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიას.

მუხ. 437. საკასაციო კოლეგიის დადგენილებაზე უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს და რესპუბლიკის პროკურორს შეუძლიანთ შეიტანონ პროტესტი უზენაეს სასამართლოს პლენუმში მხოლოდ ზედამხედველობის წესით. ამრიგადვე, დადგენილების გამომტანი საკასაციო კოლეგიის სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც განსაკუთრებული აზრისა იყო, და პროკურორს, რომელმაც დასკვნა მისცა ამ საქმის გამო, უფლება აქვთ, აღნიშნული დადგენილების გამოტანიდან ერთი დღე და ღამის განმავლობაში, განასაჩივრონ იგი უზენაესი სასამართლოს პლენუმში, თანაც წერილობით წარადგენენ თავიანთ დასაბუთებულ განსაკუთრებულ აზრს. საკასაციო კოლეგიის დადგენილებაზე პროტესტის შეტანა შეაჩერებს ამა დადგენილების სამოქმედოდ მიქცევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საკასაციო კოლეგიის წევრს, რომელიც მონაწილეობას იღებდა დადგენილების გამოტანაში და რომელიც თანახმა არ იყო ამ დადგენილებისა, უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით გამოსთქვას (325 მუხლი) და 24 საათის განმავლობაში დადგენილების გამოტანიდან მოახსენოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს; ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული—დასტოვოს ეს განსაკუთრებული აზრი უშედეგოდ თუ, ამა 437 მუხლის წესისამებრ, საკასაციო კოლეგიის დადგენილებაზე პროტესტი შეიტანოს პლენუმში.

მუხ. 440. საქმე, სახალხო ან ოლქის სასამართლოდან ან ტრიბუნალიდან მიღებისათანავე, გადაეცემა უზენაესი სასამართლოს პროკურორს, რომელიც, უკეთუ საქმის წარმოებაში არავითარ დარღვევას არ დაინახავს, მოახსენებს ამას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ან მის მოადგილეს, ან რესპუბლიკის პროკურორს, იმის და მიხედვით, თუ ვინ გამოითხოვა საქმე. და, უკეთუ ის, ვისაც საქმე მოხსენდება, ამისი თანახმა იქნება, საქმის ზედამხედველობის წესით წარმოება მოისპობა. უკეთუ თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან რესპუბლიკის პროკურორი თანახმა არ იქნება წარმოების მოსპობისა, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი სასამართლოს პროკურორი თვით დაინახავს არსებით დარღვევას, იგი საქმეს თავისი დასკვნით გადასცემს საკასაციო კოლეგიას; ეს კოლეგია, საქმის განხილვის შემდეგ, დაადგენს—როგორ წარიმართოს საქმე შემდგომ, და სათანადო შემთხვევაში შესაფერ განმარტებას მისცემს სახალხო ან ოლქის სასამართლოს ან ტრიბუნალს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამო განაჩენი უკვე გამოტანილია, დაადგენს განაჩენის გაუქმებას და საქმის გადაცემას ხელახალი განხილვისათვის სხვა ან იმავე სახალხო თუ ოლქის სასამართლოში ან ტრიბუნალში მოსამართლეთა სხვა შედგენილობით, ან და განაჩენის სათანადო შეცვლას ან საქმის ზედამხედველობის წესით წარმოების მოსპობას. აღნიშნული უფლება აქვს მარტოოდენ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიას ან პლენუმს.

II.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლები:

26 მუხლს დაემატოს მეორე შენიშვნა:

საქმეს სახალხო მსაჯულის სამოსამართლო მოვალეობის აღსასრულებლად გამოუცხადებლობის შესახებ (სისხლ. სამ. კოდ. 107² მუხ.) განიხილავს იგივე სასამართლო, სადაც სახალხო მსაჯული იყო დაბარებული.

107 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

მოკვლევით აღმოჩენილი მასალა არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს პროკურორის ან მოკვლევის წარმოებისთვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირის სათანადო ნებადაურთველად. მოკვლევის მასალის სათანადო ნებადაურთველად გამოქვეყნება დევნილ იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 107³ მუხლისამებრ.

მუხ. 121¹. უკეთუ დანაშაული, რისთვისაც პასუხისგებაშია მიცემული ესა თუ ის პირი, დაისჯება თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა ქონების კონფისკაციით, გამომძიებელს, განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად, უფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა აქვს როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე სასამართლოს ან პროკურორის წინადადებით, მიიღოს უზრუნველყოფის ღონისძიებანი ამ პირის მიერ ქონების გადამალვის წინააღმდეგ.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა წესი და ხასიათი განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისრის ცალკე ინსტრუქციით.

მუხ. 408[1]. საკასაციო საჩივარი და პროტესტი ოლქის სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე განიხილება მხარეთა დაუბარებლად; მაგრამ, უკეთუ მხარენი სხდომაზე გამოცხადდნენ, მათ ახსნა-განმარტების ნება უნდა მიეცეთ. განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია წინასწარ გამოცხადებული უნდა იქნეს და გამოიკიდოს ოლქის სასამართლოს შენობაში და აგრეთვე, ქალ. ტფილისისა და ქუთაისის სარაიონო სასამართლოებს გარდა, იმ სახალხო სასამართლოების შენობებში, რომელთა განაჩენებზედაც საჩივარი ან პროტესტია შესული ოლქის სასამართლოში.

441 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

იმ განაჩენის შეჩერების უფლება, რომლითაც გადაწყვეტილ იქნა სასჯელის უმაღლესი ზომა, ამა მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, ეკუთვნის აგრეთვე აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, როდესაც განაჩენი გამოტანილია სათანადო რესპუბლიკის და ოლქის ტერიტორიაზე მომქმედი სასამართლოს მიერ.

მუხ. 452[1]. ხელმძღვანელობა იმ განაჩენის აღსრულებისათვის, რითაც გადაწყვეტილია თავისუფლების აღკვეთა და იძულებითი მუშაობა, დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შედგენილობაში შემავალს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს, რომელიც ამ საქმეს განახორციელებს ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და მათთან მომქმედი: 1) განმანაწილებელი კომისიებისა, 2) მეთვალყურე კომისიებისა და 3) იძულებითი მუშაობის ბიუროს მეშვეობით.

მუხ. 452[2]. იმ პირს, ვინც სასჯელს იხდის სისხლის სამართლის კოდექსის 36 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული იძულებითი მუშაობის სახით და ვინც ასრულებს იმავე კოდექსის 35 მუხლის შენიშვნაში მოხსენებულ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს, სასჯელის მოხდის ვადა, განაჩენის გამომტანი სასამართლოს დადგენილებით, საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს წარდგენისამებრ, შეიძლება შეუმცირდეს $^1/_3$-ით.

458[1]. ვადამდე განთავისუფლება შეიძლება ითხოვოს თვით მსჯავრდადებულმა, მისმა მახლობელმა, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა, მაგრამ არა იმაზე ადრე, ვიდრე მსჯავრდადებული სასჯელის ნახევარს ვადას მოიხდიდეს. სასამართლო დაწესებულებას უფლება არა აქვს აღძრას საკითხი ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

459 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

შენიშვნა 1. განმანაწილებელი კომისიის წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა. იმ ადგილას, რომელიც ცენტრს დაშორებულია, განმანაწილებელი კომისიის წარმომადგენლად, ამა კომისიის სპეციალური რწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით, შეიძლება გამოვიდეს საპატიმრო ადგილის უფროსი ან სხვა ვინმე, ვისაც საპატიმრო ადგილთა მთავარ სამმართველოში პასუხისმგებელი თანამდებობა უჭირავს. ამას გარდა, იმ შემთხვევაში, როდესაც განმანაწილებელი კომისიისთვის განსაკუთრებით ძნელია თავისი წარმომადგენლის წარვლინება სასამართლოს სხდომაზე, კომისიას უფლება აქვს დასჯერდეს წერილობითი დასკვნის გაგზავნას.

შენიშვნა 2. იმავე წესით განიხილვას სასამართლო წარდგინებას სასჯელის ვადის შემოკლების შესახებ, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლის შენიშვნისა და ამა საპროცესო კოდექსის 452² მუხლისა.

III.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე"-ში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სოც. საბჭ. რეს. იუსტიციის
სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 19.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია ც. ა. კ. და ს. კ. ს. ჟურნ. „მოამბე"-ში 1924 წ. №4.

22.
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 90

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე (1924 წლის თებერვლის 28).

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწორი, მტკიცე და სამეურნეო პირობებთან შეთანხმებული სარგებლობა მიწისა, რომელიც ურყევად რჩება მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებად,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მიწის კოდექსი დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1924 წლის აპრილის 1-დან.

2. კოდექსის შემოღების დღიდან გაუქმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში სხვა და სხვა დროს გამოცემული ყველა დადგენილება მიწისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საადგილ-მამულო ურთიერთობის შესახებ; იუსტიციის სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, დაევალოს შეადგინონ უახლოეს დროისათვის გასაუქმებელ დადგენილებათა სია და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. კოდექსის მოქმედება გავრცელდეს როგორც თვით საქართველოს, ისე მოკავშირე აფხაზეთისა და ავტონომიურ აჭარის რესპუბლიკებზე და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

4. საკითხს მოახალშენეთა გადასახლებისა საქართველოდან აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ-ოსეთში, ხოლო ამ რესპუბლიკებიდან საქართველოში გადასაწყვეტს ყოველ კერძო შემთხვევაში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭო აღნიშნულ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

5. საადგილ-მამულო დავა, რაც აღიძვრის აფხაზეთისა, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს მომიჯნავე მაზრებთან, განხილულ უნდა იქნეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

6. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება მიეცეს ამა კოდექსის განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე სათანადო დადგენილება და ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწის კოდექსი.

ძირითადი დებულებანი.

1. სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების დადგენილებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში კერძო საკუთრების უფლება მიწაზე, მიწის წიაღზე, ტყეზე და წყალზე გაუქმებულია სამუდამოდ.

2. მთელი მიწა-წყალი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ვის სარგებლობაში და განკარგულებაშიაც უნდა იყოს იგი, შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყველა მიწა, რაც გამოსადეგია სასოფლო მეურნეობისათვის, შეადგენს ერთიან სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდს, რომელსაც განაგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

4. ერთიანი სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების უშუალოდ სარგებლობის უფლება კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე აქვს: ა) მიწის მუშას და მიწის მუშათა კავშირს (კომუნას, ამხანაგობას და არტელს), ბ) ქალაქის მოსახლეობას და გ) სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს.

5. ყველა მიწა, რაც დარჩება ერთიან სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში მას შემდეგ, რაც ამ ფონდიდან მიწები უშუალო სარგებლობისათვის მიეცემა მიწის მუშებსა, მიწის მუშათა კავშირებსა და ქალაქის მოსახლეობას, შეადგენს სახელმწიფოს უშუალო მფლობელობის მიწას, ჩაითვლება სახელმწიფოს საადგილ-მამულო ქონებად და არის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო განკარგულებაში; გადაცემა ასეთი მიწებისა განსაზღვრული პირობებით დაწესებულებისათვის, საზოგადოებისათვის, ორგანიზაციისათვის ან კერძო პირისათვის შეიძლება მხოლოდ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

6. რაოდენობა მიწისა, რომელიც შეიძლება იყოს მიწის მუშისა, მიწის მუშათა კავშირისა და ქალაქის მოსახლეობის უშუალო სარგებლობაში, განისაზღვრება აშა კოდექსში გათვალისწინებული მიწის ნორმებით.

7. ყველა მიწის მოსარგებლე, რომელიც ეწევა სასოფლო მეურნეობას, ემორჩილება საადგილ-მამულო ორგანოების ზოგად კონტროლს და მისთვის გადაცემული მიწის წესიერად გამოყენების სფეროში უნდა შეასრულოს ყველა ის მოვალეობა, რაც განსაზღვრულია ამა კოდექსით და სხვა კანონებით.

8. მიწის მოსარგებლისა და მიწის მუშათა კავშირების საადგილ-მამულო უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო კანონებით, ამა კოდექსით და მის განსავითარებლად გამოცემული დადგენილებებითა და განკარგულებებით.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

შრომითი მიწათსარგებლობა.

კ ა რ ი I.

მიწათსარგებლობის უფლება.

9. მიწის სარგებლობის უფლება სასოფლო მეურნეობის საწარმოებლად ამა კოდექსით დაწესებულ ნორმებში აქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს (განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა), ვინც მოისურვებს მიწის შემუშავებას საკუთარის შრომით.

მოქალაქე, რომელიც მოისურვებს მიწის მიღებას თავისი შრომით შესამუშავებლად, უკეთუ მისი არსებობის ერთად-ერთი წყარო მიწის მუშაობაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღებს მიწას მიწათმოქმედების კომისარიატის სათანადო ორგანოსაგან, თუ ამ ორგანოს მოეპოება სათადარიგო მიწა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი.

10. მიწის მოსარგებლეს შეუძლიან განახორციელოს თავისი უფლება მიწაზე: ა) როცა ის შედის რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში და მიწათსარგებლობის სფეროში ემორჩილება ამ კოლექტივის წესს, ან ბ) დამოუკიდებლად, საადგილ-მამულო კოლექტივის გარეშე.

11. შრომითი მიწათსარგებლობის უფლება არის უვადო და შეიძლება მოისპოს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საფუძველზე.

12. უფლება შრომითი სარგებლობის მიწის ახალ ნაკვეთებზე მოიპოება: ა) ან საადგილ-მამულო ორგანოების მიერ მიწის მიცემით, ბ) ან ახალი მიწების გატეხით ნორმის ფარგლებში (ახოების აღება, ჭაობის გაშრობა და სხვ.).

შენიშვნა 1. მიწის გადაცემა საადგილ-მამულო ორგანოების მიერ მოხდება მიწათმოწყობის წესების თანახმად (ნაწილი III).

შენიშვნა 2. ახალი მიწების გატეხის წესს და იმ რაიონებს, სადაც შეიძლება ასეთი გატეხა, განსაზღვრავს მიწათმოქმედების კომისარიატი.

13. სამხედრო სამსახურში მობილიზაციით ან ჩვეულებრივი წესით გაწვეული, ან საბჭოთა და საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩეული მიწის მუშა არა ჰკარგავს უფლებას სამსახურში ყოფნის დროს თავის ხვედრ მიწაზე; გარეთ სამუშაოზე წასვლის დროს-კი ასეთი უფლება ენახება მიწის მუშას მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მისი ხვედრი მიწა, თუ ამ მიწას მისი ოჯახის დანარჩენი წევრები არ ამუშავებენ საკუთარის შრომით, გადადის საადგილ-მამულო კოლეგიის დადგენილებით სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში.

14. მიწათსარგებლობის უფლება მოისპობა: ა) უკეთუ მიწის მუშის კომლის ყველა წევრი ნებაყოფლობით თავს გაანებებს მიწას, ბ) უკეთუ კომლი სრულიად მოსპობს მიწაზე თავის დამოუკიდებელ მეურნეობას, გ) უკეთუ კომლი გადაშენდება, დ) უკეთუ კომლი სამუდამოდ ახალ ადგილზე გადასახლდება და წინანდელ ადგილზე დამოუკიდებელ მეურნეობას მოსპობს, ე) უკეთუ მიწა ჩამორთმეულ იქნება თანახმად კანონიერ წესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გასაყვანათ და სხვ.), ვ) უკეთუ ნორმაზე მეტი მიწა ჩამორთმეულ იქნება და აგრეთვე ამა კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სხვა შემთხვევაში.

15. ნებაყოფლობით მიწის უფლებაზე უარის თქმა მოხდება ოჯახის ყველა წევრის თანხმობით, რაც უნდა ეცნობოს რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს.

16. მეურნეობა მოსპობილად ჩაითვლება, უკეთუ მიწის მოსარგებლე სამის წლის განმავლობაში ზედიზედ არ გამოიყენებს მიწას თავისი მეურნეობის საჭიროებისათვის არა პატივსადებ მიზეზით, რაც უნდა შეამოწმოს სოფლის საბჭომ და დაადასტუროს თავისი დადგენილებით.

17. გადასახლებად ჩაითვლება მიწის მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც იგი უკვე არსებული წესით მიწას ახალ ადგილზე მიიღებს, ხოლო ძველ ადგილზე მეურნეობას მოსპობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მიწის ჩამორთმევა მიწათმოწყობის დროს (ნორმაზე მეტი მიწა) ყველა რეთვე მელიორაციისა და გზების გაკეთებისა ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის მოხდება განსაზღვრული წესების თანახმად (ნაწილი III).

19. ამა კოდექსით დაკანონებულ ნორმაზე მეტი მიწა მიწის მოსარგებლეს უნდა ჩამოერთვას და გადავიდეს სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში; ამასთანავე თვით მიწის მოსარგებლეს უფლება აქვს აირჩიოს მისი ყოფილი საკუთრებიდან ნორმის ფარგლებში მიწის მთლიანი ნაკვეთები, ხოლო ნაკვეთების დაქუცმაცება-კი არ შეუძლიან; მიწის მოსარგებლეს ერთი ნორმის ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს მიწა სხვა და სხვა სოფელში, უკეთუ ყველა მიწას თავისი ან თავის ოჯახის წევრთა შრომით ამუშავებს.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევებში მაზრის საადგილ-მამულო ორგანოებს უფლება ეძლევათ არ მისცენ მიწის არჩევის ნება ამა თუ იმ პირს.

20. როცა მიწის მუშას არსებული წესისამებრ ჩამოერთმევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ნორმის ფარგალში, მიწა ან ისეთი ნაწილი მიწისა, ურომლოთაც გაძნელდება ან მიზანშეუწონელი გახდება დარჩენილი მიწის სარგებლობა, ასეთ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს უნდა მიეცეს სხვა ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს ზარალი.

21. მიწის მოსარგებლეს, თანახმად არსებული კანონებისა, უფლება აქვს: ა) გამოიყენოს და ისარგებლოს მიწა ისე, როგორც თითონ დაინახავს საჭიროდ და ბ) ააგოს შენობები, მოაწყოს ნაგებობანი და გამოიყენოს მეურნეობისა და საბინაო საჭიროებისათვის.

მიწის მოსარგებლეს უფლება არა აქვს თავის მიწაზე ააშენოს, მოაწყოს ან მოიმოქმედოს ისეთი რამე, რითაც დაარღვევს მეზობელ მიწის მოსარგებლეთა არსებითი ინტერესებს.

22. ნორმაში დატოვებულ მიწის გაუმჯობესება არ გამოიწვევს მიწის ნორმის შემცირებას.

23. ყველა ნაგებობა, შენობა, ნათესი, მცენარე და, საერთოდ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას.

24. უკეთუ მიწის მოსარგებლის საადგილ-მამულო უფლება დარღვეულ იქნა ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოდ ჩაერია, სახალხო მოსამართლე, მიწის მოსარგებლის თხოვნით, ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში დღიდან უფლების დარღვევისა, საქმის არსებითად განხილვამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწის სარგებლობა.

25. მიწის ყიდვა, გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გაჩუქება და დაგირავება აკრძალულია; ამის დამრღვევი დაისჯება სისხლის სამართლის წესით, გარდა ამისა ჰკარგავს იმ მიწას, რაც მის სარგებლობაშია, ხოლო თვით ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი II.

მიწის შრომითი იჯარა.

26. იმ მეურნეობას, რომელიც დროებით დაუძლურდება სტიქიური უბედურებისა (მოუსავლობა, ხანძარი, საქონლის გაწყდომა და სხვ.) ან ინვენტარისა და მუშა-ძალის ნაკლებობის გამო ან იმის გამო, რომ ეს მუშა-ძალა შემცირდება სიკვდილისა, სამხედრო სამსახურში მობილიზაციით ან ბეგარით გაწვევისა, ან და საბჭოთა ან საზოგადოებრივ სამსახურში არჩევის მიზეზით,—შეუძლიან მიწა იჯარით გასცეს ქვემო მუხლებში აღნიშნული პირობების მიხედვით; იჯარის გადახდა შეიძლება ფულით, ჭირნახულით ან სხვა სახით.

27. მიწის იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს; განსაკუთრებულ შემთხვევაში (როცა, მაგალითად, მიწას იჯარით გასცემს ქვრივი დედაკაცი უშვილო ან წვრილი ობლებიანი) რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან განუგრძოს იჯარის ვადა ექვს წლამდე; უკეთუ ამ ვადის გასვლის შემდეგაც იჯარით მიწის გამცემი ვერ შესძლებს თავის მიწის თითონ შემუშავებას, ასეთ შემთხვევაში იჯარის ხელახლად განგრძობა დამოკიდებულია სამაზრო საადგილმამულო ორგანოზე; უკეთუ აღნიშნული ორგანოები იჯარის ვადას არ განუგრძობენ, მიწა გადაირიცხება სათადარიგო ფონდში.

28. მიწის იჯარა შეიძლება იყოს მხოლოდ შრომითი; არავის არ შეუძლია იჯარით აიღოს იმაზე მეტი მიწა, რასაც იჯარის ამღები, გარდა თავისი მიწისა, შესძლებს შეიმუშაოს საკუთარი და თავისი ოჯახის წევრთა შრომით.

29. სოფლის საბჭოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სანქციით, შეუძლიან გასცეს იჯარით ათპროცენტიანი სათადარიგო მიწა (მუხ. 149), მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს მიწა სოფელს არ ესაჭიროება საბალახოდ, და იმ პირობით, რომ შემოსული იჯარა მოხმარდეს სოფლის საერთო საჭიროებას.

30. საიჯარო ხელშეკრულება ან საამისო დამატებითი პირობები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც რეგისტრაცია გაუკეთდება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში—უკეთუ იჯარით გაიცემა ყველა მიწის ნახევარზე მეტი, და სასოფლო საბჭოში—უკეთუ იჯარით გაიცემა ნახევარზე ნაკლები; აღმასრულებელ კომიტეტს ან საბჭოს რეგისტრაციაზე უარის თქმა შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ საიჯარო ხელშეკრულების პირობები კანონს ეწინააღმდეგება.

31. იჯარის ხელშეკრულება შეიძლება იქნეს წერილობითი ან სიტყვიერი; ამასთანავე სიტყვიერი ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს მხარეთა მიერ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან სასოფლო საბჭოს წევრის თანადასწრებით და შეტანილი ხელშეკრულებათა დავთარში.

შენიშვნა. რეგისტრაცია უფასოა.

32. იჯარით მიწის გაცემის უფლება არა აქვს ისეთ კომლს, რომელიც სხვა ადგილზე გადასახლებისა ან სხვა საქმეზე გადასვლის გამო სრულიად მოსპობს საკუთარ მეურნეობას.

33. მოიჯარადრე, ხელშეკრულების თანახმად, მოვალეა ეწეოდეს მეურნეობას იჯარით აღებულ მიწაზე, როგორც მუყაითი და წინდახედული პატრონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ შეუძლიან მიწა სხვას გადასცეს; იმ გადასახადებს, რაც დაედება იჯარით აღებულ მიწას იჯარის ვადის განმავლობაში, გადაიხდის მოიჯარადრე.

შენიშვნა. იჯარის ხელშეკრულებაში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს ის გაუმჯობესებანი, რაც უნდა მოახდინოს მოიჯარადრემ იჯარით აღებულ მიწაზე, და აგრეთვე ის პირობებიც, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს ანგარიშის გასწორება მიწის იჯარით გამცემთან, თუ მოიჯარადრემ სრულად ვერ გამოიყენა ეს გაუმჯობესებანი მეურნეობისათვის.

34. საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება მოშლილ იქნეს მიწის იჯარით გამცემის ან საადგილ-მამულო ორგანოების მოთხოვნით ვადის გათავებამდე იმ შემთხვევაში, უკეთუ მოიჯარადრემ დაარღვია წინა მუხლში აღნიშნული პირობები ან არ შეასრულა საიჯარო ხელშეკრულების პირობები; ხელშეკრულების მოშლა და ამისაგან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის შედეგების განსაზღვრა ორივე მხარისათვის მოხდება საერთო სასამართლოს წესით.

35. იჯარის ვადის გათავების შემდეგ მიწა დაებრუნება პატრონს ყველა იმ გაუმჯობესებით, რომელიც მოახდინა მოიჯარადრემ და რომლის აცლაც მიწიდან არ შეიძლება ამ მიწის მეურნეობრივი გამოსადეგობის დაუზიანებლად; თანაც ანგარიშის გასწორება, სხვათა შორის იჯარის ამღების მიერ გამოუყენებელი გაუმჯობესებისთვისაც, მოხდება დადებული ხელშეკრულებისა ან დამატებითი პირობების თანახმად.

36. საიჯარო ურთიერთობის და პირობების წესიერად შესრულებას თვალყურს ადევნებს ის დაწესებულება, რომელმაც გაატარა რეგისტრაციაში ხელშეკრულება, ე. ი. ან სასოფლო საბჭო ან რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი; იჯარით გამოწვეული ყოველგვარი დავის გადაწყვეტა და მოშლა ისეთი საიჯარო ხელშეკრულებისა, რომლის პირობებიც მეტის-მეტად მძიმე იქნება, მოხდება სასამართლოს წესით.

კარი III.

დამხმარე დაქირავებული შრომა სამიწათმოქმედო შრომითი მეურნეობაში.

37. დაქირავებული შრომის სარგებლობა შეუძლიან: ა) მშრომელ მიწის მოსარგებლეს, უკეთუ იგი მუშა-ხელისა ან ინვენტარის ნაკლებობის გამო დროზე ვერ ასწრებს საჭირო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დამქირავებლის ოჯახის ყველა სახლში მყოფი შრომის უნარისმქონე წევრი თვით მუშაობდეს დაქირავებულ მუშასთან ერთად, და ბ) იმას, ვისაც, ამა კოდექსის 26 მუხ. მიხედვით, მიწის იჯარით გაცემის უფლება აქვს.

38. დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ შესრულებულ იქნება სოფლის მეურნეობისათვის მიღებული შრომის დაცვისა და მოწესრიგების კანონი.

შენიშვნა. შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების მეთვალყურეობისა და კონტროლის წესებს განსაზღვრავს შრომის სახალხო კომისარიატი მიწათმოქმედების სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

კარი IV.

კომლი (შრომითი მიწის მეურნეობა).

თავი 1.

კომლის შედგენილობა.

39. კომლად ჩაითვლება საოჯახო-შრომითი კავშირი ერთი ან რამდენიმე მიწის მუშა ოჯახის წევრებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ეწევიან მეურნეობას; კომლი შეიძლება შესდგებოდეს ერთი უოჯახო პირისაგანაც, განურჩევლად სქესისა.

შენიშვნა. ოჯახად კომლის შედგენილობაში ჩაითვლება: ა) ცოლ-ქმარი, ბ) შვილებიანი ქვრივი-კაცი ან ქალი და გ) უდედ-მამო ობლები.

40. კომლის წევრებად ჩაითვლება როგორც ყველა სახლში მყოფი მისი მონაწილე, განურჩევლად წლოვანებისა, ისე დროებით სამუშაოზე წასულნი, რომლებიც კანონიერი წესით არ არიან ამორიცხული ოჯახიდან; კომლის შედგენილობა იზრდება დაქორწინებით ან შვილად აყვანით და მცირდება წევრების ოჯახიდან გამოსვლით ან სიკვდილით.

შენიშვნა. ჩასიძებულს, რძლად მოყვანილს ან ნაშვილევს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, როგორც ძირითად წევრს, და სხვა ოჯახში მიწის სარგებლობის უფლება ეკარგება.

41. უფლება იმ მიწაზე, შენობაზე და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, რაც კომლის განკარგულებაშია, ეკუთვნის კომლის ყველა წევრს ერთად, სქესისა და წლოვანების განურჩევლად.

42. კომლის წარმომადგენლად სამეურნეო-საოჯახო საქმეში ითვლება კომლის მეთაური მამაკაცი ან დედაკაცი.

43. უკეთუ კომლის მეთაურს უხეიროდ მიჰყავს მეურნეობა, რაც კომლის მეურნეობას განადგურებას უქადის, იგი შეიძლება რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გადაყენებულ იქნეს კომლის საქმეების გაძღოლიდან და მის მაგივრად დაინიშნოს სხვა იმავე კომლის წევრთაგანი; რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება უნდა ემყარებოდეს კომლის სრულწლოვან წევრთა უმრავლესობის განცხადებას და სასოფლო საბჭოს დასკვნას.

შენიშვნა. უკეთუ რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა თხოვნა მეთაურის გამოცვლის შესახებ, მომჩივანთ შეუძლიანთ თავისი საჩივრით მიმართონ სახალხო სასამართლოს.

44. უკეთუ კომლში დარჩენ მხოლოდ მცირეწლოვანნი, სასოფლო საბჭო დაუნიშნავს მათ მეურვეს თანახმად მეურვეობის კანონისა.

45. სასამართლოს არ შეუძლიან გადასწყვიტოს, რომ კომლის ქონებიდან გასტუმრებულ იქნეს კომლის წევრთა (მათ შორის კომლის მეთაურისაც) ისეთი ვალი, რაც აღებულია წევრის პირადი საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. თვითეული კომლი და მის შედგენილობაში მომხდარი ცვლილება გატარებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ რეგისტრაციაში კომლის ყველა წევრისა და მეთაურის დასახელებით; რეგისტრაციაში შეტანაზე უარისთქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სახალხო სასამართლოში ორი კვირის ვადაზე.

თ ა ვ ი 2.

კ ო მ ლ ი ს გ ა ყ რ ა.

47. კომლის გაყოფა ნიშნავს იმას, რომ მისი მიწები და საერთო ქონება განაწილდება კომლის შემადგენელ ოჯახებსა ან წევრთა შორის, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, ცალკე სარგებლობისათვის.

48. კომლის მიწების გაყოფა-განაწილება კომლის შემადგენელ ოჯახთა ან წევრთა შორის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თვითეულ განაყოფს შეხვდება ცალკე მეურნეობის საწარმოებლად საკმაო მიწა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ ნახევარი კანონიერი ნორმისა; წინააღმდეგ შემთხვევებში გაიყოფა მხოლოდ კომლის საერთო ქონება.

49. კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება არა აქვს იმ პირს, ვისაც არ შესრულებია 18 წელი, და აგრეთვე იმ პირს, ვისაც არ მიუღია პირადი შრომით ან საღსარით მონაწილეობა კომლის მეურნეობაში სამის წლის განმავლობაში.

შენიშვნა. ეს მუხლი არ შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა ოჯახის წევრს არ მიუღია მეურნეობაში მონაწილეობა სამხედრო სამსახურში გაწვევისა, მობილიზაციისა, საბჭოთა სამსახურში არჩევისა, ავადმყოფობისა ან სასწავლებელში მოსწავლეთ ყოფნის გამო.

50. მიწებისა და ქონების გაყოფა მოხდება ნატურად, თანაც ქონების (და არა მიწების) გაყოფის დროს შეიძლება ერთი საგანი მეორე საგნის ანგარიშში ჩაითვალოს და აგრეთვე ანგარიშის გასწორება მოხდეს ფულით ან ჭირნახულით ხვედრი წილის მიხედვით.

51. გაიყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია; კომლის ცალკე წევრების მოთხოვნით, გასაყოფ ქონებიდან გამოირიცხება ამა თუ იმ წევრის პირადი სარგებლობის ქონება, რომლის შესახებაც მოსარგებლე დაამტკიცებს, რომ ქონება შეძენილია მის პირად ხარჯით და აგრეთვე ისეთი ქონება, რომელიც ითვლება, თანახმად ადგილობრივ ადათ-ჩვეულებისა, ცალკე პირთა კუთვნილებად.

52. ისინი, ვინც გაყრას აპირებს, მიწა და ქონების გაყოფისათვის წარადგენენ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტში სარეგისტრაციოდ გაყოფის ფარდის ქაღალდს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) როდის და კომლის რომელ წევრთა შორის მოხდა შეთანხმება გაყოფის შესახებ, ბ) რომელი მიწის ნაკვეთია გასაყოფი (სახელწოდება, ზომა, რა და რა მიწაა და საზღვრები) და რომელ წევრს ჰხვდა წილად ან როგორ განაწილდა ის წევრებს შორის, გ) რა ქონებაა გასაყოფი და როგორ განაწილდა, დ) გაყოფის შესრულების ვადა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, ე) სხვა პირობები, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და რომლის შეტანაც გაყოფის ფარდის ქაღალდში საჭიროდ მიაჩნიათ შეთანხმების მონაწილეთ და ვ) მათი ხელის მოწერა.

53. რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან უარი სთქვას ფარდის ქაღალდის რეგისტრაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი პირობები კანონს ეწინააღმდეგება; საჩივარი რეგისტრაციის უარყოფაზე უნდა შეტანილ იქნეს ორი კვირის ვადაზე სახალხო სასამართლოში.

54. უკეთუ გაყრის მსურველთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება არ მოხერხდა, გაყრა უნდა მოხდეს საერთო სასამართლოს წესით; რისთვისაც მხარენი მიმართავენ სასამართლოს; ამ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შეიტანს რეგისტრაციაში გაყოფის ფარდის ქაღალდს სასამართლოში საქმის გათავების შემდეგ, როცა გადაწყვეტილება ძალაში შევა.

55. ადგილ-მამულის გაყოფის გამო ამტყდარი დავის გარჩევის დროს სახალხო მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, შეხვდება თუ არა თვითეულს ცალკე გამოყოფის მსურველ ოჯახს ცალკე მეურნეობის საწარმოებლად საკმაო მიწა (მუხ. 48) ან მოიპოება თუ არა სოფელში სათადარიგო მიწის ფონდი (მუხ. 149), საიდანაც შეიძლებოდეს გამოყოფის მსურველთა დაკმაყოფილება, და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდენს კომლის ადგილ-მამულის გაყოფას.

თ ა ვ ი 3.

ღონისძიებანი მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ.

56. აკრძალულია გაყოფა ისეთი კომლის მიწა-ადგილისა, რომელსაც ერთ კანონიერ მიწის ნორმის ნახევარზე მეტი მიწა არა აქვს; როცა ასეთი კომლიდან გამოყოფას მოისურვებს ცალკე ოჯახი ან წევრი, მას ეძლევა მისი წილი ქონება (და არა მიწა) ფულად ან ნატურად.

57. კომლის ქონების გაყოფის დროს, უკეთუ საქმე სასამართლომდე მივა, და ეს უკანასკნელი გადასწყვეტს გამოყოფის მსურველის ფულით დაკმაყოფილებას, მას არ შეუძლიან გადაუწყვიტოს გამოყოფის მსურველს კომლის ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი; კომლში დარჩენილთა მოთხოვნით განაყოფის დაკმაყოფილება შეიძლება ნაწილ-ნაწილ მოხდეს ხუთი წლის განმავლობაში, უსარგებლოდ.

58. გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში შეტანილი არ არის, კანონიერად არ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში კომლი, რომელმაც ფაქტიურად დაანაწილა თავისი მიწა და ქონება, მაგრამ ეს გაყოფა არ იქნა დამტკიცებული რეგისტრაციით, ჩაითვლება მიწათმოწყობის და საფონდო მიწების განაწილების დროს ერთ გაუყოფელ კომლად, ხოლო სახელმწიფო და სხვა გადასახადს, გამოასაღებს და ბეგარას თვითეული განაყოფი ცალკე იხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი V.

მიწის სარგებლობის წესი.

თავი 1.

ზოგადი დებულებანი.

59. მიწის სარგებლობის წესი შეიძლება იყოს: ა) **ნაჭრობითი,** როცა კომლს უჭირავს მიწის ერთი ან რამდენიმე ცალკე ნაკვეთი უვადო და მუდმივ სარგებლობაში, ბ) **საამხანაგო,** როცა მიწას საერთოდ სარგებლობს და ამუშავებს კომუნა, არტელი ან ამხანაგობა და გ) **სათემო,**—მიწების ხელახალი თანასწორი დაყოფით.

თავი 2.

მიწის ნორმა.

60. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (ოჯახი) და მიწის ავკარგიანობა.

61. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველისა და ცხინვალის ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანისა და საგურამოს სააგრარო რაიონებისა; თიანეთის მაზრა, გარდა მთიან ფშავხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის კაჩაგანისა, დემურჩი-გასანლინისა, გიაურარხისა, არუხლო-სარვანის და აშაღა-სარალის სასოფლო საზოგადოებანი და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს: თიანეთისა, სიღნაღისა, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყრის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს: მტკვრისა და ლიახვის ხეობა გორის მაზრის საზღვრებში ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანის და საგურამოს სააგრარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი) და

მეხუთე რაიონს—იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

შენიშვნა 1. სააგრარო რაიონების შედგენილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შენიშვნა 2. დაყას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადასწყვეტს საბოლოოდ მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე, ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლია.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი და

მეოთხეში: ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩირგვნარი.

შენიშვნა. გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც მაგალითად: გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამ, უკეთუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

63. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე; საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითეული სამეურნეო ერთეული 3—5 სულისაგან შემდგარი; როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მეათედი, და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

შენიშვნა. ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლეც 25 წლის ასაკამდე.

64. მიწის ნორმა, რომელიც დაეტოვება თითო ოჯახს, შემდეგია:

რაიონი	კ ა ტ ე გ ო რ ი ა დ ე ს ე ტ ი ნ ო ბ ი თ.			
	I	II	III	IV
პირველი .	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე . .	ოთხნახევარი	ექვსი	შვიდნახევარი	ცხრა
მესამე . .	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდნახევარი
მეოთხე . .	სამნახევარი	ხუთი	ექვსნახევარი	რვა
მეხუთე . .	ორნახევარი	ოთხი	ხუთი	ექვსი

65. მიწის ნორმა ყოფილ მესაკუთრეს დაეტოვება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი სცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

66. დაეტოვება მიწის ნორმა: ა) ადგილობრივ მცხოვრებ შრომის უნარდაკარგულ მოხუცებულთ და ქვრივ-ობოლთ, უკეთუ ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ, ბ) მიწის მუშა წითელ-არმიელთ, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამსახურეთ, როცა ისინი დროებით არიან მოწყვეტილი მეურნეობას.

67. დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა სასოფლო საბჭოთა თანხმობით: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრის და რაიონის აღმასრულებელი კომიტეტების და სასოფლო საბჭოების თანამშრომელთ, და დ) აგრონომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მოხსენებულთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი თავიანთ სასოფლო მეურნეობასთან, და როცა ამ მუხლის **ბ, გ** და **დ** პუნქტებში მოხსენებულნი მსახურებენ იმ მაზრაში, სადაც აქვთ საკუთარი მეურნეობა.

თ ა ვ ი 3.

მიწის სათემო სარგებლობა.

68. მიწის სათემო სარგებლობის დროს თვითეულ კომლს უფლება აქვს ისარგებლოს მიწა არა უმეტეს 64 მუხლით დაწესებულ ნორმისა.

69. წესები მიწის ხელახალი თანასწორი დაყოფისა განისაზღვრება თემის საადგილ-მამულო წესდებაში, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს ხელახლად დასაყოფი მიწები, ვადა ხელახლად დაყოფისა და წესი საერთო სარგებლობაში დარჩენილი მიწების გამოყენებისა.

70. მიწის სათემო სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო მიწის სარგებლობის ფარგლიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

71. უკეთუ სოფელმა უარჰყო მიწის სათემო სარგებლობის წესი, გადავიდა ნაჭრობითი მიწის სარგებლობაზე, მაგრამ შემდეგში კვლავ მოისურვა სათემო წყობილების შემოღება მიწის სარგებლობაში, თხოვნა ამის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას მოითხოვს სოფლის მეკომურთა არა ნაკლებ სამი მეოთხედისა; ყოველ შემთხვევაში, მათ, ვინც არ იქნება თანახმა სათემო წესის დაბრუნებისა, შეუძლიანთ დაიტოვონ თავიანთი მიწები ცალკე სარგებლობაში ან მიიღონ ხვედრი მიწა ხელახალი დაყოფის დროს ცალკე ნაკვეთად, თუ ამას თითონ მოისურვებენ.

თ ა ვ ი 4.

საამხანაგო მიწის სარგებლობა.

72. მიწის საამხანაგო წესით სარგებლობის დროს ამხანაგობის თვითეულ წევრს უფლება აქვს სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის საერთო მიწების სარგებლობაში; ამხანაგობის ცალკე წევრებს მთავარი მნიშვნელობის მიწებიდან ცალკე სარგებლობისათვის ნაკვეთი არ მიეცემათ.

73. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა მიწის სარგებლობის საამხანაგო წესით დაარსდება იმ მიზნით, რათა საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული ამხანაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წევრთა შრომა და წესიერად იქნეს წარმოებული სოფლის მეურნეობა ამ-ხანაგობაში შემავალ მიწის მოსარგებლეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების ნია-დაგზე ისე, რომ ამხანაგების სარგებლობაში წინად ქონებული ყველა მიწა ან ზოგიერთი მიწა შეერთებულ იქნება საერთო სარგებლობისათვის.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას არ შეიძლება ჰქონდეს მიწა ამა კოდექსით დაწესებულ ნორმაზე მეტი ამხანაგობის წევრთა რიცხვის მიხედვით.

74. ამხანაგობის დასაარსებლად უნდა შესდგეს: ა) დამფუძნებელი განაჩენი (ხელშეკრულება), ბ) წესდება და გ) მიწის მიცემის აქტი; თუ ამხანაგობა დროებითია, წესდების და მიწის მიცემის აქტი სავალდებულო არ არის.

75. დამფუძნებელ განაჩენში (ხელშეკრულება) აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) ამხანაგობის სახელწოდება და მიზანი, ბ) რიცხვი და სახელი წევრებისა, რომ-ლებიც შედიან ამხანაგობაში (კომუნაში ან არტელში) და გ) რაოდენობა საამხანაგო სარგებლობისათვის შეერთებული ან მიცემული მიწისა.

76. ამხანაგობის წესდებაში, გარდა მისი სახელწოდებისა და მუდმივი სამ-ყოფი ადგილისა, აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) ახალი წევრების მიღებისა და ძვე-ლი წევრების გამოსვლის პირობები, ბ) ინვენტარის შეძენისა და გამოყენების წესი, გ) ამხანაგობის წევრების შრომისა, მათი წარმოების იარაღისა და სხვა ქონების გაერთიანების განსაზღვრა, დ) მიწის საერთოდ შემუშავების და სამე-ურნეო შრომაში წევრების მონაწილეობის წესები, ე) საერთო შრომით შემუშა-ვებული მიწებიდან მიღებული პროდუქტების განაწილების ზოგადი წესი, ვ) სა-ერთო სახსარის (თანხის) შექმნის საშუალება, ზ) ამხანაგობის ლიკვიდაციის წე-სი და სხვა პირობები, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და რასაც ამხანაგობა საჭიროდ დაინახავს.

შენიშვნა. მიწათმოქმედების კომისარიატს ევალება შეიმუშაოს და გამოსცეს სხვა და სხვა გვარი ამხანაგობის ნორმალური დამფუძნებელი გა-ნაჩენი და წესდება.

77. იმ წევრს, რომელიც გამოვა ამხანაგობიდან, უფლება აქვს მოითხო-ვოს მის მიერ საერთო საქმეში შეტანილი შრომისა და ამხანაგობის საერთო ქონებაში დატოვებული თავისი წილის ანაზღაურება; ამავე დროს ამხანაგობა-საც უფლება აქვს გადაახდევინოს გამსვლელ წევრს სათანადო წილი იმ ზარა-ლისა, რაც ამხანაგობას მოჰსვლია წევრის გასვლამდე.

შენიშვნა 1. უკეთუ ამხანაგობის წევრი გამოვა ამხანაგობიდან მო-სავლის აღებამდე, მას უფლება აქვს მიიღოს ამ მოსავლიდან სათანადოდ შემცირებული წილი.

შენიშვნა 2. ყოველგვარი დავა, ამხანაგობის ლიკვიდაციით ან ამ-ხანაგობიდან გამოსვლით გამოწვეული, გადაწყდება საერთო სასამართლოს წესით.

78. უკეთუ ამხანაგობა კანონიერის გზით გადავა მიწის ნაჭრობითი სარ-გებლობაზე ან სულ გაუქმდება, თვითეული მისი წევრის ხვედრი მიწა გა-მორკვეულ უნდა იქნეს ამხანაგობის წესდების თანახმად, ხოლო უკეთუ წესდე-ბაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ამხანაგობის წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. უკეთუ გაუქმებული ამხანაგობის სარგებლობაში ქონებული მიწა გადაცემული იყო საადგილ-მამულო ორგანოების მიერ, იგი მიწა ამავე ორგანოებს დაებრუნება.

79. სასოფლო-სამეურნეო კომუნას, ამხანაგობას ან არტელს .შეიძლება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით კულტურულად შემუშავებული მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ კოლექტივში შევლენ იმ სოფლის (ან მომიჯნავე სოფლის) უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონენი, სადაც მდებარეობს მამული; ასეთ კოლექტივში შეიძლება მიღება ერთი ან რამდენიმე გარეშე პირისა, თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნით საჭირონი იქნებიან ამხანაგობისათვის.

თ ა ვ ი 5.

მიწის საერთო-საზოგადო შემუშავება.

80. თვითეულ სოფელს ან მის ნაწილს, მიუხედავად მიწის სარგებლობის ფორმისა, შეუძლიან თავის მეკომურთა უმრავლესობის დადგენილებით მოაწყოს თავისი მიწებისა ან მათი ნაწილის საერთო-საზოგადო დამუშავება, თავიანთი შრომისა, ინვენტარისა და სხვა საშუალებათა შეერთებით, ხვნისა, თესვისა, თოხნისა, გამარგვლისა და მოსავლის აღების დროს.

81. პირობები და წესი მიწის საერთო-საზოგადო შემუშავებისა შეტანილ უნდა იქნეს ცალკე ოქმში, რომელსაც დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

ბ ა რ ი VI.

ს ა მ ო ს ა ხ ლ ო ე ბ ი.

82. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია, აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟ. ერთ ნაჭრად; ეს სამოსახლო ადგილი საერთო მიწის ნორმაში (მუხ. 64.) არ ჩაითვლება.

შენიშვნა. არა სოფლის მეურნეთ, რომელთა სამოსახლო ნაკვეთი 1200 კვ. საჟენზე ნაკლებია, დანაკლისი არ შეევსებათ.

83. როცა სამოსახლოს ზედ აკრავს იმდენი მიწა, რომ მთელი ნაკვეთი აღემატება 1200 კვ. საჟ., მის პატრონს, თუ მას მიწის ნორმის მიღების უფლება აქვს, უნდა დაეტოვოს მხოლოდ კულტურულად გაშენებული ნაწილი (ვენახი, ბაღი, ბოსტანი, კარზე ტყე და სხვ.) პირველ კატეგორიის მიწის ანგარიშით; კარმიდამოს შეუმუშავებელი ან არა კულტურულად შემუშავებული ნაწილი უნდა ჩამორთმეულ იქნეს, უკეთუ მას საჭიროებს საადგილ-მამულო ორგანო სოფლის მცხოვრებთათვის სამოსახლოს მისაცემად.

84. როცა სამოსახლო 300 კვ. საჟენზე ნაკლებია, პატრონს, უკეთუ იგი სოფლის მეურნეა, აეკრძალება ასეთ სამოსახლოზე ახალი სახლის აგება; ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სოფლის მეურნეს უფლება აქვს მის სარგებლობაში ქონებული 300 კვ. საჟენზე ნაკლებ სამოსახლოზედაკ ააგოს ახალი სახლი, უკეთუ საადგილ-მამულო ორგანო არ მისცემს მას, მისივე არჩევით, მაგიერ მიწას.

85. სოფლის მცხოვრებთ შეუძლიანთ ითხოვონ სოფლის ახალ გეგმაზე მოწყობა ან სხვა ადგილზე გადატანა; ასეთი თხოვნა, სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიის დასკვნით, გაიგზავნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად.

ნაწილი მეოთხე.

ქალაქის მიწები და სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება.

კარი I.

ქალაქის მიწები.

თავი I.

ქალაქის მიჯნა.

86. 1923 წლის აპრილის 12-დან ქალაქების მომქმედი მიჯნის შიგნით მდებარე ყველა მიწა ჩაითვლება ქალაქის მიწად; გარდა ამისა, ქალაქების სარგებლობაში მტკიცდება ქვემოდ აღნიშნული სოფლად მდებარე მიწები; ქალაქის ტერიტორიის გაფართოება საქალაქო მიჯნის გადაწევით სოფლის მიწებზე, ე. ი. სოფლის მიწების შემომატება, მოხდება ამა კოდექსის 88 მუხლის საფუძველზე.

87. ქალაქის მიჯნათ ჩაითვლება გარეთი საზღვარი როგორც შენობიანი, ისე უშენობო მიწებისა, რაც 1923 წლის აპრილის 12-თვის ქალაქის საბჭოს გამგებლობაში იყო, და აგრეთვე საზღვარი ქალაქის მიჯნაზე მიკრული ყოფილი საქალაქო მიწებისა, უკეთუ ეს მიწები სოფლის მოსახლეობის ან მუშათა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში არ არის.

შენიშვნა. განსაზღვრა მომქმედი საქალაქო მიჯნისა ადგილზე ან გეგმაზე მთელ მის სიგრძეზე ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს, უკეთუ საჭირო იქნება, მიწათმოწყობის წესით პირველ რიგში როგორც ქალაქის საბჭოს განცხადებით, ისე ქალაქის მიდამოების მცხოვრებთა განცხადებით.

88. უკეთუ ქალაქის გაფართოებისათვის აუცილებელი იქნება არსებული საქალაქო მიჯნის შეცვლა და ახალის დამყარება, საკითხი ამის შესახებ უნდა აღძრას ქალაქის საბჭომ ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა; ახალი საქალაქო მიჯნის დამყარების საქმე სწარმოებს მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ; როცა შეთანხმება ქალაქსა და სოფელს შორის არ მოხერხდება, საქმე საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს; ახალი მიჯნის დამტკიცებული პროექტი მოჰყავს სისრულეში საადგილ-მამულო ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. ყველა მიწა, მდებარე მომქმედი საქალაქო მიჯნის გარეთ, ვის-გებლობაშიაც უნდა იყოს იგი, შედის სოფლის ტერიტორიაში, არის საადგილ-მამულო ორგანოების გამგებლობაში და მათზე გავრცელდება მიწის კოდექსის სათანადო დადგენილება; მიწა, რომელიც ქალაქის კომუნალურ წარმოებას მოხ-მარდება (წყალსადენს, მორწყვას, საბჭოთა მეურნეობას და სხვ.) მტკიცდება ამ წარმოების სარგებლობაში.

90. ქალაქის მიჯნის გარეთ მდებარე მიწები, კანონიერად გადაცემული ისეთ დაწესებულება-საწარმოსათვის, რომელიც კომუნალურ მართველობის შედგენილობაში არ შედის, მტკიცდება ამ დაწესებულებათა სარგებლობაში.

91. რათა თავიდან აცილებულ იქნეს უწესრიგო აღნაგობა იმ მიწებზე, რაც მომავლში შეიძლება შევიდეს ქალაქის მიჯნაში, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა, მიუხედავათ ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებისა, შეადგინოს გეგმა და წესი ქალაქის მიჯნის გარეთ მდებარე მიწებზე აღნაგობისათვის; დღიდან ამ გეგმისა და წესის დამტკიცებისა არსებულ წესისამებრ და მცხოვრებთათვის მათი გამოცხადებისა, აიკრძალება ახალი შენობების აგება ან ძველის გაფართო-ება ხსენებულ მიწებზე გარეშე დამტკიცებულ გეგმისა და წესისა, გარდა დრო-ებითი და მსუბუქი შენობებისა; გეგმისა და წესის გარეშე აგებული ან გაფარ-თოებული შენობა დაშლილ იქნება იმ პირთა ხარჯით, ვინც ააშენა, უკეთუ სა-ჭირო იქნება აღნიშნული მიწების ქალაქისათვის გადაცემა.

92. უკეთუ ქალაქის მიჯნაზე მიკრულ მიწებზე დაიწყება აღნაგობა, ან ამ მიწებს დაიჭერს კომუნალური დაწესებულება ან საწარმო, ქალაქის მიჯნა გა-დაწეულ უნდა იქნეს მიწათმოწყობის წარმოების საერთო წესისამებრ, რათა აღნიშნული მიწები მოექცეს ქალაქის მიჯნაში; ამ მუხლში აღნიშნულ შემთხვე-ვისათვის მიწათმოწყობის წარმოების საქმეზე მოწვეულ უნდა იქნენ, როგორც მხარენი: ქალაქის საბჭოსი და რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომად-გენელნი, ყველა დაინტერესებული დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო და კერძო მოსარგებლენი.

93. ამ კარის დებულებანი გავრცელდება აგრეთვე ისეთ ადგილზედაც, რაც არსებული წესით ცნობილი იქნება ქალაქის ტიპის დასახელებულ ადგილად.

თ ა ვ ი 2.

მიწის ნორმები ქალაქად.

94. მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს ქალაქები გაიყოფა სამ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ტფილისი, ბათომი, ქუ-თაისი, სოხუმი და ფოთი, მეორეს — გორი, სიღნაღი, თელავი, ახალსენაკი, ახალ-ციხე, ჭიათურა, ზუგდიდი და ოზურგეთი და მესამეს — ყველა დანარჩენი ქალაქი.

95. პირველი კატეგორიის ქალაქი გაიყოფა სამ ზოლად: შიდა-უბანი, შუა-უბანი და გარეთ-უბანი, მეორე და მესამე კატეგორიის ქალაქები — ორ უბნად: შიდა-უბანი და გარეთ-უბანი.

96. ქალაქის მოსახლეს, რომელსაც ქალაქში აქვს მიწა შენობიანი თუ უშე-ნობო, რამდენ ქალაქში და რამდენი ნაკვეთი მიწითაც უნდა სარგებლობდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტოვება შრომითი სარგებლობაში არჩევის უფლებით გარდა ბინ-სივრცისა, რაც უჭირავს შენობებს, ყველა ქალაქში და ნაკვეთში ერთად, სულ:

	შიდა-უბანში	შუა-უბანში	გარეთ-უბანში
ტფილისსა და ბათომში	200 კვ. საჟ.	300 კვ. საჟ.	300-დან 600 კვ. საჟენამდე.
ქუთაისსა, სოხუმსა და ფოთში . . .	200 „ „	400 „ „	
მეორე კატეგორიის ქალაქებში . . .	200-დან 400 კვ. ს.	—	
მესამე კატეგორიის ქალაქებში . . .	900 კვ. საჟ.	—	იმდენი, რამდენიც დაწესებულია მომიჯნავე სოფლებისათვის ამა კოდექსის 61—64 მუხ. თანახმად.

შენიშვნა 1. მუხლი ესე არ გავრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომელთა შენობები და მიწები ჩამორთმეულია ნაციონალიზაციის ან მუნიციპალიზაციის წესით.

შენიშვნა 2. ქალაქის ფარგლებში მდებარე უშენობო მიწის ნაჭრები, რომელიც ყოფილ მესაკუთრეებს საქართველოს გასაბჭოებამდე არ გამოუყენებიათ, არც შეუმუშავებიათ და არც რაიმე შენობა აუგიათ, უკეთუ ეს მესაკუთრენი მშრომელთა კლასს არ ეკუთვნიან, გადადის ქალაქის საადგილ-მამულო ფონდში.

შენიშვნა 3. ქალაქის საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ ეს ნორმა განსაკუთრებულ შემთხვევაში გაადიდონ, შეამცირონ ან სრულიად გააუქმონ.

97. ქალაქში მცხოვრებ მიწის-მუშა ოჯახს, რომლის ერთად-ერთი საცხოვრებელი წყარო არის სასოფლო მეურნეობა, უნდა დაეტოვოს სოფელში კანონიერი მიწის ნორმა იმ სივრცის გამოკლებით, რაც მას დაეტოვება ქალაქში, უკეთუ სოფელში მიწას ის ამუშავებს საკუთარის შრომით.

შენიშვნა. იმ მიწის-მუშას, რომელიც არა ნაკლებ ათი წლისა საქართველოს გასაბჭოებამდე მოიჯარადრის სახით შეუწყვეტლივ ამუშავებდა და დღესაც ამუშავებს რაიმე მიწის ნაჭერს, უფლება ეძლევა მიწის ნორმის მიღებისა იმავე მიწიდან იმ რაოდენობით, რაც ნაჩვენებია ამა კოდექსის 96 მუხ. ამა თუ იმ ზოლის მიხედვით, თუ მას სხვაგან არსად მიწა არა აქვს და არც სხვა რაიმე შემოსავლის წყარო გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

98. ქალაქის დაყოფას ზოლებად აწარმოებს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

99. იმ მიწებს გარდა, რაც დატოვებულ იქნება ნორმად, ყველა დანარჩენი, ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწა გადადის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილ-მამულო ფონდს.

შენიშვნა. თვითეული ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილ-მამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც ამტკიცებს შინაგან სამმეთა სახალხო კომისარიატი.

100. მიწათმოწყობას ქალაქის ფარგლებში აწარმოებს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი.

101. მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა კომისარიატებს უფლება აქვთ ურთიერთ შორის შეთანხმებით გამოსცენ წესები და ინსტრუქციები ამ კანონის განსახორციელებლად.

კ ა რ ი II.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება.

თ ა ვ ი 1.

ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

102. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებას შეადგენს: ყველა მიწა, დარჩენილი ერთიან სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში მიწის-მუშათა, სასოფლო-სამეურნეო კავშირთა და ქალაქის მოსახლეობის მიწით დაკმაყოფილების შემდეგ.

103. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების შედგენილობაში არ შედის: ტყიანი მიწები, სამთო-სამრეწველო ადგილები, რკინისგზით, ციხე-სიმაგრეებით და სხვა სამხედრო ნაგებობით დაჭერილი ადგილები. ყველა ასეთი მიწა სათანადო უწყების განკარგულებაშია საამისოდ გამოცემული განსაკუთრებული წესების საფუძველზე. ეს მიწები, როცა საჭირო აღარ იქნება სპეციალურ მიზნისათვის, დაებრუნება სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებას.

შენიშვნა. სპეციალური დანიშნულების მიწების გაცემა და მათი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებაში გადარიცხვა მოხდება მიწათმოწყობის წარმოების საერთო წესისამებრ.

104. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებაში შედის: ა) სახალხო მამულები (საბჭოთა მეურნეობანი), ბ) საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და სხვა შემოსავლიანი საიჯარო ადგილები და გ) საახალშენო მიწები.

105. სახელმწიფო საადგილ მამულო ქონება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მისი ორგანოების საერთო გამგებლობაში და განკარგულებაშია; ამ ქონებას კომისარიატი და მისი ორგანოები გამოიყენებენ ან უშუალოდ მეურნეობის წარმოებისათვის, ან და ისე, რომ გადასცემენ განსაკუთრებულ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას ან
წარმოს და აგრეთვე კერძო პირს.

შენიშვნა. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების ორგანიზაციისათვის და კერძო პირისათვის გადაცემის წესი, პირობები და ვადა განისაზღვრება ცალკე წესებით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

თ ა ვ ი 2.

ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ ი.

106. საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენს მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, რომელიც უნდა გაუხდეს მეცნიერულ-ტეხნიკურ საფუძვლად სოფლის მეურნეობის განვითარებასა და განსაზოგადოებას.

107. დღიდან ამა კოდექსის მოქმედებაში შესვლისა ყველა საბჭოთა მეურნეობა, გარდა 89 მუხ. მეორე ნახევარში მოხსენებულისა, უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

შენიშვნა. ურთიერთი დამოკიდებულება საადგილ-მამულო ორგანოებსა და იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც გადაცემული აქვთ საბჭოთა მეურნეობანი, განისაზღვრება ცალკე წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

108. საადგილ-მამულო ორგანოები ვალდებულ არიან თვალყური ადევნონ, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობას როგორც მათ სარგებლობაში მყოფს, ისე ხელშეკრულებით გაცემულს თავის წარმოებითი და აგრიკულტურულ მუშაობაში მჭიდრო კავშირი ჰქონდეს სოფლის მიწის-მუშა მოსახლეობასთან; ამ მიზნით მეურნეობასთან დაკავშირებულ უნდა იყვნენ აგრიკულტურული საქმის ორგანიზაციები: საქონლის საჯიშოები, სათესლეები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობები, სარემონტო სახელოსნოები და სხვ.

109. ყველა საბჭოთა მეურნეობა არსებობს საადგილ-მამულო ორგანოებთან დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე; ასეთ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა გათვალისწინებულ იქნეს აგრიკულტურული ღონისძიებანი, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა განხორციელდეს შეპირებული ვადის განმავლობაში; ამის გარდა ხელშეკრულებაში აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ მტაცებლური ექსპლოატაცია მიწისა, ინვენტარისა და შენობებისა გამოიწვევს ხელშეკრულების გაუქმებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

შენიშვნა 1. ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობდა ამ კოდექსის მოქმედებაში შესვლამდე საბჭოთა მეურნეობას, ხოლო ფორმალური ხელშეკრულება კი არა ჰქონია, ვალდებულია 2 თვის განმავლობაში დღიდან ამა კოდექსის მოქმედებაში შესვლისა დასდოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადო საადგილ-მამულო ორგანოსთან ხელშეკრულება, წინაალმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს სარგებლობის უფლებას.

შენიშვნა 2. მუხლი ესე არ გავრცელდება 89 მუხლში აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობაზე.

110. ახალი საბჭოთა მეურნეობა მოეწყობა სახელმწიფო ფონდის მიწაზე მხოლოდ მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებით: ან მის მიერ უშუალოდ, ან მისი ნებართვით და მისივე მეთვალყურეობით სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა ან საწარმოს მიერ.

თ ა ვ ი 3.

საძოვრები და სხვა საიჯარო ქონება.

111. მიწათმოქმედების კომისარიატს ევალება საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოწყობა და მათი იჯარით გაცემა; მისივე გამგებლობაში და განკარგულებაშია სათევზაო ადგილები და ქვის სატეხები.

შენიშვნა. რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხის პირობების მიხედვით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს საძოვრებისა და სათევზაო ადგილების შელავათიან სარგებლობის წესებს ადგილობრივ მიწის-მუშა მცხოვრებთათვის და წარუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

112. სათიბებიდან და საზამთრო საძოვრებიდან ცალკე ნაკვეთების გამოყოფა შეიძლება მხოლოდ ინტენსიური მეურნეობისათვის და ყოველ კერძო შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

113. საზაფხულო საძოვრებიდან ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც ბუნებრივი პირობების გამო იძულებული არიან აწარმოონ მარტოოდენ მესაქონლეობა, დაეტოვებათ მუდმივ სარგებლობაში იჯარის გადაუხდელად განსაზღვრული ნორმა საძოვარი მიწისა შემდეგის რაოდენობით: პირველი კატეგორიის საძოვრებიდან ოჯახზე 10 დესეტინა, მეორე კატეგორიის საძოვრებზე—15 დესეტინა და მესამე კატეგორიის საძოვრებზე—20 დესეტინა ოჯახზე.

შენიშვნა 1. პ ი რ ვ ე ლ ი კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება საძოვარი ხშირ და ნოყიერ ბალახიანი, მდიდარი სასმელი წყლით და საქონლისათვის ბუნებრივი თავშესაფარი ადგილებით და თავისუფალი მსხვილი ქვებისა და ჭაობებისაგან; მ ე ო რ ე კატეგორიაში ჩაითვლება ის საძოვარი, სადაც სასმელი წყალი ნაკლებად არის ან დაახლოებით ერთი მესამედი მსხვილქვიანია ან ჭაობიანი; მ ე ს ა მ ე კატეგორიაში ჩაითვლება ყველა დანარჩენი უფრო დაბალი ხარისხის საძოვარი.

შენიშვნა 2. საძოვრის ნორმად დატოვება მოხდება მიწათმოწყობის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე.

მიწათმოწყობა და გადასახლება.

კარი I.

მიწათმოწყობა.

თავი 1.

ზოგადი დებულებანი.

114. მიწათმოწყობის მიზანია არსებულ სასოფლო-სამეურნეო ერთეულთა მიწით დაკმაყოფილება კანონიერ ნორმის ფარგლებში მიწის უფლებისა და სამეურნეო-ტეხნიკური მიზანშეწონილობის თანახმად; აგრეთვე ხელისშეწყობა ახალ სასოფლო-სამეურნეო ერთეულთა შექმნისათვის—საჭირო ზომისა და ფორმის მიწის ნაკვეთების მიცემით.

115. ამა კოდექსის 116—149 მუხ. წესით განხორციელებულ უნდა იქნეს ზემდეგი სამიწათმომწყობო საქმე: ა) მიცემა მიწებისა სარგებლობისათვის სახელმწიფო ორგანიზაციისა, დაწესებულებისა და საწარმოსათვის, ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილისათვის, მიწის მუშათა კავშირისათვის, და აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში (იჯარა, კონცესია და სხვ.) სხვა და სხვა დაწესებულებისა, საზოგადოებისა და კერძო პირისათვის; ბ) შექმნა სპეციალური დანიშნულების საადგილ-მამულო ფონდისა (საახალშენო, საკონცესიო, საძოვრების, სათიბების და სხვ.); გ) ჩამორთმევა მიწებისა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, დ) ქალაქის მიჯნის დამყარება, ე) მიწის მუშათა ამხანაგობების სარგებლობაში ქონებული მიწების გაყოფა, ცალკე კომლთათვის ან კომლთა კავშირებისათვის მიწის გამოყოფა, საადგილ-მამულო ამხანაგობების ყველა მიწების ან ნაწილის დაჭრა ცალ-ცალკე მეურნეობებად, ან ნაკვეთებად (ცალკე კომლთა მეურნეობების გაყოფა; ვ) მოსპობა ან შემცირება მიწების დაქუცმაცებისა, მიწის ნაჭრების ხარვეზობისა (черезполосица), მიწის ნაკვეთების ერთმანეთში სოლივით შეჭრისა, მიწის სიშორისა, საზღვართა უსწორმასწორობისა და სხვ. ნაკლისა მიწის სარგებლობაში; ზ) გზების გაყვანა, ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადატანა და გაუქმება; საქონლის წყლის სასმელი ადგილების მიჩენა და მიწათსარგებლობის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა მიწების ძირითად გაუმჯობესებასთან (მელიორაციასთან) დაკავშირებით; თ) სოფლების ახალ გეგმაზე მოწყობა, ი) სოფლების მიჯნების შესწორება და კ) ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა და ჩამორთმეული მიწის გადაცემა უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე მიწის მუშებისათვის.

116. მიწათმოწყობა სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, ზედამხედველობით და კონტროლით საამისოდ რწმუნებამოსილ მიწისმზომლებ-მიწათმომწყობთა მეშვეობით, რომელთა მოვალეობა და მოქმედება განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით; მიწათმოწყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ადგილობრივი ხელისუფლება მონაწილეობას მიიღებს იმ სოფლის საბჭოს წარმომადგენელთა სახით, სადაც სწარმოებს მიწათმოწყობა; წარმომადგენელი ორზე მეტი არ უნდა იყოს; ამ წარმომადგენლებს აქვთ სათათბირო ხმის უფლება.

117. მიწათმოწყობა სწარმოებს საადგილ-მამულო ორგანოების თაოსნობით: ა) როცა საჭიროა შექმნას ან შესცვალოს სპეციალურ დანიშნულების საადგილ-მამულო ფონდი და ბ) როცა საადგილ-მამულო ორგანო საჭიროთ დაინახავს დაუყოვნებლივ მოსპოს ამა თუ იმ რაიონში მიწის სარგებლობის ისეთი ნაკლი, რაც განსაკუთრებული სიძლიერით ჰვნებს მეურნეობის განვითარებას და ამწვავებს საადგილ-მამულო ურთიერთობას; ყველა დანარჩენ შემთხვევაში მიწათმოწყობა სწარმოებს მხოლოდ დაინტერესებული მხარეების შუამდგომლობით.

118. მიწათმოწყობის მონაწილეს დაეტოვება იმდენი მიწა, რამდენზედაც მას უფლება აქვს ამა კოდექსით; თანაც მეურნეობის გაერთიანებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლას მათი შედარებითი ღირებულების სწორი გამორკვევით.

119. რაოდენობა მიწისა, რაც უნდა მიეცეს მიწათმოწყობის დროს ამა თუ იმ დაწესებულებას ან პირს, განისაზღვრება შემდეგი საფუძველით: ა) ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს და იქ მცხოვრებთ მიწა ეძლევა თანახმად ამა კოდექსის 86, 87 და 96 მუხ.; ბ) მიწის-მუშა ცალკე კომლს და მოახალშენეთ მიწა ეძლევა თავისუფალი საადგილ-მამულო ფონდის მიხედვით, ხოლო არა უმეტეს კანონიერი ნორმისა (მუხ. 64 და 113) და გ) სახელმწიფო დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს, აგრეთვე კერძო საზოგადოებას და პირს (იჯარა, კონცესია და სხვ.) თანახმად ხელშეკრულებისა და სპეციალური განკარგულებისა.

120. მიწათმოწყობა სწარმოებს დაინტერესებულ მხარეთა ან მათი წარმომადგენლების დასწრებით, რომელნიც რწმუნებამოსილ უნდა იყვნენ რწმუნებულობის მიმცემის სახელით შეასრულონ ყოველგვარი მოქმედება, რაც საჭირო იქნება მიწათმოწყობისათვის.

121. სოფლის მიჯნების დამყარების ან შესწორების დროს, მოსაზღვრე მოსარგებლეთა გარდა, გამოწვეულ უნდა იქნენ სასოფლო საბჭოების წარმომადგენელნი, ხოლო როცა სოფლის მიჯნა იმავე დროს მაზრის მიჯნაც არის, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებიც.

122. მიწათმოწყობის მონაწილენი დაბარებულნი უნდა იქნენ სამუშაოზე იმ ანგარიშით, რომ მათ მუშაობას დანიშნულ დროზე მოუსწრონ; დაგვიანებით გამოცხადებულ მონაწილეს შეუძლიან ითხოვოს შესწორებულ იქნეს მის მოსვლამდე შესრულებული სამუშაო, რის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მთხოვნელის დაგვიანებას პატივსადები მიზეზი ჰქონდა (ძძიმე ავადმყოფობა, სტიქიური უბედურობა და სხვ.).

123. მიწისმომწყობთ უფლება აქვთ თავის შეხედულობით მოიწვიონ სანდო გარეშე პირი, როგორც დამსწრე და მოწმე ყველა იმისა, რაც მიწათმოწყობის დროს მოხდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი Ე.

მიწათმოწყობის საქმეთა წარმოება.

124. მიწათმოწყობის საქმე სწარმოებს შემდეგის თანდათანობით: ა) მიწათმოწყობის საქმის აღძვრა, ბ) მიწათმოწყობის საქმის მომზადება, პროექტის შედგენა და დაინტერესებულ მხარეთათვის წარდგენა, გ) დამტკიცება პროექტისა და მისი აღსრულებაში მოყვანა სამიჯნო ნიშნების დასმით ადგილზე, დ) მიწათმოწყობის საბუთების შედგენა და მიცემა მონაწილეთათვის.

125. მიწათმოწყობის წარმოება, რომელიც უნდა შესრულდეს დაინტერესებულ პირთა ინიციატივით, აღიძვრის მათი წერილობითი თხოვნით მიწათმოწყობის ორგანოს წინაშე; ხოლო მიწათმოწყობა, რომელიც სწარმოებს თვით მიწათმომწყობ დაწესებულების თაოსნობით, დაიწყება მისი ცალკე საამისო დადგენილებით.

შენიშვნა. მიწის-მუშას შეუძლიან მიწათმოწყობა სიტყვიერადაც ითხოვოს; ეს თხოვნა მან უნდა განუცხადოს მიწათმომწყობი დაწესებულების სათანადო თანამშრომელს, რომელიც ჩასწერს ამ თხოვნას.

126. მიწათმომწყობი დაწესებულება უარს იტყვის მიწათმოწყობაზე, უკეთუ მხარე ითხოვს ისეთი მოქმედების შესრულებას, რაც ეწინააღმდეგება კანონს, ან უკეთუ მიწათმომწყობი დაწესებულება სცნობს სამეურნეო წარმოებითი მოსაზრებით, რომ ასეთი მოქმედება მიზან შეუწონელია. ასეთი უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ორი კვირის ვადაზე მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში.

127. მიწათმოწყობის მთხოვნელს შეუძლიან ითხოვოს დაწყებული მუშაობის მოსპობა, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს ეს მუშაობა, გაწეული ხარჯების გადახდით; მაგრამ უკეთუ მიწათმოწყობის პროექტი უკვე დამტკიცებულია და სხვა ვინმე მონაწილეთაგანი მოითხოვს მუშაობის განგრძობას, მუშაობა განგრძობილ უნდა იქნეს; ამასთანავე ის პირი, რომელიც უარს იტყვის მიწათმოწყობის მუშაობის განგრძობაზე, ვალდებულია გადაიხადოს თავისი ხვედრი ხარჯი საერთო წესისამებრ.

128. მიწათმოწყობის საქმის მომზადებისათვის საჭიროა: გამორკვევა თუ რა და რა მიწაა მოსაწყობი, მოსაწყობი ადგილის სამეურნეო-ტეხნიკური ვამოკვლევა, მიწის მოწყობის მთხოვნელთა საადგილ-მამულო უფლებისა და სურვილის გამორკვევა, და შედგენა წინასწარი გეგმისა მიწის, რაც შეიძლება, სწორედ და მიზანშეწონილად მოწყობისათვის.

მიწისმზომელი-მიწათმომწყობი შეადგენს განმარტებით ბარათს (საჭირო ნახაზთა დართვით) და წარუდგენს მას მონაწილეთ; ხოლო შემდეგ, მონაწილეთა ყველა განცხადებით და საჩივრით, უკეთუ ასეთი რამ იქნება, მიწათმომწყობი წარუდგენს მოხსენებას სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას.

შენიშვნა. საქმის მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვევა, თუ საჭირო იქნება, აგრონომებისა, ჰიდროტეხნიკებისა და სხვა სპეციალისტებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

129. წარდგენილი მოხსენების განხილვისა და საჩივრებისა და დავის გადაწყვეტის შემდეგ სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია დაადგენს: ან საქმე შესრულებულ იქნეს, ან დაებრუნოს იგი მიწათმომწყობ-მიწისმზომელს შესავსებად, განმარტებით, თუ რით უნდა შეავსოს იგი, ანდა, უკეთუ სცნობს, რომ საქმე მიწათმოწყობის მიზნებს არ შეეფერება, მოსპობს საქმეს.

შენიშვნა. სამაზრო კოლეგიას შეუძლიან მიანდოს მიწისმზომელს მიწათმოწყობის პროექტის შედგენა და შესრულება საქმის მომზადების გათავებისთანავე, პროექტის წინასწარ განუხილველად კოლეგიაში.

130. მიწათმოწყობის პროექტის შედგენა მდგომარეობს იმაში, რომ საპროექტო პლანზე და თანაც ადგილზე (დროებითი ნიშნებით) სისწორით და დაწვრილებით აღინიშნოს ის ნაკვეთები, რომელიც ეძლევა მონაწილეებს მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების თანახმად და ტეხნიკურ-სამეურნეო წესების მიხედვით; უკეთუ პროექტზე დავა-საჩივარი არ არის განცხადებული, საზღვრები აღინიშნება ადგილზე მუდმივი მიჯნის ნიშნებით.

131. შედგენილ პროექტს მიწისმზომელი წარუდგენს მონაწილეთ პროექტის ადგილზე განმარტებით და ოქმის შედგენით; მიწისმზომელი ყოველ ღონეს მოიხმარს შეათანხმოს დაინტერესებული პირნი, ისე-კი რომ არ დაირღვეს მიწათმოწყობის დედა-აზრი და, თუ საჭირო იქნება, შეაქვს პროექტში ცვლილება და შესწორება.

132. მიწათმოწყობის მონაწილეთა განცხადებები, დავა და საჩივრები, უკეთუ მათი მორიგებით გათავება არ მოხერხდა, შეტანილ უნდა იქნეს ოქმში და მიწისმზომელი მთელ წარმოებას წარუდგენს სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას თავისი დასკვნით და დავის გადაწყვეტის პროექტით, ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა მხარეებისათვის.

133. კოლეგია გაარჩევს მთელ საქმეს და მხარეთა მიერ განცხადებულ დავასა და საჩივარს და ან უცვლელად ან შესწორებით დაამტკიცებს პროექტს, ან და დააბრუნებს ხელახალი შედგენისათვის, თანაც აღნიშნავს, რა ცვლილებაა საჭირო.

134. პროექტის შესრულება მდგომარეობს იმაში, რომ გეგმაზე აღნიშნული საზღვრები გადატანილ უნდა იქნეს ადგილზე მუდმივი სამიჯნო ნიშნების დასმით.

135. სისწორით შესრულებული პროექტი საბოლოოთ დამტკიცდება კოლეგიის მიერ განსაკუთრებული დადგენილებით, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს: ა) როდის, სად, ვისი განკარგულებით და რა გაკეთდა; ბ) რა მიწები (შედგენილობა, რაოდენობა, მდებარეობა და საზღვრები), ვის და რისთვის გადაეცა; გ) როდის, რა წესით და რა პირობებში უნდა შეუდგნენ მხარენი ახლად გადაცემულ მიწების სარგებლობას, დ) რა განსაკუთრებული პირობები, ბეგარა და რწმუნებამოსილობა მყარდება მოსარგებლეთათვის მიწების გადაცემასთან დაკავშირებით, ე) როგორ განაწილდება ხარჯები მიწათმოწყობისა მონაწილეთა შორის და ვ) ვის, ვისგან და რამდენი უნდა მიეცეს ანაზღაურება იმ გაუმჯობესებისათვის, რაც შეუტანიათ მიწაში წინანდელ მოსარგებლეთ და ბოლომდე-კი ვერ უსარგებლნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

136. მიწათმოწყობის პროექტის საბოლოოთ დამტკიცებისა და მოწყობილ საადგილ-მამულო ერთეულების რეგისტრაციის შემდეგ მხარეთ ეძლევათ სათანადოდ შემოწმებული დოკუმენტი: ამ დოკუმენტში აღნიშნულ უნდა იქნეს: საზღვრები, მდებარეობა, სივრცე და შედგენილობა საადგილ-მამულო ერთეულებისა მათი და მათ მოსარგებლეთა დასახელებით, მიწათმოწყობის შესრულების დრო და საფუძველი, სარგებლობის პირობები და სხვა არსებითი ცნობები, რაც პროექტის დამტკიცების ოქმშია. დედანი მიწათმოწყობის გეგმებისა, აქტების და საქმეებისა ინახება მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილ-მამულო არქივში; ხოლო სამაზრო მოწათმოქმედების განყოფილებებს-კი ეძლევათ გეგმებისა და აქტების ასლი.

137. მიწადმოწყობის ყოველგვარი გეგმა და სხვა აქტი მიწათმოწყობის ორგანოების გარეშე შედგენილი ან მათ სათანადო წესით დაუდასტურებელი, არ ჩაითვლება კანონიერად და არ გამოდგება დამამტკიცებელ საბუთათ იმ მიწათსარგებლობის კანონიერებისათვის, რაც ასეთი გეგმისა და აქტის საფუძველზე სწარმოებს.

კ ა რ ი II.

სოფლის მიწათმოწყობა.

თ ა ვ ი 1.

ზოგადი დებულებანი.

138. სოფლის მიწათმოწყობას მიზნად აქვს შექმნას მიწათსარგებლობისათვის ისეთი პირობები, რომ სოფელს გაუადვილდეს ეკონომიური და კულტურული განვითარება.

139. სოფლის მიწათმოწყობა მდგომარეობს სამოსახლოების და სოფლის დანარჩენი მიწაწყლის კანონიერად და მიზანშეწონილად დანაწილებაში, რისთვისაც წინასწარ შესწავლილ უნდა იქნეს სოფლის მიწების ადგილმდებარეობა და შედგენილობა, მცხოვრებთა შედგენილობა და ეკონომიური და ყოფა-ცხოვრების მხარე მიწის სარგებლობისა.

თ ა ვ ი 2.

ს ა მ ო ს ა ხ ლ ო.

140. სამოსახლოების მოწყობის დროს უმიწაწყლო პირებს და ისეთ პირებს, რომელთაც მცირე სამოსახლოები აქვთ, უნდა მიეცეთ სამოსახლოდ არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟ. ან თვით სოფელში ჩამორთმეული მიწების ნაჭრებიდან ან სოფლის გარშემო მდებარე სახნავ ან საბალახო მიწებიდან და კალოებიდან.

შენიშვნა. მცირე სამოსახლოდ ჩაითვლება სამოსახლო ადგილი 300 კვ საჟ. ნაკლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

141. სოფლის გაფართოება წინა მუხლში ნაჩვენები წესით შეიძლება ძალოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს სოფლის მეურნეთა ორი მესამედი; უკეთუ ასეთი რიცვი არ შესდგა, იმ პირთ, რომელთაც სამოსახლოები უნდა მისცემოდათ, საფონდო მიწების დანაწილების დროს სამოსახლოს მაგიერ მიეცემათ ზედმეტი 300—600 კვ. საჟ. მიწა.

142. უკეთუ სოფლის მცხოვრებთა რომელიმე ნაწილი განიცდის საეზოვე ადგილის სივიწროვეს და მისი ძველ ადგილზე დაკმაყოფილება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლიან მიწათმოქმედების კომისარიატის ნებართვით მოაწყოს ახალი სოფელი, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

თ ა ვ ი 3.

სოფლის სახნავ-სათესი და სხვა მიწები.

143. სოფლის სახნავ-სათესი და სხვა მიწების მოწყობა უნდა მოხდეს ადგილობრივ არსებულ სასოფლო მეურნეობის დარგთან შეფარდებით, სოფლის ტოპოგრაფიული მდებარეობის მიხედვით და ამ კოდექსით მიღებულ მიწის ნორმების ფარგლებში; ამისათვის გამორკვეულ უნდა იქნეს მცხოვრებთა რიცხვი და ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილნი არიან ისინი მიწით კანონიერი ნორმის მიხედვით. ნორმაზე ზედმეტი ჩამორთმეული მიწა გამოყოფილ უნდა იქნეს შეძლებისადაგვარად ერთ ნაჭრად.

144. მიწის ჩამორთმევის დროს მიწისმზომელი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ყოველ ცალკე მხურნეობის (კომლის) არსებითი ინტერესებს და კანონის ფარგლებში დაიცვას მეურნეობის მთლიანობა; ამისათვის ისეთ მცირე ჩამონაჭერს, რაც, ნორმის მიზომვის შემდეგ, მიწათმოწყობის თვალსაზრისით რაიმე ღირებულებას არ წარმოადგენს, პატრონს დაუბრუნებს.

შენიშვნა. უკეთუ მიწისმზომელი მეურნეობის მთლიანობის დაცვისათვის დაუტოვებს ვისმე ნორმაზე მეტ მიწას, ამის შესახებ იგი შეადგენს ცალკე აქტს, რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხავს მოტივებს, და ამ აქტის ასლს დაუყოვნებლივ მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებას გაუგზავნის.

145. მიწების დანაწილების დროს ჯერ დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ ადგილობრივი მკვიდრნი და შემდეგ—მოსულნი; უფრო ადრე მოსულს უპირატესობა მიეცემა.

შენიშვნა. ახლად მოსული უცხოელი მიწას ვერ მიიღებს.

146. როცა სოფელში ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების მოთხოვნით საჭირო იქნება მისთვის მიწის დატოვება, მიწისმზომელი, სამაზრო განყოფილების კოლეგიის დასტურის მიღების შემდეგ, გამოარკვევს დასატოვებელი მიწის რაოდენობას თავისუფალი ფონდის მიხედვით და გამოჰყოს მიწას შესაფერ ადგილას.

147. მიწისმზომელს კატეგორიულად მოეთხოვება, მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად, იხმაროს ყოველი ღონისძიება, რათა ხვედრი მიწა ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრად, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლა.

148. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, სახელმწიფო ტყეების ნაწილი შეიძლება შეტანილ იქნეს მიწათმოწყობის პროექტში გასაკაფავად, რათა. უმიწაწყლონი და მცირე მიწის მქონენი დაკმაყოფილებულ იქნენ მიწით, ამის შესახებ მიწათმმწყობი წინასწარ გამოითხოვს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვას.

149. იმ სოფელში, სადაც, ყველა მცხოვრებთა ნორმამდე დაკმაყოფილების შემდეგ, კიდევ დარჩება მიწა, ამ ზედმეტ მიწიდან, კომლთა გამრავლების საჭიროებისათვის, გამოიყოფა სათადარიგო ფონდი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სოფლის სამოსახლო, ბაღ-ვენახისა და საყანე მიწების მთელი რაოდენობის ათ პროცენტს; ხოლო, უკეთუ ამას შემდეგ კიდევ დარჩა თავისუფალი მიწა, იგი ჩაირიცხება საახალშენო ფონდში.

შენიშვნა. სათადარიგო ფონდი რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია და მთელი მისი შემოსავალი მოხმარდება სოფლის საერთო საჭიროებას.

კარი III.

საადგილ-მამულო რეგისტრაცია.

150. საადგილ-მამულო რეგისტრაციის მიზანია—შეკრება და შენახვა სწორი და უკანასკნელი ცნობებისა მიწათსარგებლობის შესახებ, რაც საჭირო იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა და სხვა დარგისათვისა და მიწისმოსარგებლეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

151. ყველა სოფელში მიწათმოწყობის გათავების შემდეგ, აგრეთვე ისეთ სოფლებშიაც, სადაც მიწისმოწყობა საჭირო არ არის, მიწისმზომელი, სასოფლო საბჭოს ორ წარმომადგენელთან ერთად, მოახდენს მთელი სოფლის ადგილ-მამულისა და მის მოსარგებლეთა რეგისტრაციას.

152 სარეგისტრაციო სიაში, თვითეულ კომლის წარმომადგენლის დაკითხვით, შეტანილ ენდა იქნეს: ა) კომლის შედგენილობა სქესისა და ასაკის აღნიშვნით და ბ) კომლის სარგებლობაში ქონებული ყველა მიწის ნაკვეთი ცალ-ცალკე, ნაკვეთების სახელი და სივრცე და აგრეთვე სივრცე ამ ნაკვეთების სხვა და სხვა ხასიათის მიწისა; სარეგისტრაციო სიაში უნდა შეტანილ იქნეს აგრეთვე ყველა საერთო ან ჯგუფური მიწათსარგებლობის ნაკვეთები.

153. ყველა მიწის მოსარგებლე და დაწესებულება მოვალეა, რეგისტრაციის დროს, წარუდგინოს ჩამწერს ყველა საჭირო დოკუმენტი და ცნობა მიწათსარგებლობის შესახებ; ის მიწისმოსარგებლე, ვინც ან მოვალეობას არ შეასრულებს, სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიის დადგენილებით დაჯარიმებულ იქნება 25 მანეთამდე და გადაიხდის იმ ზედმეტ ხარჯს, რასაც გამოიწვევს მისი ადგილ-მამულის სხვა რიგად გამოკვლევა.

154. მიწისმოსარგებლეს უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ ის მიწის ნაკვეთები, რაც სიაში იქნება შეტანილი. სიაში შეტანილი ცნობების გამო შეიძლება აღძრულ იქნეს დავა სასამართლოს წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. უკეთუ მიწის მოსარგებლე მიწის დამალვის მიზნით გასგებ არ შეიტანს სიაში თავის მიწას, იგი მას ჩამოერთმევა სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიის დადგენილებით და გადაეცემა სათადარიგო ფონდს სოფლის ულარიბეს მიწის-მუშათათვის.

155. რეგისტრაციის წარმოება დაევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

156. საადგილ-მამულო რეგისტრაციის ორგანოები კანონით პასუხისმგებელნი არიან სარეგისტრაციო სიაში შეტანილი ცნობებისა და მათი ამონაწერების სისწორისათვის; სიაში შეტანილი ცნობა მიღებულ უნდა იქნეს ყველა დაწესებულებისა და კერძო პირის მიერ, როგორც სარწმუნო ცნობა, ვიდრე წინააღმდეგი არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს წესით.

157. მიწის ნაკვეთი ჩაიწერება სარეგისტრაციო სიაში მისი ფაქტიური მოსარგებლის სახელზე; როცა ფაქტიური სარგებლობა სადავოა, ეს გარემოება უნდა შეტანილ იქნეს სიაში მოდავე მხარეთა აღნიშვნით.

158. სარეგისტრაციო სიას ხელს აწერენ მიწისმოსარგებლენი, სოფლის საბჭოს წარმომადგენელნი და სიის შემდგენი.

159. სარეგისტრაციო სიაში შეტანილი ნაკვეთების ინსტრუმენტალურად აზომვა და გეგმის გადაღება უნდა მოხდეს, ყოველ კერძო შემთხვევაში, მიწათმოქმედების კომისარიატის ნებართვით, ხოლო რეგისტრაციის დროს მიწისმზომელს შეუძლიან საეჭვო შემთხვევაში შეამოწმოს ადგილობრივ აზომვით ამა თუ იმ ნაკვეთის სივრცე.

160. სარეგისტრაციო სიის დედანი ინახება მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილ-მამულო არქივში, ხოლო ასლი ეგზავნება სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილებას. საქმისა, აქტისა და გეგმის დედანი გაიცემა საადგილ-მამულო არქივიდან მხოლოდ მიწათმმწყობ დაწესებულების მოთხოვნით; გატანილი დოკუმენტები დაბრუნებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ იმ საქმის გათავებისთანავე, რომლისათვისაც გატანილი იყო; დოკუმენტის მიმღები თანამდებობის პირი და დაწესებულება პასუხს აგებენ დოკუმენტების დაკარგვისა ან დაზიანებისათვის და გადაიხდიან ადმინისტრატიული წესით დოკუმენტების აღდგენისა ან შესწორების ხარჯს.

კარი IV.

მიწათმოწყობის გამო აღძრულ დავათა განხილვა.

161. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა მიწის მოსარგებლეთა შორის, რომელიც აღიძვრის მიწათმოწყობის პროცესის გარეშე, განხილულ უნდა იქნეს სახალხო სასამართლოს მიერ საერთო წესით; ამის გამო მიწათმოწყობის პროცესში აღძრული დავები უნდა განხილულ იქნეს სპეციალური ორგანოების მიერ; ასეთი ორგანოებია: სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭო.

შენიშვნა. საქმე კოლეგიაში და საბჭოში გაირჩევა მხარეთა დაუსწრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

162. კოლეგიისა და საბჭოს კონპეტენციაში შედის გარჩევა მიწათმოწყობის სადაო პროექტებისა და მიწათმოწყობის დროს სოფლებს შორის აღძრულ დავისა და აგრეთვე საჩივრებისა მიწათწყობის ორგანოების მოქმედებაზე მიწის ჩამორთმევისა ან მიწის ნორმის დატოვების შესახებ.

შენიშვნა. მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილების კოლეგიის გადაწყვეტილება მიწების კატეგორიებად დანაწილების შესახებ საბოლოოა და მისი განსაჩივრება არ შეიძლება.

163. სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას შეადგენენ: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, განყოფილების გამგე და მიწათმომწყობი, პირველის თავმჯდომარეობით.

164. კოლეგიის დადგენილებაზე საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოში ერთი კვირის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოტანისა.

165. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოს შეადგენენ: მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, მისი მოადგილე და მიწათმოწყობის განყოფილების გამგე, პირველის თავჯდომარეობით.

166. საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და დაუყოვნებლივ შედის ძალაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა.

კარი V.

გადასახლება.

167. გადასახლება და საახალშენო მიწების დასათვალიერებლად და ასარჩევად რწმუნებულების გაგზავნა თავისუფალი საქმეა და ნებაყოფლობითი. იძულებითი გადასახლების უფლება, განსაკუთრებული გარემოების გამო, აქვს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თანახმად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ხოლო ეს იძულებითი გადასახლება შეიძლება განხორციელებულ იქნეს იმ შემთხვევაში, უკეთუ გადასახლებისათვის და გადასახლებულთა ახალ ადგილზე მოწყობისათვის საჭირო თანხა მიღებულ იქნება სახელმწიფოს სალაროდან.

168. გადასახლების საქმის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ეკუთვნის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რისთვისაც მას დაევალება: შემუშავება გადასახლების პროექტებისა, შექმნა და მოწყობა საახალშენო საადგილ-მამულო ფონდისა, ორგანიზაცია მოახალშენეთა ადგილიდან დაძვრისა, მგზავრობისა და ახალშენში დაფუძნებისა, მათთვის ფინანსიური და ნივთიერი დახმარების აღმოჩენა და მთლად ამ საქმისათვის დაწვრილებითი წესების შემუშავება და გამოცემა.

169. ახალშენში გადასახლებულთა მიწით დაკმაყოფილება საახალშენო ფონდიდან მოხდება შეძლებისადაგვარად იმავე მიწის ნორმით, რაც დაწესებულია იმ რაიონისათვის, სადაც საახალშენო ფონდია.

170. მოახალშენემ უნდა მოახდინოს ძველ ბინადრობაზე თავისი ქონების სრული ლიკვიდაცია (შენობებისა, ნაშენისა და მიწაში შეტანილი ეაუმჯობე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სებისა), სამი წლის განმავლობაში დღიდან ახალშენში დაფუძნებისა; წინაალმდეგ შემთხვევაში სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიის დადგენილებით მას ჩამოერთმევა ქონება და გადაეცება ადგილობრივ სასოფლო საბჭოს განკარგულებაში.

171. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებადაურველად გადასახლება აკრძალულია.

172. საქართველოს რესპუბლიკის საახალშენო ფონდის მიწებზე დასახლების უფლება პირველ რიგში აქვს საქართველოს მოქალაქეს; ამ უფლების სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ იმ მჭიდროთ დასახლებულ ადგილების უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთ, რომელთა მიწით დაკმაყოფილება ძველ ბინადრობაზე, თავისუფალი მიწის სიმცირის გამო, შეუძლებელია.

შენიშვნა. ყველას, ვინც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 1921 წლის თებერვლის 25-ს შემდეგ, ახალშენში დასახლების უფლება მიეცემა მეორე რიგობაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

23.
დადგენილება № 90

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ.

(მიღებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წ. თებერვლის 28).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

I

სისხლის სამართლის კოდექსის 12, 18, 33, 35, 38, 39, 44, 46, 58, 63, 64, 67, 81, 82, 84, 86, 98, 100, 101, 108, 109, 110, 113, 115, 117, 119, 121, 131, 132, 135, 136, 137, 141, 142, 144, 171, 187, 193, 194, 195, 210, 211, 212, 215, 222, 230 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

12. დანაშაულისათვის განმზადებად ჩაითვლება დანაშაულის ჩასადენად საჭირო იარაღისა და საშუალების მოძებნა ან გაწყობა და პირობების შექმნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანაშაულისათვის განმზადება არ დაისჯება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი თავისთავად არ წარმოადგენს ამა კოდექსით დასასჯელ ქმედობას, ხოლო სასამართლოზეა დამოკიდებული, იხმაროს თუ არა სოციალური დაცვის ღონისძიება პასუხისგებაში მიცემული პირის წინააღმდეგ, რომელსაც სოციალურად-საშიშ პიროვნებად მიიჩნევს.

18. სასჯელი არ დაედება მცირეწლოვანს 13 წლამდე და აგრეთვე იმ არასრულწლოვანს 13—16 წლამდე, ვისთვისაც არასრულწლოვანების საქმეთა სათანადო კომისია შესაძლებლად მიიჩნევს დასჯერდეს საექიმო-საპედაგოგიო ღონისძიებათა ზეგავლენას.

33. როდესაც იმ საქმისათვის, რაც უზენაეს სასამართლოში, ოლქის სასამართლოში ან სამხედრო ტრიბუნალში სწარმოებს, ამა კოდექსით დაწესებულია სასჯელის უმაღლესი ზომა, ასეთ სასჯელად შეფარდებულ უნდა იქნეს დახვრეტა, ვიდრე ამას არ გააუქმებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა. უკეთუ დანაშაულის ჩადენიდან გასულია არა ნაკლებ ხუთი წლისა, სასჯელის უმაღლესი ზომა სასამართლომ აუცილებლად უნდა შესცვალოს, თავისი არჩევისამებრ, იმ სასჯელად, რაც აღნიშნულია 32 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში.

35. თავისუფლების აღკვეთა დაიდება ერთი თვიდან ათ წლამდე; ამ სასჯელს მსჯავრდადებული მოიხდის თავისუფლების აღკვეთის ადგილას (გამასწორებელი-შრომის სახლი, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო შრომის ახალშენი და გარდამავალი გამასწორებელი სახლი) გამასწორებელი ზეგავლენის იმ ღონისძიებათა მიხედვით, რაც საჭირო იქნება დამნაშავის გამოსწორებისათვის. სასამართლოს განაჩენში აღნიშნულ უნდა იქნეს, რა ვადით აქვს გადაწყვეტილი მსჯავრდადებულს თავისუფლების აღკვეთა და საჭიროა თუ არა სასტიკი იზოლაცია. თავისუფლების აღკვეთას აუცილებლად დაერთვის მუშაობა, რომელიც-რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შეეფერებოდეს პატიმარის სპეციალურ ცოდნას ან მიდრეკილებას.

შენიშვნა. იმ პირს, ვისაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, და ვინც სასჯელს მძიმე ფიზიკური მუშაობით იხდის, როგორიც არის: ტვირთის ტარება, ხე-ტყის მოჭრა, მიწის მუშაობა, ღამე მუშაობა და სხვ., შეიძლება სასჯელის მოხდის ვადა, განმანაწილებელი კომისიის წარდგენისამებრ, $^1/_3$ შეუმცირდეს იმ სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც განაჩენი გამოიტანა.

38. როდესაც ქონების კონფისკაცია მოხდება, სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ ვალისა და ვალდებულებისათვის, რომელიც ამ ქონებას აწევს, უკეთუ ეს ვალი და ვალდებულება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც საგამომძიებლო ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ მიიღო ქონების დაცვის წინასწარი ღონისძიება.

დანაჩენ შემთხვევაში მესამე პირის პრეტენზია კონფისკაციაქმნილ ქონებისადმი უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს აქტივის ფარგალში, ამასთანავე პრეტენდენტებს შორის უპირატესობა ეძლევა მას, ვინც სამუშაო ხელფასი უნდა მიიღოს, და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. ფულადი ჯარიმა არის სასჯელი, რომელსაც სასამართლო განაჩენს მსჯავრდადებულს, მისი ქონებრივი შეძლების მიხედვით, იმ ფარგალში, რაც დაწესებულია სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლებით.

უკეთუ მსჯავრდადებული ჯარიმის გადახდას თავს აარიდებს, სასამართლოს დადგენილებით ჯარიმა შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებითი მუშაობად დაუპატიმრებლად; შეცვლა თავისუფლების აღკვეთისა ჯარიმად და ჯარიმისა თავისუფლების აღკვეთად არ შეიძლება.

44. უფლების შეზღუდვა არის ჩამორთმევა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა:

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებისა საბჭოებში არჩევნებისათვის;

ბ) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებისა პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციაში არჩევისათვის;

გ) პასუხსაგები თანამდებობის დაჭერის უფლებისა, აგრეთვე სახალხო სასამართლოში მსაჯულად, სასამართლოში საქმის დამცველად, თავდებად და მეურვედ ყოფნის უფლებისა;

დ) სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხ. აღნიშნული სამოქალაქო ქონებრივი უფლებისა.

უფლების შეზღუდვის ვადა იმ პირისათვის, ვისაც თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, იმ დროიდან ითვლება, როდესაც იგი ამ სასჯელს მოიხდის ან როდესაც ამ სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ იქნება.

შენიშვნა. სამხედრო-მოსამსახურე, რომელსაც გადაეწყვიტა ისეთი სასჯელი, რომელსაც უფლების შეზღუდვა მოსდევს, უნდა გამორიცხულ იქნეს წითელი არმიიდან (და ფლოტიდან) მთლად იმ ვადით, რა ვადითაც მას უფლება შეეზღუდა.

46. როდესაც მსჯავრდადებულს, მის ცხოვრებაში შექმნილ მძიმე გარემოებათა გამო, პირველად ექნება ჩადენილი დანაშაული, რომლისათვისაც მას თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, და როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის იგი იმდენად ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, რომ საჭირო არც კია მისი აუცილებელი იზოლაცია, სასამართლოს შეუძლიან მას პირობითი მსჯავრი დაადოს, ესე იგი დაადგინოს—სისრულეში არ იქნეს მოყვანილი გამამტყუნებელი განაჩენის ის ნაწილი, რომელიც თავისუფლების აღკვეთას შეეხება, იმ პირობით კი, რომ მსჯავრდადებული აღარ ჩაიდენს ისეთსავე ან იმავე გვარის დანაშაულს, რაც უკვე ჰქონდა ჩადენილი.

დამატებითი სასჯელი, ფულადი თუ ქონებრივი, რაც განაჩენით თავისუფლების აღკვეთას დაერთვის, აგრეთვე სასამართლოს დადგენილება სამოქალაქო სარჩელის გამო, სისრულეში მოიყვანება საერთო წესით მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სასჯელი ამ განაჩენში პირობით არის გადაწყვეტილი.

როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრის დადებას შედეგად უნდა მოჰყვეს ბრალდებულის უფლების შეზღუდვა, მას უფლება არა აქვს ბრალდებულს პირობითი სასჯელი გადაუწყვიტოს.

58. კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რაც მიმართულია მუშათა და გლეხთა საბჭოებისა და საქართველოს სოც. საბჭ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალით არსებული მუშათა და გლეხთა შეთანხმების დასამხობათ, მისთვის ძირის გამოსათხრელად და დასასუსტებლად, აგრეთვე მოქმედება, მიმართული საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელის შეწყობისათვის, რომელსაც კაპიტალიზმის ნაცვლად მომავალი კომუნისტური სისტემა საკუთრებისა სწორუფლებიანად არ მიაჩნია და ისწრაფვის დაამხოს იგი ინტერვენციით, ბლოკადით, ჯაშუშობით, პრესისათვის ფინანსიურად ხელის გამართვით და სხვ.

კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი მოქმედება, რომელიც, თუმცა პირდაპირ მიმართული არ არის ზემოთალნიშნული მიზნების მისაღწევად, მაგრამ მაინც, ამ მოქმედების ჩამდენის წინასწარი შეცნობით, იგი წარმოადგენს ხელყოფას პროლეტარული რევოლიუციის პოლიტიკურ ან სამეურნეო ძირითად მონაპოვართა წინააღმდეგ.

63. წინააღმდეგობის გაწევა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ნორმალური მოქმედებისათვის ან მათი სათანადო გამოყენება სახელმწიფოს მრეწველობისა, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დასანგრევად და ძირის გამოსათხრელად, იმ ქმედობის ჩადენის მიზნით, რაც გათვალისწინებულია 58 მუხლში (ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია), დ ა ი ს ჯ ე ბ ა

59 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

ესევე მოქმედება, როდესაც იგი გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე შეგნებულად არ შეასრულებს სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას, ან განზრახ დაუდევრად შეასრულებს ან და გაართულებს მას კანცელარიაში საქმის ზედმეტი გაჭიანურებით და სხვ. (საბოტაჟი)- უკეთუ ამ მოქმედებას არ ექნება 58 მუხლის ნიშნები—დ ა ი ს ჯ ე ბ ა

108 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

64. მოწყობა კონტრ-რევოლიუციონური მიზნით ტეროროისტული აქტისა, რაც მიმართული იქნება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ, აგრეთვე მონაწილეობა ამ აქტის შესრულებაში, თუნდაც მისი ცალკე მონაწილე არც კი იყოს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრი, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

59 მუხლის I ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

67. აქტიური მოქმედება და აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც სამეფო წესწყობილების დროს გამოუჩენია პასუხსაგებ ან განსაკუთრებით საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

59 მუხლის I ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

81. დარღვევა იმ წესებისა, რაც დადგენილია სამხედრო-ვალდებულთა აღნუსხვისათვის, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით სამ თვემდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე ოქროთი.

82. სამხედრო სასწავლო შეკრებისაგან თავის არიდება, აგრეთვე შესაკრებ ადგილას გამოუცხადებლობა საზოგადო, სპეციალური და ჯარში გაწვევამდე მომზადების მოვალეობისაგან თავის ასარიდებლად, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებითი მუშაობით სამ თვემდე და სავალდებულო ჯარიმით სამ-
მას მანეთამდე ოქროთი.

84. ყოველგვარი აგიტაცია და პროპაგანდა, რაც მოუწოდებს 75—82[1] მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, და აგრეთვე ეროვნული მტრობისა და შუღლის გამოწვევა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით;

ხოლო, უკეთუ აგიტაცია და პროპაგანდა გაწეულ იქნა ომიანობის დროს იმისათვის, რომ მოქალაქეთ არ შეესრულებინათ სამხედრო მოვალეობა და ბეგარა ან სამხედრო მოქმედებასთან დაკავშირებული მოვალეობა და ბეგარა,

სასჯელი შეიძლება აწეული იქნეს უმაღლეს ზომამდე.

86. გაკეთება ყალბი ფულის ნიშნებისა, სახელმწიფო, სახალხო და სხვა ბანკის საბანკო ბილეთებისა, სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდებისა, მარკებისა და სახელმწიფოს მიერ გადახდისათვის მიღებული სხვა ნიშნებისა, მათ შორის რკინის გზისა და წყლით სავალი ტრანსპორტის ბილეთებისა, უკეთუ ეს ჩაიდინა რამდენიმე პირმა ურთიერთ შორის წინასწარი შეთანხმებით და ხელობის სახით, დ ა ი ს ჯ ე ბ ა შემდეგნაირად:

ყველა მონაწილე და დამხმარე დამფარველის გარდა,—სასჯელის უმაღლესი ზომით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო სასჯელი შეიძლება დაწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით;

იგივე დანაშაული, უკეთუ წინასწარი შეთანხმება არ ყოფილა, აგრეთვე დამფარველი დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით და ქონების ნაწილის კონფისკაციით.

98. დაპატიმრებულის გაქცევა დარაჯთა ხელიდან ან საპატიმრო ადგილიდან, უკეთუ ეს მოხდა თხრილის გაყვანით, შემტვრევით ან, საერთოდ, კლიტის, კედლის და სხვ. დაზიანებით, აგრეთვე გაქცევა გადასასახლებლად დანიშნული ადგილიდან ან გზიდან ამ ადგილზე წარგზავნის დროს, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

100. დარღვევა კანონისა ან სავალდებულო დადგენილებისა, რაც გამოცემულია სახელმწიფო საზღვრით საქონლის ან სავალიუტო ფასეულობის შემოტანა-გატანისათვის, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით სამ თვემდე და ამა საქონლის კონფისკაციით, ან და ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

ასეთივე მოქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია ხელობის სახით ან თანამდებობის პირის მიერ, ან თუ მისი ჩამდენი შეიარაღებული იყო, ან უკეთუ შემოტანილ-გატანილ იყო ისეთი საგანი, რის შენახვაც თვინიერ სათანადო ნებართვისა აკრძალულია, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და ამა საქონლის კონფისკაციით, ხოლო დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

101. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში საზღვარ-გარეთიდან შემოსვლა ან აქედან საზღვარ-გარედ გასვლა დაწესებული პასპორტის უქონელად ან სათანადო ხელისუფლების ნებადაურთველად **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

იძულებითი მუშაობით ან თავისუფლების აღკვეთით ექვს თვემდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე ოქროთი.

ხელის შეწყობა სახელმწიფო საზღვრის გადასვლისათვის თვინიერ სათანადო ნებართვისა, უკეთუ ეს ხელის შეწყობა ჩადენილია ხელობის სახით ან თანამდებობის პირის მიერ, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით ან, დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით.

108. ბოროტად გამოყენება ხელისუფლებისა, ესე იგი თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რაც მას შეეძლო ჩაედინა მართოოდენ სამსახურებრივი მდგომარეობის მეოხებით და გამოწვეული კი არ იყო სამსახურის საჭიროებით, ხოლო რასაც შედეგად მოჰყვა დაწესებულების ან საწარმოს წესიერი მუშაობის აშკარა დარღვევა, ან რამაც მიაყენა მას ქონებრივი ზარალი ან გამოიწვია საზოგადოებრივი წესიერების ან ცალკე მოქალაქეთა კანონით დაცული უფლებისა და ინტერესის დარღვევა, უკეთუ ასეთ მოქმედებას თანამდებობის პირი ჩაიდენს სისტემატიურად ან ანგარებით თუ სხვა პირადი ინტერესით, ან უკეთუ ასეთ მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან, თანამდებობის პირის წინასწარი შეცნობით, მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგივე მოქმედება **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

დისციპლინარული წესით, თანაც თანამდებობიდან დათხოვნითურთ, მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა ან მავნე შედეგის გასწორების მოვალეობის დაკისრებითურთ, ან უამისოდ.

შენიშვნა. თანამდებობის პირად იგულისხმება ის პირი, ვისაც უჭირავს მუდმივი ან დროებითი თანამდებობა ამა თუ იმ სახელმწიფო (საბჭოთა) დაწესებულებასა ან საწარმოში, აგრეთვე ორგანიზაციასა ან შენაერთში, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს განსაზღვრული უფლება, მოვალეობა და რწმუნებულება სამეურნეო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებისათვის.

109. გადამეტება ხელისუფლებისა, ესე იგი თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რაც აშკარად გადასცდება კანონით მისთვის მინიჭებული უფლებისა და რწმუნებულების საზღვარს, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

108 მუხლის 1 ან 2 ნაწილში სათანადოდ გათვალისწინებული სასჯელით.

უკეთუ ხელისუფლების გადამეტებას თან სდევდა ძალადობა ან იარაღის ხმარება ან და დაზარალებულისათვის განსაკუთრებით საწვალებელი თუ მისი პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება, იგი გადამეტება **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, ხოლო—განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით.

110. უმოქმედობა ხელისუფლებისა, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ შეუსრულებლობა ისეთი საქმისა, რაც მას უნდა შეესრულებინა სამსახურის მოვალეობის გამო, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

108 მუხლის 1 ან 2 ნაწილში სათანადოდ გათვალისწინებული სასჯელით.

113. ბოროტად გამოყენება ხელისუფლებისა, გადამეტება ხელისუფლებისა, უმოქმედობა ხელისუფლ ბისა და უგულვებელყოფა სამსახურის მოვალეობისა, რასაც შედეგად მოჰყვა მართველობის ხელმძღვანელი ცენტრალური და ადგილობრივი აპარატებისა, აგრეთვე წარმოებისა, მომარაგებისა და განაწილების ასეთივე სამეურნეო-სახელმწიფოებრივი აპარატების მოქმედების მთლად მოშლა და დარღვევა, ან ტრანსპორტის მოშლა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, ხოლო ბრალის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო (ანგარება, სიყალბე, ქონების მტაცებლობა, მექრთამეობა და სხვ.)—სასჯელის უმაღლესი ზომით.

115. უკანონოდ შეყპრობა, უკანონოდ მოყვანა, აგრეთვე დაკითხვის დროს ჩვენების იძულებით და უკანონ ლონისძიებით ჩამორთმევა გამოძიებისა ან მოკვლევის მომხდენის მიერ დ ა ი ს ჯ ე ბ ა

108 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

დაპატიმრება, ვით აღმკვეთი ზომა, პირადი მოსაზრებით ან ანგარებით დ ა ი ს ჯ ე ბ ა

109 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

117 სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ, პირადად ან შუაკაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რაც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეადგენს, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ქრთამის აღება დამამძიმებელ პირობებში, როგორიც არის: ა) პასუხსაგები მდგომარეობა ქრთამის მიმღები თანამდებობის პირისა, ბ) ქონებრივი ზარალი, რაც ქრთამის შედეგად სახელმწიფოს მოუვიდა ან შეიძლება მოსვლოდა, გ) ქრთამისათვის სამართალში მყოფელობა წინად ან ქრთამის არა ერთხელ აღება, და დ) ქრთამის გამოძალვა, დ ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით და ქონების კონფისკაციით.

119. სამსახურებრივი სიყალბე, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ ოფიციალურ საბუთში წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის შეტანა, სიმრუდით მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანება, ამოფხეკა ან წინა რიცხვით ჩანიშვნა, აგრეთვე შედგენა და გაცემა წინასწარი შეცნობით ტყუილი საბუთისა ან დავთარში წინასწარი შეცნობით ტყუილის ჩაწერა **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

108 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

121. თანამდებობის პირის მიერ ვადაზე წარუდგენლობა ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოთხოვნილი საჭირო ცნობისა, ანგარიშისა და სხვ., რის წარდგენაც მისთვის კანონით სავალდებულო იყო, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

პირველად—დისციპლინარული წესით. მეორეთ, იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს ქმედობა არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 110 და 111 მუხლში აღნიშნული დანაშაულის ნიშნებს,—იძულებითი მუშაობით არა ნაკლებ სამი თვისა და თანამდებობიდან დათხოვნით.

131. უყაირათობა, რომელსაც საფუძვლად აქვს სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს სათავეში მდგომი პირის ან მისი რწმუნებულის მიერ მათთვის მინდობილი საქმისადმი დაუდევარი ან არა კეთილსინდისიერი მოპყრობა, რასაც შედეგად მოჰყვა დაწესებულების თუ საწარმოს ქონების გაფლანგვა, ან და ისეთი ზარალის მიყენება, რომლის ანაზღაურებაც საძნელო იქნება, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

ზემოაღნიშნული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია თანამდებობის პირთა მიერ ურთერთთან ან სხვებთან შეთანხმებით, იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ქონება გაეფლანგათ ან მონაწილეთ პირადი გამორჩენა ჰქონოდათ, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

63 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

132. საზარალო ხელშეკრულების ან გარიგების დადება ისეთი პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს სახელით, უკეთუ ეს ხელშეკრულება ან გარიგება გამოიწვევს წინა მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ შედეგს, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

უკეთუ ხელშეკრულება ან გარიგება დადებულია იმ ღონისძიებათა მიუღებლად, რაც საჭირო იქნება სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველსაყოფად—თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით არა ნაკლებ ექვსი თვისა.

სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს სახელით სამოქმედოდ უფლებამოსილი პირის მიერ ისეთი ხელშეკრულების ან გარიგების დადება, რომელიც ამ დაწესებულებასა თუ საწარმოსათვის აშკარად საზარალო იქნება, უკეთუ ამავე დროს დამნაშავე მოქმედობდა ხაზინის კონტრაგენტებთან პირის შეკვრით ან და სახელმწიფოს გამორჩენას განზრახ მათი გამორჩენა არჩია, **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

131 მუხ. 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

135. დაწესებულების ან საწარმოს გამგის მიერ არადანიშნულებისამებრ გაცემა ფართო მოხმარების პროდუქტებისა ან საგნებისა, **დ ი ს ჯ ე ბ ა**

იძულებითი მუშაობით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაული, აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის 130—134 მუხლში, უკეთუ იგი ჩადენილ იქნა ბრძოლის გარემოებაში ან დაკავშირებულ იყო საომარ მოქმედებასთან, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით.

136. დარღვევა დამქირავებლის მიერ შრომის კანონთა კოდექსისა და მის დასამატებლად და განსავითარებლად ხელისუფლების სათანადო ორგანოს მიერ გამოცემული დეკრეტებისა, დადგენილებებისა და ინსტრუქციებისა, რომლითაც მოწესრიგებულია შრომის პირობები, აგრეთვე დარღვევა შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის ნორმებისა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ჯარიმით არა ნაკლებ 100 მანეთისა ოქროთი ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე.

უკეთუ წესის დარღვევა შეეხება მუშების ჯგუფს.

სასჯელი აიწევს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ერთი წლისა ან ჯარიმამდე არა ნაკლებ 500 მანეთისა ოქროთი.

137. დარღვევა მწარმოებლის მიერ (როგორც კერძო პირისა, ისე სახელმწიფო საწარმოს და დაწესებულების სათანადო პირის მიერ) პროფესიონალურ კავშირთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმებისა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

136 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

141. ბოროტის განზრახვით საქონელზე ფასის გადიდება ამ საქონლის შესყიდვით, გადამალვით ან ბაზარზე გამოუტანლობით, აგრეთვე სახელმწიფოს ორგანოს მიერ წარმოებულ საჯარო ვაჭრობაზე ბოროტი განზრახვით ფასების დაწევა ტყუილი ცნობების გავრცელებით, რაც კი ვაჭრობის საგანსა და პირობებს სახელს გაუტეხს, ან სხვა რაიმე საშუალებით, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ექვსი თვისა და ქონების ნაწილის კონფისკაციით.

ხოლო უკეთუ დამტკიცდება, რომ ვაჭრები ან საჯარო ვაჭრობის მონაწილენი შეთანხმებულან ან პირი შეუკრავთ—

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების კონფისკაციით და ვაჭრობის უფლების ჩამორთმევით.

142. სავალიუტო ოპერაციების წესების დარღვევა დ ა ი ს ჯ ე ბ ა,

უკეთუ დამნაშავე თანამდებობის პირია—108 მუხლის 1 და 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით, ხოლო უკეთუ დამნაშავე კერძო პირია—ჯარიმით 3,000 მანეთამდე ოქროთი;

იმ შემთხვევაში კი, როდესაც დამტკიცდება, რომ აღნიშნული ოპერაცია ხელობად იყო გადაქცეული.

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა მთელი ქონების ან ნაწილის კონფისკაციით.

144. დამზადება გასაღების მიზნით და თვით გასაღება არაყისა და, საზოგადოდ, სპირტიანი სასმელისა და სპირტშერეული ნივთიერებისა, გარდა ყურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნის ღვინისა, სათანადო ნებართვის აუღებლად ან ისეთი სიმაგრით, ვიდრე
შეეფერება კანონით დაწესებულ სიმაგრეს, აგრეთვე ასეთი სასმელისა და ნივ-
თიერების უკანონოდ შენახვა გასაღების მიზნით, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე და ქონების ნაწილის კონ-
ფისკაციით.

171 სქესობრივი კავშირი სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან, რასაც
თან სდევდა ამ უკასასკნელის გახრწნა, აგრეთვე ასეთ პირთან სქესობრივი ჟი-
ნის დაკმაყოფილება გარყვნილი სახით დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა.

187. (1 აბზ.) ქურდობა, ესე იგი ფარულად გატაცება ქონებისა, რომე-
ლიც სხვა პირის ან დაწესებულების მფლობელობასა, სარგებლობასა ან გამგებ-
ლობაშია, დაისჯება შემდეგნაირად:

187. პუნქტი „გ". ქურდობა ცეცხლისა, წყალდიდობისა, მატარებლის გა-
დავარდნა და სხვა რამ საზოგადოებრივი უბედურების დროს, აგრეთვე მოპარვა
მიწათმომქმედი ან საზოგადოდ მშრომელი მცხოვრებისათვის მუშა თუ მსხვილ-
ფეხა საქონლისა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა.

ხოლო უკეთუ დამნაშავეს აღნიშნული ქურდობა ხელობად გადაუქცევია —
თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა სასტიკი იზო-
ლაციით.

193. თაღლითობა, ესე იგი ქონების ან ქონებაზე უფლების ანგარე-
ბით ხელში ჩაგდება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით, დ ა-
ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე.

194. თაღლითობა, რომელსაც შედეგათ მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგა-
დოებრივი დაწესებულების ზარალი, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

195. ანგარებით გაკეთება ყალბი როგორც ოფიციალური, ისე უბრა-
ლო ქაღალდისა, საბუთისა და ხელწერილისა, აგრეთვე მათში წინასწარი
შეცნობით ტყუილი ცნობის შეტანა და ტყუილის ჩაწერა, უკეთუ ასეთი ქმე-
დობა ამა კოდექსის 87 მუხლში აღნიშნული დანაშაულის ნიშნებს არ უდგება,
დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

210. სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი ერთეულის ან სამსახურის
თვითნებობით სამ დღე და ღამეზე მეტ ხანს მიტოვება, თუნდაც სამხედრო მო-
სამსახურე შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდეს, გაქცევად ჩაითვლება. ხოლო
სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი ერთეულის ან სამსახურის თვითნებობით
სამ დღე და ღამეზე ნაკლებ ხანს მიტოვება, უკეთუ იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა,
ჩაითვლება თვითნებობით წასვლად და დაისჯება სადისციპლინო წესდებისამებრ,
ხოლო თვითნებობით მიტოვება თავისი ერთეულისა ან სამსახურის ადგილისა
ბრძოლის პირობებში, რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს ეს მიტოვება, ჩაით-
ვლება გაქცევად და დაისჯება როგორც ასეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცევისა და თვითნებობით წასვლისათვის დაწესებული სასჯელი დაედება აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც წარვნილებისა, ხანმოკლე შვებულებისა, ავადმყოფობის გამო მიცემული შვებულებისა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა და სხვა ამ გვარ შემთხვევაში, ვადაზე არ გამოცხადდება თვინიერ პატივსადები მიზეზისა.

211. გაქცევა პირველად დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ა) ბრალის შენამსუმბუქებელ გარემოებათა გამო და უკეთუ დამნაშავე პოლიტიკურად ნაკლებად შეგნებულია—

საჯარიმო ნაწილში გაგზავნით ექვს თვემდე და სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა ნაკლებ 200 მანეთისა ოქროთი;

ბ) ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებათა გარეშე—

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე და სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა ნაკლებ 300 მანეთისა ოქროთი.

212. თავის არიდება სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურისაგან თავისთვის რაიმე ვნების მიყენებით ან სხვაგვარი მოტყუებით (სიყრუისა, სიმუნჯისა, უსინათლობისა, სულით ავადმყოფობის სიმულაციით და სხვ.), აგრეთვე ამ ქმედობისათვის წაქეზება და ხელის შეწყობა დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე და ქონების კონფისკაციით ან უიმისოდ.

ასეთივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან ბრძოლის პირობებში, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

სასჯელის უმაღლესი ზომით ან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით.

215. სამხედრო უფროსის მიერ მისთვის მინიჭებული ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა, უკეთუ ამას შედეგად არ მოჰყოლია მინდობილ შეიარაღებულ ძალთა და მატერიალურ საშუალებათა დეზორგანიზაცია ან სხვა რამ განსაკუთრებით მძიმე შედეგი, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

დისციპლინალური წესით.

იგივე მოქმედება, უკეთუ მას შედეგად მოჰყვება ამ მოქმედების ჩამდენისათვის მინდობილ შეიარაღებულ ძალთა და მატერიალურ საშუალებათა საერთო დეზორგანიზაცია ან სამხედრო აჯანყება, ან სათანადო მომარაგების საქმის მოშლა, ან ხსენებულ ძალთა და საშუალებათა დაღუპვა, საიდუმლოს და სტრატეგიული გეგმის გახმაურება, ან სხვა რამ განსაკუთრებით მძიმე შედეგი, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

იგივე მოქმედება ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით, უკეთუ მას არ მოჰყოლია ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული შედეგი დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა.

ხოლო უკეთუ მას ხსენებული შედეგი მოჰყვა—

სასჯელის უმაღლესი ზომით.

222. შეუსრულებლობა ან დარღვევა ხმელეთით, წყლით ან ჰაერით მიმოსვლის უშიშროებისათვის და წესრიგისათვის კანონით ან სავალდებულო დადგენილებით შემოღებული წესებისა **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

ჯარიმით სამას მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით.

230. დარღვევა ბეჭდვითი ნაწარმოების გამრავლებისა და გამოცემისათვის შემოღებული წესებისა და სავალდებულო დადგენილებისა, აგრეთვე დარღვევა ფოტო-კინო-ცენზურის წესებისა **დ ა ი ს ჯ ე ბ ა**

ჯარიმით სამას მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლები:

18[1]. სასამართლო ვალდებულია სასჯელი, რომელიც დაედება არასრულწლოვანს 13—16 წლამდე, შეამციროს ნახევრად, ხოლო არასრულწლოვანს 16—18 წლამდე ერთი მესამედით.

22 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

ამა კოდექსის 67 მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულისათვის ხანდაზმულობის შეფარდება დამოკიდებულია სასამართლოზე თვითეულ შემთხვევაში ცალკე.

36 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

შენიშვნა 1. უკეთუ ბრალდებული ავად არის ისეთი სენით, რომლის გამოც იგი მოკლებულია შრომის უნარს, და ეს გარემოება გამოირკვა განაჩენის გამოტანამდე, ან, უკეთუ იძულებითი მუშაობა ადგილობრივ ჯერ არ არის მოწყობილი, და უკეთუ ამასთანავე სათანადო მუხლში სხვაგვარი სასჯელი არ არის გათვალისწინებული, სასამართლოს უფლება აქვს შესცვალოს იძულებითი მუშაობა ფულად ჯარიმად, ან თავისუფლების აღკვეთად, ან თავისუფლების პირობით აღკვეთად, იმისდა მიხედვით, თუ რა თვისებისაა დანაშაული და რა კლასს ეკუთვნის მსჯავრდადებული; თანაც სასჯელი თავისუფლების აღკვეთად შეიცვლება იმ ანგარიშით, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე დაიდოს იძულებითი მუშაობის სამი დღისათვის.

შენიშვნა 2. სამხედრო მოსამსახურეს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად დაედება საჯარიმო სამხედრო ერთეულში გაგზავნით.

49 მუხლს დაემატოს პუნქტი „ე“:

გაშვება არასრულწლოვანისა მშობლის, ნათესავის ან სხვა პირის თავდებობით ისე კი, რომ სასამართლომ ყოველმხრივ გაიცნოს თავდების ყოფაცხოვრება და ვინაობა.

55 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ სასამართლო სასჯელად გადასწყვეტს თავისუფლების აღკვეთას ექვს თვეზე ნაკლები ვადით, არ შეიძლება ვადამდე განთავისუფლების შეფარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდადებული მძიმე ავადმყოფია.

79[1]. დამალვა სამკვიდრო ქონებისა მთლად ან მისი ნაწილისა, აგრეთვე ხელოვნურად შემცირება სამკვიდროს ღირებულებისა იმ მიზნით, რომ გვერდი აეხვიოს კანონსა მემკვიდრეობის სამართლის და სამკვიდროს ბაჟის შესახებ, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

79 მუხლის 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

82[1]. თავის არიდება საცდელ თუ შესამოწმებელ მობილიზაციისაგან დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით სამი თვიდან ექვს თვემდე და სავალდებულო ქონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა ნაკლებ 500 მანეთისა ოქროთი.

82[2]. თავის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო ან უკეთუ დამნაშავე პოლიტიკურად ნაკლებად შეგნებულია—კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა ნაკლებ 300 მანეთისა ოქროთი და ჯარის ნაწილში გაგზავნით სამხედრო სამსახურის მოსახდელად; ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე—თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვით და მეტი ვადითაც, ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ ჯარის ნაწილში გაგზავნით სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში.

82[3]. თავის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან საკუთარი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით, საბუთში სიყალბის შეტანით, თანამდებობის პირის მოსყიდვით, საკუთარი გვარის თუ წოდების შეცვლით, აგრეთვე სარწმუნოებრივი საბაბით ან რაიმე სხვა ხრიკით დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაციით.

82[4]. თავის არიდება აღრიცხვაზე მყოფი სამხედრო ვალდებულის მიერ მობილიზაციაზე გამოცხადებისაგან, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებსა და გარემოებაში მოხდა ეს ქმედობა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ქონების ნაწილის კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა, ისე კი, რომ სისრულეში მოყვანა განაჩენის იმ ნაწილისა, რაც პირად დასჯას შეეხება, გადაიდება საომარ მოქმედებათა დასრულებამდე, ხოლო თვით მსჯავრდადებული განაჩენის გამოცხადებისათანავე გაიგზავნება სამსახურისათვის ჯარის მომქმედ ნაწილში.

ასეთივე თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც საკომანდო, საადმინისტრაციო თუ საკომისარო შედგენილობას ეკუთვნის, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქონების ნაწილის კონფისკაციით და საკომანდო, საადმინისტრაციო და საკომისარო თანამდებობის დაჭერის უფლების ჩამორთმევით და თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, ისე კი, რომ სისრულეში მოყვანა განაჩენის იმ ნაწილისა, რაც თავისუფლების აღკვეთას შეეხება, გადაიდება საომარ მოქმედებათა დასრულებამდე, ხოლო თვით მსჯავრდადებული, განაჩენის გამოცხადებისათანავე წითელარმიელად გაიგზავნება ჯარის ან ფლოტის მომქმედ ნაწილში.

107[1]. თავის არიდება მოწმისა, ექსპერტისა, თარჯიმანისა ან თანამოწმის მიერ იმისაგან, რომ გამოცხადდეს მოკვლევის ორგანოსთან, როდესაც მოკვლევა წინასწარი გამოძიების სამაგიეროა, ან საგამომძიებლო თუ სასამართლოს ორგანოსთან, ან და უარის თქმა დაკისრებულ მოვალეობაზე დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით სამ თვემდე ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

107[2]. სახალხო მსაჯულის გამოუცხადებლობა, თვინიერ პატივსადები მიზეზისა, სამოსამართლო მოვალეობის აღსასრულებლად დ ა ი ს ჯ ე ბ ა

პირველად—საზოგადოებრივი გაკიცხვით, რაც სავალდებულოა გამოქვეყნებულ იქნეს პრესაში;

მეორედ— ჯარიმით არა უმეტეს ათი მანეთისა ოქროთი.

107[3]. გახმაურება წინასწარი გამოძიებისა, მოკვლევისა ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო ცნობებისა, უკეთუ ეს მოხდა პროკურორის ან გამომძიებლის ნებადაურთველად, ან მოკვლევისა და რევიზიისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ნებადაურთველად, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ან ჯარიმით 500 მანეთამდე ოქროთი.

117[1]. ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუაკაცობა, მექრთამეობისათვის რითიმე ხელის შეწყობა ან მისი საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობა დ ა ი ს ჯ ე ბ ა

წინა მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო—იმავე მუხლის 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

ის, ვისზედაც ეს მუხლი და წინა მუხლი გავრცელდება, შეიძლება სასამართლომ გაანთავისუფლოს სასჯელისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში: ა) უკეთუ იგი ნებაყოფლობით და დაუყოვნებლივ განაცხადებს ქრთამის გამოძალვას და ბ) უკეთუ თავის დროზე ჩვენების მიცემით და შეტყობინებით ხელს შეუწყობს მექრთამეობის გამოაშკარავებას.

129[1]. გემის უფროსის ან მისი სამაგიერო პირის ნებადაურთველად უცხოეთის ნავთსადგურში მდგომ სავაჭრო გემიდან წასვლა იმ პირისა, რომელიც გემის ეკიპაჟს ეკუთვნის, უკეთუ მან სხვაგან ოცდა ოთხ საათზე მეტ ხანს დაჰყო, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით არა ნაკლებ ერთი თვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

144¹. ის, ვისაც წინა მუხლში აღნიშნული სპირტიანი სასმელების უკანონოდ დამზადება და შენახვა ხელობად გადაუქცევია (რეციდივისტი), დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა და მთელი ქონების კონფისკაციით.

171¹. სქესობრივი ჟინის გარყვნილი სახით—პედერასტიით დაკმაყოფილებისათვის, გარდა 171 მუხლში აღნიშნული შემთხვევისა, ორივე მონაწილე დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე.

ხოლო, უკეთუ დანაშაულს თან სდევდა ძალადობა, ან იგი ჩადენილ იქნა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით,

დამნაშავის სასჯელი აიწევს ვადამდე არა ნაკლებ სამი წლისა.

187¹. მტაცებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწყობიდან, ნავსაყრელიდან, ვაგონიდან და სხვა საცავიდან, უკეთუ იგი ჩადენილია სისტემატიურად როგორც ქურდობით, ისე სიყალბით, არა სწორი აქტის შედგენით და სხვა ასეთი დანაშაულებრივი მოქმედებით ან ჩადენილია პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ ან და უკეთუ გატაცებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ქონება, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, ხოლო ბრალის დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით.

196¹. დამზადება და შენახვა გასაღების მიზნით ყალბი სასინჯი ნიშნისა, ან ნიშნის დასმა პატიოსანი ლითონის ნაკეთობასა და ზოდებზე, დასმა სასინჯი ნიშნის მინაგვანი ნიშნისა და მარკისა უბრალო ლითონის ნაკეთობაზე, აგრეთვე სასინჯი ნიშნის დასმა გარეშე სასინჯი დაწესებულებისა დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა, ფალსიფიკაციაქმნილი საგნების და ნიშნების კონფისკაციით და ვაჭრობის უფლების ჩამორთმევით.

196². გასაღება 196¹ მუხლში აღნიშნული საგნებისა, უკეთუ წინასწარი შეცნობით ამ საგნებს აქვს ყალბი ნიშანი ან ისეთივე ნიშანი, რაც არ შეეფერება მათში მოთავსებული პატიოსანი ლითონის რაოდენობას, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

196 მუხ. გათვალისწინებული სასჯელით.

ამა მუხლში აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით დ ა ი ს ჯ ე ბ ა

196¹ მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

211¹. გაქცევა მეორედ დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე და სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა ნაკლებ 300 მანეთისა ოქროთი.

211². გაქცევა შესამედ დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების სავალდებულო კონფისკაციით.

უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო, როდესაც განიხილავს, 43 მუხლის თანახმად, მსჯავრდადებულისათვის უფლების შეზღუდვის საკითხს, აღნიშნავს განაჩენში იმ წესს, რა წესითაც სამხედრო მოსამსახურემ შემდეგში უნდა მოიხადოს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

211[8]. გაქცევა წითელარმიელისა პირველად, მაგრამ ომიანობის დროს ან ბრძოლის პირობებში, იმ ერთეულიდან ან დაწესებულებიდან, რომელსაც გაქცეული იკუთვნის, ან გაქცევა საკომანდო, საადმინისტრაციო და საკომისარო შედგენილობის პირისა მშვიდობიანობის დროს გინდ ბრძოლის პირობებში

დ ა ი ს ჯ ე ბ ა

სასჯელის უმაღლესი ზომით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა ქონების კონფისკაციით; ამასთანავე ომიანობის დროს განაჩენის იმ ნაწილის სისრულეში მოყვანა, რომელიც შეეხება წითელარმიელის პირად დასჯას თავისუფლების აღკვეთით, გადაიდება სამხედრო მოქმედებათა დასრულებამდე, ხოლო მსჯავრდადებული გაიგზავნება არმიის ან ფლოტის მომქმედ ნაწილში; ხოლო იმ განაჩენს, რომლითაც საკომანდო ან საკომისარო შედგენილობის პირს გადაწყვეტილი ექნება თავისუფლების აღკვეთა, მშვიდობიანობის დროს აუცილებლად თანასდევს უფლების შეზღუდვა, ომიანობის დროს კი უფლების შეზღუდვა ისე, რომ მსჯავრდადებული უბრალო წითელარმიელად გაიგზავნება არმიისა ან ფლოტის მომქმედ ნაწილში.

232[1]. იმ წესის შეუსრულებლობა, რაც შემოღებულია სავაჭრო დავთრებისა და ისეთი საბუთებისა და საქმის საწარმოებელი ქაღალდების შენახვისათვის, რომელთაც საღერბო გამოსაღები უნდა დაედოს, აგრეთვე საღერბო გამოსაღების გამო წარმოებული რევიზიის დროს თანამდებობის პირისათვის საბუთების, ქაღალდების და დავთრების წარუდგენლობა

დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით სამ თვემდე.

232[2]. შეტანა წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობისა სახელმწიფო დაწესებულებისა ან თანამდებობის პირისათვის წარსადგენ განცხადებაში, აგრეთვე კანონით შემოღებულ ანკეტაში სავაჭრო-სამრეწველო, საბინაო და სხვა ამხანაგობისა და საზოგადოების რეგისტრაციის დროს, სამსახურში შესვლის დროს და სხვ.

დ ა ი ს ჯ ე ბ ა

ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით სამ თვემდე.

III.

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიშალოს: 32 მუხლის «ვ» პუნქტი, 39 და 47 მუხლის შენიშვნები, 187 მუხლის «ტ» პუნქტი და 234 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე“-ში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აპრილის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ც. ა. კ. და ს. კ. ს. ჟურნალ „მოამბე“-ში 1924 წ. № 4.

24.

დადგენილება № 91

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საქართველოს სოც. **საბჭ. რესპუბლიკის ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

(მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წ. თებერვ. 27).

სატყეო მეურნეობის მტკიცე საფუძველზე დასამყარებლად, სოფლის მშრომელი მოსახლეობისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა საჭირო ხე-ტყით უზრუნველსაყოფად და, საერთოდ, სატყეო მრეწველობის განსავითარებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე დამტკიცებული საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტ ყ ი ს კ ო დ ე ქ ს ი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1924 წლ. აპრილის 1-დან და გავრცელდეს აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაზე, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

2. გაუქმებულ იქნეს სატყეო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე ტყეების შესახებ გამოცემული ყველა დეკრეტი და დადგენილება.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ევალება, სატყეო კოდექსში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათვალისწინებული წესით, ორი წლის განმავლობაში გამოიკვლიოს და გადასცეს მშრომელ მოსახლეობას, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ნაკვეთები და ტყის ველები, რასაც არა აქვს სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობა, და დაუყოვნებლივ შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქციები კოდექსის განსახორციელებლად.

სრულ. საქ. საბჭ. ცენტ. აღმას. კომ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად. საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომ. მდივანი **პ. საბაშვილი.**
1924 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტყის კოდექსი.

კარი I.

ძირითადი დებულებანი

1. ყველა ტყე და უტყეო ადგილი მერქნის აღმოსაცენად და სატყეო მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის დანიშნული, სათანადო წესით გამოყოფილი სხვა დანიშნულების მიწებისაგან, არის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრება და შეადგენს ერთიან სატყეო სახელმწიფო ფონდს.

2. სახელმწიფო სატყეო ფონდიდან შეიძლება გამოიყოს და საადგილ-მამულო ფონდში გადაირიცხოს ქვემოდ აღნიშნული ტყიანი ადგილები, რასაც დაცვითი ტყის ხასიათი არ ექნება:

ა) ტყიანი ვაკე ადგილი, გლეხთა საზოგადოების და ამხანაგობის მიერ რევოლიუციამდე შეძენილი მიწათსარგებლობის გაფართოებისათვის, ან კანონიერად მათთვის მიცემული ამავე მიზნით მიწის კოდექსის გამოცემამდე;

ბ) მცირე ტყიანი ნაკვეთები, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწებშია შეჭრილი და ხელს უშლის ამ მეურნეობის წარმოებას.

შენიშვნა. ასეთი ადგილების სახელმწიფო სატყეო ფონდიდან გამოყოფას მოახდენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

3. სატყეო ფონდიდან საადგილ მამულო ფონდში გადასარიცხავად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები მათზე აღმოცენებული ტყით გადადის მიწათმომწყობ დაწესებულებათა გამგებლობაში და მათ მიერ მიეცემა მიწის მოსარგებლეთ, თანახმად მიწის კოდექსით გათვალისწინებული წესებისა დი პირობების.

შენიშვნა. სატყეო ფონდიდან გამოყოფილი ნაკვეთების სამასალე ტყეს გაასაღებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება საერთო წესისამებრ.

4. ერთიანი სახელმწიფო სატყეო ფონდი განიყოფება:

ა) ტყე ადგილობრივი მნიშვნელობისა,

ბ) ტყე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი II.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

5. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყედ გამოიყოფა ის ნაკვეთები, რაც მთავარი ტყეების სივრცის გარეშე მდებარეობს, სახელდობრ:

ა) ყოფილი საგლეხო, სათემო და გადასახლებულთა ტყის ნაკვეთები,

ბ) ტყის ნაკვეთები, რაც გლეხთა კომლობრივ მფლობელობაში იყო და

გ) ის მცირე ტყის ნაკვეთები, რაც ტყეების ნაციონალიზაციამდე მემამულეებს ეკუთვნოდა და რასაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

შენიშვნა. მე-5 მუხლში აღნიშნული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების რიცხვში არ შედის ის ნაკვეთები, რაც იმაგრებს ფხვიერ-სილიან ნიადაგს, იცავს მდინარის ნაპირებს წყალისაგან, ხოლო მთის ფერდოებს ხვავისაგან და აჩერებს ხევების გადიდება-გაფართოებას.

6. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გამოყოფის პროექტს შეადგენს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილება მაზრის სატყეო ადმინისტრაციასთან ერთად და სატყეო განყოფილების დასკვნით დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე მას შემდეგ, რაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მას ასეთ ტყედ იცნობს, გადაეცემა მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების განკარგულებით უვადო სარგებლობისათვის: სოფელს, სასოფლო-სამეურნეო კომუნას, არტელებს და კერძო მიწის მოსარგებლეს თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საამისოდ გამოცემული წესებისა.

8. ტყის მოსარგებლეს, რომლის გამგებლობაშიაც გადადის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, დაევალება:

ა) დაცვა ტყისა: ხანძარისაგან, თვითნებობითი გაჩეხვისაგან, საქონლის უწესო ძოვებისაგან და,

ბ) ასრულება სატყეო განყოფილების მიერ დამტკიცებული სატყეო მეურნეობის გეგმისა.

9. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მეურნეობა სწარმოებს მარტივი გეგმით, რაც შედგენილ უნდა იქნეს ტყის მოსარგებლის ხარჯზე, თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული საგანგებო ინსტრუქციისა. ამ გეგმის შესრულების თვალყურის დევნება დაევალება მაზრის სატყეო ადმინისტრაციას.

10. ტყის მოსარგებლისათვის გადაცემულ ნაკვეთზე სატყეო მეურნეობის უწესოდ წარმოებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის კანონის ძალით.

11. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გაწმენდა და სხვაგვარი სარგებლობის ნაკვეთად გადაქცევა შეიძლება მხოლოდ სატყეო კოდექსის 56—59 მუხ. მიხედვით.

12. რათა საბჭოთა სხვა და სხვა მეურნეობა დაკმაყოფილებულ იქნეს საჭირო მერქნით, შესაძლებელია გამოყოფა ტყის პატარა ნაკვეთებისა, რაც მდებარეობს ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ან მას ზედ აკრავს. ასეთი ნაკ ეთების ექსპლოატაკია და დაცვა განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გა ოცემული განსაკუთრებული წესებით.

კ ა რ ი III.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები.

თ ა ვ ი 1.

ზოგადი დებულებანი.

13. ყველა ტყე, რაც ერთიან სახელმწიფო სატყეო ფონდში დარჩება, ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფის შემდეგ, შეადგენს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეს.

14. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები მათი სარგებლობის ხასიათის მიხედვით განიყოფეკა:

ა) საკუთრივ სახელმწიფო ტყეები და

ბ ტყეები განსაკუთრებული დანიშნულებისა.

15. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეთა მეურნეობას აწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება.

თ ა ვ ი 2.

ტყის მეურნეობის მოწყობა.

16. რათა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყის მეურნეობა წესიერად იქნეს წარმოებული, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სათანადო ინსტრუქციების თანახმად, შედგენილ იქნება სატყეო სამეურნეო გეგმა, რომლითაც დაწესდება ტყის მოჭრის ბრუნვა, რაოდენობა და წესრიგი ტყის ყოველგვარი სარგებლობისა და აგრეთვე მუშაობის საფუძველი ტყეების აღმოცენება-გაშენებისა და მოვლისათვის.

17. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან წლიური გასაცემი მერქნის რაოდენობა, ტყის გამგეების მიერ შედგენილი აღრიცხვებით, არ უნდა აღემატებოდეს ტყის წლიურ ნამატს: გამოკვლეულ და მოწყობილ აგარაკებში— დამტკიცებული სატყეო მეურნეობის გეგმის დანახმად, დანარჩენ აგარაკებში კი—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ განსაკუთრებულ ინსტრუქციებში ნაჩვენები ანგარიშის მიხედვით.

18. ყველა სატყეოსათვის შედგენილ გასაცემი ხე-ტყის აღრიცხვას განიხილავს სატყეო განყოფილება და დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

19. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე ნედლი-მოზარდი ხე-ტყის გაცემა, რაც, ყოველ შემთხვევაში, უნდა მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით. აღრიცხვის გარეშე გაცემული ტყე უნდა ჩაითვალოს მომავალ წლებში გასაცემ ტყის ანგარიშში.

20. ხე-ხმელი, დაზიანებული, ქარისაგან მოტეხილი, გამოწალდვისა, გამოხშირვისა და აგრეთვე გზების გაყვანის დროს მოჭრილი ტყე და სხვ. ამისთ. რამ გაიცემა აღრიცხვის გარეშე ანუ აღრიცხვაში ჩათვლით ხე ტყის გაცემის ინსტრუქციის მიხედვით.

21. ძირეული ხე ტყის ფასი განისაზღვრება ნიხრით; ნიხრს შეადგენს სატყეო განყოფილება და დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

22. სატყეო განყოფილებას შეუძლიან როგორც ხე-ტყის საბაზრო ფასების მიხედვით, ისე ამა თუ იმ ნაკვეთის მერქანის მაღალი ღირსებისა ან სხვ. გარემოების მიხედვით, ხე-ტყის ნიხრი გაადიდოს 30—50%, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს კომისარიატის მიერ.

23. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან გასაცემი მერქანი საინიხრო ფასით მიეცემა მარტოოდენ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ადგილობრივ დაწესებულებასა და საწარმოს, მათი ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით.

ხოლო ნიხრით, საჯარო ვაჭრობის გარეშე, მაგრამ რამდენიმე პროცენტის მიმატებით, რომლის რაოდენობასაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი განსაზღვრავს, ხე-ტყე მიეცემა სახელმწიფოებრივ შენაერთს და საწარმოს, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს მერქანის მექანიკური ანუ ქიმიური შემუშავება, მათი წარმოების ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით.

24. სოფლის მიწის მუშას და მუშა-მოსახურეს საჭირო ხე-ტყე, ნორმების მიხედვით, მიეცემა შეღავათიანი ნიხრით; ნორმებსა და ნიხრს ამ წესით გასაცემ ხე ტყისას დაადგენს სატყეო განყოფილება და დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. უაღრესად ღარიბ მიწის მუშას (წითელ-არმიელების ოჯახს, ქვრივ-ობლებს, გადმოსახლებულთ და სხვ.) მათი ქონებრივი მდგომარეობისა და ნამდვილი საჭიროების მიხედვით, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების შემოწმებით, შეიძლება მიეცეს ხე-ხმელი და ნაყარი ტყე საწვავათ და საშენებლად, არა უმეტეს არსებული ნორმებისა, ზემოხსენებულ ნიხრზე 75% დაკლებით მაზრის აღმას. კომიტეტისა და 50% დაკლებით სატყეო ადმინისტრაციის განკარგულებისამებრ.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც ხე-ხმელი, ნაყარი და ფიჩხი ბევრია და არა აქვს სათანადო ბაზარი, ხოლო მისი დარჩენა ტყეში, ერთის მხრით, მავნებელია ტყის ზრდისათვის და, მეორეს მხრით, სახიფათოა ცეცხლის გაჩენისათვის,—ღარიბ-მშრომელ მოსახლეობას ასეთი ხე-ტყე უნდა მიეცეს სრულიად უფასოდ.

25. უფასოდ შესაძლებელია მიეცეს ხე-ტყე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სათანადო ინსტრუქციის მიხედვით: სტიქიურ უბედურობისაგან დაზარალებულთ (ხანძარით, წყალდიდობით, მიწის ძვრით და სხვ.), საზოგადოებრივ დაწესებულებათ (სასწავლებლებს, საავადმყოფოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვ.) და სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის (ახალი შენობების ასაგებად, ძველის შესაკეთებლად, სატყეოებში გზების გასაყვანად და შესაკეთებლად და სხვ.); აგრეთვე გადმოსახლებულებს თავისი შენობების ასაგებად დასასახლებელ ადგილზე.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებული უფასოდ გასაცემი ხე-ტყის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წლიურად გასაცემი ხე-ტყის საერთო რაოდენობის 5%-ს.

26. ამა კოდექსის 23—25 მუხლების ძალით მერქნის მიმღებელნი მოვალენი არიან მოიხმარონ იგი პირდაპირ დანიშნულებისათვის და არა აქვთ უფლება გადასცენ სხვას. მათვე ეკრძალებათ გაყიდვა დამზადებული ხე-ტყის მასალისა და შეშისა, ან მისი გადაცემა მოსამსახურეებისათვის, მუშებისათვის და მოიჯარადრეებისათვის ხელფასის ანგარიშში და აგრეთვე ეკრძალებათ ხეტყის საზიაროდ გაცემა დასამუშავებლად.

27. კონცესიის საფუძველზე ხანგრძლივი ვადით იჯარად გაცემული ტყიდან მერქანის მიცემა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულობით, რაც ამა კოდექსის 51—55 მუხ. უნდა ემყარებოდეს.

28. წლიური აღრიცხვით გასაცემი ტყის ნარჩენი გაყიდულ უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობით სხვა და სხვა მომხმარებლებს შორის მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებულია მერქნით სახელმწიფო მოთხოვნილებანი და ადგილობრივი მკხოვრებლების საჭიროებანი.

29. გაყიდვა ტყისა საჯარო ვაჭრობით მოხდება მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ შემუშავებული დებულებების და პირობების მიხედვით.

30. ხე ტყის გაყიდვის პირობებში (მუხ. 29) განსაზღვრულ უნდა იქნეს:

ა) იმ საწინდრის რაოდენობა, რაც წარდგენილ უნდა იქნეს ტყის გასუფთავების უზრუნველსაყოფად, ხოლო კერძო პირებისათვის, აზის გარდა, დადებული ხელშეკრულობის წესიერი შესრულების უზრუნველსაყოფად.

ბ) ვადა ხე-ტყის მოჭრა-დამზადებისა, გამოტანისა და ტყის გაწმენდისა.

გ) ვადა ხე-ტყის ღირებულების გადახდისა.

დ) წესი დამზადებულ ხე-ტყის და ადგილის შემოწმებისა.

ე) წესი დამზადებული ხე-ტყის მასალის აღნუსხვა დაზომვისა.

ვ) პასუხისმგებლობა ხელშეკრულობის დარღვევისათვის.

ზ) მიზეზი, რაც გამოიწვევს ხელშეკრულობის მოშლას და პირგაუტეხელობის ჯარიმის გადახდას.

თ) წესი გასაცემი მერქნის აღნუსხვისა.

31. როგორც საჯარო ვაჭრობით, აგრეთვე ნიხრით შეძენილი ტყის მოჭრა და დამზადება შეიძლება მხოლოდ სათანადო ბარათით.

32. ხე-ტყის გადაცემა მყიდველის სრულ განკარგულებაში შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ღირებულება მთლად გადახდილია ან და სათანადოდ უზრუნველყოფილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი ₃.

ტყის არაპირდაპირი სარგებლობა

33. ტყის არაპირდაპირ სარგებლობას ეკუთვნის: საქონლის ძოვება, თიბვა, სადაბალო მასალის დამზადება, ნადირობა, თევზაობა ტყის ტბებში და მდინარეებში და სხვა და სხვა ნაყოფის მოკრეფა და სატყეო ტერიტორიაზე ფიხისა, სილისა და ქვის დამზადება.

34. საქონლის ძოვება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეში ნებადართულ უნდა იქნეს თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციისა; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს ყველა პირობა ტყეების ბუნებრივი აღმოცენებისა და მოზარდი ტყეების შენახვისა.

35. ტყის არაპირდაპირი სარგებლობისათვის სატყეო განყოფილება დააწესებს სათანადო ნიხრს, რასაც დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. დაკლებული ნიხრით და უფასოდ სარგებლობის უფლება მიეცემათ სატყეო კოდექსის 24—25 მუხ. აღნიშნულ მცხოვრებთა კატეგორიებს.

36. სატყეო განყოფილებას ნება აქვს ტყეში მდებარე მიწის ნაკვეთი გამოიყენოს სატყეო მეურნეობისა და ტყის მრეწველობის საჭიროებისათვის (სანერგეებად, სატყეო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სარგებლობისათვის, ხეტყის საწყობებად, სატივეებად და სხვ.). ასეთი ადგილების ექსპლოატაცია მოხდება განსაკუთრებული დებულების მიხედვით.

კ ა რ ი IV.

განსაკუთრებული დანიშნულების ტყეები.

37. განსაკუთრებული დანიშნულების ტყედ ჩაითვლება ისეთი აგარაკი, რაც გამოყოფილია საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან სახელმწიფოს განსაკუთრებული საჭიროებისათვის.

38. კერძოთ, ასეთ ტყეთ ჩაითვლება:

ა) დაცვითი ტყე;

ბ) სამეცნიერო-საცდელი ტყის აგარაკი და ბუნების ძეგლები;

გ) სამთამადნო ტყე;

დ) საქალაქო ტყე;

ე) საკონცესიო ხელშეკრულობით გაცემული ტყე.

39. განსაკუთრებული დანიშნულების ტყის აგარაკი 38 მუხლში მოხსენებული მიზნებისათვის გადაეცემა სათანადო დაწესებულებას თუ საწარმოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

40. განსაკუთრებული დანიშნულების ტყე გადაირიცხება უკანვე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) როცა ტყის სარგებლობის ვადა გათავდება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როცა ტყე საჭირო აღარ იქნება დაწესებულებისათვის.

41. დაცვით ტყეთ ჩაითვლება შემდეგნაირი ტყე და ჩირგვნარი:

ა) რაც ამაგრებს ფხვიერ-სილიან ნიადაგს;

ბ) რაც იცავს მდინარეს, ნაკადულს და წყაროს წყლის დაკლებისაგან;

გ) რაც იცავს მდინარის ნაპირებს წალეკისა და ჩამოქცევისაგან;

დ) რაც იმაგრებს ზვავსა და მეწყერს, იცავს ფერდობებს ნიადაგის ჩამორეცხისა და ხევების გაჩენისაგან;

ე) რაც ჰიგიენური ან ესტეტიური მნიშვნელობისაა და

ვ) რაც დაცულ და შენახულ უნდა იქნეს მეცნიერული თვალსაზრისით.

42. ამა თუ იმ ტყის ნაკვეთის დაცვით ტყეთ აღიარება და ასეთი ტყის სარგებლობის წესი განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დებულებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

43. ამა კოდექსის 41 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე სამკურნალო ან ჰიგიენური მიზნისათვის დაცვით ტყედ გამოცხადებული ტყე, სამთო-სანიტარულ დაცვის ოლქის ფარგალში, გადაეცემა საკურორტო სამმართველოს, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის თებერვლის 3 თარიღისა და 29 №-რის დადგენილებისა და ამავე თარიღის დეკრეტისა „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ“.

44. ამა კოდექსის 41 მუხ. „გ“ და „ვ“ პუნქტში აღნიშნული კატეგორიების დაცვითი ტყეები, გარდა ამავე კოდექსის 43 მუხ. თანახმად საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემული ტყეებისა, —შეიძლება გადაეცეს სათანადო დაწესებულებას და უწყებას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრულ პირობებისამებრ.

45. სამეცნიერო და სასწავლო-საცდელი სატყეო მიზნებისათვის შეიძლება მიეცეს: სატყეო, სატყეო ტეხნიკურ და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს მათთვის საჭირო ტყის ნაკვეთები.

46. სამეცნიერო საცდელი ტყის აგარაკის შემოსავალი ჩაირიცხება სათანადო სასწავლებლის ან დაწესებულების სპეციალურ თანხებში და დაიხარჯება სამეცნიერო-საცდელ საქმის განსავითარებლად და ამავე აგარაკის სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის, ხარჯთ-აღრიცხვით და დადგენილი წესით.

47. ქალაქთან მდებარე ტყის ნაკვეთი შეიძლება გამოცხადდეს ქალაქის ტყედ, და ამ შემთხვევაში ჩაირიცხება ქალაქის ფარგალში ქალაქის მიწებისათვის არსებული წესის მიხედვით.

48. აღიარება ამა თუ იმ ტყის ნაკვეთისა ისეთ ტყედ, რაც ქალაქს უნდა გადაეცეს, გადასწყდება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილებისა და ქალაქის კომუნალური განყოფილების შეთანხმებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

49. ქალაქის ტყე ქალაქის საბჭოს გამგებლობაში არის და შეიძლება, ქალაქის საბჭოს დადგენილებით, გამოცხადდეს მთლად ან ნაწილობრივ ხელუხლებელ ტყედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. საქალაქო ტყის მეურნეობა სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით გამოცემული ინსტრუქციისამებრ.

51. საკონცესიო ტყედ ჩაითვლება ის ტყე, რაც კონცესიონერებს უნდა გადაეცეს მერქნის საექსპლოატაციოდ, თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სათანადო ხელშეკრულობისა.

52. საკონცესიო ტყის რაიონი დაწესდება სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

53. საკონცესიო სარგებლობისათვის გაცემული სატყეო-სამეურნეო ერთეული დარჩება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო-საადმინისტრაციო გამგებლობაში; ხოლო კონცესიონერს უფლება ეძლევა გამოიყენოს, თანახმად სამეურნეო გეგმისა, მერქანი მისთვის მიხოვილ ტყის ნაკვეთებზე ხელშეკრულობის ვადის გათავებამდე.

54. საკონცესიო ხელშეკრულობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) საზღვრები საკონცესიო ნაკვეთისა;

ბ) ვადა კონცესიისა;

გ) წესი საერთო და ნაწილობრივი სამეურნეო გეგმის შედგენისა;

დ) წესი წლიურად მოსაჭრელი ტყის ნაკვეთების გამოყოფისა;

ე) რაოდენობა, წესი და ვადა გადასახადისა, რაც კონცესიონერმა ტყის ღირებულებად უნდა გაიღოს;

ვ) განსაკუთრებული შედეგები, რაც მოჰყვება ხელშეკრულობის დარღვევას კონცესიონერის მიერ და

ზ) სხვა პირობები, რაც მოაწესრიგებს საკონცესიო ობიექტის სარგებლობას.

55. ზედამხედველობასა და კონტროლს კონცესიონერების მიერ სატყეო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის განახორციელებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება საერთო წესით.

კარი V.

სატყეო ნაკვეთების სხვაგვარი სახის მიწად გადაქცევა.

56. ტყის საახოედ გაწმენდა ან ტყის ნაკვეტის სხვაგვარი სახის მიწად გადაქცევა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში, რაც დაცვით ტყედ არ არის გამოცხადებული, შეიძლება:

ა) სახელმწიფო საჭიროებისათვის: რკინის გზებისათვის, ჯარის სადგომისა და სასროლისათვის, შენობებისათვის და სხვაგვარი სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის;

ბ) როცა სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესების აუცილებლობა გამოიწვევს სამეურნეო ადგილების გაფართოებას ტყის სივრცეზე;

გ) ვადასახლების მიზნით განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. ტყის საახოედ გაწმენდას და ტყის ნაკვეთების სხვაგვარი სახის მიწად გადაქცევას ამა კოდექსის 56 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში ნებას დართავს, სატყეო განყოფილების მოხსენებით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

58. სატყეო ნაკვეთების საახოედ გასაწმენდად გადაცემა მოხდება მიწის მოწყობის წესისამებრ სათანადო აქტის შედგენით, სადაც განსაზღვრულ უნდა იყოს ტყის მოჭრის ვადა, იმისდა მიხედვით, თუ რა სივრცისაა გასაწმენდი ნაკვეთი და რა პირობებია ხე-ტყის გასაღებისათვის.

59. ხე-ტყე სხვაგვარი სახის მიწად გადასაქცევი ტყის ნაკვეთებისა უნდა გაიცეს საერთო წესით.

კარი VI

სახელმწიფო სატყეო ფონდის გამგე ორგანოები.

60. ერთიან სახელმწიფო სატყეო ფონდს, გარდა საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემული ტყეებისა, განაგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება.

61. სახელმწიფო სატყეო ფონდი, დაცვისა და მართვა-გამგეობისა, აგრეთვე ეკონომიური პირობების მიხედვით, დაიყოფა სატყეოებად, რაიონებად და სადარაჯო უბნებად. სატყეოებად დაყოფას დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო სატყეო რაიონებისა და სადარაჯო უბნების რიცხვს და საზღვრებს დააწესებს სატყეო განყოფილება.

62. სატყეოში ძეურნეობის წარმოება და ტყის საერთო მართვა დაკისრებული აქვს ტყის გამგეს, რომელსაც დამხმარედ დაენიშნება თანაშემწეები. ამ თანაშემწეებს დაევალებათ სატყეოს რაიონების მართვა-გამგეობა, ტყის გამგის ხელმძღვანელობით და კონტროლით.

63. სატყეოების რევიზია, ტყის გამგეების შეთანხმებული მუშაობის დამყარება და ხელმძღვანელობა დაევალება სატყეო განყოფილებას.

64. ტყეების დასაცავად და მოსავლელად უბნებში დაინიშნებიან ტყის მცველები.

65. სატყეო ორგანოების კომპეტენცია, აგრეთვე უფლება-მოვალეობა ტყის ყველა სპეციალისტისა და ტყის მცველებისა განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული დებულებით.

კარი VII.

ტ ყ ე ე ბ ი ს დ ა ც ვ ა.

66. ტყის გამგეს დაევალება ორგანიზაცია ტყეების დაცვისა: ცეცხლისაგან, თვითნებობით ტყის გაჩეხვისაგან და ყოველგვარი დაზიანებისაგან, აგრეთვე ამა თუ იმ უკანონო სარგებლობისაგან.

67. ტყის მცველს, ტყის გამგისა და მისი თანაშემწეების ხელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, დაეკისრება ხელმძღვანელობა ჩაბარებული ტყის უბნისათვის. იგი თვალყურს ადევნებს, რათა ხანძარის გაჩენის საწინააღმდეგო ღონისძიებანი სათანადოდ იქნეს შესრულებული და ტყე დაცულ იქნეს სხვა ყოველგვარ დაზიანებისაგან.

68. ტყის გამგეს დაევალება: თვალყური ადევნოს, რათა ადგილობრივი მნიშვნელობისა და განსაკუთრებული დანიშნულების ტყეებში შესრულებულ იქნეს ტყის შენახვის ყველა წესი და რათა ტყის ჭრამ განადგურების ხასიათი არ მიიღოს.

69. ტყის გამგე, მისი თანაშემწენი და ტყის მცველნი ატარებენ სასროლ იარაღს და მათ აქვთ მილიციის უფლება: ტყის თვითნებობით გამჩეხნი დაიჭირონ, გაჩხრიკონ, ჩამოართვან უნებართვოდ მოჭრილი ხე-ტყე და გამოიწვიონ მოქალაქენი ხანძარის ჩასაქრობად.

70. ტყის გამგე და მისი თანაშემწენი თვალყურს ადევნებენ, რათა მათთვის ჩაბარებული სატყეოს ფარგალში სათანადოდ შესრულებულ იქნეს ნადირობის წესები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

25.

დ ე კ რ ე ტ ი

სამხედრო მაგიდების დაარსებისათვის 1924 წ. თებერვლის 6-ს თარიღითა და 74 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 და მე-3 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

სამხედრო მაგიდების დაარსებისათვის 1924 წ. თებერვლის 6-ს თარიღით და 74 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 2. სამხედრო მაგიდის საერთო გამგებლობა დაევალოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო ქალაქებში სამილიციო რაიონის უფროსს. ხოლო საქმისწარმოება დაეკისროს განსაკუთრებულ საქმის მწარმოებელს, რომელსაც დანიშნავს მაზრის სამხედრო კომისარი, რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან და სამილიციო რაიონის უფროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებით, უპირატესად სააღრიცხვო-სამობილიზაციო საქმის მცოდნე პირთაგან.

მუხ. 3. სამხედრო მაგიდის შესანახ ხარჯს გაიღებს სამხედრო უწყება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

26.

დადგენილება № 91ა

ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის დაარსების შესახებ.

ომის ინვალიდებისა (პირველ რიგში სამოქალაქო ომის ინვალიდებისა) და მათი ოჯახების, აგრეთვე ყველა სამხედრო მოსამსახურის ოჯახების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდეს ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი, რომელიც არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და შესდგება ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან:

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა,
2. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა,
3. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი,
4. ქალთა განყოფილებისა,
5. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში,
6. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა,
7. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა,
8. საქართველოს სამხედრო კომისარიატისა,
9. საქართველოს წითელი ჯვრისა.

2. კომიტეტს აქვს უფლება მოიწვიოს თავის შედგენილობაში საზოგადო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ებრივ ორგანიზაციის წარმომადგენელნი და კერძო პირნი, ვინც გამოიჩენს განსაკუთრებულ ენერგიას ომის ინვალიდთა დახმარების საქმეში.

3. მიმდინარე საქმეთა წარმოებისათვის კომიტეტი თავის შედგენილობიდან გამოჰყოფს პრეზიდიუმს.

4. ადგილობრივი და სამაზრო დამხმარე კომიტეტი მოეწყობიან ამგვარადვე აღმასრულებელ კომიტეტებთან.

5. სრულიად საქართველოს დამხმარე კომიტეტის ძირითად მიზანს შეადგენს:

ა) მშრომელთა ფართო მასის და ორგანიზაციების, აგრეთვე მოსახლეობის სხვა წრეების ჩაბმა ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და მათ ოჯახთა დახმარების საქმეში შემოწირულებით, გამოსაღებით და შემოსავლიან საწარმოთა ანარიცხით;

ბ) მშრომელთა ფართო მასების და ორგანიზაციების ჩაბმა რეგულიარულ უშუალო მუშაობაში ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, სამოქალაქო ომის ინვალიდთა და მათ ოჯახთათვის ამა თუ იმ სამსახურის გასაწევად;

გ) ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატების საათანადო დაწესებულებათათვის კონტროლის გაწევა შემჩნეული ნაკლისა და შეცდომისათვის ყურადღების მისაქცევად (ისე-კი რომ არა აქვს უფლება რაიმე უშუალო განკარგულება მოახდინოს ამ დაწესებულებებში).

6. სრულიად საქართველოს დამხმარე კომიტეტის ძირითად სახსარს შეადგენს როგორც რეგულიარული, ისე შემთხვევითი შემოწირულება.

7. მუშაობაში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად სრულიად საქართველოს დამხმარე კომიტეტმა და სამაზრო დამხმარე კომიტეტმა მთელი თავისი ძალღონე და სახსარი უნდა მოახმარონ უმთავრესად იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციების გაძლიერებას და გაუმჯობესებას, რომელსაც შეჰქმნის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და სხვა უწყება.

8. სრულიად საქართველოს დამხმარე კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27.

დადგენილება № 92

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში სამრეწველო საწარმოთა გახსნის წესის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს სწორი ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებსა და შენაერთებსა და კერძო პირთა შორის, რომელნიც მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებაში, —სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა მოქალაქეს, რომლის უფლება-უნარიანობა კანონში დადგენილი წესით შეზღუდული არ არის, უფლება ეძლევა საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე მოაწყოს სამრეწველო საწარმო ამა დადგენილების მე-4 მუხლში გათვალისწინებულ ფარგალში.

2 სამრეწველო საწარმო სამი კატეგორიისაა: მცირე, საშუალო და დიდი. მცირე საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს 5-მდე დაქირავებული მუშა-ხელი და მექანიკური მამოძრავებელი არა უმეტეს 5 ცხენის ძალისა ან და 10 მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ. საშუალო საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს არა უმეტეს 20 დაქირავებული მუშა-ხელისა და მამოძრავებელი არა უმეტეს 25 ცხენის ძალისა ან და 40 მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ. დიდ საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს 20 დაქირავებულ მუშაზე მეტი და აქვს მექანიკური მამოძრავებელი 25-ზე მეტი ძალისა ან და 40-ზე მეტი მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ.

შენიშვნა 1. ყოველგვარი დავა საწარმოს ამა თუ იმ კატეგორიად ცნობის შესახებ გადასწყდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა 2. დაქირავებულ მუშათა რიცხვში არ ჩაითვლება კონტორისა და ადმინისტრაციის მოსამსახურე.

3. მცირე სამრეწველო საწარმო გაიხსნება განცხადების წესით; საშუალო—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით; ხოლო დიდი საწარმო—საკონცესიო ხელშეკრულობის საფუძველზე.

შენიშვნა. ტყავეულობისა, პოლიგრაფიული და ფარმაცევტიული საწარმო, თუნდაც მცირე, გაიხსნება ნებართვით და განცხადების წესით.

4. უკეთუ საწარმო ბუნებრივად იზრდება კატეგორიებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით, იგი გადაირიცხება შემდეგ უმაღლეს კატეგორიაში, ხოლო ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესი: ნებართვის აღება ან საკონცესიო ხელშეკრულების დადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მცირე და საშუალო საწარმოს პატრონს უფლება აქვს თავისუფლად მოიხმაროს თავის წარმოების პროდუქტი და ნაკეთობა და მომქმედ კანონთა ფარგლებში შეიძინოს ნედლეულობა, მასალა, იარაღები და მოწყობილობა.

6. სამრეწველო საწარმო არ უნდა იქნეს ჩამორთმეული არც ნაციონალიზაციისა, არც მუნიციპალიზაციის წესით. მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოს გასკარგულებაში ქონებული პროდუქტი და ნაკეთობა საკუთარი წარმოებისა, აგრეთვე ამ წარმოებისათვის შეძენილი მასალა, ნედლეულობა, იარაღები და სხვ. მოწყობილობა შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს რეკვიზიციის წესით, თანახმად იმ წესებისა, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხ. დანართში.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს გადასინჯოს საკითხი ამა დადგენილების გამოცემამდე უკვე არსებულ კერძო საწარმოთა შემდგომი არსებობისა ან მათი სრულიად დახურვის შესახებ.

7. ყველა დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვისა, მიღებადათხოვნისა, სატარიფო ნორმებისა და შეგირდობის შესახებ სავალდებულოა ამა დადგენილებაში გათვალისწინებული ყველა საწარმოს პატრონისათვის.

8. ყველა საწარმო, რომელიც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს, გატარებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიურ განყოფილების რეგისტრაციაში.

9. სამრეწველო საწარმოს პატრონი წარუდგენს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ეკონომიურ განყოფილებას წლიურ და ნახევარწლიურ ანგარიშს თავისი საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

10. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიურ განყოფილების სამრეწველო ინსპექციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 27.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" №-134 №-ში 1924 წ. ივნისის 13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

28.

დადგენილება № 93

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ახალი დებულების დამტკიცების შესახებ.

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების არსებული დებულების (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 235 მუხლის დანართი) გასაუქმებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს აქვე დართული შემდეგი დებულება—

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდებისათვის.

კ ა რ ი 1.

1. სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, სხვათა შორის, კომერციული ანგარიშის პრინციპით მომქმედი დაწესებულებაც და საწარმოც, სამუშაოს ნარდად გასცემს და მიწოდებით რასმე იყიდის 1,000 ჩერვონეცზე მეტი ღირებულებისას—აუცილებლად საჯარო ვაჭრობით. ვაჭრობის დღე და პირობები წინასწარ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის. საჯარო ვაჭრობის წესი განისაზღვრება სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე ინსტრუქციით.

შენიშვნა 1. სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად სამუშაოს ნარდად გამცემ და მიწოდებით მყიდველ სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან სათანადო ხელშეკრულება დასდოს საჯარო ვაჭრობის გარეშეც.

შენიშვნა 2. სახელმწიფო ორგანოს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე არ არის, სამუშაოს ნარდად გაცემა და მიწოდებით ყიდვა საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად შეუძლიან მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს ოპერაციები შედის მის ოპერატიული, წარმოებითი ან კომერციული მოქმედების ფარგალში.

შენიშვნა 3. სამუშაოს ნარდად გაცემისა და მიწოდებით ყიდვის ხელშეკრულება სახელმწიფო ორგანოებ შორის დაიდება საჯარო ვაჭრობის გარეშე.

2. ხელშეკრულება, რომლის თანხა 10.000 ჩერვონეცია ან მეტი, უნდა დაამტკიცოს სათანადო სახალხო კომისარმა.

შენიშვნა 1. თვითეულ სახალხო კომისარს უფლება აქვს საინსტრუქციო წესით სავალდებულოდ შემოიღოს, რომ მისმა ხელქვეითმა ორგანომ ხელშეკრულება 10.000 ჩერვონეცზე ნაკლები თანხისა წარუდგინოს დასამტკიცებლად უწყების იმავე თუ სხვა ორგანოს.

შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული წესი არ გავრცელდება სახელმწიფო ტრესტსა და სინდიკატზე, რკინისგზის და ნაოსნობის სამმართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოზე, რამდენადაც მათი წესდებით ან სათანადო სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ხელშეკრულებაში, რაც დასამტკიცებელია წინა მუხლის წესით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს დამტკიცების მისაღებად საჭირო ვადა, და სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) არა აქვს უფლება ამ ვადის განმავლობაში უარი სთქვას იმ პირობებზე, რაც მას ხელშეკრულებით მიუღია, ან მოითხოვოს მათი შეცვლა. უკეთუ ცნობა ხელშეკრულების დამტკიცებისა ან დაუმტკიცებლობის შესახებ აღნიშნულ ვადის განმავლობაში მიღებულ არ იქნა, ხელშეკრულება ძალაში შესულად ჩაითვლება.

კარი 2.

დამოკიდებულება სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმწიფო ორგანოსა და სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) შორის.

4. ნარდად მუშაობის ხელშეკრულებით სამუშაოს ნარდად ამღები კისრულობს თავისი რისკით შეასრულოს სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოს განსაზღვრული შეკვეთა (შენობის აგება და შეკეთება, შეშის დამზადება, გადაზიდვა და სხვ.), ხოლო უკანასკნელი კისრულობს გადაიხადოს განსაზღვრული სასყიდელი შენაკვეთის შესრულებისათვის.

5. გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებით გამყიდველ-მიმწოდებელი კისრულობს განსაზღვრული ვადისათვის მიაწოდოს სახელმწიფოს ამა თუ იმ რაოდენობის ნივთები (საქონელი,) რაც განსაზღვრული იქნება გვარობითი ნიშნებით, ხოლო სახელმწიფო კისრულობს გადაიხადოს შეპირებული ფასი ფულად ან ნატურად.

შენიშვნა. ამა დებულების წესი არ გავრცელდება ნასყიდობის იმ გარიგებაზე, რომელიც არ უდგება გაყიდვა-მიწოდების ცნებას, რაც ამა მუხლშია მოცემული.

6. დამოკიდებულება სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმწიფო ორგანოსა და სამუშაოს ნარდად ამღებ (გამყიდველ-მიმწოდებელს) შორის მოწესრიგდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დადგენილებით, ხოლო კერძოდ—ვალდებულების სამართლის კარის VII თავით (ნარდად მუშაობა) და ამავე კარის IV თავის (ნასყიდობა) სათანადო მუხლებით ქვემოთ აღნიშნული ცვლილებით.

7. უკეთუ სამუშაოს ნარდად ამღები ვადაზე არ გადაიხდის მუშების გასამრჯელოს, სამუშაოს ნარდად გამცემ ორგანოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს მუშები, თუ მათი მოთხოვნა უდაოა, იმ თანხიდან, რაც ერგებოდა სამუშაოს ნარდად ამღებს.

8. სამოქალაქო კოდექსის 223 მუხლში გათვალისწინებული გაფრთხილება სამუშაოს ნარდად ამღებმა უნდა წერილობით განუცხადოს იმ ორგანოს, რომელმაც სამუშაო ნარდად გასცა, და ეს ორგანო ვალდებულია დანიშნოს კომისია განცხადების შესამოწმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ხელშეკრულების ბათილობის რიდით აკრძალულია სამუშაოს ნარდად ამღებისათვის გასამრჯელოს დანიშვნა პროცენტული ზედნართის სახით იმ ხარჯზე, რასაც იგი გასწევს სამუშაოს შესასრულებლად.

10. უკეთუ სამუშაოს ნარდად ამღები ან გამყიდველ-მიმწოდებელი ვალდებულებას წესიერად არ შეასრულებს, სახელმწიფო ორგანო ერთსა და იმავე დროს გადაახდევინებს ზარალსაც და პირგაუტეხელობის შეპირებულ ჯარიმასაც.

11. სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) დაწესებულებას ან საწარმოს შეუძლიან ავანსი მისცეს სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) ხელშეკრულებით შეპირებული თანხებიდან იმ მოსამზადებელი და საორგანიზაციო ხარჯების მიხედვით, რაც ნამდვილად საჭიროა ნარდად მუშაობის (გაყიდვა-მიწოდების) ხელშეკრულების შესრულებისათვის, ხოლო ეს ავანსი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის 25%-ს.

შენიშვნა. როდესაც სამუშაოს ნარდად ამღები (გამყიდველ-მიმწოდებელი) არის სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო, შერეული სააქციო საზოგადოება, აგრეთვე სრულიად საქართველოს ან და რესპუბლიკის და ოლქის მასშტაბით მოწყობილი კოოპერატიული შენაერთი, სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს ავანსად ხელშეკრულების ფასის 25%-ზე მეტიც გასცეს, იმ პირობით კი, რომ ავანსის ის თანხა, რაც აღემატება 25%-ს, მთლად უზრუნველყოფილი იქნეს გირაოთი.

კარი 3.

ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებით შესრულებული საქმის ჩაბარების წესი.

12. სახელმწიფო დაწესებულებამ და საწარმომ, როდესაც იგი ჩაიბარებს ნარდად მუშაობის (გაყიდვა-მიწოდების) ხელშეკრულებით შესრულებულ საქმეს, უნდა შეადგინოს ჩაბარების დაწვრილებითი აქტი. ამ აქტის თარიღად დაიწერება ჩაბარების დამოავრების (ხელშეკრულების შესრულების) დღე, მისი ასლი კი მაშინვე გადაეცემა სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს).

კარი 4.

სამუშაოს ნარდად ამღების (გამყიდველ-მიმწოდებლის) მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა.

13 ნარდად მუშაობის და გაყიდვა-მიწოდების უზრუნველყოფად სამუშაოს ნარდად ამღებმა და გამყიდველ-მიმწოდებელმა უნდა შეიტანოს გირაო ხელშეკრულების ფასის არა ნაკლებ 10%-ს რაოდენობის. გირაო შეიძლება წარადგინოს როგორც ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების კონტრ-აგენტმა, ისე სხვა პირმაც.

შენიშვნა. გირაოს შეტანისაგან, გარდა 11 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული შემთხვევისა, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაოს ნარდად ამღების (გამყიდველ-მიმწოდებლის) სახით გამოსული სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, შერეული სააქციო საზოგადოება და აგრეთვე სრულიად საქართველოს ან და რესპუბლიკის და ოლქის მასშტაბით მოწყობილი კოოპერატიული შენაერთი.

14. სახელმწიფოს პრეტენზია, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, გასტუმრებულ უნდა იქნეს სამუშაოს ნარდად ამღების (გამყიდველ-მიმწოდებლის) ქონებიდან ყველა სხვა ვალის უპირატესად, გარდა სახელმწიფო გადასახადის და გამოსაღების ნარჩენისა და მუშა-მოსამსახურეთა გადაუხდელი ხელფასისა.

15. სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებაში, მისი ბათილობის რიდით, შეტანილ უნდა იქნეს ხოლმე პირგაუტეხელობის ჯარიმის პირობა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ სამუშაოს ნარდად ამღები (გამყიდველ-მიმწოდებელი) ვადას გადააცილებს, ან და ხელშეკრულებას არ შეასრულებს. ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ჯარიმა არ შეიძლება ხელშეკრულების თანხის 10%-ზე ნაკლები იყოს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

29.

დადგენილება № 94

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

იმ კანონდებულებათა შესახებ, რაც ჰკარგავს ძალას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალას ჰკარგავს შემდეგი საკანონმდებლო აქტი:

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. მაისის 24 თარიღის და მე-19 ნომრის დადგენილება სახელმწიფო ბანკის სასარგებლოდ თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა განაღდების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. აგვისტოს 8 თარიღის დებულება სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. ნოემბრის 15-ის დებულება სასამართლო აღმასრულებელთა შესახებ.

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წ. იანვრის 31 თარიღისა და 134 ნომრის დადგენილება სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების შესახებ.

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წ. თებერვლის 27 თარიღისა და 96 ნომრის დეკრეტის მე-7 მუხლი, მე-8 მუხლის შენიშვნა და მე-15 მუხლი.

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. აპრილის 26 თარიღისა და 14 ნომრის დადგენილება საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების თაობაზე 134 №-რით გამოცემული დადგენილების მე-3, 4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ.

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის აგვისტოს 10-ს თარიღისა და 41 ნომრის დადგენილება საკანცელარიო ბაჟის გადიდების შესახებ.

8. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. თებერვლის 15-ს თარიღისა და 80 ნომრის დადგენილება 134 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

9. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 12-ს თარიღისა და 94 ნომრის დადგენილება სამოქალაქო საქმეთათვის გასაწევი სასამართლო ხარჯების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

10. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 2 თარიღისა და 108 ნომრის დადგენილებისა—მოწმეთა და ექსპერტთა გამოუცხადებლობისა და მათ მიერ მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოსათვის ჩვენების მიცემაზე უარის განცხადების შედეგის შესახებ მე-II კარი (3 და 4 მუხლი).

11. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. ოქტომბრის 10 თარიღისა და 62 ნომრის დადგენილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათათვის სამოქალაქო სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. საბაშვილი.**

1924 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30.

დადგენილება № 95

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სიძველეთა და ხელოვნების და აგრეთვე ბუნების ძეგლთა სათანადოდ დაცვისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რემონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, დანგრევა ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერო და რელიგიური კულტის შენობათა (სახალხო, ციხე, ეკლესია-მონასტერი) უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს წინასწარი ნებართვით.

შენიშვნა. ხუროთმოძღვრების ძეგლთა ფაქტიური დაცვა ეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, ადგილობრივ მუზეუმთა ან მათ სამაგიერო დაწესებულებათა უშუალო მონაწილეობით.

2. მიღებულ იქნეს სათანადო ზომები არქეოლოგიურ ძეგლთა დასაცავად და მათი გათხრა და შესწავლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს ნებართვით.

3. ყოველგვარი აღმოჩენილი განძი და აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ცალკე ნივთები აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო მუზეუმს.

4. ყოველგვარი სამუზეუმო ქონება, თუ ვინიცობაა მუზეუმის ლიკვიდაცია მოხდა, გადადის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს განკარგულებაში.

5. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა სამუზეუმო მნიშვნელობის ყოველგვარი საგანი, რომელიც უპატრონო ქონებად ითვლება (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 68) ან და რომელიც, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს წინასწარ ნებადაურთველად, გამოყენებულ იქნება სამეურნეო მიზნით, აღმოჩენისათანავე აუცილებლად უნდა გადაეცეს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს.

6. აკრძალულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად:

ა) თვითნებობით მოჭრა ხეებისა, ნოსპობა და განადგურება ტყისა და მცენარეთა და შეცვლა და დარღვევა გეგმათა და ისტორიულ მხატვრულ პეიზაჟებისა პარკებსა და ბაღებში;

ბ) თვითნებობით გაჩეხა ხელშეუხებ ტყისა, აგრეთვე ნადირობა მხეცებსა და ფრინველებზე, თევზაობა, ბუდეთა დანგრევა, მიწის წიაღთა ექსპლოატაცია და სამელიორაციო მუშაობა სამეცნიერო მიზნით დასაცავ ადგილებში.

7. განკარგულება სიძველისა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დასაცავად გაიცემა ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 102, 105 და 110 მუხლისა.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავაო სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათანადო განყოფილების თანხმობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-136 №-ში 1924 წ. ივნისის 15.

31.

განმარტება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-9 და 82 მუხ. შეფარდების შესახებ.

რადგანაც შემჩნეულია, რომ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი მიწის შესახებ, 1921 წლის აპრილის 6 თარიღითა და 17 №-ით გამოცემული, და დებულება მიწათმოწყობის შესახებ, 1922 წ. მაისის 26 თარიღით გამოცემული, ხშირად სულ სხვა და სხვაგვარ მნიშვნელობით იყო გაგებული, სახელდობრ ამა დეკრეტისა და დებულების ის ნაწილი, რაც რელიგიური კულტის მსახურთათვის მიწის მიცემასა და სამოსახლო ნაკვეთების დატოვებას შეეხება,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღასრულებელი კომიტეტი, იღებს-რა მხედველობაში, რომ მიწის კოდექსის დამტკიცებასთან ერთად აუცილებლად საჭიროა საბოლოოდ დამყარებულ იქნეს ამა კოდექსის სათანადო მუხლების, ე. ი. მე-9 და 82 მუხ., სწორი ოანაბარი გაგება, გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ ს:

1. მიწის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში გამოთქმული დებულება: „მოქალაქე, რომელიც მოისურვებს მიწის მიღებას თავისი შრომით შესამუშავებლად, უკეთუ მისი არსებობის ერთად-ერთი წყარო მიწის მუშაობაა..."— ჰგულისხმობს, რომ თანახმად სხვა მოქალაქეთათვის არსებული საფუძვლისა მიწა უნდა მიეცეს რელიგიური კულტის მხოლოდ იმ მსახურს, რომელმაც ხელი აიღო თავის ხარისხსა ან წოდებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმავე კოდექსის 82 მუხლი, რომლითაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც-კი სოფლად მუდმივი ცალკე მოსახლეობა აქვს, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი, იმისდა მიუხედავად, აქვს მას თუ არა მიწის ნორმის უფლება, — ჰგულისხმობს აგრეთვე რელიგიური კულტის მსახურთაც საერთოდ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-130 №-ში 1924 წ. ივნისის 8.

32.

დადგენილება № 96

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხედრო შესაკრები პუნქტების მოსაწყობად და შესაკეთებლად საჭირო ხარჯების სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებისათვის დაკისრების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამხედრო შესაკრები პუნქტების მოწყობა და შეკეთება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაეკისროს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. სამხედრო შესაკრები პუნქტების მოწყობისა და შეკეთებისათვის საჭირო ხარჯები მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა შეიტანოს თავის ბიუჯეტში შემდეგ მუხლად: საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამხედრო კომისარიატისათვის, სამაზრო სამხედრო კომისარიატებისათვის და შტატით მათთან არსებულ ყველა ნაწილებისა და დაწესებულებისათვის ბინის მისაჩენად.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამხედრო კომისარიატმა და ყველა მაზრის სამხედრო კომისარიატმა უნდა გაუგზავნოს სათანადო მაზრის სამხედრო კომისარიატს კუთვნილებისამებრ სათანადო ხარჯთაღრიცხვა.

4. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს აგრეთვე აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 8.
ტფილისი—სასახლე.

33.

დადგენილება № 97

სისხლის სამართლის კოდექსის შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლები:

166[1]. მოტაცება უქმრო ქალისა მისდა უნებურად—მასთან დასაქორწინებლად **დაისჯება**

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

166[2]. მოტაცება ქალისა მისდა უნებურად—მასთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად **დაისჯება**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა.

მოტაცება იმავე მიზნით ქალისა, რომელიც საქორწინო სრულწლოვანებას არ მიღწევია, მისდა უნებურად თუ თანხმობით იქნება იგი მოტაცებული, **დაისჯება**

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 16.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-141 №-ში 1924 წ. ივნისის 22.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

34.

დადგენილება № 98

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად 1924 წლის 29 მაისიდან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. კოსტანიანი განთავისუფლებულია თავის მოვალეობიდან, მის მაგივრად დანიშნულია ამხ. ანდრო დოლიძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 21.
ტფილისი—სასახლე.

35.

დადგენილება № 99

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 19 ივნისის დადგენილების თანახმად ლევან კაციას-ძე გამყრელიძე დანიშნულია ა|კ შინა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულად საქართველოში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაბაშვილი.**

1924 წ. ივნისის 25.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს

დეკრეტები, დადგენილებანი და დებულებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს (საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო) შესახებ.

1. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიზანი.

1. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა დამზადებისა და რეალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის მრეწველობის ფაბრიკატებით უზრუნველყოფისათვის, ყოველგვარი სახის გაცვლა-გამოცვლის და ვაჭრობის ორგანიზაციისა და და განხორციელებისათვის როგორც საკუთარი ხარჯით, ისე საკომისიო საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატის სავაჭრო და დამამზადებელი მოქმედების ერთიან ორგანოში გაერთიანებისათვის—მოეწყოს სახელმწიფო ვაჭრობის ერთიანი ორგანო, რომელსაც ეწოდოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

2. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო მიიღებს სახალხო კომისარიატებისაგან,—თითეულ შემთხვევაში მათთან შეთანხმებით,—კონტრაქტებს, პირობებს და საერთოდ ყველა ვალდებულებას, რომელიც დადებული იქნება ამა დებულების გამოქვეყნებამდე, მთელი ქონებით, რაც კი ამა ოპერაციებს მიეკუთვნება.

3. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უფლება ეძლევა აწარმოოს ყოველგვარი,—გამოუნაკლისად,—საჭირო კომერციული და სამეურნეო ხასიათის მოქმედება, როგორც მაგალითად: შეიძინოს, დაამზადოს, დააგირაოს და გაასხვისოს ყოველგვარი ქონება საქართველოში და საქართველოს ფარგლების გარეშე, მოახდინოს ყოველნაირი საკრედიტო, სავექსელო და საბანკო გარიგება და ოპერაცია; შეეკრას ყოველგვარი ვალდებულებით სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირთ, დასდოს ხელშეკრულება, იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე, იყოლიოს საბჭოთა ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე თავისი წარმომადგენლობანი, განყოფილებანი, კონტორები, საწყობები და მაღაზიები და, საერთოდ, ისარგებლოს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

4. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უფლება აქვს დააარსოს დამხმარე სავაჭრო ორგანიზაციები კერძო კაპიტალის მონაწილეობით, ხოლო ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, რომ თითონ სამმართველოს ჰქონდეს უპირატესი როლი ამ ორგანიზაციებში.

5. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

II. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებანი.

6. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საბრუნავ თანხას შეადგენს:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოფილი სახალხო სასურსათო კომისარიატის სავაჭრო განყოფილების მთელი ქონება;

ბ) საქართველოს სახალხო ბანკის ყოფ. სავაჭრო განყოფილების სავაჭრო და ფულადი საშუალებანი;

გ) საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენატანი;

დ) თავისი დებულების საფუძველზე მოგებიდან გადადებული თანხა, რაც უნდა მოხმარდეს ოპერაციების გაფართოებას.

შენიშვნა. ყოფ სახალხო სასურსათო კომისარიატისა და სახალხო ბანკის ყოფ. სავაჭრო განყოფილების საქონელი უნდა იქნეს დაწვრილებით აღწერილი და შეფასებული ჩერვონეცის ანგარიშით.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენატანი ცალ-ცალკე უნდა უდრიდეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შენატანის 50 პროცენტს.

7. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო იწყებს მოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საბრუნავი თანხა ფულად და საქონლით იქნება არა ნაკლებ ხუთასი ათასი (500.000) ჩერვონეცის მანეთისა.

III. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ორგანიზაცია და მმართველობა.

8. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სათავეში სდგას გამგეობა— თავმჯდომარისა და 4 წევრის შედგენილობით, რომელთაგან სამი მუდმივი მომუშავეა და რომელთაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიური საბჭო ერთი წლის ვადით.

9. გამგეობის მოვალეობას შეადგენს: განხილვა და გადაწყვეტა ყველა ძირითადი და პრინციპიალური საკითხისა სამმართველოს მოქმედების შესახებ, აღება სესხისა და წარმოება სასესხო და საბანკო ოპერაციებისა, შესრულება კანონიერი აქტებისა ყოველგვარი ქონების შეძენისათვის, მოწყობა განყოფილებათა და კონტორებისა, ხელმძღვანელობა მათი მოქმედებისათვის და სხვ.

10. გამგეობა მთლიანად სრული პასუხისმგებლია სამმართველოს საქმეთა სწორი და მიზანშეწონილი წარმოებისათვის.

11. გამგეობა უშუალოდ მიმართავს ხოლმე ყველა დაწესებულებას და კერძო პირს.

12. გამგეობა ვალდებულია ყოველთვიურად წარუდგინოს თავის მოქმედების მოკლე ანგარიში საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. თითეული საოპერაციო წლის გასვლისას, ხოლო არა უგვიანეს 3 თვისა, გამგეობა ვალდებულია წარუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წლიური ანგარიში სამმართველოს ოპერაციების შესახებ.

შენიშვნა. საოპერაციო წელიწადი ითვლება ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, გარდა პირველი საოპერაციო პერიოდისა, რომელიც დაიწყება ამა დებულების დამტკიცებისა და ოპერაციების ფაქტიურად დაწყების მომენტიდან და გათავდება 1924 წ. სექტემბრის 30-ს.

14. თითეული საოპერაციო პერიოდის დაწყების წინ გამგეობა წარუდგენს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად მომავალი საოპერაციო პერიოდის მუშაობის გეგმასა და აღრიცხვას და ხარჯების აღრიცხვას.

IV. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ქონებრივი პასუხისმგებლობა.

15. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს პასუხისმგებლობა ყველა მისი ვალისა და ვალდებულებისათვის განისაზღვრება მხოლოდ იმ თანხითა და ქონებით, რაც უკვე შეტანილია ან რაც შეტანილი იქნება მის სალაროში ამა დებულების 6 მუხლის წესისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. იანვრის 9.
ტფილისი—სასახლე.

2.

დ ე კ რ ე ტ ი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სოფლის მშრომელ გლეხობას უფლება ეძლევა მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის მიზანია, ერთის მხრით, სასოფლო მეურნეობის წარმოება საერთო ძალით და, მეორე მხრით, წევრთა უზრუნველყოფა სასოფლო მეურნეობაში საჭირო იარაღით, თესლეულობით და სხვა საწარმოო საშუალებით, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გადამუშავება-გასაღება და სხვა ღონისძიების განხორციელება წევრთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაუმჯობესებლათ და რაოდენობის გასადიდებლად.

2. კოოპერატიული ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს შეუძლიათ შეკავშირდნენ როგორც ტერიტორიალურად, ისე წარმოების ხასიათის მიხედვით. კოოპერატიულმა კავშირმა უნდა შეაკავშიროს არა ნაკლებ სამი ამხანაგობისა.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო - კოოპერატიულ ამხანაგობებს და მათ კავშირებს, უფლება აქვთ თავისუფლად იქონიონ ურთიერთობა სხვა გვარ კოოპერატიულ დაწესებულებებთან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შეუძლია იმოქმედოს აგრეთვე დამოუკიდებლად, გარეშე მომხმარებელი კოოპერაციისა.

4. სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს აქვთ იურიდიული პირის ყველა უფლებანი: მათ შეუძლიათ თავიანთი დამუშავებული პროდუქტების, აგრეთვე წევრთა ნაწარმოების გაყიდვით და გადაცვლით, საჭირო იარაღისა და მასალის (სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, თესლეულობის, სასუქისა და სხვა საწარმოო მასალის) შეძენა, სახელოსნოების, ქარხნების და სხვა საწარმოთა მოწყობა და დაარსება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად გასასაღებლად; თავიანთი მოქმედებისათვის საჭირო სადგომების დაჭერა, ხელშეკულებათა დადება, მომქმედი კანონების თანახმად, ამ ხელშეკრულებებით ვალდებულებების აღება, საჩივრების აღძვრა სასამართლოს წინაშე და პასუხის მიგება და სხვ.

5. ორი ერთგვარი ხასიათის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად ყოფნა ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობების და მათი სამეურნეო დაწესებულებათა სადგომები თავისუფალია მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციისაგან.

7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ შენაერთთა საკუთარი წარმოების პროდუქტების, აგრეთვე მანქანა-იარაღების, სათბობი მასალებისა და სხვა საწარმოო საშუალებათა კონფისკაცია ან რეკვიზიცია არ შეიძლება, თვინიერ სასამართლოს განსაკუთრებული გადაწყვეტილებისა ან სახალხო კომისართა საბჭოს საამისო საგანგებო დადგენილებისა.

8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოებრივ საჭიროებას და ამიტომ ხელისუფლების ყველა ორგანოს ევალება დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მეურნეთ, რათა კოოპერატიულათ დაირაზმნენ, რისთვისაც:

ა) შენაკვეთის გაცემის დროს კერძო პირებთან შედარებით უპირატესობა კოოპერატიულ ორგანიზაციებს უნდა მიეცეს;

ბ) აღმოეჩინოს კოოპერატიულ დაწესებულებებს ფინანსიური დახმარება სახელმწიფო შენაკვეთის და ვალდებულებათა შესასრულებლათ;

გ) მიენიჭოს უპირატესობა კოოპერატიულ დაწესებულებებს, კერძო პირებთან შედარებით, საჭირო სადგომების შოვნისა, ხელსაწყო-იარაღის შეძენისა და საჭირო ნედლეულობის დამზადებისათვის.

9. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების და მათი კავშირების სახსარი შესდგება როგორც ფულად, ისე ნატურით შემოტანილი საწევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო და საპაიო გადასახადისაგან, წევრთა ავანსების და სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან მიღებული ანაბარისა და აღებულ სესხისაგან, წარმოებული ოპერაციების თვით-ღირებულებაზე ზედნართი პროცენტებისაგან და სახელმწიფოს კრედიტისაგან.

10. სასოფლო- სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები და მათი კავშირები ოპერაციებს თავის ხარჯზე და პასუხისმგებლობით აწარმოებენ.

11. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის და მათ შენაერთთა მმართველი ორგანოები არიან: წევრთა საზოგადო კრება ან რწმუნებულთა ყრილობა, გამგეობა და, უკეთუ წევრთა საზოგადო კრება ან რწმუნებულთა ყრილობა მოისურვებს, საბჭო და სარევიზიო კომისია. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა და მათ კავშირების წესდებაში, დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული, მომქმედი კანონები! თანახმად, თუ რა წესით მიიღებიან და გადიან წევრები, რა წესით და რა პასუხისმგებლობას კისრულობენ ისინი ამ ორგანიზაციის ვალდებულებათა გამო, ფუნქციები საზოგადო კრებისა ან რწმუნებულთა ყრილობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის, მათი არჩევის წესი და უფლება-მოვალეობანი; გარდა ამისა აღნიშნულ უნდა იყოს ანგარიშების წარმოების სისტემა და საქმეთა რევიზიის წესი.

12. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა და მათი კავშირების დასაარსებლათ არ არის საჭირო საბჭოთა ხელისუფლების წინასწარი ნებართვა; ეს ორგანიზაციები მოვალენი არიან მხოლოდ რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი წესდებები კოოპერატიულ სამმართველოში—ქ ტფილისში.

შენიშვნა. კოოპერატიული სამმართველო ვალდებულია განიხილოს რეგისტრაციის საკითხი, ერთი თვის განმავლობაში დღიდან წესდების მიღებისა; და თუ წესდების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში კოოპერატიული სამმართველო უარს არ იტყვის რეგისტრაციაზე, კოოპერატიული ამხანაგობა დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს რეესტრში. ორგანიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების კანონ-დებულებათ.

13. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა იმ კავშირების დასაარსებლად, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, საჭიროა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. იანვრის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-16 №-ში 1924 წ. იანვრის 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3.

დადგენილება № 1

სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 31 თარიღით და 123 ნომრით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 10 სა და 93 ნომრის დადგენილების 3 პუნქტის შესაცვლელად და 4 და 6 პუნქტის გასაუქმებლად, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სახელმწიფო სააღმშენებლო კომიტეტი.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებასთან მოეწყოს სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, თანახმად განსაკუთრებული დებულებისა—ამ კომიტეტის შესახებ.

3. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. იანვრის 18.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

1. მიზანი და მოვალეობა სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტისა.

სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაევალება:

1. წინასწარი შემუშავება ცალკე სახალხო კომისარიატების ისეთი პროექტებისა, რომელიც შეეხება რესპულიკაში აღმშენებლობის საერთო გეგმას, და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით ამ პროექტების დასამტკიცებლად წარდგენა სახალხო კომისართა საბჭოში, აგრეთვე წარდგენა იმავე წესით სახალხო კომისართა საბჭოში ყოველწლიური ანგარიშისა რესპუბლიკაში აღმშენებლობის საქმის მდგომარეობის შესახებ.

2. შემუშავება სავალდებულო დადგენილებისა აღმშენებლობის შესახებ, აგრეთვე განხილვა ცალკე სახალხო კომისარიატების ასეთივე დადგენილებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

3. შემუშავება: ა) აღმშენებლობის ტეხნიკური ნორმებისა, ბ) ნორმალური ტეხნიკური პირობებისა სააღმშენებლო სამუშაოს და მასალის გასაცემად და მისაღებად.

შენიშვნა. 2 და 3 მუხლში აღნიშნულ ახალ სავალდებულო დადგენილებათა და სხვა და სხვა დებულებათა გამოცემამდე, ძალაში რჩება არსებული დადგენილებანი და დებულებანი.

4. განხილვა ამა დებულების საფუძველზე წარდგენილი პროექტებისა ქალაქისა, აგარაკისა, ახალშენისა და სოფლის ახლად დაგეგმისა და მოწესრიგებისათვის აღნაგობის მიზნით და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით ამ პროექტების წარდგენა დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

5. განხილვა და დამტკიცება ახლად ასაგებ და ძირითად გადასაკეთებელ შენობათა პროექტებისა და აღრიცხვებისა, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტით განსახორციელებელ სარემონტო სამუშაოს და საზოგადოებრივი დანიშნულების ყოველგვარი ნაგებობის (ელექტრო-სადგურის, ფაბრიკის, მუშათა სახლის, საავადმყოფოს, თეატრის, სასტუმროს და სხვ.) პროექტისა და აღრიცხვისა.

შენიშვნა. ა) სარემონტო სამუშაოს არ ეკუთვნის მიმდინარე წვრილი რემონტი; ბ) სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მიზანსა და მოვალეობას არ შეადგენს ქალაქის კერძო ხასიათის ახლად ასაგებ, ძირითად გადასაკეთებელ და შესაკეთებელ შენობათა პროექტებისა და აღრიცხვების განხილვა და დამტკიცება.

6. უმაღლესი ტეხნიკური ზედამხედველობა ახლად ასაგებ, ძირითად გადასაკეთებელ შენობათა აგებისათვის, აგრეთვე იმ შენობათა რემონტისათვის, რომელთა განხორციელებაც მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტით ან სახელმწიფო სამეურნეო ორგანოს ბიუჯეტით.

შენიშვნა. პროექტისა და აღრიცხვის შედგენა სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მოვალეობას არ შეადგენს.

7. დამტკიცება ტეხნიკური პირობებისა სააღმშენებლო სამუშაოს და მასალის გასაცემად და მისაღებად სახალხო კომისარიატების და სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მიერ ასაგებ შენობათათვის.

8. გამოსაქვეყნებლად შეკრება ყოველთვიური ადგილობრივი ცნობისა მთლად რესპუბლიკაში სააღმშენებლო მასალასა და მუშა ხელზე არსებული ფასების შესახებ.

II. აღრიცხვის გატარების წესი.

9. ყველა დაწესებულება, რომელიც კი სახელმწიფო მომარაგებასა და სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება ან ადგილობრივი სახსარით ინახება, მოვალეა ყოველი თავისი სააღმშენებლო აღრიცხვა როგორც წინასწარი, ისე სისრულე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში მოსაყვანი შესამოწმებლად და დასამტკიცებლად სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს წარუდგინოს.

შენიშვნა. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ამტკიცებს მხოლოდ იმ წინასწარ აღრიცხვას, რომლის განხორციელებაც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საჭიროდ იქნება ცნობილი.

10. დამტკიცებული წინასწარი აღრიცხვა სათანადო სახალხო კომისარიატს თუ დაწესებულებას შეაქვს თავის საბიუჯეტო აღრიცხვაში.

შენიშვნა. არც ერთ ისეთ დაწესებულებას, რომელიც სახელმწიფოს მომარაგებაზე და სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება ან ადგილობრივი სახსარით ინახება, უფლება არა აქვს ააგოს ისეთი შენობა ან მოახდინოს ძირითადი და სარემონტო მუშაობა, რაც სათანადო საბიუჯეტო აღრიცხვაში შეტანილ არ არის.

III. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის უფლებანი.

11. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, მის მიერ სატეხნიკო კონტროლის განხორციელების დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარად დარღვეული იქნება აღმშენებლობის საზოგადო სახელმწიფოებრივი ნორმები და სავალდებულო დადგენილებანი, უფლება ეძლევა: ა) მოითხოვოს შემჩნეული ნაკლის შესწორება ან თავიდან აცილება, ბ) უკეთუ ასეთი მოთხოვნა არ იქნება აღსრულებული, აქტი შეადგინოს და დამნაშავე ადმინისტრატიულ ან სასამართლოს პასუხისგებაში მისცეს, გ) უკეთუ საზოგადოებრივ უშიშროებას აშკარა საფრთხე მოელის, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით შეაჩეროს მუშაობის წარმოება და სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ჩამოაშოროს საქმეს მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირნი.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ უფლებებს სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ანხორციელებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

IV. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის სახსარი.

12. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ინახება მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხარჯზე, ამასთან ყველა იმ სააღრიცხვო თანხიდან, რომელსაც სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი დაამტკიცებს, გადაირიცხება 1%; ეს ფული სათანადო უწყებამ და დაწესებულებამ, სააღმშენებლო მუშაობისათვის თანხის გადადებისათანავე, უნდა შეიტანოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სალაროში.

V. სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მოქმედების განსაჩივრების წესი.

13. საჩივარი სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის თანამდებობის პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანონო მოქმედებაზე შეტანილ უნდა იქნას დადგენილი წესით სახალხო მეურ-ნეობის უმაღლეს საბჭოში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. იანვრის 18.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-33 №-ში 1924 წ. თებერვლის 9.

4.

დადგენილება № 2.

სოც. საბჭ. რესპუბლიკის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის — ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ლენინის) დაკრძალვის გამო საქ. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭო ა. წ. იანვრის 26-ს აცხადებს მშრომელთა უდიდეს გლოვის დღეთ.

აღნიშნულ დღეს (26 იანვ. 1924 წ.) გამოუნაკლისად ყველა წარმოება, დაწესებულება, მეურნეობა, სავაჭრო და სხვა წარმოება-დაწესებულებანი უნდა დაკეტილ იქნეს.

მუშაობა სწარმოებს მხოლოდ: წყალსადენსა, განათებასა, ტრანსპორტსა (მხოლოდ რკინის გზა), ფოსტის გადატანასა, ტელეგრაფსა, ტელეფონსა, სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველ ორგანოებში (ცეცხლმქრობი რაზმი).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯ. მოადგ. **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის.
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

5.

დადგენილება № 3.

მე-2 № დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ-ლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარ-თა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ლენინის) დაკრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალვის დღე—ამა წლის იანვრის 27 (ნაცვლად იანვრის 26 სა) გამოცხადდეს გლოვის დღედ.

2. აღნიშნულ დღეს—იანვრის 27-ს—ყველა, გამოუნაკლისად, საწარმო დაწესებულება, მეურნეობა, სავაჭრო და სხვა დაწესებულება დახურული უნდა იქნეს.

3. არ შესწყდება მუშაობა: წყალსადენისა, განათების საწარმოთა, ტრანსპორტისა (მხოლოდ რკინის გზა), ფოსტის გადატანისა, ტელეგრაფი'ა, ტელეფონისა, სტაციონალური სამკურნალო დაწესებულებისა, მორიგი აფთიაქებისა და ცეცხლის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმისა (ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან).

4. შაბათს ამა წლის იანვრის 26-ს მუშაობა ყველა, გამოუნაკლისად, დაწესებულებაში და საწარმოში, გარდა ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ საწარმოთა, შესწყდება შუადღის 12 საათზე.

საქართველოს სოც. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. იანვრის 25.
ტფილისი—სასახლე.

6.

დადგენილება № 4

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ 1922 წლის ივლისის 11 თარიღითა და 11 ნომრით გამოცხადებულ დეკრეტის მე-8 მუხლის განმარტებისათვის.

ვიდრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე გამოიცემოდეს დეკრეტი საერთო კავშირის მოქალაქეობის შესახებ და რადგან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ 1922 წლის ივლისის 11 თარიღითა და 11 ნომრით გამოცემული დეკრეტის 8 მუხლის შეფარდების დროს ამ მუხლის ახსნა-განმარტებამ დაბადა აზრთა წინააღმდეგობა, სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნული დეკრეტის განსამარტებლად ადგენს:

1. აღნიშნული დეკრეტის 8 მუხლის „ა“ პუნქტით, რომლითაც დადგენილია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაში გადასული პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის წესი.

2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის წესი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაში გადასვლის დროს მოითხოვს მოქალაქის წასვლას მოკავშირე რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპუბლიკის საზღვრებიდან და საბჭოთა მთავრობის ნებართვას მოქალაქეობიდან გასვლისათვის.

3. საქართველოს მოქალაქე ქალის მიერ უცხოელზე გათხოვების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, რაც გათვალისწინებულია იმავე მუხ. „გ“ პუნქტში, მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ხსენებული დეკრეტის მე-2 მუხ. აღნიშნულ ვადაზე და წესით განაცხადებს, რომ სურს მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. თებერვლის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-36 №-ში 1924 წ. თებერვლის 13.

7.

დადგენილება № 5

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—ქალაქად მდებარე—სახლების თაობაზე 1922 წ. დეკემბრის 28 თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული დეკრეტის მე 4 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—ქალაქად მდებარე—სახლების შესახებ 1922 წ. დეკემბრის 28 თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული დეკრეტის მე-4 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა.

შენიშვნა. თავნი ვალისა ან სავადო გადასახადის შემცირების ნაცვლად სახალხო ბანკის გამგეობას უფლება ეძლევა სავადო გადასახადის ნაწილი, რომლის რაოდენობასაც თვით გამგეობა აწესებს, გადაახდევინოს მსესხებელს ამა დეკრეტში აღნიშნულ ვადის შემდეგაც, ე. ი. 1928 წლის ივნისის 1-ს შემდეგაც. ვადაგადადებულ თანხას სარგებელი და საურავი არ მიერიცხება. საჯარო ვაჭრობის დროს სახალხო ბანკის გამგეობას უფლება აქვს მოსთხოვოს მყიდველს ვადაგადადებული თანხის ან სრული, ან ნაწილობრივი გადახდა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-52 №-ში 1924 წ. მარტის 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

დადგენილება № 6

საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის წესდების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული წესდება საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობისა შეზღუდული პასუხისმგებლობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა
საბჭ. თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

წესდება

საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობისა შეზღუდული პასუხისმგებლობით.

1. ამხანაგობის დაარსების მიზანი და მისი უფლება-მოვალეობანი.

1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საჭირო ფაბრიკატებით მომარაგებისათვის, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე ყოველგვარი ვაჭრობისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის, როგორც საკუთარი ხარჯით, ისე საკომისიო საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატის სავაჭრო და დამზადებითი მოქმედების ერთ მთლიან ორგანოში გაერთიანებისათვის—მოეწყოს ერთიანი სახელმწიფო სავაჭრო ორგანო—«საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით».

შენიშვნა. ამხანაგობის დამაარსებელნი არიან:

1) საქართველოს სახალხო ბანკი,
2) საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატი,
3) საქართველოს თამბაქოს ტრესტი,
4) საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცენტრალური სავაჭრო სამმართველო და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5) საქართველოს ღვინის ტრესტი.

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად ამხანაგობას უფლება აქვს აწარმოოს ყოველგვარი ოპერაცია საქონლის შესყიდვისა და დამზადებისათვის როგორც საქართველოში, ისე მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში თავის ხარჯითაც და საკომისიო საფუძველზედაც—სახელმწიფო ორგანოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო საწარმოთა და პირთა დავალებით. აგრეთვე ამხანაგობა, ხელშეკრულებითი შეთანხმებით სათანადო დაწესებულებებთან, შეასრულებს ყველა ოპერაციას სახელმწიფო მრეწველობის საჭიროებისათვის პროდუქციის სფეროში.

3. ამხანაგობას აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება და უფლება-მოსილია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის კანონების საფუძველზე შეასრულოს—გამოუკლებლივ—საჭირო მოქმედება კომერციული და სამეურნეო ხასიათისა; დასდვას საკრედიტო, სავექსილო, საბანკო გარიგება და აწარმოოს საამისო ოპერაცია; შეეკრას სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირთ თავისი მიზნების შესაბამი ყოველგვარი ვალდებულებით; დასდვას მათთან ხელშეკრულობა; ისარჩლოს და პასუხი აგოს სასამართლოში და შეასრულოს სხვა და სხვა მოქმედება, რაც საჭირო იქნება ამხანაგობის მიზნების განსახორციელებლად.

4. ამხანაგობას უფლება აქვს მთლად საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე დანიშნოს თავისი რწმუნებულები, გახსნას განყოფილებანი, მაღაზიები და კონტორები.

მოქმედების ფარგალი, გამგებლობის წესი, შედგენილობა კონტორებისა და განყოფილებათა და აგრეთვე რწმუნებულთა უფლებანი განისაზღვრება ამხანაგობის გამგეობის მიერ.

5. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის, საბაჟო, საღერბო და სხვ. გამოსაღების გადახდევინებაში ამხანაგობა დაემორჩილება ყველა კანონიერებას, წესებსა და განკარგულებას როგორც ამ ჟამად მომქმედსა, ისე, რაც მომავალში გამოიცემა.

6. ამხანაგობის გამგეობის სამყოფელი ადგილი არის ტფილისი.

7. ამხანაგობას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

2. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი და პაიები და პაის პატრონის უფლება-მოვალეობანი.

8. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრება 1.000.000 (ერთი მილიონი) საჩერვონეცო მანეთით, რაც დაყოფილ უნდა იქნეს 100 (ას) პაიად — თითო 10.000 (ათი ათასი) საჩერვონეცო მანეთის ღირებულებისა. ამ პაიებიდან საქართველოს სახალხო ბანკს ეკუთვნის 50 (ორმოცდა ათი), საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატს—25 (ოცდა ხუთი), საქართველოს თამბაქოს ტრესტს—ხუთი (5), საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს—15 (ხუთმეტი) და საქართველოს ღვინის ტრესტს—5 (ხუთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. პაიების შესყიდვა მოხდება რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ნაღდი ბანკნოტებით (ჩერვონცებით). დამფუძნებლებთან განსაკუთრებული შეთანხმებით პაის პატრონს შეუძლიან პაის ფასი საქონლითაც გაისტუმროს.

10. რათა ცნობილ იქნეს, რომ ამხანაგობა შემდგარია—დამფუძნებლებმა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა წესდების დამტკიცებისა, უნდა შეჰკრიბონ ყველა პაის პატრონთა შორის, პროპორციულად მათ სახელზე ჩაწერილ პაისა (მუხ. 7), ძირითადი კაპიტალის არა ნაკლებ 50%-სა (ორმოცდა ათი პროცენტისა). წინააღმდეგ შემთხვევაში ამხანაგობა არ შესდგება და შეკრებილი ფული და ქონება დაებრუნება პაიების პატრონთ კუთვნილებისამებრ. ხოლო ამასთანავე ამხანაგობის ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად, დამფუძნებელთ უფლება ეძლევათ უპირო მეპაიეს ნაცვლად მიიწვიოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სხვა სამეურნეო სახალხო კომისარიატი ან სახელმწიფო საწარმო. მეპაიეთაგან გამორიცხულს დაებრუნება ყველა მის მიერ შეტანილი თანხა და საქონელი. ერთი მეპაიეს ნაცვლად მეორის მიწვევა დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ.

11. დამფუძნებელთა მიერ შეკრებილი თანხა და ქონება გადადის ამხანაგობის გამგეობის განკარგულებაში.

ძირითადი კაპიტალის შემდგომ შეკრებას აწარმოებს გამგეობა. შემდგომი საპაიო შენატანის ვადა და რაოდენობა განისაზღვრება დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ იმ ვარაუდით, რომ ყველა პაის ღირებულება მთლად გადახდილ იქნება არა უგვიანეს ოთხი თვისა ამა წესდების დამტკიცების დღიდან.

უკეთუ ამხანაგობა არ დაიცავს აღნიშნულ ვადას, მოხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია სამი თვის განმავლობაში. ხოლო ამასთანავე, ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად, გამგეობას უფლება ეძლევა მეპაიეთა საერთო კრებაზე აღძრას საკითხი უპირო მეპაიეს ნაცვლად საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სხვა სამეურნეო სახალხო კომისარიატისა ან სახელმწიფო საწარმოს მიწვევის შესახებ. საერთო კრების დადგენილებით გამორიცხულ მეპაიეს,—საოპერაციო წლის გათავების და გამგეობის ანგარიშების დამტკიცების შემდეგ, დაებრუნება მის მიერ შეტანილი თანხა და საქონელი ან ამ საქონლის ფულადი ეკვივალენტი, მოგებაზარალის მირიცხვით.

12. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით ამხანაგობას შეუძლიან, საჭიროებისდამიხედვით, გაადიდოს ძირითადი კაპიტალი ამხანაგობის წევრების მიერ ახალი პაიების შეტანით ან ახალი წევრების მიღებით.

13. ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ ამხანაგობის ვალდებულებისათვის მარტოოდენ თავიანთი საპაიო შენატანით ამხანაგობის შენაერთ კაპიტალში.

3. ამხანაგობის მმართველი ორგანოები და მათი უფლება-მოვალეობა.

14. ამხანაგობის გამგებლობის ორგანოებია: მეპაიეთა საერთო კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. მეპაიეთა საერთო კრება.

15. მეპაიეთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ საერთო კრებას მოიწვევს გამგეობა პერიოდულად იმ ვადაზე, რომელსაც დააწესებს თვით საერთო კრება, ხოლო ერთხელ მაინც წელიწადში.

საგანგებო საერთო კრებას მოიწვევს გამგეობა თავისი შეხედულებით ან იმდენ მეპაიეთა მოთხოვნით, რომელთაც ერთად ექნებათ ძირითადი კაპიტალის ერთ მეათედზე არანაკლებ, ან და სარევიზიო კომისიის მოთხოვნით. მოთხოვნა საგანგებო საერთო კრების მოწვევის შესახებ გამგეობამ სისრულეში უნდა მოიყვანოს არა უგვიანეს ერთი კვირისა საამისო წერილობითი განცხადების მიღების დღიდან.

16. მეპაიეთა საერთო კრებაზე გაირჩევა და გადაწყდება ყველა ის საკითხი, რომელიც შეეხება ამხანაგობის საქმეს და აღემატება გამგეობის კომპეტენციას. მეპაიეთა საერთო კრების აუცილებელ გადასაწყვეტ საკითხს შეადგენს:

ა) გასული საოპერაციო პერიოდის ანგარიშისა და ბალანსის განხილვა და დამტკიცება; მომავალი საოპერაციო პერიოდის ხარჯთაღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის თანამშრომელთათვის პრემიალური გასამრჯელოს მიცემა და ჯამაგირების დანიშვნა,

ბ) შეცვლა და დამტკიცება ინსტრუქციებისა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის,

გ) ამხანაგობის წესდებისა და მისი ძირითადი და სხვა კაპიტალის შეცვლა; ამხანაგობიდან მეპაიეთა გამორიცხვა და ახალ მეპაიეთა მიღება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამეურნეო სახალხო კომისარიატებისა და სახელმწიფო საწარმოთაგან,

დ) საკითხი შენობისა და სხვ. კაპიტალური ქონების შეძენისა და გასხვისებისა და აგრეთვე ამხანაგობის საწარმოთა გაფართოების შესახებ,

ე) მოგების განაწილება და დივიდენდის გაცემა და

ვ) ამხანაგობის ლიკვიდაცია.

ყველა საკითხი საერთო კრებაზე გადაწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით.

17. საერთო კრების დრო და ადგილი მეპაიეთ უნდა ეცნობოს უწყებით, რომელშიც ჩამოთვლილ უნდა იქნეს განსახილველი საკითხები.

18. თვითეულ მეპაიეს უფლება აქვს დაესწროს საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კრებისათვის წარდგენილი საკითხების განხილვაში და დადგენილების გამოტანაში. თვითეული პაი მეპაიეს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

19. რათა საერთო კრება კანონიერად ჩაითვალოს, საჭიროა კრებას დაესწროს იმდენი მეპაიე, რომელთაც ერთად ექნებათ შეკრებილი კაპიტალის ორ მესამედზე ($^2/_3$) არა ნაკლები.

ბ. გ ა მ გ ე ო ბ ა.

20. ამხანაგობის გამგეობა შესდგება ხუთი წევრისაგან. ამათგან სამი წევრი, მათ შორის თავმჯდომარეც, დაინიშნება საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენ ორ წევრს უშუალოდ გაგზავნიან: ერთს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მეორეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. გამგეობის წევრები თავიანთი შრომისათვის მიიღებენ საერთო კრების მიერ განსაზღვრულ გასამრჯელოს.

21. გამგეობა განაგებს ამხანაგობის საქმეებს თანახმად საერთო კრების მიერ მიცემული ინსტრუქციისა და არის ამხანაგობის წარმომადგენელი როგორც სასამართლოში, ისე მთავრობის ორგანოთა და ყველა სხვა პირთა ურთიერთობაში ამხანაგობის ყველა საქმისათვის და ასრულებს ანგარიშწარმოებას და ანგარიშგებას.

გ. სარევიზიო კომისია.

22. გამგეობის საქმეთა და აგრეთვე საერთო კრებისათვის წარსადგენ ანგარიშის და ბალანსის შესამოწმებლად საქართველოს სოც. საბჭ რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო დანიშნავს წინადვე ერთის წლის ვადით სამის წევრისაგან შემდგარ კომისიას.

23. სარევიზიო კომისია თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს ამა წესდების დებულებით და საერთო კრების მიერ მიცემულ ინსტრუქციებს და წარუდგენს საერთო კრებას საერთო მოხსენებას გამგეობის მუშაობის შესახებ გასული საოპერაციო პერიოდის განმავლობაში და აგრეთვე თავის დასკვნას გამგეობის ანგარიშისა, ბალანსისა და აღრიცხვის შესახებ.

4. ანგარიშგება ამხანაგობის საქმეთა შესახებ, მოგების განაწილება და დივიდენდის გაცემა.

24. ამხანაგობის საოპერაცაო პერიოდი განისაზღვრება მეპაიეთა საერთო კრების მიერ, ხოლო ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

25. თვითეული საოპერაციო პერიოდისათვის, ხოლო 3 თვეზე არა უგვიანეს დღიდან ამ პერიოდის დამთავრებისა, გამგეობა შეადგენს დაწვრილებითი ანგარიშს ამხანაგობის ოპერაციებისას, მისი ბრუნვის ბალანსს და შემდეგი პერიოდის აღრიცხვას.

26. გამგეობის ანგარიში აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ მთავარ მუხლებს: ა) ძირითადი და სხვა კაპიტალის მდგომარეობა; ბ) საანგარიშო პერიოდის საერთო შემოსავალ-გასავალი; გ) დაწვრილებითი ანგარიში თანამშრომელთა ჯამაგირისა და მართვა-გამგეობის ხარჯებისა; დ) ხელად ქონებული საქონლისა და ქონების ანგარიში; ე) იმ ვალების ანგარიში, რომელიც ამხანაგობასა ჰმართებს და ამხანაგობისა ჰმართებთ; ვ) ანგარიში შემოსავლისა და ზარალისა და წმინდა მოგების სანიმუშო განაწილება.

27. საერთო კრების მიერ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, წმინდა მოგების 20 პროც. გადაირიცხება სათადარიგო კაპიტალში, ვიდრე იგი არ მიაღწევს ძირითადი კაპიტალის 50 პროც., და 5 პროც.—ქონების საამორტიზაციოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამხანაგობის მოქმედების მოსპობა.

28. ამხანაგობის არსებობის ვადა არ არის განსაზღვრული. ამხანაგობის მოქმედება მოისპობა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის ან ამხანაგობის საერთო კრების დადგენილებით. ამხანაგობის მოქმედება აუცილებლად მოისპობა, უკეთუ მისი ბალანსით აღმოჩნდებოდა, რომ ძირითად კაპიტალს ორ მეხუთედზე (²/₅) მეტი დაჰკლებია და უკეთუ მეპაიენი არ შეავსებენ ამ დანაკლისს სამი თვის განმავლობაში დღიდან საერთო კრების მიერ იმ ანგარიშის დამტკიცებისა, რომლიდანაც გამოაშკარავებულ იქნა კაპიტალის დანაკლისი.

29. ამხანაგობის მოქმედების მოსპობის გამო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო—საერთო კრების მიერ არჩეულ კანდიდატების რიცხვიდან—დანიშნავს სამ ან მეტ წევრისაგან შემდგარ სალიკვიდაციო კომისიას და განსაზღვრავს ამ კომისიის სამყოფელ ადგილს და საქმეთა ლიკვიდაციის წესრიგს.

სალიკვიდაციო კომისია ამხანაგობის გამგეობისაგან ჩაიბარებს ყველა საქმეს.

30. იმ შემთხვევაში, რაც ამა წესდებით გათვალისწინებული არ არის, ამხანაგობა იხელმძღვანელებს შეზღუდულ პასუხისმგებლობის ამხანაგობათა შესახებ როგორც ამ ჟამად გამოცემულ კანონდებულებას, ისე იმ კანონდებულებას, რაც შეიძლება შემდეგში გამოიცეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯ. მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე**

1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

9.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

შრომის სტატისტიკის შესახებ.

1. რათა შრომის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობა შრომის სტატისტიკის ყველა დარგში გაერთიანებულ იქნეს,—შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსდება შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიურო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიუროს გამგეს დანიშნავს შრომის სახალხო კომისარიატი ზემოდ აღნიშნულ დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებით.

3. შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიუროს აქვს თავისი აპარატი.

4. შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს შეენარჩუნებათ თავიანთი შრომის სტატისტიკის აპარატები. ამასთანავე შრომის სტატისტიკის სხვა და სხვა დარგის სამუშაოს განაწილება სტატისტიკურ აპარატებ (შრომის სახალხო კომისარიატისა, სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს) შორის მოხდება აღნიშნულ დაწესებულებათა შეთანხმებით.

5. შრომის სტატისტიკის გამგე იმ საკითხის განხილვის დროს, რომელიც შრომის სტატისტიკას შეეხება, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებს შრომის სახალხო კომისარიატის და ცენტ. სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგიების სხდომაში.

6. მუშაობის შესათანხმებლად შრომის სტატისტიკის ბიუროსთან, ბიუროს და სათანადო სტატისტიკური აპარატების გამგეთაგან, დაარსდება კომისია, რომლის გამგებლობაშიაც შედის საპროგრამო-საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, სახელდობრ:

ა) განხილვა და დამტკიცება შრომის სტატისტიკის ბიუროს სამუშაო პროგრამისა და გეგმისა. როგორც მიმდინარე, ისე ერთდროული ხასიათის—ერთად თუ ცალკე—წარმოებული მუშაობისათვის;

ბ) ურთი ერთი ინფორმაცია და ყველა საკითხი, რაც კი დაკავშირებულია მუშაობის შესრულებასთან.

7. შრომის სტატისტიკის ბიუროს სამუშაო გეგმა და პროგრამა უნდა შეტანილ იქნეს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში განსახილველად, თანახმად სახელმწიფო სტატისტიკის დებულებისა (§ 6, პუნქ. 2).

8. შრომის სტატისტიკის ბიურო მიიღებს შესაფერ ღონისძიებას, რათა სათანადო სამაზრო ორგანიზაციებთან (პროფესიონალურ და შრომის ორგანოებთან—საქართველოს პროფ. კავშ. საბჭოს და შრომის სახ. კომისარიატის მეშვეობით) დამყარებულ იქნეს რეგულიარული კავშირი მათგან რეგულიარულად სასტატისტიკო მასალის მიღებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-52 №-ში 1924 წ. მარტის 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.

დადგენილება № 7

ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებათა განათლების კომისარიატში სავალდებულო წარდგენის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტამბისა, ლიტოგრაფიისა, მეტალოპლასტიკისა და ყოველგვარი სასტამბო საწარმოს გამგე თუ პატრონი ვალდებულია ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოების ხუთმეტი ცალი უფასოდ წარადგინოს განათლების სახალხო კომისარიატში, განაწილებისათვის მუზეუმებისა, წიგნსაცავებისა და არქივებში შესანახად.

შენიშვნა 1. ბეჭვდითი ნაწარმოების უფასოდ მიღების უფლება განათლების სახალხო კომისარიატის გარდა, აქვს მხოლოდ სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს, რომელსაც აღნიშნული ნაწარმოები ეგზავნება ხუთ (5) ცალად.

შენიშვნა 2. მიენდოს განათლების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაწვრილებითი სია იმ დაწესებულებათა როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის გარეშეც, რომელთაც უნდა გაეგზავნოს შესანახად ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოები.

2. ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებათ ჩაითვლება: ყოველგვარი წიგნი, ესტამპი, რუქა, სურათი, გეგმა. ნოტები, კალენდარი, პროკლამაცია და სხვა.

3. ამა დეკრეტის 1-ლ მუხლში აღნიშნული ყველა ბეჭვდითი ნაწარმოები წარედგინება განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს:

ა) ქ. ტფილისში—1 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა გამგის ან პატრონის მიერ უშუალოდ;

ბ) პროვინციაში—წარწერით: „განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს"—გადაეცემა ადგილობრივ საფოსტო კანტორას, რომელიც გამოცემას გაგზავნის დანიშნულებისამებრ უფასოდ (თანახმად ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 95 №-ის დადგენილებისა).

4. უკეთუ ნაწარმოები გამოცემულ იქნება სხვა და სხვა ქალაქზე, განათლების სახალხო კომისარიატს წარედგინება უკეთეს ქალაქზე დაბეჭდილი გამოცემა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წლის თებერვლის 14-ის თარიღისა და 93 №-ის დეკრეტი გაუქმებულ იქნეს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მარტის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-57 №-ში 1924 წ. მარტის 9.

11.

დადგენილება № 8

უსისყიდლოდ გადასული ქალაქად მდებარე ქონების (შენობის) შეფასების წესის შესახებ.

უსასყიდლოდ გადასული—ქალაქად მდებარე—ქონების (შენობის) შეფასების წესის შესახებ 1922 წ. ნოემბრის 8-ს თარიღით და 57 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უსასყიდლოდ გადასული—ქალაქად მდებარე—ქონების (შენობის) ღირებულება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ქონების ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია ქალაქის მიერ 1917 წლის იანვრის 1-დე მოხდენილი შეფასებით, შემცირებულ იქნეს 10-ჯერ;

ბ) ქონების ღირებულება, რომელიც ქანსახღვრულია ქალაქის მიერ 1917 წლის იანვრის 1-დან და შემდეგ წლებში მოხდენილი შეფასებით, შემცირებულ იქნეს 15-ჯერ.

2. ქონება, რომელიც სრულიად შეფასებული არ ყოფილა, სპეციალურად შეფასებულ უნდა იქნეს ფინანსთა ინსპექტორის მეშვეობით ამ ქონების საბაზრო ღირებულების კვალობაზე შეფასების დღისათვის.

შენიშვნა. შეფასება უნდა მოხდეს მტკიცე ვალიუტით (ჩერვონეცით) ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილ მცოდნე პირთა თანდასწრებით. ამ პირთათვის გასამრჯელოს გადაიხდის მემკვიდრეობის მიმღები.

3. ასევე უნდა იყოს შეფასებული მემკვიდრის მოთხოვნით ყოველი ქონება, უკეთუ მისი ღირებულება, განსაზღვრული ამა დადგენილების 1 მუხ. „ა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ბ“ პუნქტში აღნიშნული წესით, ცხადად აღემატება საბაზრო ღირებულებას.

4. ამა დადგენილების პირველ მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული ღიოებულება ქონებისა გადატანილ უნდა იქნეს ჩერვონეცზე ამა წლის მაისის 22-ს კანონისამებრ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მარტის 15.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-70 №-ში 1924 წ. მარტის 28.

12.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9

საქართველოს სახალხო ბანკის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რ სპუბლიკის სახალხო ბანკი გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკად.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო ბანკის თანხებიდან გამოყოფილ იქნეს სამოცდა ექვსი ათასი (66,000) ჩერვონეცი, რაც სესხად არის გაცემული მრეწველობის სხვა და სხვა დარგისათვის, და ეს თანხა ჩაირიცხოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს განყოფილების ფონდში.

3. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ბანკის დანარჩენი თანხები და მთელი ინვენტარი დარჩეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მარტის 24.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-69 №-ში 1924 წ. მარტის 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13.

დადგენილება № 10

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 18 თარიღით და 14 №-ით გამოცემული დადგენილების საფუძველზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამატება ცხოვრების გაძვირების გამო 1924 წლის მარტისათვის იმ კოლექტიური ხელშეკრულებით და სატარიფო შეთანხმებით, რომლითაც სამუშაო ხელფასი ამა წლის მარტის 1-დან, საქონლის მანეთის ნაცვლად, გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთობით მტკიცე პარიტეტით,—დაწესებულ იქნეს თვითეულ ჩერვონეცის მანეთზე მე-2 ზოლისათვის 52 ჩერვონეცის კაპ., ხოლო მე-3 ზოლისათვის კი—68 ჩერვონეცის კაპ.

შენიშვნა. ავანსი, რაც გაცემულია ცხოვრების გაძვირების გამო მარტის თვის პირველ ნახევრისათვის დამატების ანგარიშში, მიღებულ უნდა იქნეს სათვალავში ამა წლის მარტის მეორე ნახევრისათვის მუშამოსამსახურეებთან საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ლოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 3.
ტფილისი—სასახლე.

14.

დადგენილება № 11

„საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის“ დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება „საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის შესახებ“.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯდ. მოადგილე **ლ. ლოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 4.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის შესახებ საქართველოში.

I.

1. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სამკურნალო საგნების მისაწოდებლად საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა „სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა“, რომელიც მოქმედებს ამა დებულების თანახმად, აღებ-მიცემობისა და კომერციული ანგარიშის საფუძველზე.

შენიშვნა. სამკურნალო საგნების ცნებად იგულისხმება ყოველგვარი სამკურნალო საშუალება, ხელსაწყო, ჰოსპიტალის მოწყობილობა, სადიეტო პროდუქტი, მინერალური წყალი, პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საგნები და სხვ.

2. „საქართველოს სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა“ თავისი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქონების ფარგალში, რაც მის თავისუფალ განკარგულებაშია, და შეიძენს იურიდიული პირის ყველა უფლებას დღიდან მისი რეგისტრაციისა.

სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს „საქართველოს სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ვალებისათვის.

3. მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის მხოლოდ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობას“ და მის ქვემდებარე ორგანოებს.

შენიშვნა. საქართველოს სოც. საბბ. რესპუბლიკის ფარგალში მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის აკრძალვა არ შეეხება იმ აფთიაქებს, რომლებიც „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობამ“ გადასცა, ან მიაქირავა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ან სხვა ორგანოს განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

4. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა“ ჰფლობს, სარგებლობს და განაგებს საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მისთვის გადაცმულ ქონებას და აფთიაქებს, და აწარმოებს თავის ოპერაციებს იმ კანონების საერთო საფუძველზე, რაც უკვე მოქმედობს და რაც შეიძლება მომავალში გამოიცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

5. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ დამოკიდებულება საქართველოს სამკურნალო-სასანიტარო დაოგში მომუშავეთა კავშირთან მოწესრიგდება მომქმედი და ამ საგანზე შემდეგში სპეციალურად გამოცემული დადგენილებებით.

II. დაარსება და რეგისტრაცია.

6. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სამყოფელი ადგილი არის ქ. ტფილისი, ხოლო განყოფილება შეიძლება გახსნილ იქნეს, როგორც საქართველოს და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვა და სხვა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქში, ისე საზღვარგარეთაც; ამასთანავე „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ადგილობრივი ორგანო თითოეულ შემთხვევაში გაიხსნება გამგეობის განსაკუთრებული დადგენილებით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დამტკიცებით.

შენიშვნა. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა“ და მისი განყოფილებები აწარმოებენ თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს, თანახმად 1-ლი მუხლ. და მისი შენიშვნისა, მხოლოდ სამკურნალო საგნებით.

7. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გადასცემს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობას“ მთელ ქონებას, რაც მის განკარგულებაშია და საწყობებში და აფთიაქებში ინახება; გადასაცემი ქონება აღწერილ და შეფასებულ უნდა იქნეს არსებული საბითუმო-საბაზრო, ჩერვონეცზე გამოანგარიშებულ, ფასების მიხედვით.

შენიშვნა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობისათვის“ გადაცემული ქონების ის სასაქონლო-საბრუნავი ფონდი, რაც აღნიშნულია შვაბესა და ფერეინის საბითუმო პრეისკურანტებში, შეფასდება 1914 წლის პრეისკურანტების საბითუმო ფასებისამებრ ჩერვონცებზე გადატანით. იმ შემთხვევაში, უკეთუ შვაბესა და ფერეინის პრეისკურანტების ფასებში განსხვავება აღმოჩნდება, მიღებულ უნდა იქნეს უმცირესი ფასი.

8. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ გამგეობა შესდგება სამი წევრისაგან და ერთი კანდიდატისაგან, რომელთაც დანიშნავს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ერთის წლის ვადით.

9. დებულება ესე იმ ქონების აღწერილობასა და შეფასებასთან ერთად, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ პირვანდელ კაპიტალს, წარედგინება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

10. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა დებულების დამტკიცების შემდეგ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დანიშნავს გამგეობას და მის კანდიდატს და გადასცემს გამგეობას ქონებას განსაკუთრებული აქტით და აღწერილობით.

გამგეობა შეამოწმებს აღწერილობას და შეფასებას და შეადგენს შესავალ ბალანსს სათანადო ოქმითურთ.

11. ქონების მიღების შემდეგ, გამგეობის განცხადებით, ორი კვირის განმავლობაში მოხდება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ რეგისტრაცია.

12. დაწესებულება, რომელიც რეგისტრაციას აწარმოებს, რეგისტრაციის მოხდენის შემდეგ, გამოაქვეყნებს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ხარჯით ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში ამ რეგისტრაციას. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სახელწოდება და სამყოფელი ადგილი,

ბ) საწარმოს საგანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შესავალი ბალანსი.

13. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ დებულებისა ან წესდებით დადგენილი კაპიტალისა, ან და გამგეობის პირადი შედგენილობის ცვლილება იმავე წესით დამტკიცებულ, რეგისტრაციაში გატარებულ და საჯაროდ გამოცხადებულ უნდა იქნეს.

III. ქონება და პასუხისმგებლობის წესი.

14. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ნაღდ კაპიტალად ჩაითვლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ აღწერით გადაცემული და ჩერეონცებად შეფასებული სამკურნალო საგნები.

შენიშვნა. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობას“ დაეკისრება აგრეთვე საფარმაციო განყოფილების ყველა მოვალეობა მის ლიკვიდაციამდე.

15. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ პირვანდელი კაპიტალი გაიყოფა:

ა) ძირითად და

ბ) საბრუნავ კაპიტალად.

ძირითად კაპიტალად ჩაითვლება მაღაზიებისა, საწყობებისა, აფთიაქების მოწყობილობა და, საერთოდ, გასაყიდი ქონება.

საბრუნავ კაპიტალად ჩაითვლება ფული, ფასიანი ქაღალდები და აგრეთვე ქონება, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სავაჭრო საგანს.

16. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ქონებაზე რაიმე გარდასახდელის მიქცევისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) იმ ქონებაზე, რომელიც მე-15 მუხლის თანახმად, საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის, გარდასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს იმავე წესით, როგორც კერძო პირის ქონებაზე,

ბ) ძირითადი კაპიტალის ქონებაზე გარდასახდელი არ მიიქცევა.

შენიშვნა. ამა მუხ. „ბ“ პუნქ. აღნიშნული ქონების უვარგისი ან მოძველებული ნაწილების გასხვისება მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

IV. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ფინანსიურად ხელისშეწყობა.

17. სახელმწიფოს მიერ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობისათვის“ ფინანსიურად ხელისშეწყობა სწარმოებს საერთო წესისამებრ იმავე სახით, როგორც სახელმწიფო ტრესტებისათვის ფულადი სახსარის მიცემა. ფულადი სახსარის სხვა რამ ღირებულებით შეცვლა შეიძლება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობასთან“ შეთანხმებით იმ პირობით კი, რომ ეს ღირებულება აუცილებლად გატარებულ იქნეს, როგორც ფულადი სახსარი.

18. გრძელ-ვადიანი სესხი მიეცემა „საქ. სამკ. საგ[illegible]ების სახელ. ვაჭრობას“ მთავრობის მიერ, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენით, რაც გატარებულ უნდა იქნეს საქართველოს უმაღლესს ეკონომიურ საბჭოში. ეს სესხი გადაეცემა „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ პირობით, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს ამ საგანზე სპეციალურად დადებულ ხელშეკრულებაში და დაებრუნება უშუალოდ სახელმწიფო ხაზინას.

გრძელ-ვადიანი სესხის აღება სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან შეიძლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით და ეს სესხი აღინიშნება ბალანსში ცალკე მუხლად.

19. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობას“ შეუძლიან აიღოს მოკლე-ვადიანი სესხი როგორც სახელმწიფო, ისე არა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებისაგან იმ საფუძველზე, რაც კერძო პირთათვის არსებობს; ხოლო ყოველი სესხი აღინიშნება ბალანსში ცალ-ცალკე სათანადო მუხლად.

V. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ გამგეობის უფლება-მოვალეობანი.

ა) საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

20. საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ნებართვის მიცემა სათანადო კანონების დაცვით, ძირითადი კაპიტალის ნაწილთა შეძენისა და იჯარად გაცემისათვის; აგრეთვე ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილების გასხვისებისა და დაგირავებისათვის, რის გასხვისება და დაგირავება სამოქალაქო კანონებით აკრძალული არ არის.

შენიშვნა. კერძო შემთხვევაში საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეუძლია გადასცეს ესა თუ ის თავისი უფლება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ გამგეობას სათანადო ინსტრუქციების გამოცემის წესით.

ბ) დანიშვნა და გადაყენება გამგეობის წევრთა და სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიების წევრთა.

გ) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა და აგრეთვე მომავალი საოპერაციო წლის სამოქმედო გეგმისა, დამტკიცება გასული წლის ანგარიშებისა და ბალანსისა.

დ) ამა დებულებისა და პირვანდელი თანხის ეცვლისა და „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ლიკვიდაციის საკითხების გადაჭრა; ამ საკითხების შესახებ გამოტანილი დადგენილებანი უნდა წარედგინოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით.

ე) ნებართვის მიცემა გამგეობისათვის სინდიკატში და სხვა შენაერთში შესასვლელად.

ვ) გამგეობისათვის ნებართვის მიცემა სესხის ასაღებად თანახმად ამ დებულების მე-20 მუხლისა.

21. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დანიშნავს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ გამგეობას სამი წევრისაგან, მათ შორის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის იმ წევრთა სანაცვლოდ, რომელნიც ვადის გასვლამდე გამოვლენ გამგეობის შედგენილობიდან ან დროებით მოკლებულნი იქნებიან საშუალებას შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დანიშნავს ერთ კანდიდატს, რომელიც შეუდგება გამგეობის წევრის მოვალეობის აღსრულებას ამავე გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

გამგეობის წევრის მოვალეობის აღსრულების დროს კანდიდატს აქვს გამგეობის წევრის ყველა უფლება.

22. საანგარიშო წლის დამთავრებისას და ბალანსის წარდგენის შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გადასინჯავს გამგეობის შედგენილობას და განსაზღვრავს მის შედგენილობას მომავალი საოპერაციო წლისათვის. საოპერაციო წლის განმავლობაში თავმჯდომარე შეიძლება გადაყენებულ იქნეს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმოჩნდა, რომ ის არ შეეფერება დაკისრებულ მოვალეობას, რომ უყაირათოა ან ჩაიდინა სხვა რამ დანაშაულობრივი მოქმედება. გამგეობის წევრთა გადაყენება შეიძლება ამავე მიზეზით.

თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა გასამრჯელოს რაოდენობას და ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატი საქართველოს საექიმო-სასანიტარო დარგში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით.

ბ) გ ა მ გ ე ო ბ ა.

23. გამგეობის თავმჯდომარემ და წევრებმა თავიანთ მოვალეობის აღსრულების დროს უნდა გამოიჩინონ მუყაითი მეურნის წინდახედულობა და პასუხს აგებენ დისციპლინარულ და სისხლის სამართლის წესით და აგრეთვე ქონებრივად როგორც მათთვის ჩაბარებული ქონების მთლიანობისათვის, ისე საქმის მომჭირნეობით წარმოებისათვის.

24. რათა გამგეობის სხდომა კანონიერად ჩაითვალოს, სავალდებულოა გამგეობის ყველა წევრის დასწრება.

25. გამგეობა ხელმძღვანელობს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ყველა ოპერაციას, განაგებს ყველა საქმეს და იმ ქონებას, რაც მის განკარგულებაშია, და არის „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ წარმომადგენელი სასამართლოში და მის გარეშე.

გამგეობა დასდებს ყოველგვარ გარიგებას, რაც შედის „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ოპერაციების ფარგალში, სხვათა შორის გასცემს და თვით აიღებს სანარდო სამუშაოს და გაყიდვით მიწოდებას, გამოითხოვს რა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინასწარ ნებართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, რაც გარკვევით აღნიშნულია ამა დებულებაში და სახელმწიფოს სანარდო მუშაობისა და გაყიდვით მიწოდების დებულებაში.

26. კერძოდ, გამგეობის უფლებაში შედის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ დაწესებულებათა ორგანიზაცია, მისი სტრუქტურისა, შტატებისა, საქმის წარმოებისა, ბუხჰალტერიისა და სალაროს მოწყობა, აგრეთვე ბალანსისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

ბ) სამსახურში საჭირო პირთა მიწვევა და დათხოვნა ამ საგანზე არსებული დადგენილებისამებრ და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა.

გ) საქონლის ყიდვა-გაყიდვა როგორც ნაღდ ანგარიშზედ, ისე ნისიად და გაცვლის საშუალებით, დაქირავება საწყობებისა, მიწებისა და სხვა სადგომებისა.

დ) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ქონების დაზღვევა.

ე) სხვა და სხვა ვადიანი ვალდებულების მიღება და გაცემა, რაც შეეფერება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ მიზნებს.

ვ) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სახელით პირობისა, აქტისა და ხელშეკრულების დადება.

ზ) მიმდინარე ანგარიშების და კრედიტის გახსნა, სესხის აღება და, საერთოდ, ყველა იმ ოპერაციის განხორციელება, რაც დაკავშირებულია ფინანსიურ და ფულის ბრუნვასთან.

თ) გამგეობისა და ყველა მისი დაწესებულების აპარატის შესანახად ყოველგვარი ანგარიშის გასწორება.

ი) გაცემა სათანადო მანდატისა, მოწმობისა, რწმუნებულობისა და ყოველგვარი დოკუმენტისა „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სახელით.

კ) მუშაობის განაწილება გამგეობის წევრთა შორის და გამგეობაში შინაგანი განწესრიგების დამყარება.

ლ) ყოველ სამ თვეში თავისი მოქმედების ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის წარდგენა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

27. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ფუნქციებს განახორციელებენ მისი ცალკე ნაწილები კუთვნილებისამებრ; ამ ნაწილებს განსაზღვრავს და მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას, მუშაობის პირობების მიხედვით, დააწესებს და შესცვლის „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ გამგეობა.

„საქ სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ სამსახურში მყოფ ყველა თანამშრომელს აქვს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლება.

28. საოპერაციო წელიწადი იწყება ოქტომბრის 1-დან და თავდება სექტემბრის 30-ს.

გამგეობა შეადგენს მოქმედების ანგარიშს არა უგვიანეს სამის თვისა საოპერაციო წლის გასვლის დღიდან და წარუდგენს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში.

29. წლიურ მოქმედების ანგარიშის შედგენის დროს აუცილებლად უნდა მოხდეს ხოლმე საინვენტარო აღწერა მთელი ქონებისა და შეფასება ჩერვონეცებად და აგრეთვე ბალანსის შედგენა ჩერვონეცებად.

30. ბალანსის შედგენისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) ფასიანი ქაღალდები და საქონელი უნდა აღინიშნოს ბალანსში არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს ბირჟის ფასებისა, ხოლო, უკეთუ ეს ფასები აღემატება ნასყიდობის ან დამზადების ფასებს, არა უმაღლეს ამ ფასებისა.

ბ) ის ქონება, რომელსაც არა აქვს ბირჟის ან ბაზრის ფასი, აღინიშნება არა უმაღლეს ნასყიდობისა ან დამზადების ფასისა.

გ) ქონება, რაც შედის ძირითად თანხის შედგენილობაში, მიუხედავად მისი ღირებულების თანდათანობით შემცირებისა, აღინიშნება ნასყიდობისა ან დამზადების ფასად, ან და იმ ფასად, რომლითაც იგი მიიღო „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობამ“ დაარსების დროს, ხოლო იმ პირობით, რომ გაცვეთით გამოწვეული შემცირება ღირებულებისა აღინიშნოს ამ ქონების ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ყოველწლიური გადარიცხვით ქონების დასაფარავ კაპიტალში.

VI. ამორტიზაცია, სათადარიგო თანხა, მოგების განაწილება.

31. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად ყოველწლიურად მოხდება ამორტიზაცია იმ ქონებისა, რომელიც შედის ძირითად თანხაში.

32. მთელი მოგება დარჩება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობას“ და მოხმარდება სამკურნალო დახმარების გაძლიერებას, გაუმჯობესებას და გაიაფებას.

33. სათადარიგო კაპიტალის დანიშნულებაა როგორც ზარალის დაფარვა, ისე საწარმოთა გაფართოება.

როდესაც სათადარიგო კაპიტალი პირვანდელი კაპიტალის ნახევარს გაუთანასწორდება, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აღძრავს საკითხს, დებულების შეცვლის წესით, პირვანდელი კაპიტალის სათანადოდ გადიდების შესახებ სათადარიგო კაპიტალის ნაწილის პირვანდელ კაპიტალში გადარიცხვით.

VII. გადასახადები, ფასები და დაკვეთა.

34. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა“ დაიბეგრება ყოველგვარი გადასახადით, სხვათა შორის საშემოსავლო გადასახადითაც, კერძო საწარმოს თანაბრად, უკეთუ კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული.

35. აფთიაქებიდან მედიკამენტები გაიყიდება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნიხრით. დანარჩენი საქონელი —გამგეობის მიერ დაწესებული ნიხრით.

36. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წარდგენისამებრ, შეიძლება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, განსაკუთრებული დაკვეთა—„საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ნაწარმოებთა ბაზრის ფასზე ნაკლები ფასით, ხოლო არა ნაკლებ თვითღირებულებისა.

„განსაკუთრებული დაკვეთის“ დროს „საქ. სამკ. საგნების სახელ ვაჭრობას“ ევალება დასდვას სათანადო ხელშეკრულება იმ სახელმწიფო ორგანოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, რომლისთვისაც მოხდა „განსაკუთრებული დაკვეთა“, ხოლო, თუ სახელმწიფო ორგანო არ შეასრულებს ასეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ვალდებულებას, ამ შემთხვევაში მთლად პასუხისმგებელია სახელმწიფო ხაზინა.

37. უკეთუ განსაკუთრებული დაკვეთის წესით „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ მიერ გაცემულ საქონლისათვის სათანადო სახელმწიფო ორგანომ ვერ შეიტანა გადასახდელი ხელშეკრულებით დაწესებულ ერთ-ერთ ვადაზე, „საქ. სამკ. საგნების. სახელ. ვაჭრობას“ უფლება ეძლევა უარი სთქვას დანაკვეთის შემდგომ მოწოდებაზე და გადაახდევინოს ხსენებულ ორგანოს ზარალი საერთო საფუძველზე.

შენიშვნა 1. უკეთუ გარიგება სახელმწიფო დაწესებულებასთან მოხდება, „განსაკუთრებული დაკვეთა“ შეიძლება მხოლოდ საბიუჯეტო დანიშნულებათა ფარგალში.

შენიშვნა 2. ყიდვა-გაყიდვის დროს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობა ვალდებულია, სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესობა მიანიჭოს სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც კონტრაგენტად გამოდის.

VIII. ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა.

38. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ლიკვიდაცია მოხდება საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, რაც საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს, — შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ პირვანდელი კაპიტალი შემცირდა 2/5-დით და არ იქნა საჭიროდ მიჩნეული ან მისი შევსება სხვა წყაროებიდან, ან პირვანდელი კაპიტალის შემცირება ამა დებულების მე-13 მუხლის მიხედვით.

ბ) ეკეთუ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ საბრუნავი საშუალებანი საკმარისი არ იქნება მოთხოვნილი ვალების გადასახდელად.

გ) უკეთუ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი სცნობს, რომ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ შემდგომი არსებობა მიზანშეუწონელია.

39. ლიკვიდაციას მოახდენს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია, საქართველოს სამკურნალო-სასანიტარო დარგში მომუშავეთა კავშირის მონაწილეობით, იმ ვადაზე, რომელსაც განსაზღვრავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ხოლო არა უგვიანეს ერთი წლისა.

დადგენილება ლიკვიდაციის მოხდენისა და სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ გამოქვეყნდება არსებული წესით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადავა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

შენიშვნა. უკეთუ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ლიკვიდაცია მოხდა 38 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, კრედიტორების თხოვნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობაში მათი ინტერესების წარმომადგენელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 4.
ტფილისი—სასახლე.

15.

დადგენილება № 12

საქართველოს წიგნის პალატის დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ბეჭდვითი ნაწარმოებთა სავალდებულო რეგისტრაციისა და საბიბლიოგრაფიო მუშაობის მოსაწესრიგებლად დაარსდეს ქ. ტფილისში „საქართველოს წიგნის პალატა".

2. საქართველოს წიგნის პალატა დაექვემდებაროს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს.

3. დამტკიცებულ იქნეს აქვე დართული დებულება და შტატი საქართველოს წიგნის პალატისა.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 1.

დებულება

საქართველოს წიგნის პალატისა.

1. საქართველოს წიგნის პალატა შესდგება სამი განყოფილებისაგან:
   ა) სარეგისტრაციო განყოფილება,
   ბ) სარედაქციო განყოფილება,
   გ) არქივისა და ბიბლიოთეკის განყოფილება.
2. საქართველოს წიგნის პალატას ეკისრება:
   ა) მიღება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოსული ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების სავალდებულო ეგზემპლიარებისა;
   ბ) თვალყურის დევნება პოლიგრაფიულ საწარმოთათვის, რათა მათ თავის დროზე და უკლებლივ წარადგინონ ზემოაღნიშნული ეგზემპლიარები და, საზოგადოდ, დაიცვან წესები ბეჭდვითი ნაწარმოებთა რეგისტრაციისა;
   გ) აღნიშნულ ბეჭდვით ნაწარმოებთა რეგისტრაცია და მათი სიების გამოქვეყნება პალატის საბიბლიოგრაფიო ორგანო „წიგნის მატიანე"-ში;
   დ) პასუხისგებაში მიცემა აღნიშნულ წესების დამრღვევ პირთა (სისხლის სამართლის კოდექსის 230 მუხ.);
   ე) შენახვა „ა" მუხლში ნაჩვენებ ნაწარმოებთა ერთი ეგზემპლიარისა წიგნის პალატის არქივში;
   ვ) მიწოდება „ა" მუხლში ნაჩვენებ ბეჭდვით ნაწარაოებთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საცავებისათვის;
   ზ) გაგზავნა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისართა 1923 წ. დეკემბრის 4-ს თათბირის დადგენილების თანახმად, რუსეთის ცენტრალურ წიგნის პალატაში ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლიარებისა—საქართველოს გარეთ არსებული საკავშირო მნიშვნელობის წიგნთსაცავებში დასარიგებლად.

3. საქართველოს წიგნის პალატას აქვს რუსეთის ცენტრალურ წიგნის პალატასთან კონტაქტი, საჭიროებისამებრ უგზავნის მას ცნობებს—ამ პალატაზე დაკისრებულ საერთო საკავშირო მოვალეობათა შესასრულებლად.

შენიშვნა. რუ ეთის ცენტრალურ წიგნის პალატაში სავალდებულო ეგზემპლიარების გაგზავნის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო რეგისტრაციისათვის არსებულ დადგენილებათა სათანადო შესრულებისათვის საქართველოს წიგნის პალატას უფლება აქვს აწარმოოს კონტროლი სალიტერატურო და საგამომცემლო მთავარ სამმართველოს წარმომადგენელთა მეშვეობით, თანახმად ქვემოდ (მუხ. 9) ნაჩვენებ წესებისა.

5. წიგნის პალატაში სავალდებულო 15 ეგზემპლიარის (იხ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება 1924 წ. მარტის 8 თარიღით) წარდგენისათვის დამყარდეს შემდეგი წესი:

ა) ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლიარები წარედგინება საქართველოს წიგნის პალატას იმ პოლიგრაფიულ საწარმოს მიერ, სადაც დაიბეჭდა ნაწარმოები.

ბ) მთლად საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთითა, აჭარითა, სამხრეთ-ოსეთითურთ) არსებული, გარდა ქ. ტფილისისა, პოლიგრაფიული საწარმონი ვალდებულნი არიან გაუგზავნონ საქართველოს წიგნის პალატას ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლიარები ფოსტით დაზღვეულად გაგზავნილ ნაწარმოებთა სიის თანდართვით; აღნიშნული სიის ასლი (3 ცალი) და ფოსტის ხელწერილი წარედგინება სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას. წარდგენილ სიების ასლზე სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს განყოფილება აღნიშნავს ნებართვას, რითაც პოლიგრაფიულ საწარმოს უფლება ეძლევა მისცეს გამომცემელს სიაში აღნიშნული ბეჭდვითი ნაწარმოებნი; სიის ერთი ასლთაგანი, საფოსტო ხელწერილის ნომრის ზედაღნიშვნით, მიეცემა გამგზავნელს; მეორე ასლი, ამგვარადვე აღნიშნული, გაეგზავნება საქართველოს წიგნის პალატას; მესამე ასლი, ფოსტის ხელწერილითურთ, დარჩება სალიტერატურო და საგამომცემლო მთავარ სამმართველოს განყოფილებაში.

აღნიშნულ ნებართვის მიცემამდე არ შეიძლება არც ერთის ბეჭდვითი ნაწარმოების გაცემა პოლიგრაფიულ საწარმოდან.

გ) ქ. ტფილისში ყველა პოლიგრაფიული საწარმო თითეულ ბეჭდვით ნაწარმოების ეგზემპლიართა დადგენილ რაოდენობას ჩააბარებს საქართველოს წიგნის პალატას უშუალოდ — სათანადო სიითა და მისი ასლითურთ, რა სიაზედაც საქართველოს წიგნის პალატა მისცემს თავის ბეჭედ-დასმულ ხელწერილს ბეჭდვით ნაწარმოებთა მიღების შესახებ. აღნიშნული ასლი, საქართველოს წიგნის პალატის ხელწერილით, წარედგინება სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს, რომელიც აღნიშნავს მასზე სათანადო ნებართვას ნაწარმოებთა პოლიგრაფიულ საწარმოდან გაცემის შესახებ. აღნიშნული ნებართვის მიღებამდე არც ერთი ბეჭდვითი ნაწარმოების გაცემა პოლიგრაფიულ საწარმოდან არ შეიძლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. ყოველდღიურ პერიოდულ გამოცემათა თითოეულ ნომრის სავალდებულო ეგზემპლიარები (გაზეთი, ბიულეტენი, ბრძანება და სხვ.) წარედგინება ან გაეგზავნება საქართველოს წიგნის პალატას ნომრის გამოსვლის დღეს, და თუ უქმი დღეა, მის მომდევნო საქმიდღეს; ამასთანავე პერიოდული გამოცემა შეიძლება გაშვებულ იქნეს პოლიგრაფიულ საწარმოდან „ბ“ და „გ“ პუნქტებში ნაჩვენებ დოკუმენტების მიღებამდეც, იმ აუცილებელის პირობით, რომ აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილ იქნას იმავე დღეს.

7. საქართველოში გასავრცელებლად საზღვარგარეთ დაბეჭდილი გამოცემანი გაიგზავნება საქართველოს წიგნის პალატაში საერთო წესების მიხედვით; აღნიშნულ გამოცემათა გამოგზავნა ევალება გამომცემლობას.

8. საქართველოს ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემაზე, დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, ფორმისა და ზომისა, უნდა აღინიშნოს:

ა) გამომცემლობის სახელწოდება;
ბ) გამომცემლობის ადგილსამყოფელი;
გ) გამოცემის წელიწადი;
დ) სტამბის სახელწოდება;
ე) სტამბის ადგილსამყოფელი;
ვ) გამოცემულ ეგზემპლიართა რიცხვი (ტირაჟი);
ზ) პერიოდულ გამოცემებზე, გარდა ამისა: 1) პასუხისმგებელი რედაქტორი და 2) რომელი წელია გამოცემისა.

9. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარი საამართველოს ადგილობრივ განყოფილებათ ევალებათ თვალყური ადევნონ და ფაქტიური კონტროლი გაუწიონ ბეჭდვით ნაწარმოებთა რეგისტრაციის წესების შესრულებას. კონტროლი განხორციელდება შემდეგი სახით:

ა) განყოფილებანი იძლევიან გამოცემის გასავრცელებელ ნებართვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სავალდებულო ეგზემპლიართა დაკანონებული რიცხვი გაიგზავნება პოლიგრაფიულ საწარმოს მიერ საქართველოს წიგნის პალატაში (იხ. მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები და მე-6 მუხლი);

ბ) გზავნიან საქართველოს წიგნის პალატაში პოლიგრაფიული საწარმოს მიერ წარდგენილ ბეჭდვით ნაწარმოებთა სიების ასლს (იხ. მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი);

გ) გზავნიან საქართველოს წიგნის პალატაში ყოველთვიურად (არა ულგვიანეს თვითეული თვის 10 რიცხვისა) ახლად დაარსებულს ანდა დახურულ გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა სიას;

დ) თვალყურს ადევნებენ, რათა პოლიგრაფიული საწარმონი სისწორით გზავნიდნენ საქართველოს წიგნის პალატაში ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლიარებს, რისთვისაც ოფლება აქვთ მოიკითხონ პოლიგრაფიული დაწესებულებათაგან სათანადო ცნობები და მოითხოვონ საჭირო საბუთები. თვითეული ამგვარი ცნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ უნდა შესდგეს აქტი სალიტერატურო და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს განყოფილების გამგისა პოლიგრაფიულ საწარმოს გამგის ხელმოწერით.

10. ამა დებულების გამოცემისათანავე გაუქმდება ყველა ამ საგანზე წინად გამოცემული დებულება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

დანართი 2.

საქართველოს წიგნის პალატის შტატი

№№ რიგზე.	**თანამდებობის სახელწოდება**	თანამდებობათა რიცხვი
1	პალატის გამგე, იგივე რედაქტორი . .	1
2	რეგისტრაციის ხელმძღვანელი . . .	1
3	ინდექსატორი	1
4	ბიბლიოთეკა-არქივის გამგე . . .	1
5	საქმისმწარმოებელი	1
	სულ .	5

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 24.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16.

დადგენილება № 13

საბჭოთა დაწესებულებებში ყოველკვირეული დასვენების დროის განსაზღვრის შესახებ.

რათა მტკიცეთ იქნეს დაცული შრომის კანონთა კოდექსის 109 მუხლი —ყოველკვირეული 42 საათის დასვენების დროის შესახებ სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1. აღკრძალულ იქნეს ყველა საბჭოთა დაწესებულებაში და სამეურნეო ორგანოში საუწყებათაშორისო თათბირების მოწვევა, სხდომების გამართვა და კომისიების მუშაობა შაბათის 3 საათიდან ორშაბათის დილის 9 საათამდე.

2. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში მიიცემიან სისხლის სამართლის კოდექსის 136 მუხ. მიხედვით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შრომის
სახალხო კომისარი **ა. მიქაძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-99 №-ში 1924 წ. მაისის 1.

17.

დადგენილება № 14

სამკურნალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

1. კვლავ დადასტურებულ იქნეს სახელმძღვანელოდ, რომ მთლად სამკურნალო-სასანიტარო საქმის მართვა-გამგეობა ერთიანად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელშია.

2. სახალხო კომისართა საბჭო მორიგ მიზნად სთვლის ქვეყნის მშრომელ ცოცხალ ძალების დაცვას და მთლად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებას; ამისათვის იგი წინადადებას აძლევს ხელისუფლების ყველა ორგანოს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის განყოფილებათ მათ მიერ წარმოებულ მუშაობაში.

3. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა, პროფესიონალურ კავშირებისა და დამზღვევი კასების მონაწილეობით, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა მუშებისათვის, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოების მუშებისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარი სამკურნალო-სასანიტარო დახმარება.

4. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და მისი ჯანმრთელობის განყოფილება მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ სოფლის მოსახლეობას გაეწიოს სათანადო სამკურნალო და სასანიტარო დახმარება; შეაჩეროს მომავალში საუბნო ქსელის შემცირება სოფლებში და იხმაროს ღონისძიება არსებული ქსელის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, და, უწინარესყოვლისა, მიაწოდოს სოფლის სამკურნალო დაწესებულებათ საჭირო მედიკამენტები და აგრეთვე გააუმჯობესოს საექიმო პერსონალის, განსაკუთრებით საუბნო პერსონალის, მატერიალური მდგომარეობა.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი არსებული კოდექსისა და მის განსავითარებლად გამოცემულ კანონთა საფუძველზე მოვალეა მიიღოს ღონისძიება:

ა) რათა სამკურნალო დაწესებულებათ, კერძოდ ფსიქიატრულ საავადმყოფოებს, ლეპრაზორიებს და სანატორიუმებს მიეცეს საჭირო მიწის ნაკვეთები კარმიდამოსათვის და სამკურნალო მიზნებისათვის.

ბ) რათა აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებათ სასურსათო საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიეცეთ შეღავათიან პირობებში სახელმწიფო მიწებიდან სამინდვრე, საბოსტნე და სხვა ადგილები.

6. რადგანაც ზოგიერთ მაზრის ადგილებში სამკურნალო-სასანიტარო ქსელი ნაკლებ არის განვითარებული და ადგილობრივი ბიუჯეტიც სუსტია, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში ევალება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დააწესოს ასეთ ადგილებში, როცა ეს საჭირო იქნება, მიზნობრივი დოტაცია სამკურნალო-სასანიტარო საქმისათვის.

7. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებას ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვას, კერძოდ, მტკიცედ განახორციელონ საექიმო შემოწმება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში მომუშავე მოზარდი თაობისა და აგრეთვე ყველა უმუშევარისა, რომელიც შრომის ბირჟაში ირიცხება. უკეთუ მოზარდს ჯანმრთელობა არ შეეფერება მისი მუშაობის სიმძიმეს, საჭიროა იგი გადაყვანილ იქნეს უფრო ადვილ სამუშაოზე. მოზარდთა საექიმო შემწეობა უნდა მოხდეს პერიოდულად ერთხელ მაინც წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა და აგრეთვე ყველა სამკურნალო-სასანიტარო, სამეცნიერო და საჩვენებელ დაწესებულებათა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსდეს აღნიშნულ დაწესებულებებში სპეციალური ფონდი იმ თანხებიდან, რასაც ეს დაწესებულებანი მიიღებენ კერძო პირთა და საწარმოთაგან. ეს ფული უნდა დაიხარჯოს მარტოოდენ სამკურნალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. ამ მიზნით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წინანადადება ეძლევა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოში) ერთად, შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია და დებულება.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ევალება, შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, იზრუნოს ყოველგვარი ღონისძიება სახელმწიფო მინიმუმზე დატოვებულ საქმიო მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

10. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ევალება, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების სათანადო შეფარდებისათვის.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. აპრილის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-113 №-ში 1924 წ. მაისის 20.

18.

დადგენილება № 15

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ.

რათა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილ თაობას საშუალება მიეცეს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ის მოზრდილი თაობა, რომელმაც წერა კითხვა არ იცის, წლოვანობით 18—40 წლამდე, ვალდებულია შეისწავლოს წერა კითხვა დედაენაზედ ან სახელმწიფო—ქართულ ენაზედ სურვილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამებრ. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის მოხდება რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმით.

შენიშვნა. პირველი მუხლი გავრცელდება წითელარმიელებზედაც, მხოლოდ მუშაობა მათ შორის წარმოებულ უნდა იქნეს არმიის პოლიტიკური განყოფილების უახლოესი მონაწილეობით.

2. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის დასრულებულ უნდა იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე, ესე იგი 1931 წლის თებერვლის 25-ს.

3. მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციამ, როგორიც არიან მაგალითად: პროფესიონალური კავშირები, პარტიული ადგილობრივი ორგანიზაციები და სხვ. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულება.

4. მოზრდილთა სკოლებისათვის პოლიტიკური განათლების ორგანოებს უფლება აქვთ გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო სკოლათა შენობები, აგრეთვე სახალხო სახლები, კლუბები და ფაბრიკა-ქარხნებისა, საბჭოთა დაწესებულებების შენობა და სხვა შესაფერი სადგომი.

5. სახსარი მოზრდილთა სკოლების ფინანსიურად უზრუნველსაყოფელად (მასწავლებელთა ჯამარიგი, სახელმძღვანელოები და სხვ.) გაღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

6. გეგმის შემუშავება ამა დადგენილების სისწორით განხორციელებისათვის დაეკისრება პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ლ. ღოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-102 №-ში 1924 წ. მაისის 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19

დადგენილება № 16

უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ მათდამი რწმუნებული აპარატის მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველდღიური მიმდინარე კონტროლისაგან განთავისუფლების გამო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ყველა უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელთ უშუალო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, მათი ქვემდებარე ორგანოების მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

2. მიენდოს მუშაოა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს თვითეული სახალხო კომისარიატისათვის წესები იმის შესახებ, თუ რა ხასიათის და ფარგლისა უნდა იყოს პასუხისმგებლობა როგორც ცალკე უწყების, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელისა, ისე თვითეული პასუხისმგებელი თანამდებობის პირისა მათი მუშაობისა და აპარატის მდგომარეობისათვის.

3. დაწესებულება ისეთნაირად უნდა მოეწყოს, რომ ქვემდებარე ორგანოების მოქმედობის ზედამხედველობა განხორციელდებოდეს თვით მუშაობის პროცესში და რომ ხელმძღვანელს, რომელიც მთლად პასუხისმგებელია დავალებულ საქმის მდგომარეობისათვის, ჰქონდეს შესაძლებლობა უშუალო კონტროლი გაუწიოს აპარატის ყველა ნაწილების მუშაობას.

4. სახელმწიფო აპარატი, რომელიც საჭიროებს სპეციალურ სარევიზიო კომისიას, ჯგუფს და სხვ. საკანტროლო ორგანოს, ისეთ პრინციპზე მოაწყობს ამ ორგანოს, რომ იგი საერთო აპარატის სისტემაში შედიოდეს.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული საკონტროლო ორგანოს ცალკე დაწესებულებასთან მოწყობის დროს დაცულ უნდა იქნეს მაქსიმალური ეკონომია ძალებისა და სახსარისა; თანაც მტკიცედ უნდა განისაზღვროს ამ ორგანოს ფუნქციები, სტრუქტურა და შტატი.

6. დებულება ცალკე უწყების საკონტროლო ორგანოს შესახებ (მუხ. 4), მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დასკვნით, წარედგინება დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-108 №-ში 1924 წ. მაისის 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20.

დადგენილება № 17

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს დებულებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისა, კონსტრუქციისა და შტატის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული: 1) დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს შესახებ და 2) დებულება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ და მისივე კონსტრუქცია და შტატი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დანართი 1.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს შესახებ.

1. სამეურნეო და ფინანსიურ ღონისძიებათა გაერთიანებისათვის, და აგრეთვე საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ეკონომიური პოლიტიკისა და მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება საქართველოს ეკონომიური საბჭო.

2. ეკონომიური საბჭოს შედგენილობაში არიან თავმჯდომარედ და მის მოადგილედ—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, ხოლო წევრებად: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, შრომის სახალხო კომისარი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მდივანი, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისირიატის რწმუნებული საქართველოში და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ეკონომიური საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეკონომიურ საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) დაწესება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისათვის საერთო სამეურნეო გეგმისა,

ბ) თვალყურისდევნება ამ გეგმის განხორციელებისათვის და, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, ამ გეგმიდან ზოგიერთი გამონაკლისთა მოხდენა,

გ) შეთანხმება და წარმართვა ეკონომიური სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური ხასიათისა და მნიშვნელობის სხვა სამმართველოების მუშაობისა საერთო რესპუბლიკანური სამეურნეო გეგმის მიხედვით (3. „ა").

დ) შეთანხმება რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოთა მოქმედებისა ერთიან ფედერალურ სამეურნეო გეგმასთან და თვალყურის დევნება, რათა მათ თავის დროზე და სისწორით შეასრულონ ყველა უმაღლესი ფედერალური სახელმწიფო ორგანოს დადგენილება ეკონომიურ საკითხების სფეროში.

4. ყველა სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკანური ხასიათის სამმართველო ვალდებულია თავისი საგეგმო მოსაზრებანი და აგრეთვე წარმოებითი პროგრამები რესპუბლიკანური მეურნეობის საკითხების სფეროში წარუდგინონ დასამტკიცებლად ეკონომიურ საბჭოს.

5. ეკონომიურ საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატისათვის და აგრეთვე რესპუბლიკანური ხასიათის სხვა სამმართველოებისათვის კუთვნილებისამებრ.

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს ეკონომიური საბჭოს ესა თუ ის დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დ ა ნ ა რ თ ი 2.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

1. საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დებულებაში გათვალისწინებულ მიზანთა პრაქტიკული განხორციელებისათვის ეკონომიურ საბჭოსთან არსდება საქართველოს სახელმწიფო საერთო საგეგმო კომისია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია შესდგება: სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, შინავაჭრობისა და საერთო სექციებისაგან. სექციების წევრთა რიცხვი განისაზღვრება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

3. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიზანია:

ა) შეიმუშაოს რესპუბლიკის ერთიანი სამეურნეო გეგმა და წესი ღონისძიებანი ამ გეგმის განხორციელებისათვის;

ბ) შეიმუშაოს რესპუბლიკის ბიუჯეტი და აგრეთვე რესპუბლიკანური და ადგილობრივ გადასახადთა სისტემა;

გ) შეიმუშაოს სურსათის მომარაგების ერთიანი გეგმა;

დ) შეიმუშაოს მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საერთო საკითხები, და აგრეთვე მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწის წიაღთა, ტყეთა და წყალთა სარგებლობის წესი;

ე) შეიმუშაოს ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მოგვარების წესები;

ვ) შეიმუშაოს შრომისა და საკონცესიო ხელშეკრულებათა კანონები;

ზ) შეიმუშაოს სამელიორაციო საქმისა და ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განვითარების საქმის საერთო საფუძვლები;

თ) განიხილოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური ხასიათის ცალკე სამმართველოების პროგრამები და საგეგმო მოსაზრებანი და შეუთანხმოს ერთიან რესპუბლიკანურ გეგმას;

ი) განიხილოს საერთო ფედერატიული ხასიათის პროგრამები და საგეგმო მოსაზრებანი და შეუთანხმოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმას.

4. ყველა პროექტი მნიშვნელოვანი დეკრეტისა და დადგენილებისა ეკონომიური და ფინანსიური საკითხების სფეროში, რაც ცალკე უწყებათა მიერ წარდგენილ იქნება სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში, წინასწარ გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას განხილვისა და დასკვნისათვის.

5. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს შეიტანოს სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში თავისი ინიციატივით დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტი ეკონომიური და ფინანსიური საკითხების სფეროში დაინტერესებულ უწყებათა მოსაზრებათა თანდართვით.

6. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია საერთო საკავშირო და ფედერატიულ ორგანოებისაგან ამა თუ იმ დავალებას მიიღებს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მეშვეობით და ეს დავალებანი მისთვის სავალდებულოა.

7. საერთო საკავშირო და ფედერატიული ორგანოების შეკითხვაზე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას მისცემს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მეშვეობით.

8. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია ყველა თავის დასკვნას წარუდგენს დასამტკიცებლად ეკონომიურ საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია მოეწყობა ეკონომიურ საბჭოს მიერ ამისათვის ცალკე შედგენილ დებულების თანახმად.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს
თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დანართი 3.

პონსტრუქცია

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა.

1. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ორგანოები არის: პლენარული სხდომა, პრეზიდიუმი და სექციები.

2. პლენარული სხდომა შესდგება სექციების ყველა წევრთაგან; პრეზიდიუმი—სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარისა და სექციათა მდივნებისაგან; სექცია—სამი წევრისაგან, რომელთა შორის ერთი წევრი არის სექციის სწავლული მდივანი.

3. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებს, ეკონომიური საბჭოს წარდგენით, დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ საჭირო ცოდნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათანადო დარგისა.

4. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობას გაანაწილებს სათანადო სექციებს შორის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი ან მისი თავმჯდომარე.

5. პლენარული სხდომის მიზანთა ფარგალში შედის განხილვა იმ საკითხებისა, რასაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის აქვს საერთო ეკონომიური მნიშვნელობა და აგრეთვე იმ საკითხებისა, რაც სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წინადადებით ან პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცემა პლენარულ სხდომას განხილვისა და დასკვნისათვის.

6. პრეზიდიუმი განიხილავს და მისცემს დასკვნებს საერთო-ეკონომიურ ხასიათის საკითხებზე, უკეთუ ეს საკითხები სასწრაფო ხასიათის იქნება, და აგრეთვე იმ საკითხებზე, რაც ეხება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ ცალკე დარგს.

7. სექციათა მიზანს შეადგენს ყველა იმ საკითხის შემუშავება, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებაში და დასკვნის მიცემა იმ საკითხების შესახებ, რაც აღიძვრება სახალხო კომისარიატებისა და ცალკე რესპუბლიკანური ხასიათის სამმართველოების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ყველა საკითხი, ვიდრე იგი განიხილებოდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში ან პლენუმში, გადაცემულ უნდა იქნეს სათანადო სექციაში განხილვისა და დასკვნისათვის.

9. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ხოლმე მცოდნე პირები.

10. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მომუშავე აპარატი შესდგება—სწავლული მდივნებისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა სახალხო მეურნეობის სათანადო დარგისა, და კანცელარიისაგან.

11. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს მოწვეულ მცოდნე პირებს მისცეს შრომისათვის საეტონო გასამრჯელო.

12. სახელმწიფო საგეგმო კომისიის შტატსა და ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს ეკონომიური საბჭო და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი — სასახლე.

დანართი 4.

შტატი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა.

თავმჯდომარე — — — —	1.
წევრი—სექციის მდივანი — — —	4.
მდივანი — — — — —	1. (იგივე მდივანი საქართველოს ეკონომიურ საბჭოსი).
მემანქანე — — — — —	2.
საქმის მწარმოებელი — — —	1. (იგივე რეგისტრატორი).
	9.

სექციის წევრი —მდივანი (4 სექციისათვის)—12.

შრომის გასამრჯელო საეტონოა.

მცოდნე პირები:

მცოდნე პირები მოიწვევა სექციის მდივნების შეხედულებისამებრ და გასამრჯელო საეტონოა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდ. მოადგილე **ლ. ღოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.

დადგენილება № 18

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

თანახმად სასამართლოს წყობილების დებულების 1-ლი კარის მე-VIII თავისა, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ნოტარიატის დებულება და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ დანიშნულ ვადაზე.

2. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 96 №-ის დეკრეტი და იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ 1922 წ. მარტის 6 გამოცემული ინსტრუქცია სახალხო ნოტარიუსებისათვის და წესები უფროს სახალხო ნოტარიუსების მიერ სიგელების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭალმაძე.**

1924 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატისა.

1. სანოტარო კონტორას ევალება: ა) ქმნა ყოველგვარი აქტისა, რომლისათვისაც სამოქალაქო კოდექსისა და მომქმედი კანონის ძალით დაწესებულია ქმნა სანოტარო წესით; ბ) შემოწმება ყოველგვარი ხელშეკრულებისა, რასაც დასდებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და საწარმონი როგორც ურთიერთ შორის, ისე კერძო პირებთან და მათ შენაერთებთან ან ეს უკანასკნელნი ურთიერთ შორის, როდესაც ამა ხელშეკრულებისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქო კოდექსისა და მომქმედი კანონის ძალით დაწესებულია შემოწმება სანოტარო წესით; გ) ქმნა და შემოწმება, მხარეთა სურვილისამებრ, ისეთი გარიგებისა, რაც შეიძლება დადებულ იქნეს უნოტარიუსოდაც; დ) ქმნა თამასუქის პროტესტისა; ე) შემოწმება რწმუნებულობის და ყოველგვარი დოკუმენტის ასლისა და სავაჭრო დავთრისა და სხვა დავთრისა თუ დოკუმენტის ამონაწერისა, აგრეთვე ხელმოწერის სინამდვილისა; ვ) შემოწმება თანამდებობის პირისა და დაწესებულების, აგრეთვე კერძო პირის მოთხოვნით, უდავო გარემოებისა, როგორიც არის: დოკუმენტის წარდგენის დრო, ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა, ერთი პირისაგან მეორისათვის ახსნა განმარტების თუ მოთხოვნის წარდგენა და სხვ.; ზ) გაცემა სანოტარო დავთრისა და რეესტრის ამონაწერისა და ასლისა და სხვ.; თ) შესანახად მიღება სხვა და სხვა პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტისა.

2. ხელშეკრულება არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობის გასხვისებისა და დაგირავებისა, აღნაგობის უფლების დამყარებისა, გასხვისებისა და დაგირავებისა ქმნილ უნდა იყოს იმ ადგილის სანოტარო კონტორაში, სადაც შენობა ან ასაგებად გაცემული ნაკვეთი მდებარეობს. აქტი შენობისა და აღნაგობის უფლების გადაგირავებისა, ასეთი გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემისა და ასეთივე გირავნობის მოსპობა ქმნილ უნდა იყოს იმავე სანოტარო კონტორაში, სადაც ქმნილია დაგირავების აქტი. ყველა სხვა აქტისა და ხელშეკრულების ქმნა ან შემოწმება, მხარეთა სურვილისამებრ, შეიძლება ამა თუ იმ სანოტარო კონტორაში.

3. სანოტარო აქტისა და ყოველგვარი შემოწმების საქმნელად ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს,—შეესაბამება თუ არა გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს, და, თუ კანონის საწინააღმდეგო რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთქვას სანოტარო მოქმედებაზე, რასაც მისგან მოითხოვენ. ნოტარიუსი არ განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ქმნად და შესამოწმებლად წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი, რამდენად სასარგებლოა ან საზარალოა მხარეთათვის გარიგება.

4. ნოტარიუსის უარი ამა თუ იმ მოქმედებაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, წერილობით უნდა იქმნეს გამოთქმული, სადაც უნდა აღინიშნოს უარის მიზეზი და სათანადო კანონი. გარიგება ქმნილ და შემოწმებულ უნდა იყოს, ან ამისი უარი უნდა გამოცხადდეს, არა უგვიანეს სამი დღისა სათანადო დოკუმენტის წარდგენიდან და გამოსაღების შეტანიდან.

5. ნოტარიუსს იმ კონტორაში, რომელსაც იგი განაგებს, არ შეუძლიან შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი მეუღლისა, თავისი და მეუღლის პირდაპირი შტოის ნათესავის, ძმისა და დის, აგრეთვე სანოტარო კონტორის თანამშრომელის სახელზე ან მათი სახელით.

6. ნოტარიუსი მოვალეა დაიცვას, კანონში აღნიშნულ შემთხვევის გარდა, მისთვის შესანახად მიბარებული აქტისა და დოკუმენტის და ყველა მინდობილი საქმის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების გამჟღავნება დაისჯება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 120 მუხლისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სანოტარო კონტორა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმით, აწარმოებს შემდეგ დავთრებს: ა) სააქტო დავთარს სანოტარო წესით ქმნილ აქტების ჩასაწერად; ბ) რეესტრს კონტორის ყველა მოქმედების ჩასაწერად: აქტისა, შემოწმებისა, გარემოების დადასტურებისა, ასლისა და ამონაწერის გაცემისა და სხვ. (გარდა თამასუქის პროტესტისა), აგრეთვე ჩასაწერად გადახდევინებული გამოსაღებისა და ბაჟისა; ბ) ცალკე რეესტრს თამასუქების პროტესტის ჩასაწერად; დ) საალფაბეტო სარჩევებს რეესტრებისათვის; ე) ფულის დავთარს კონტორაში შემავალი ფულისა და დოკუმენტის ჩასაწერად და აგრეთვე შესული ფულის დახარჯვის ჩასაწერად.

8. დავთრები და რეესტრები, გარდა საალფაბეტო სარჩევებისა, უნდა იყოს დანომრილი, ზონარ-გაყრილი და ფურცლობრივად შემოწმებული ოლქის სასამართლოს მდივნის მიერ, ოლქის სასამართლოს წევრის ხელმოწერილი და ოლქის სასამართლოს ბეჭედ დასმული; ხოლო უკეთუ სანოტარო კონტორა ოლქის სასამართლოს სამყოფელი ადგილის გარეშეა, ამ სასამართლოს დავალებით დავთრებსა და რეესტრებს შეამოწმებს სახალხო სასამართლოს მდივანი, ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლე და დაესმება სახალხო სასამართლოს ლუქის ბეჭედი. ხარვეზებს დავთრებსა და რეესტრებში ხაზი უნდა გადაესვას; ამოფხეკაარ შეიძლება, ხოლო შესწორება და მინაწერი სხვა ფერი მელნით უნდა იყოს და სათანადო ჩანაწერის ბოლოში აღინიშნოს ნოტარიუსის ხელმოწერით. სანოტარო დავთრები და რეესტრები ყოველი წლის ბოლოს უნდა დასრულდეს და ყველა დანართითურთ სანოტარო არქივს წარედგინოს. ამას გარდა, ნოტარიუსი მოვალეა არა უგვიანეს ახალი წლის იანვრის 2-სა აცნობოს სანოტარო თანაგანყოფილებას, თუ რამდენი ნომერია თვითეულ სააქტო და სარეესტრო დავთარში.

9. სანოტარო აქტი ქმნილ უნდა იყოს სანოტარო კონტორაში და მთლად ჩაწერილ იქნეს სააქტო დავთარში. შემოწმება აქტისა მოხდება თვით აქტზე წარწერით, რაც რეესტრში უნდა ჩაიწეროს.

10. ყველა აქტსა და შემოწმებაში უნდა აღინიშნოს: სანოტარო კონტორა, სადაც აქტი ქმნილია და შემოწმება მოხდა, ქმნისა და შემოწმების წელიწადი, თვე და რიცხვი, ხოლო სათანადო შემთხვევაში—საათიც; ყველა აქტი და შემოწმება ნოტარიუსის ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული უნდა იყოს.

11. აქტი და შემოწმება უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით: ყოველი რიცხვი, ნომერი და ვადა, რაც კი აქტის შინაარსს შეეხება, ერთხელ მაინც სიტყვებით უნდა აღინიშნოს. ამოფხეკა არ შეიძლება. ხარვეზს ხაზი უნდა გადაესვას; შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს და აღინიშნოს აქტის მონაწილე პირთა ხელმონაწერის წინ, ხოლო ნოტარიუსმა უნდა ჩამოთვალოს თვით აქტის ან შემოწმების ტექსტში. ეს შესწორებები და მინაწერები ისე უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი სახით წაკითხვა ყველა იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ—შესწორებული და ხაზგადასმული.

12. აქტსა და შემოწმებაში ამა თუ იმ პირის აღნიშვნის დროს დაწვრილებით უნდა იყოს მოხსენებული მისი სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვე საცხოვრებელი ადგილი და პროფესია ან თანამდებობა, ხოლო ხელმონაწერი —მარტო სახელი, მამის სახელი და გვარი.

13. გარიგების მონაწილე პირის ვინაობა, აგრეთვე ვინაობა იმ პირისა, რომლისთვისაც შესრულდება ესა თუ ის სანოტარო მოქმედება, დადასტურებულ უნდა იქნეს ვინაობის მოწმობით, რაც გაცემულ უნდა იყოს სათანადო დაწესებულებების მიერ. შესამოწმებელი დოკუმენტი ხელმოწერილ უნდა იქნეს ნოტარიუსის თანადასწრებით, ან და ხელის მომწერმა ხელმონაწერი თავისით უნდა აღიაროს ნოტარიუსის წინაშე.

შენიშვნა 1. უკეთუ გარიგებისა და სხვა სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს ვინაობის მოწმობა თან არ ექნება, მისი ვინაობა შეიძლება დაადასტუროს ორმა მოქალაქემ, რომელთაც ნოტარიუსი პირადად იცნობს და რომელთა უფლებანიც სასამართლოს წესით შეზღუდული არ არის.

შენიშვნა 2. უკეთუ გარიგებისა და სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, იგი ამ გარემოებას აქტში ან მოწმობაში დაადასტურებს და ვინაობას სხვა რიგად აღარ შეამოწმებს.

14. საქმნელი აქტი და შესამოწმებელი დოკუმენტი შეიძლება დაიწეროს ქართულ ენაზე, ან უცხო თუ ადგილობრივ ენაზე ქართულ ენაზე გადმოთარგმნით. თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ნოტარიუსი. უკეთუ ნოტარიუსმა უცხო ან ადგილობრივი ენა არ იცის, თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ის, ვისაც ნოტარიუსი პირადად იცნობს. მთარგმნელის ხელმონაწერს ნოტარიუსი შეამოწმებს.

15. აქტის ქმნაში მონაწილე პირმა, უკეთუ მას წერა-კითხვის უცოდინარობისა, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიან აქტზე ხელის მოწერა, მისი სახელით აქტზე ხელის მოწერა ნოტარიუსის თანადასწრებით სხვა პირს უნდა მიანდოს. ნოტარიუსმა თვით აქტის ან შემოწმების ტექსტში უნდა დაადასტუროს, რომ მონაწილე პირს ამა და ამ მიზეზით არ შეეძლო თვითონ მოეწერა ხელი, და რომ აქტში მონაწილე პირმა, ნოტარიუსის თანადასწრებით, თავის მაგიერ ხელის მოწერა ამა და ამ პირს მიანდო.

არასრულწლოვანობის ან სხვაგვარად ქმედობაუნარიანობას მოკლებული პირის სახელით ან მის სახელზე აქტის ქმნის და შემოწმების წესი განსაზღვრულია მეურნეობის კანონში.

16. ყრუს, მუნჯის ან ყრუმუნჯის სახელით ან მის სახელზე აქტის ან შემოწმების ქმნის დროს ეს აქტი, უკეთუ ყრუ, მუნჯი ან ყრუმუნჯი წერა-კითხვის მცოდნეა, უნდა წარედგინოს მას წასაკითხად და მან საკუთარის ხელით წააწეროს, რომ აქტი წაკითხული აქვს და იგი თანახმაა მისი შინარსისა; უკეთუ ყრუმ, მუნჯმა ან ყრუმუნჯმა წერა კითხვა არ იცის, მოწვეულ უნდა იქნეს ორი პირი: ერთი, მისი არჩევით, ისეთი, რომელმაც მასთან ლაპარაკი იცის, მეორე ისეთი, რომელსაც ესმის ეს ლაპარაკი და რომელიც აქტზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ აქტის შინაარსი შეესაბამება ყრუს, მუნჯის ან ყრუმუნჯის ნეფისყოფას.

უკეთუ აქტის მონაწილე უსინათლოა, აქტი ქმნილ უნდა იყოს უსინათლოს მიერ არჩეული მოწმის თანადასწრებით; ხსენებული მოწმე ნოტარიუსის თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრებით წაუკითხავს აქტს უსინათლოს და მისი თხოვნით ხელს მოაწერს, ხოლო ნოტარიუსმა ეს გარემოება აქტსა ან შემოწმებაზე უნდა დაადასტუროს.

17. ნოტარიუსი, როდესაც იგი სანოტარო აქტის ქმნის დროს დარწმუნდება, რომ დაცულია აქტის ქმნისათვის საჭირო პირობები, წარდგენილ პროექტს სააქტო დავთარში ჩასწერს, რის შემდეგაც აქტი მხარეებს წაეკითხებათ.

18. სანოტარო აქტში დაწვრილებით აღნიშნულ უნდა იქნეს შინაარსი იმ გარიგებისა, რასაც მხარეები სდებენ; აღნიშნულ უნდა იქნეს აგრეთვე გარიგების მონაწილე პირნი, მოწმენი, როდესაც მათი მონაწილეობა კანონით არის გათვალისწინებული, და მონაწილე პირთა და მოწმეთა ვინაობის დადასტურების საშუალება, ამას გარდა უნდა დაწვრილებით ჩამოითვალოს ყველა დოკუმენტი, რაც აქტის ქმნის დროს მხედველობაში იქნა მიღებული, და აღინიშნოს, გად ხდილია თუ არა სათანადო საღერბო და სხვა გამოსაღები.

19. აქტის დედანს ხელს აწერენ მხარეები სააქტო დავთარში. აქტის საქმნელად წარდგენილი დოკუმენტის დედანი დარჩება კონტორის საქმეში, უკეთუ ამ აქტის გამო მას იურიდიული ძალა დაეკარგა; წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტის დედანს წაეწერება, რომ აქტი ქმნილია, და იგი დაებრუნება იმ პირს, ვინც წარადგინა. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მონაწილე პირთა ხარჯით გადაიღება დედანის ასლი, რომელსაც ნოტარიუსი დაადასტურებს და კონტორის საქმეში დასტოვებს. საქმეში მანაწილე პირს შეუძლიან გაიტანოს დატოვებული დოკუმენტის დედნის ასლი. ვინაობის მოწმობა პატრონს დაუბრკოლებლივ დაებრუნება.

20. შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისების ან დაგირავების აქტის საქმნელად ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს,—ხომ არ ყოფილა არსებული წესით აღკრძალული ასეთი გასხვისება ან დაგირავება.

21. გარიგების შესამოწმებლად ნოტარიუსი მოვალეა გამოარკვიოს გარიგების მქმნელ პირთა ვინაობა, აქვთ თუ არა მათ უფლება დასდონ ეს გარიგება, და ის, რომ გარიგებას მათ ნამდვილათ მოაწერეს ხელი. ნოტარიუსმა გარიგების აქტის დედანს უნდა წააწეროს, რომ ყველა აღნიშნული გარემოება მან გამოიკვლია; თანაც უნდა აღინიშნოს ის საშუალება, რომლითაც ნოტარიუსმა მონაწილე პირთა ვინაობა გამოარკვია.

22. ყველა აქტი, რამდენსამე ფურცელზე დაწერილი, უნდა იქმნეს დანომრილი, ზონარ-გაყრილი, ნოტარიუსის მიერ ფურცლობრივად შემოწმებული და კონტორის ლუქის ბეჭედ-დასმული.

23. აქტისა და შემოწმების მქმნელ პირს ნება აქვს, სურვილისამებრ, გაიტანოს სააქტო დავთრისა და რეესტრის ამონაწერი და შესამოწმებლად წარდგენილი დოკუმენტის ასლი. გარეშე პირს-კი და დაწესებულებას ასეთი ამონაწერი და ასლი მიეცემა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს უფლება აქვს ამონაწერი და ასლი თავისი უშუალო მოთხოვნით მიიღოს.

შენიშვნა. იუსტიციის სახალხო კომისარს უფლება აქვს განკარგულება გასცეს, რათა მთავრობის დაწესებულებათ ეძლეოდათ სანოტარო კონტორის დავთრებიდან და საქმეებიდან ცნობები განსაზღვრული კატეგორიის საქმეების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. წარდგენილი დედანის ასლის სისწორის შესამოწმებლად ასლი შესწორებულ უნდა იქნეს დედანთან, შემოწმებაშიაც უნდა აღინიშნოს, ვინ წარადგინა დედანი და ვის მიეცა ასლი, ხომ არ იყო დედანში შესწორებული თუ ამოფხეკილი ადგილი, მინაწერი, ხაზგადასმული სიტყვები და სხვა რამ; უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რა საღერბო გამოსაღები იყო გადახდილი დედნისათვის.

25. ხელმონაწერის სინამდვილე შემოწმებულ უნდა იქნეს თვით ხელმოწერილ დოკუმენტზე წარწერით მას შემდეგ, რაც გამორკვეულ იქნება ხელისმომწერის ვინაობა.

26. დრო დოკუმენტის წარდგენისა დადასტურებულ უნდა იქნეს თვით დოკუმენტზე წარწერით; თანაც უნდა აღინიშნოს მისი წარმდგენი პირი.

27. ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა დადასტურებულ უნდა იქნეს ამ პირის სანოტარო კონტორაში გამოცხადებისას ან როდესაც ნოტარიუსი ამაში კონტორის გარეშე დარწმუნდება, მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი, ამა დებულების მე-13 მუხ. აღნიშნული.

28. მოქალაქეთ და დაწესებულებათ უფლება აქვთ სანოტარო კონტორის მეშვეობით ერთმანეთს განცხადებანი გაუგზავნონ და გაიტანონ სანოტარო კონტორიდან მოწმობა განცხადების წარდგენისა და მასზე მიღებული პასუხის შესახებ.

29. თამასუქის პროტესტი მოხდება, თამასუქის პატრონის მოთხოვნისამებრ, თვით თამასუქზე წარწერით, რომ იგი გადახდილ ან ვადაზე მიღებულ არ იქნა. თამასუქის პროტესტი ჩაწერილ უნდა იქნეს ამა დებულების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტში ნაჩვენებ ცალკე რეესტრში.

30. სანოტარო მოქმედებისათვის გადასახდელი გასამრჯელოს და სხვა გამოსაღების ნიხრი დაწესდება იუსტიციის სახალხო კომისარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ცალკე დადგენილებით.

31. იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაეკისრება გამოსცეს ინსტრუქციები და ცირკულიარები ამა დებულების შესაფარდებლად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისარ.
საბჭოს მდივანი **თ. კეპალმაძე.**

1924 წ. მაისის 28.
ტფილისი—ალასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

22.

დადგენილება № 19

სასოფლო მეურნეობის სამაზრო და სარაიონო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, შეძლებისამებრ, სრული და სწორი ცნობების მისაღებად—სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდება სასოფლო მეურნეობის საექსპერტო კომისია.

2. საექსპერტო კომისიას დაევალება შეჰკრიფოს და მიაწოდოს ხოლმე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შემდეგი ცნობები:

ა) რა მდგომარეობაშია სათესი და სათიბი მიწები, ვენახი, ბაღი, და სხვ. სასოფლო-სამეურნეო კულტურა;

ბ) როგორი პირი უჭირს ამა თუ იმ ადგილას ყველა გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალს და როგორია მისი მოსაელიანობა;

გ) რა მდგომარეობაშია მესაქონლეობა, ეპიზოოტია და სხვ.,

დ) ყველა ის შემთხვევა, როდესაც განადგურდა ნათესი სეტყვისა, ყინვისა, წყალდიდობისა და სხვ. მიზეზისაგან;

ე) როგორია მოსახლეობის სასურსათო მდგომარეობა.

3. სამაზრო და სარაიონო საექსპერტო კომისია თავის მუშაობისათვის იხელმძღვანელებს საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების—მაზრის სტატისტიკური ბიუროების ინსტრუქციებს.

4. სამაზრო საექსპერტო კომისიას შეადგენენ: თავმჯდომარე—აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე; წევრები—ფინანსთა ინსპექტორი, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების საადგილ—მამულო ქვეგანყოფილების გამგე, სამაზრო აგრონომი, მაზრის სტატისტიკური ბიუროს გამგე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელი, აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენელი იქ, სადაც იგი არის. სარაიონო საექსპერტო კომისიას შეადგენენ: თავმჯდომარე—რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე; წევრები: სარაიონო აგრონომი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელი.

5. კომისიას უფლება აქვს, უკეთუ საჭირო იქნება, მოიწვიოს გარეშე პირიც.

6. ცნობების თავის დროზე და სისწორით მიწოდებისათვის პასუხისმგებელია კომისიის თავმჯდომარე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭაღმაძე.**

1924 წ. მაისის 31.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-127 №-ში 1924 წ. ივნისის 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23

დადგენილება № 20

ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ქ. მოსკოვში არსებული ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი ცნობილია ერთად-ერთ სახელმწიფოებრივ დასაცავ ადგილად ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ლენინის) ყველა ორიგინალურ საბუთისათვის, რომელიც უშუალოდ შეეხება მის მოღვაწეობას (მაგალ., ყოფილი საჟანდარმო სამმართველოს მასალები მის შესახებ და სხვ.). ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს წიგნის პალატას უგზავნოს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს თითო ცალი ვ. ი. ულიანოვ-ლენინის თხუზულებათა ყველა გამოცემისა, რაც მიღებულ იქნება პალატაში, და აგრეთვე ყოველი გამოცემისა, რაც დაიბეჭდება სპეციალურად ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) შესახებ, ან რომელშიაც იქნება მისი სურათი და სხვა რამ მისი გამოსახულება, აგრეთვე წიგნებისა (ჟურნალებისა, გაზეთებისა, პლაკატებისა და სხვ.) სპეციალურ-ეკონომიური და ისტორიულ-რევოლიუციონური საკითხების შესახებ.

2. დაევალოს ყველა ფოტოგრაფიას, რომელსაც როდისმე გადაუღია ვ. ი. ულიანოვის ლენინის) სურათი ცალკე ან ჯგუფებში გააკეთონ ამ სურათების ნეგატივები ან ფირები და გაუგზავნონ ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ან უჩვენონ სად არის ეს ნეგატივები.

3. დაევალოს ყველა კინო-საწარმოს გადასცეს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ყველა ფილმების დედნები, სადაც-კი გამოსახულია ვ. ი. ულიანოვი (ლენინი).

4. დაევალოს ყველა სტამბას, ცინკოგრაფიას, ფოტოტიპიას, მეტოგრაფიას, გამომცემლობას და სხვ., წარმოადგინონ ვ. ი. ლენინის ინსტიტუტში სამ-სამი ცალი ვ. ი. ლენინის სურათის ყოველნაირი ანაბეჭდი (კლიშე), რაც მათ ექნებათ, და შემდეგშიაც უგზავნონ აგრეთვე სამ-სამი ცალი ყოველგვარი გამოსახულების კლიშე, რაც მათ მიერ იქნება გაკეთებული და მასთანვე უჩვენონ სად იქნა მოთავსებული ეს გამოსახულება.

5. თვალყურისდევნება ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაევალოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეპაღმაძე.**

1924 წ. მაისის 31.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-126 №-ში 1924 წ. ივნისის 4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

24.

დადგენილება № 21

ჭაჭის სპირტის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგების შესახებ.

გლეხობისათვის ჭაჭის სპირტის ყიდვა-გაყიდვის გაადვილების მიზნით და სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ფარგლებში ჭაჭის სპირტის რექტიფიკაციის საქმე მთლად გადაეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

2. აეკრძალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, აგრეთვე კერძო საწარმოს და პირთ საქართველოს საზღვრებიდან ჭაჭის სპირტის გატანა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებადაურთველად.

3. აკრძალულ იქნეს ხორბლეულის სპირტით ღვინის შეკეთება და სასმელების გასაკეთებლად ურექტიფიკაციო ჭაჭის სპირტის ხმარება.

4. აკრძალულ იქნეს საქართველოს ქალაქებში ჭაჭისა და ღვინიდან გამოხდილი უბრალო სპირტის ვაჭრობა.

შენიშვნა. სპირტის საბითუმო საწყობებიდან ჭაჭის სპირტის გამოშვება მოხდება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ საამისოდ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

5. აკრძალულ იქნეს ჭაჭის სპირტის გაწმენდა ცივად, ხოლო რექტიფიკაციაქმნილი სპირტის ცივად გაწმენდა შეიძლება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საჭოს პრეზიდიუმის ნებართვით თვითეულ შემთხვევაში ცალკე.

6. ამა დადგენილების განხორციელება და მის საფუძველზე საჭირო საკანონმდებლო დადგენილებათა გამოცემა დაეკისრება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხ. მიხედვით.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის: ქალაქ ტფილისში ამა წლის ივნისის 1-დან, ხოლო საქართველოს დანარჩენ ქალაქებში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცალკე დადგენილებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ.
საბჭოს თავმჯ. მოადგილე ა. **გეგეჭკორი**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ.
საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. ხალარიძე**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეკალმაძე**.

1924 წ. მაისის 31.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „გაზ. კომუნისტის“ მე-127 №-ში 1924 წ. ივნისის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25.

დადგენილება № 22

სამკურნალო ადგილებში (კურორტებში) მიმსვლელთათვის სასეზონო გამოსაღების დაწესების შესახებ.

კურორტების ჰიგიენური და სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად და მათი, საერთოდ, რიგიანად მოწყობისათვის სპეციალური თანხის დასაარსებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს და ადგილობრივ საბჭოებს, სამაზრო საბჭოების ყრილობისა ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დადგენილებისამებრ, დააწესონ და გადაახდევინონ სასეზონო გამოსაღები სამკურნალო ადგილებში (კურორტებში) მიმსვლელთ შემდეგ საერთო საფუძველზე:

1. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილებში (კურორტებში) მიმსვლელთ გამოსაღებს გადაახდევინებს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტებში მიმსვლელთ — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

2. სამკურნალო ადგილებში გამოსაღები გადაჰხდებათ სამკურნალო სეზონის განმავლობაში ყველას, გარდა იმ პირთა, რომელნიც აღნიშნულ არიან შემდეგ (3) მუხლში.

3. სასეზონო გამოსაღებისაგან განთავისუფლდება: ა) ყველა მუშა მოსამსახურე, ვინც გაგზავნილ იქნება ან სახელმწიფო საწოლებით სარგებლობისათვის, ან იმ სანატორიუმში და დასასვენებელ სახლში, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ან პროფესიონალურ ორგანიზაციების ხარჯზეა, ბ) სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა ყველა მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახები, გ) ინვალიდი, რომელსაც ინვალიდობის მოწმობა აქვს; დ) ბავშვი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია; ე) სამსახურის საქმის გამო მიმსვლელი, ვ) ის პირი, რომელიც გემზე მსახურებს და იმყოფება კურორტის ფარგალში (ზღვის პირას მდებარე კურორტზე) გემის გაჩერების გამო, ზ) ის პირი, რომელიც დარჩება კურორტზე არა უმეტეს შვიდის დღისა და თ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც წარადგენს სიღარიბის მოწმობას.

4. გამოსაღების რაოდენობას დააწესებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილებისათვის (კურორტებისათვის) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის—ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი იმისდამიხედვით, თუ რამდენად ეტანება ამა თუ იმ ადგილს ხალხი, როგორია მისი სამკურნალო მნიშვნელობა და სხვა ათგილობრივი პირობები, ყოველ შემთხვევაში, გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს თითო სულზე ხუთ მანეთს, ხოლო ოჯახზე—სამ მანეთს თვითეული წევრისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. სასეზონო გამოსაღების შემოსავალი გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოოდენ კურორტის სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე კურორტის ისეთნაირად მოწყობისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს გამოსაღების გადამხდელის ესა თუ ის საჭიროება, სხვათა შორის, გონივრული გართობაც.

შენიშვნა. კურორტ ბორჯომის სასეზონო გამოსაღებიდან შემოსული თანხა განაწილდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საკურორტო სამმართველოსა და ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტის შორის თანაბრად.

6. სასეზონო გამოსაღების აკრეფის წესს ადგენს: სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი; ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის კი—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ორივე შემთხვევაში ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოში) შეთანხმებით; ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოები.

7. სასეზონო გადასახადის შემოსავალ-გასავლის ანგარიში წარმოებულ უნდა იქნეს კურორტის სხვა შემოსავალ-გასავლის ანგარიშთან განცალკევებით. სასეზონო შემოსავალის ხარჯვას განაგებს: სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტზე სასანიტარო აღმასრულებელი კომისია, რომელიც არსებობს საკურორტო სამმართველოსთან და რომელსაც თავმჯდომარეობს კურორტის დირექტორი ან რწმუნებული დაინტერესებული უწყების თუ ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან, ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტზე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

8. ამ სამკურნალო ადგილების ნუსხას, სადაც მიღებულია სასეზონო გამოსაღების აკრეფა, და სამკურნალო სეზონის ხანგრძლივობას დაადგენს: სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტებისათვის—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი (ავტონომიურ რესპუბლიკებში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოები), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭელმაძე.**

1924 წ. ივნისის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-135 №-ში 1924 წ. ივნისის 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26.

დადგენილება № 23

ამხ. ბერბერაშვილის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილედ ინიშნება ამხ. ი. **ბერბერიშვილი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. ა. **გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი თ. **კეჭალმაძე.**

1924 წ. ივნისის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-136 №-ში 1924 წ. ივნისის 15.

27.

დადგენილება № 24

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 1924 წ. მაისის 5 თარიღითა და 15 № გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის დასრულებულ უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, ე. ი. 1927 წ. ოქტომბრის 25-ს."

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. ა. **გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. **სალარიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი თ. **კეჭალმაძე.**

1924 წ. ივნისის 18.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

28.

დეკრეტი

საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა შესახებ.

სოფლის მეურნეობისა და შინა-მრეწველობის განვითარების პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ მოქალაქეთ, რომელნიც ეწევიან სოფლის მეურნეობას და შინა-მრეწველობას, აგრეთვე კოოპერატიული ტიპის კოლექტივებს შეუძლიანთ დააარსონ საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობანი, რათა თავიანთ წევრთ შეღავათიანი სესხი აძლიონ სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რათა მიზანშეწონილად და სათანადო გეგმით გააერთიანონ ამხანაგობის წევრთა სახსარი უფრო ფართო სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რათა შეძენილ იქნეს ამხანაგობის წევრთა მრეწველობისა და მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარი, მასალა, ნედლეულობა და მოსაწყობი საგნები და რათა გაწეულ იქნეს ხოლმე შუამავლობა ამხანაგობის წევრთა შრომის პროდუქტის გასასაღებლად.

2. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათ უფლება ეძლევათ შეერთდენ კავშირებად.

3. თვითეული საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები. კავშირს შეუძლიან შეაერთოს არა ნაკლებ 5 ამხანაგობისა.

4. ორი საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობის ერთსა და იმავე დროს წევრად ყოფნა არ შეიძლება.

5. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს აქვთ იურიდიული პირის უფლებანი და, როგორც ასეთებს, შეუძლიანთ დასდონ გარიგებანი, მიიღონ ვალდებულებანი და შეიძინონ ქონება.

6. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს ნება ეძლევათ აწარმოონ შემდეგი ოპერაციები: საანაბარო სესხის გაცემისა, გირავნობისა, სესხის აღებისა და შუამავლობის გაწევისა.

7. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირების სახსარს შეადგენს: საწევრო გადასახადი, პაიები, ანაბარები, შეწირულება, კერძო პირთა დაწესებულებათაგან აღებული სესხი, ოპერაციებისაგან მიღებული მოგება და სახელმწიფოსაგან მიცემული კრედიტები.

8. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათი კავშირების გამგებლობის ორგანოებად ითვლება: საერთო კრება, თუ საჭიროება მოითხოვს—ამხანაგობის წევრების რწმუნებულთა კრება, გამგეობა და საბჭო.

9. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათი კავშირების მოქმედების რაიონი, წევრად შესვლა და წევრთა რიცხვიდან გამოსვლა, მათი ვალდებულებისათვის პასუხისგების ფარგალი და წესი, საერთო კრების და რწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულთა კრების ფუნქციები, საბჭოს, გამგეობისა და საკონტროლო-ორგანოების შემადგენლობა, არჩევნების წესი და კომპეტენცია, ანგარიშების სისტემა, საქმეთა რევიზიის წესრიგი, ოპერაციების წარმოების წესი და პირობები და ლიკვიდაცია—განისაზღვრება სათანადო წესდებით, თანახმად არსებული კანონებისა.

10. საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათი კავშირების რეგისტრაცია მოხდება საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკში, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც ისინი მოქმედებენ.

11. ზედამხედველობა ამა დეკრეტის განხორციელებისათვის ეკისრება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **თ. კეჭალმაძე.**

1924 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-146 №-ში 1924 წ. ივნისის 28.

29.

დადგენილება № 25

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ—ქალაქად მდებარე—სახლების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 28 თარიღითა და 16 №-რით გამოცემული დეკრეტის დამატებისათვის.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ—ქალაქად მდებარე—სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და 16 №-რით გამოცემული დეკრეტი გავრცელებულ იქნეს იმ სახლებზედაც, რომელთა პატრონებმა აღნიშნული დეკრეტის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნებამდე, ზემოხსენებული საადგილ-მამულო ბანკებისა და საკრედიტო სახოგადოებს სალიკვიდაციო ორგანოების ნებადაურთველად, შეიტანეს სხვა და სხვა დაწესებულებათა დეპოზიტში თავიანთი საიპოთეკო ვალი ბონებით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ დეპოზიტებში შეტანილი ბონები გამოანგარიშებულ უნდა იქნეს იმ ოქროს კურსის მიხედვით, რაც არსებობდა ბონების შეტანის დროს, და ამრიგათ მიღებული თანხა უნდა გამოირიცხოს გადასახდელი თავნი ვალიდან.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. ლ. ღოლობერიძე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი თ. კეკელმაძე.

1924 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-146 №-ში 1924 წ. ივნისის 28.

203

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

დეკრეტთა, დადგენილებათა და დებულებათა კრებულის ქრონოლოგიური სარჩევი.

(1924 წ. 1 იანვრიდან—30 ივნისამდე)

№№ რიგზე	სათაური	კრებულის რომელ გვერდზეა კანონი დაბეჭდილი
1.	**დებულება.** საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შესახებ. . .	5—8
2.	**დადგენილება № 73.** სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ბავშთა ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის დაარსების შესახებ . . .	8—9
3.	**დადგენილება № 74.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სარაიონო აღმ. კომ. და ქალაქის სამილიციო რაიონებთან სამხედრო მაგიდების დაარსების შესახებ . . .	9—10
4.	**დადგენილება № 75.** სამოქალაქო კოდექსის 435 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ	10—11
5.	**დებულება.** ც. ა. კ-თან არსებულ ლენინის სახელობის „გლეხის სახლის“ შესახებ	11—13
6.	**დადგენილება № 76.** „მუშა-ქალის დღის“—მარტის 8-სათვის ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების განხორციელების შესახებ	13—14
7.	**დადგენილება № 77.** ც. ა. კ-ის მიერ დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის შესახებ . . .	14—15
8.	**დადგენილება № 78.** სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ	15—18
9.	**დადგენილება № 79.** საბჭოთა დაწესებულებათა გამოკვლევისა და ამ დაწესებულებათა მოსამსახურეების აღნუსხვის შესახებ	18—19
10.	**დეკრეტი.** რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის და მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ . . .	19—21
11.	**დადგენილება № 80.** სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დებულებისა და სასოფლო საბჭოების და სარაიონო აღმასკომ. დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ (დებულებითურთ)	22—28

12. **დადგენილება № 81.** ნოტარიატის რეორგანიზაციის შესახებ. 29
13. **დადგენილება № 82.** სამოქალაქო სამ. საპროც. კოდ. სამომოქმედოდ შემოღების შესახებ . . . . . 29—30
14. **დადგენილება № 83.** მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი ფუნქციისაგან განთავისუფლების შესახებ . . . . . 30—31
15. **დებულება** მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა . . . . . 31—38
16. **დადგენილება № 84.** არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის წესების სამოქმედოდ შემოღების შესახებ (წესები) . . . . 38—48
17. **დადგენილება № 85.** სასამ. წყობილების დებულ., სისხლის სამ. კოდ. და სისხლ. სამართლის საპრ. კოდ. ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა სამოქმედოდ შემოღების შესახებ . 48
18. **დადგენილება № 86.** სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლის გაუქმების შესახებ 49
19. **დადგენილება № 87.** ადმინისტრატიული წესით გადასახლების შესახებ . . . . . 49—50
20. **დადგენილება № 88.** სასამ. წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ . . . 51—62
21. **დადგენილება № 89.** სისხლის სამ. საპროც. კოდ. ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ . . . . 63 - 69
22. **დადგენილება № 90** მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ (კოდექსით). . . . . 69—99
23. **დადგენილება № 90ა.** სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ . . . 99—115
24. **დადგენილება № 91.** ტყის კოდესის სამოქმედოდ შემოღების შესახებ (კოდექსით) 115 125
25. **დეკრეტი.** სამხედრო მაგიდების დაარსებისათვის 1924 წ. თებერვლის 6-ს თარიღითა და 74 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 და მე-3 მუხ. შეცვლის შესახებ . . . 125—126
26. **დადგენილება № 91ა.** ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის დაარსების შესახებ . . . . . 126—127
27. **დადგენილება № 92.** სამრეწველო საწარმოთა გახსნის წესის შესახებ . . . . . 128—129
28. **დადგენილება № 93.** სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების დებულების დამტკიცების შესახებ (დებულებითურთ) . . . . . 130—133
29. **დადგენილება № 94.** იმ კანონდებულებათა შესახებ, რაც ჰკარგავს ძალას სამოქ. სამართლის საპროც. კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ. . . . . 133—134

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. **დადგენილება** № 95. სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ. . . . . 135—136
31. **განმარტება**. მიწის კოდექსის მე-9 და 82 მუხ. შეფარდების შესახებ. . . . . 136—137
32. **დადგენილება № 96**. სამხედრო შესაკრები პუნქტების მოსაწყობად და შესაკეთებლად საჭირო ხარჯების სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებისათვის დაკისრების შესახებ. . 137—138
33. **დადგენილება № 97**. სისხლის სამართლის კოდექსის შევსების შესახებ. 138
34. **დადგენილება № 98**. ამხ. კოსტანიანის განთავისუფლება . 139
35. **დადგენილება № 99**. ამხ. გამყრელიძის დანიშვნა. . . 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს

დეკრეტთა, დადგენილებათა და დებულებათა კრებულის ქრონოლოგიური სარჩევი.

(1924 წ. 1 იანვრიდან—30 ივნისამდე).

№№ რიგზე | **ს ა თ ა უ რ ი** | კრებულის რომელ გვერდზეა კანონი დაბეჭდილი

1. **დებულება.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს შესახებ. . . . 143—145
2. **დეკრეტი.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. . 145—147
3. **დადგენილება** № 1. საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ (დებულებითურთ . . 148—151
4. **დადგენილება** № 2. ლენინის დაკრძალვის დღის შესახებ. . 151
5. **დადგენილება** № 3. ლენინის დაკრძალვის დღის შესახებ. . 151—152
6. **დადგენილება** № 4. მოქალაქეობის შესახებ 1922 წ. ივლისის 11 თარიღითა და 11 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხლის განმარტებისათვის. . . . . 152—153
7. **დადგენილება** № 5. საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და თბილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების თაობაზე 1922 წ. დეკემბრის 28 თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული დეკრეტის მე-4 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ. . . . 153
8. **დადგენილება** № 6 საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის წესდების დამტკიცების შესახებ. . . . . 154—159
9. **დებულება.** შრომის სტატისტიკის შესახებ . . . 159—160
10. **დადგენილება** № 7. ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში სავალდებულო წარდგენის შესახებ. . 161—162
11. **დადგენილება** № 8. უსასყიდლოდ გადასული—ქალაქად მდებარე—ქონების (შენობების) შეფასების წესის შესახებ. . 162—163
12. **დადგენილება** № 9. საქ. სახალხო ბანკის რეორგანიზაციის შესახებ. 163
13. **დადგენილება** № 10. დამატება ცხოვრების გაძვირების გამო. 164
14. **დადგენილება** № 11. საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის დებულების დამტკიცების შესახებ (დებულებითურთ). . . . . 164—173

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. **დადგენილება** № 12. წიგნის პალატის დაარსების შესახებ (დებულებითურთ). . . . . 173—177
16. **დადგენილება** № 13. საბჭოთა დაწესებულებებში ყოველკვირეული დასვენების შესახებ. 178
17. **დადგენილება** № 14. სამკურნალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესების შესახებ. . . . . 178—180
18. **დადგენილება** № 15. მოზრდილთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. . . . . 180—181
19. **დადგენილება** № 16. უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ მათდამი რწმუნებული აპარატის მდგომარეობისა და მუშაობისათვის. . . . 182
20. **დადგენილება** № 17. ეკონომიური საბჭოს და საგეგმო კომისიის დებულებისა, კონსტრუქციისა და შტატის დამტკიცების შესახებ. . . . . 183—187
21. **დადგენილება** № 18. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ (დებულებითურთ). . . . . 188—193
22. **დადგენილება** № 19. სასოფლო მეურნეობის სამაზრო და საარაიონო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ. . . 194
23. **დადგენილება** № 20. ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის შესახებ. . 195
24. **დადგენილება** № 21. ჰაჰის სპირტის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგების შესახებ. 196
25. **დადგენილება** № 22. სამკურნალო ადგილებში მიმსვლელთათვის სასეზონო გამოსაღების დაწესების შესახებ. . . 197—198
26. **დადგენილება** № 23. ამხ. ბერბერიშვილის დანიშვნის შესახებ. 199
27. **დადგენილება** № 24. მოზრდილთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ. 199
28. **დეკრეტი.** საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა შესახებ. 200—201
29. **დადგენილება** № 25. საადგილ-მამულო ბანკებში დაგირავებული სახლების შესახებ 1922 წ. დეკემბრის 28 თარ. და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის დამატებისათვის. . . 201—202